

ბუკამ პატრონია

ლაზური ენა და მისი ადგილი
ქართულურ ენათა
სისტემაში

ბამონცემლოვა „ნეკერი“
თბილისი
2005

მონოგრაფიაში შესწავლილია ლაზური ენის სტრუქტურა და მოცემულია ქართველურ ენათა შორის მისი ადგილის გარკვევის ცდა. კელევა დაფუძნებულია ლაზური ენის ტექსტობრივ მასალაზე, არა მარტო უკვე ფიქსირებულსა და სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულზე, არამედ თვით ავტორის მიერ დამატებით მოპოვებულზე, რომელიც ლაზურის სამივე დიალექტის ექვსივე კილოკავს მოიცავს. შესწავლილი და გამოვლენილია ლაზურის ფონოლოგია-ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის რიგი საკითხი, გაანალიზებულია საერთო-ქართველური წარმოშობის ლაზური ლექსიკა. წარმოდგენილია მოსაზრებები ერთიანი ზანური ენის ფარგლებში მეგრულისა და ხოფურ-ჩხალურის დიალექტური ერთიანობისა და საერთო-ქართველური ენის დასავლურ დიალექტში – კოლხურში – კილოკავთა (თქმათა) ურთიერთმიმართების შესახებ.

რედაქტორი – აკადემიკოსი თ. გამყრელიძე

რეცენზენტები: პროფესორი ა. ონიანი
პროფესორი თ. უთურგაიძე

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2005

ISBN 99940-823-2-9

შესავალი

ლაზური ენა, ისევე როგორც ქართული, სვანური და მეგრული ენები, ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება და მეგრულთან ერთად ამ ოჯახის ზანურ ენათა ჯგუფს ქმნის. ტერმინი **ზანური** შემოიღო ა. ჩიქობავამ იმ ენის აღსანიშნავად, რომლის დიალექტებად მიიჩნეოდა მეგრულსა და ლაზურს (ჩიქობავა 1936, 3-4). მათთვის, ვინც მეგრულსა და ლაზურს დამოუკიდებელ ენებად თვლის, ზანური აღნიშნავს თეორიულად პოსტულირებულ ენას, რომლისგანაც მომდინარეობენ მეგრული და ლაზური ენები (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 15-16).

ზანურის სინონიმად ლიტერატურაში იხმარება **კოლხური**, რომელიც, ვფიქრობ, უმჯობესია ზანურ-სვანური ერთიანობის აღმნიშვნელ ტერმინად გამოვიყენოთ და **კოლხური** ეუწოდოთ საერთო-ქართველური ფუძეენის დასავლურ დიალექტს, რომლის კოლოკავენს წარმოადგენდნენ ზანური და სვანური ენების წინაპარი ენობრივი დანაყოფები [საერთო-ქართველური ფუძეენის დიალექტური დანაწილების, მისი აღმოსავლური („სისინა“) და დასავლური („შიშინა“) არეალებისა და ერთიანი ზანურ-სვანური დიალექტური წრის შესახებ იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 4-10].

ტერმინ „ლაზურის“ გვერდით ლიტერატურაში გამოიყენება „ჭანურიც“. ზოგი მკვლევარი უპირატესობას აძლევს **ლაზურს**, ზოგი – **ჭანურს**, ზოგისთვის კი ამ ტერმინებს სინონიმური მნიშვნელობა აქვს და ორივეს ხმარობს. რაც შეეხება ამ ენაზე მეტყველთ, ისინი თავიანთ თავს **ლაზს/ლაზებს** უწოდებენ და **ლაზ**- ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები იციან (**ლაზური** „ლაზური“, **ლაზობა** „ლაზობა“, **ლაზისტანი**, **ლაზონა** „ლაზეთი“), **ჭან**- ფუძე (მდრ. ქართ. **ჭან-ი**, **ჭანურ-ი**, **ჭან-ეთ-ი**) მათთვის, როგორც წესი, უცნობია.

ლაზები კომპაქტურად სახლობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს საზღვრისპირა სოფელ

სარფში და თურქეთის რესპუბლიკის ართენის ვილაიეთის ხოფის, ბორჩისა და არჰავის ილჩეებსა და რიზეს ვილაიეთის ჭინდიქლის, არდეშენის, ჩამლიძემშინისა და ფაზარის ილჩეებში. ამასთან ერთად, მრავალი ლაზი ცხოვრობს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. ლაზთა ცალკეული ოჯახები გაბნეულია დასავლეთ საქართველოს რიგ რეგიონში (აჭარაში, აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში).

ლაზურში სამ დიალექტს განარჩევენ: ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს. ხოფურში ჩხალურ კილოკავს გამოყოფენ, ათინურში – ართაშენულს, ვიწურ-არქაბულს კი ვიწური და არქაბული კილოკაების ნაერთად მიიჩნევენ. ეფიქრობ, უფრო მართებული იქნება, ვიწურ-არქაბულის მსგავსად, დანარჩენ ლაზურ დიალექტებსაც, შემადგენელ კილოკავთა სახელწოდებების მიხედვით, ათინურ-ართაშენული და ხოფურ-ჩხალური ვუწოდოთ. ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ მეგრული ენის დიალექტების აღნიშვნის დროსაც: ზუგდიდურ-სამურზაყანულისა და სენაკურის ნაცვლად, ზუგდიდურ-სამურზაყანულსა და სენაკურ-მარტვილურზე უნდა გვქონდეს საუბარი (იხ. Kartosia 1998, 96).

ლაზურის სამ კილოდ დაყოფას, ძირითადად, ფონეტიკური საფუძველი უდევს, კერძოდ, ყ ფონემის რეფლექსები (ჩიქობავა 1936, 10–11)¹. ხოფურ-ჩხალურში ყ დაცულია ხმოვნების, გ ლაბიალისა და ლ ლატერალის წინ (მაგ., ყალი „ყელი“, ყუჯი „ყური“, ყვალი „ყველი“, ყვაჯი „testiculus“, დოლოყდანტერი „ოდროოდრო, დრანტიანი“, ყლიწუფს „ყლუნწავს“, ყლიპუფს „id.“), გლოტალიზებულ კომპლექსებში კი გ-ში გადადის [მტკა „ბალახი“ (< *ტყა; შდრ. მეგრ. ტყა „ტყე; ბალახი“, ქართ. ტყე), წკარი „წყალი“ (< *წყარი. შდრ. მეგრ. წყარი „წყალი“, ქართ. წყარო), ჭკ „დაწყება“ (< *ჭყ. შდრ. მეგრ. ჭყ, ქართ. წყ-): გმოჭკუ „დაიწყო“ (< *გეოჭყუ)]; ვიწურ-არქაბულში ყ ფონემა ხმოვანთა წინ დაკარგულია (ალი, უჯი), გ-სა და ლ-ს წინ და გლოტალი-

¹ ა ჩიქობავა, რომელმაც ლაზურის შემადგენლობაში ეს სამი ერთეული გამოყო და დაყოფის ძირითად საფუძველად ყ-ს რეფლექსები იგულისხმა, ლაზურს ზანური ენის დიალექტად მიიჩნევდა. მისთვის ხოფური, ვიწურ-არქაბული და ათინური ლაზური კილოს კილოკაები იყო; ხოფურ კილოკაში ჩხალურ თქმას გამოყოფდა, ათინურში – ბულეფურ-ართაშენულს, ვიწურ-არქაბულ კილოკავს კი ვიწური და არქაბული თქმების ნაერთად თვლიდა.

ზებულ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციიაში კი გ-შია გადასული (გვალი, კვაჯი, დოლოკლანტერი, მტკა, წკარი, გოჭკუ); ათინურ-ართაშენულში ყ ფონემა ყოველგვარ პოზიციიაში დაკარგულია (ალი, უჯი, ვალი, ვაჯი, მტა, წარი, ჯოჭუ < გოჭკუ).

როგორც ვხედავთ, ხოფურ-ჩხალური დიალექტი ხმოვნებისა და გ-ს (აგრეთვე ლ-ს) წინ ყ-ს შემონახვით უპირისპირდება როგორც ვიწურ-არქაბულს, ისე ათინურ-ართაშენულს, ამასთან, გლოტალიზებულ კომპლექსებში ყ-ს გ-ში გადასვლით ვიწურ-არქაბულთან ერთიანდება და უპირისპირდება ათინურ-ართაშენულს; ვიწურ-არქაბული ხმოვანთა წინ ყ-ს დაკარგვით ათინურ-ართაშენულს ეკედლება და მასთან ერთად უპირისპირდება ხოფურ-ჩხალურს, გლოტალიზებულ კომპლექსებში ყ-ს გ-ში გადასვლით ხოფურ-ჩხალურს უდგას გვერდით და უპირისპირდება ათინურ-ართაშენულს, გ ლაბიალის (და ლ ლატერალის) წინ ყ-ს გ-ში გადასვლით კი ხოფურ-ჩხალურისგანაც სხვაობს და ათინურ-ართაშენულისგანაც. ათინურ-ართაშენულს ვიწურ-არქაბულთან აერთიანებს ხმოვანთა წინ ყ-ს დაკარგვა, კომპლექსების (როგორც გლოტალიზებულის, ისე ლაბიალურის) გამარტივებით კი ის უპირისპირდება როგორც ხოფურ-ჩხალურს, ისე ვიწურ-არქაბულსაც.

ამასთან ერთად, ერთი მხრივ, ხოფურ-ჩხალური და, მეორე მხრივ, ათინურ-ართაშენული და ვიწურ-არქაბული მთელი რიგი ენობრივი თავისებურებით (როგორც მორფოლოგიურით, ისე ფონეტიკურითა და ლექსიკურით) მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მაგ.,

1) პრევერბებში ხმოვანთა ასიმილაციის მიმართულება განსხვავებულია: ხოფურ-ჩხალურში რეგრესული ასიმილაცია დასტურდება [ფუძისეული ან პრეფიქსისეული ხმოვანი იმსგავსებს პრევერბისეულ ხმოვანს (მინდღუ „წაილო“ > მინდღუ, მინდშღუ „წაულო“ > მინდშღუ)], ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში – პროგრესული [რთულ პრევერბებში პირველი მარცვლის ხმოვანი იმსგავსებს მეორე მარცვლის ხმოვანს (მინდაბილი „წაილე“ > მინდპილი, მინდაბული „წაეულე“ > მინდპული) (იხ. კარტოზია 1997)].

2) თემის ნიშანთა თანხმონურ ელემენტად ხოფურ-ჩხალურში ფ გვაქვს (ჭარუფს „წერს“, იქიფს „იქმს“), დასაეღურ დიალექტებში – მ (ჭარუმს, იქომს/იქუმს).

3) არსებითი სახელებისა და კითხვითი ნაკვალსახელების ერთმარცვლიან ფუძეებს მრავლობითის სუფიქსად ხოფურ-ჩხალურში -**ეფე** ერთვის (**ჯა-ეფე** „ხეები“, **ხე-ეფე** „ხელები“, **მწკო-ეფე** „წყაგები“, **მი-ეფე** „ვინები“, **მუ-ეფე** „რაები“), ეიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში – **-ფე** [**ჯა-ფე**, **ხე-ფე**, **მწკო-ფე** (ეიწ.-არქ.) || **მწუ-ფე** (ათინ-ართ.), **მი-ფე**, **მუ-ფე**]. ერთმარცვლიან ზედსართავეებში მრავლობითის -**ეფე** სუფიქსის პარალელურად ხოფურ-ჩხალური -**ელეფე**-ს წარმოგვიდგენს (**ხჩე-ეფე** || **ხჩე-ელეფე** „თეთრები“, **მჩხუ-ეფე** || **მჩხუ-ელეფე** „მსხვილები“), დასავლური დიალექტები ერთადერთ -**ფე** დაბოლოებას იყენებენ (**ქჩე-ფე**, **მჩხუ-ფე**) (კარტოზია 2003).

4) ინვერსიული თურმეობითები ზმნურ ფორმაზე „არის“ მეშველი ზმნის დართვით იწარმოება. ხოფურ-ჩხალურში ეს მეშველი ზმნა **ერე** (ნანამყოფსრულარ თურმეობითსა და ნააორისტალ თურმეობით პირველში) და **ერე-ტ** (ნააორისტალ თურმეობით მეორეში) ფორმებით არის წარმოდგენილი **ჭარუფტ-ერე-ნ** „წერდა თურმე“, **ჭარ-ელ-ერე-ნ** || **ჭარ-ეე-ნ** (< **ჭარ-ერე-ნ**) „დაუწერია“, **ჭარ-ელ-ერე-ტ-უ** || **ჭარ-ეე-ტ-უ** (< **ჭარ-ერე-ტ-უ**) „დაეწერა; დაწერა“, დასავლურ დიალექტებში კი **დო-პრევერბიანი დორე(ნ)** (ეიწურ-არქაბულში) და **დორტუ(ნ)** (ეიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში) გვაქვს **ჭარუფტუ-დორე(ნ)** „წერდა თურმე“, **ჭარუ-დორე(ნ)** „დაუწერია“, **ჭარუ-დორტუ(ნ)** „დაეწერა; დაწერა“.

5) მყოფადები და მყოფადის ნამყოები ხოფურ-ჩხალურში კავშირებითებზე „უნდა“ და „უნდოდა“ მეშველი ზმნების დართვით იწარმოება [(**რ**)**ტას-უნონ** „იქნება“, **ჭარას-უნონ** „დაწერს, უნდა დაწეროს“, (**რ**)**ტას-უნტუ** „იქნებოდა“, **ჭარას-უნტუ** „დაწერდა, უნდა დაეწერა“, დასავლურ დიალექტებში აღნიშნულ მწკრივებს „არის“ და „იყო“ მეშველი ზმნები აწარმოებს [(**რ**)**ტას-ენ** || **ორტას-ერე**, **ჭარას-ენ** || **ჭარას-ერე**, **ტას-ტუ** || **ორტას-ერტუ**, **ჭარა-ტუ** || **ჭარას-ტუ** || **ჭარას-ერტუ**].

6) ხშირ შემთხვევაში აღმოსავლური და დასავლური დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდებიან ლექსიკურადაც. შდრ.

ხოფჩხალ. **ეულანი** – ეიწ-არქ **ბოზო**, ათინ-ართაშ **ბოზომოთა** „გოგონა, ქალიშვილი“; ხოფ-ჩხალ. **მსქიბუ** – ეიწ-არქ, ათინ-ართაშ **ქარმატე** „წიხქვილი“.

რასაკვირველია, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული ყოველთვის ასეთი

ერთსულონებით უპირისპირდებიან ხოფურ-ჩხალურს. ზოგჯერ ვიწურ-არქაბული სწორედ ხოფურ-ჩხალურთან იჩენს ერთობას და უპირისპირდება ათინურ-ართაშენულს², ზოგჯერ დიალექტების შიგნით კილოკაეები და ცალკეული თქმები უპირისპირდებიან ერთმანეთს და სხვა დიალექტებთან ერთიანდებიან ამა თუ იმ მორფოლოგიური თუ ლექსიკური თავისებურებით³, ზოგჯერ სამივე დიალექტი (შესაძლოა, დიალექტის შიგნით – კილოკაეები) განსხვავებულ მონაცემებს წარმოგიდგენს⁴, მაგრამ ხოფურ-ჩხალური რომ როგორც ფონეტიკურად, ისე მორფოლოგიურად და ლექსიკურად მკვეთრად უპირისპირდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს, ეს ეჭვს არ იწვევს.

ნიშანდობლივია, რომ ნ. მარი ლაზურ ენას ორ დიალექტად ყოფდა: დასავლურად და აღმოსავლურად. დასავლურ დიალექტში

² მაგ., ხოფურ-ჩხალური და ვიწურ-არქაბული უპირისპირდებიან ათინურ-ართაშენულს ემფატიკური **ო** და **უ** ხმოვნების უქონლობით; მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელთა მრ. რიცხვის წარმოებით ვიწურ-არქაბული ათინურ-ართაშენულისაგან სხვაობს და გვერდით უდგას ხოფურ-ჩხალურს; საგრძნობია ათინურ-ართაშენულის სხვაობა ხოფურ-ჩხალურისა და ვიწურ-არქაბულისაგან ლექსიკის თვალსაზრისით. შდრ. ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ. **ჯოღოთი** „ძაღლი“, **ყოთოფს/ოტოშს** „უკვარს“ – ათინ-ართაშ. **ღაჭი**, **აღიმბენ**–

³ მაგ., ხოფურ-ჩხალური დიალექტის ხოფურ კილოკაესა და ვიწურ-არქაბული დიალექტის არქაბულ კილოკაეში პირობითი მეორე არ იწარმოება [მის მაგივრობას სწევს მყოფადის ნამყოს პირობითი (მაგ., **ჭარატუკონ(ნ) | ჭარატუკონი** „ეწერა, რომ ეწერა“) და ამით ეს კილოკაეები უპირისპირდებიან ჩხალურსა და ვიწურ კილოკაეებს, რომლებიც ათინურ-ართაშენული დიალექტის დარად აწარმოებენ პირობით მეორეს **ჭარუკონ(ნ) | ჭარუკონი** „ეწერა, რომ ეწერა“], მყოფადის ნამყოს პირობითს კი – არა (კარტოზია 1993, 397–399); პირველი სუბიექტური პირის ნიშნად ხმოვნის წინ ათინურ-ართაშენულის ზოგ თქმაში **ჟ** პრეფიქსი გეაქვს (როგორც ხოფურ-ჩხალურში), ზოგში კი – **ბ** (როგორც ვიწურ-არქაბულში); ვიწურ-არქაბული დიალექტის ვიწური კილოკაეი რიგი ფონეტიკური თავისებურებით განსხვავდება არქაბულისაგან და ათინურ-ართაშენულს ეკედლება კერძოდ, ვიწურშიც ეითარდება **ბ** ფუძისეული მს შემდეგ (**თხოშუ** „თხმელა“ > **თხოშუ** და სხვ.); ასევე ათინურ-ართაშენულს მისდევს ვიწური ზმოვნის მეორეული სინკოპირებით (**თოფო** „თაფლი“, **კობო** „კბილი“ ტიპის ფორმებში); ლექსიკური სხვაობისათვის შდრ., ერთი მხრივ, ხოფ.-ჩხალ., არქ. **უნონ** „უნდა“ და, მეორე მხრივ, ათინ.-ართაშ., ვიწ. **გორუშს** და **ა. შ.**

⁴ შდრ. ხოფ.-ჩხალ. **ოტონი** „სკამი“ – ვიწ.-არქ. **ოტძო** | **ოტძუ** – ათინ.-ართაშ. **კუდი**, ხოფ.-ჩხალ. **ღა(რ)ღაღაფს** „ლაპარაკობს“ – არქ. **იპარამითა/ოშს** – ვიწ. **ისინაფამს** – ათინ.-ართაშ. **იხაპარს** (Mapp 1910, XX), ხოფ.-ჩხალ. **დიჭიჯი** „ჭინჭარი“ – ვიწ.-არქ. **ოჩხაპულე** – ათინ.-ართაშ. **ოქვარონი** | **ტუტუჯი**.

გამოყოფდა დასავლურ (ათინურ) და აღმოსავლურ (ვიწურ-არქაბულ) კილოკაეებს, აღმოსავლურ დიალექტად კი ხოფურს (= ხოფურ-ჩხალურს) გულისხმობდა (Mapp 1910, XVI–XVIII).

ზემოთ მითითებულ სხვაობათა გარდა, დასტურდება სხვებიც, რომლებიც, ვფიქრობ, საყურადღებო ინფორმაციას შეიცავენ ლაზური ენის დიალექტთა ურთიერთმიმართების, უფრო სწორად, ისტორიული ზანური ენის დიალექტური შედგენილობის გარკვევისათვის:

1. საერთო-ქართველური ენის მოკლე *ო-საგან მომდინარე ქართულ ო ხმოვანს ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში, როგორც წესი, უ შეესატყვისება, ხოფურ-ჩხალურში კი – ი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 331–338). შდრ. ს.-ქართვ. *ქორ- „ქორი“ > ვიწ.-არქ. ქურსი, ხოფ.-ჩხალ. მქიძი; ს.-ქართვ. *კოდ- „ჭრა“ > ვიწ.-არქ. მკუდი, ხოფ.-ჩხალ. კიდი „კოდალა“; ს.-ქართვ. *ზომ- „ზომეა“ > ათინ.-ართაშ., ვიწ.-არქ. ზუმ-, ხოფ.-ჩხალ. ზიმ-.

ასევე მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციისა და ანაპტიქსური ხმოვნის ფონემატიზაციის შედეგად ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში ო/უ ვითარდება, ხოფურ-ჩხალურში – ი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 338–342). შდრ. ს.-ქართვ. *თრ- „თრევა“ > ათინ.-ართაშ., ვიწ.-არქ. თორ- || თურ-, ხოფ.-ჩხალ. თირ-; ს.-ქართვ. *კრ- „შეკრა“ > ათინ.-ართაშ., ვიწ.-არქ. კორ-, ხოფ.-ჩხალ. კირ-; ს.-ქართვ. *ტფილ- „თბილი“ > ვიწ.-არქ. ტუბუ, ხოფ.-ჩხალ. ტიბუ; ს.-ქართვ. *ჩჩილ- „ჩილი, რბილი“ > ვიწ.-არქ. ჩუჩქუ, ხოფ.-ჩხალ. ჩიჩქუ.

2) ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების ანლაუტში ათინურ-ართაშენული და ვიწურ-არქაბული ჰ ლარინგალს წარმოაჩენენ (მაგ., ათინ.-ართაშ., ვიწ.-არქ. ჰამ || ჰამა „ეს“, ჰიმ || ჰე(მ)ა „ის“, ჰაკუ || ჰაკო „ამდენი“, ჰიკუ || ჰეკო „იმდენი“, ჰაქო || ჰაქ „აქ“, ჰიქო || ჰექ „იქ“, ჰაშო „ასე“, ჰიშო || ჰეშო „ისე“), ხოფურ-ჩხალურის ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში ჰ არა გვაქვს (შდრ. ამა „ეს“, ამუქ „ამან“, ია [< *ემა] „ის“, ემუქ „იმან“, აკო „ამდენი“, ეკო „იმდენი“, აქ „აქ“, ექ „იქ“, აშო „ასე“, ეშო „ისე“).

3) ველარული თანხმოვნების მომდევნო ლაბიალური ვ თან-ხმოვანი ი ხმოვნის წინ ხოფურ-ჩხალურში დაცულია (მაგ., შქვით

„შვიდი“, დოქტორი „დაახრო“, კვინჩი „ჩიტი“, გოჭკვიდუ „გაარტყა“, დოყვილუ „მოკლა“, ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულში კი იკარგება [შდრ. შქით, დოშქვიდუ || დოშქვიდუ, კინჩი, გოჭკვიდუ (ვიწ-არქ), დოილუ || დოილუ (< *დოყვილუ < დოყვილუ)].

4) ხოფურ-ჩხალურში რ-ს დისიმილაციის ცნობილი წესი მოქმედებს: თუ სიტყვაში ორი რ იყრის თავს, ერთ-ერთი (მომდევნო) ღ-ში გადადის. დასავლური დიალექტებისათვის სიტყვაში ორი რ-ს შენარჩუნება ჩვეულებრივი მოვლენაა (ჟღენტი 1953, 130–132). შდრ. ხოფ-ჩხალ. დურელი „მკედარი, მიცვალებული“ – ვიწ-არქ, ათინ-ართაშ. დურელი; შდრ. აგრ. ხოფ-ჩხალ. ართაშენული „ართაშენული, ართაშენელი“, ოხრასულე „მული“, მეკორელი „შეხვეული“ – ვიწ-არქ, ათინ-ართაშ. არტაშენური, ოხრასურე, მეკორელი.

ზემოაღნიშნული ფონეტიკური თავისებურებებით ლაზური ენის ხოფურ-ჩხალური კილო, უპირისპირდება რა ლაზურის ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულ კილოებს, გვერდში უდგას მეგრულ ენას. მეგრულშიც უმთავრესად ი ხმოვანი გვევლინება საერთო-ქართველური მოკლე *ო-ს რეფლექსად (შდრ. ქიტი „ქორი“, კილუ „კოდალა“, ზიმუა „ზომეა“) და ანაპტიქსური ხმოვნის ფონემატიზაციის შედეგად მეგრულშიც, როგორც წესი, ი ვითარდება (შდრ. ნთირუა „თრევა“, კირუა „შეკვრა“, ტიბუ „თბილი“, ჩქიჩქუ „ჩვილი“); არც მეგრულს ახასიათებს ლარინგალური ჰ ნაცვალსახელებსა და ზმნი-ზედებში; ველარული თანხმოვნების შემდეგ მეგრულშიც მკვიდრად არის დაცული ვი კომპლექსი [შდრ. შქვითი „შვიდი“, დააშქვიდუ „დაახრო“, გოჭყვიდუ „გაწყვიტა“, დოყვილუ (< *დოყვილუ) „მოკლა“], მეგრულ ენაშიც მტკიცედ არის დაცული რ-ს დისიმილაციის აღნიშნული წესი.

ყველაფერ ამას, ეფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს ზანური დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხის გასარკვევად. ზანურ დიალექტებში მკვეთრად გამოვლენილი ფონეტიკური დაპირისპირება უნდა ასახავდეს ზანურის ადრინდელ დაყოფას ორ დიალექტურ არეალად, პირობითად, – ჩრდილოურ და სამხრულ კილოებად, ან, თუ ერთ-ერთ განმასხვავებელ ფონეტიკურ ნიშანს ავიღებთ საფუძვლად, ო-დიალექტად და უ-დიალექტად.

ჩრდილოური დიალექტი (ანუ ო-დიალექტი), როგორც ჩანს, დღევანდელი მეგრული ენისა და ლაზური ენის ხოფურ-ჩხალური კილოს მეტყველებას მოიცავდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათს საერთო წინაპარს წარმოადგენდა; სამხრული დიალექტი (უ-დიალექტი) ლაზურის დასავლურ დიალექტებს – ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულს – მოიცავდა. აღმოსავლურქართული (ქართვების) ტომის მიერ ზანური ენის ტერიტორიული გახლეჩის შედეგად (ამის შესახებ იხ. ჯავახიშვილი 1913, 56–57; Гамкрелидзе, Иванов 1984b, 881) ხოფურ-ჩხალური, რომელიც მეგრულთან ერთად ერთ კილოს ქმნიდა, დაშორდა მას, უშუალო მეზობლებს – ათინურ-ართაშენულსა და ვიწურ-არქაბულს – მიეკედლა და მათთან საერთო მრავალი მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური სიახლე განივითარა. გრამატიკული ინოვაციებიდან შეიძლება აღინიშნოს: მყოფადის მეშველზმნიანი წარმოება⁵, არაინვერსიული თურმეობითების წარმოება, გარდამავალ ზმნათა უღლების პარადიგმის გასწორება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვათა ერთიანობის თვალსაზრისით, ინვერსიული ზმნების გათანაბრება პირდაპირი წყობის ზმნებთან სინტაქსური ძალის მიხედვით და სხვ. ფონეტიკური ხასიათის სხვაობებს ხელი არ შეუშლია ხოფურ-ჩხალურისა და სამხრულზანურის ენობრივი ერთიანობისათვის.

მართებულია მოსაზრება, რომ გათიშვის მომენტში „ზანური უკვე იყოფოდა ჭანურ და მეგრულ კილოდ და ახლანდელი გურიის მიწა-წყალზე მეგრული იყო გავრცელებული და არა ჭანური. მაშასადამე, მეგრული არა მარტო აღმოსავლეთით, – იმერეთისაკენ, – შეიზღუდა, არამედ სამხრეთისკენაც დაზარალდა“ (ჩიქობავა 1936, 8). ოღონდ ერთს დაგუმატებდი: როცა მეგრული მეტყველების შეზღუდვა-დაზარალებაზე ვლავარაკობთ, არა მარტო თანამედროვე გურია-აჭარის მოსახლეობის ქართიზაცია უნდა გექონდეს მხედველობაში, არამედ ის დანაკარგიც, რაც განიცადა მეგრულმა „მეგრული“ ხოფურ-ჩხალური მეტყველების „გალაზურების“ შედეგად. ზანურ დიალექტთა შორის მომხდარი ცვლილებები

⁵ მყოფადის უნონ „უნდა“-მეშველზმნიანი წარმოება ხოფურ-ჩხალურში მეგრული ჩანს. ადრე აქაც დასავლურლაზური დიალექტებისათვის დამახასიათებელი რე | ვრე „არის“-მეშველზმნიანი ფორმები უნდა ყოფილიყო გავრცელებული (კარტოზია 1961, 418; 1993, 394).

ანალოგიას პოეზებს ქართველურ ენათა ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებთან.

ლიტერატურაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 4-10) გარკვეულია, რომ საერთო-ქართველური ენა იყოფოდა დასავლურ (ზანურ-სვანურ) და აღმოსავლურ (ქართულ) დიალექტურ არეალებად. დიალექტურ განსხვავებულობას ფონეტიკური ფაქტორი განაპირობებდა: „შიშინა“ დასავლური დიალექტი უპირისპირდებოდა „სისინა“ აღმოსავლურ დიალექტს. პარალელური ფორმების (დუბლეტების) არსებობა (მაგ., ას-ო || *აშ-ო, კაც-ო || *კაჩ-ო, შვიდ-ო || *შქვიდ-ო, შენ || *სქენ) დაბრკოლებას არ ქმნიდა იმისათვის, რომ ეს ფორმები ერთი და იმავე ენის დიალექტურ ვარიანტებად აღქმულიყო, და, მიუხედავად დასავლური და აღმოსავლური არეალების სიბილანტურ ფონემებს შორის რეგულარული ბგერათშესატყვისობების არსებობისა, ისინი მაინც ერთი ენის დიალექტებად რჩებოდნენ, რამდენადაც ადგილი ჰქონდა ერთიანობას მორფოლოგიურ სტრუქტურასა და ლექსიკაში.

იმის საილუსტრაციოდ, რომ მორფოლოგიური და ლექსიკური ერთიანობის პირობებში ფონეტიკურ სხვაობებს (თვით რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა არსებობასაც კი) გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს მონათესავე ენათა და დიალექტთა კლასიფიკაციისას, ავტორები (თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი) პარალელს ავლებენ ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოხურ და ჭადაქოლოურ კილოკავთა შორის არსებულ ურთიერთობასთან. ტოხურისა და ჭადაქოლოურის სიბილანტური თანხმოვნები ისეთსავე შესატყვისობას გვიჩვენებენ, როგორსაც ქართული და ზანურ-სვანური, მაგრამ ერთი მორფოლოგიური სტრუქტურისა და ლექსიკის მქონე ენობრივი ერთეულები, არათუ დამოუკიდებელ ენებად, არამედ კილოებადაც არ მიიჩნევა, ისინი მხოლოდ ანწუხური კილოს კილოკავებს წარმოადგენენ.

საერთო-ქართველური ენის დაშლის (სვანურისა და ქართულ-ზანურის დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბების) შედეგად „შიშინა“ ზანური „სისინა“ ქართულთან ერთად, როგორც საერთო-ქართულ-ზანური ენის შემადგენელი, ქართულთან საერთო მორფოლოგიური და ლექსიკური ინოვაციებით დაპირისპირებული აღმოჩნდა „შიშინა“ სვანურთან. ფონეტიკური ხასიათის სხვაობანი არც ახლა უქმნიდნენ დაბრკოლებას დასავლურ (ზანურ) და

ადმოსავლურ (ქართულ) დიალექტთა ენობრივ ერთობას.

ზანურ დიალექტთა ურთიერთმიმართების ანალოგია ქართველურ დიალექტთა ურთიერთმიმართებასთან ამაზე წყდება. ქართულ-ზანურმა ერთიანობამ შემდგომში დიდი ცვლილებები განიცადა: დიალექტური სხვაობანი კიდევ უფრო გაღრმავდა, რამაც ქართულ-ზანურის დაშლა, მისგან ორი დამოუკიდებელი ენის მიღება გამოიწვია (საბოლოოდ ზანურიც ორ ენად გაიყო). ლაზურს (ე. ი. ლაზურისა და ხოფურ-ჩხალურის ერთობას) ასეთი ძირეული ძვრები არ განუცდია, თუმცა ხოფურ-ჩხალური კილო ძველი და ახალი ფონეტიკური სხვაობებით და მორფოლოგიურ-ლექსიკური ინოვაციებით მკვეთრად უპირისპირდება ლაზურის დასავლურ კილოებს (Kartosia 1998, 96–100).

როგორც ითქვა, თანამედროვე ხოფურ-ჩხალური დიალექტის წინაპარი მეტყველება, მეგრულისაგან (უფრო სწორად, მისი წინაპრისაგან – ზანური ენის ჩრდილოური დიალექტისაგან) მოწყვეტის შემდეგ, მიეკედლა თანამედროვე ლაზური ენის დასავლური დიალექტების წინაპარს – ზანური ენის სამხრულ დიალექტს – და მასთან საერთო მრავალი სიახლე განივითარა. ხოფურ-ჩხალურის „გალაზურება“ უფრო ვიწურ-არქაბულთან დაახლოებით გამოიხატა. ბუნებრივია, თავის მხრივ, ხოფურ-ჩხალურს ვიწურ-არქაბულზეც მოეხდინა გავლენა. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ათინურ-ართაშენული დიალექტი რიგი ენობრივი თავისებურებით ხოფურ-ჩხალურისგანაც განსხვავდება და ვიწურ-არქაბულისგანაც. ეს თავისებურებებია:

1) ე. წ. ემფატიკური ხმოვნების (ლ, ჟ-ს) დართვა თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებზე (იხ. ჩიქობავა 1939, XXV; კარტოზია 1970, 214–215)⁶.

⁶ ემფატიკური ხმოვანი, ართაშენულთან ერთად, ათინურის ზოგი თქმისთვისაც (მაგ., სოფლები: ჯაბათის, თორღოვათის, მეღაათის მკეიდრთა მეტყველებისთვის) არის დამახასიათებელი (იხ. კარტოზია 1993, 221–226). საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ ნაწყვეტს ათინური ტექსტიდან (მთქმელი – მეღაათელი პილიმი ოქთენ): „**ჰუსო** (= **ჰუს + ო**) მთუთი არიქადამო დეესო (= დიეს + ო). იდეს, **იდესო** (= იდეს + ო), **იდესო**, **ჟაკათ აჯ იესო** (= იეს + ო). „**შუა ფშკომათო** (= ფშკომათ + ო)“ ნენძი **ძიორესო** (= ძირეს + ო), ამა **თიღნისო** (= თიღნის + ო) ეა ეალუ მთუთისო (= მთუთის + ო) უწუჩი „**მა ეა ემაღენო** (= ემაღენ + ო), **ხინო** (= ხინ + ო) ეხთი დო შათხი..“ (კარტ. II, 224_{ა-ბ}) „ახლა დათვისა და მეღას ზღაპარს ეამბობთ. მელა და დათვი შეამხანაგდნენ. იარეს,

2) ინტერეოკალურ პოზიციაში **რ** ფონემის სიმყარე (განსხვავებით ხოფურ-ჩხალურისა და ვიწურ-არქაბულისაგან, რომლებსაც აღნიშნულ პოზიციაში **რ**-ს დაკარგვა-დასუსტება ახასიათებთ).

3) **ხ**-ს დასუსტება-დაკარგვა სიტყვის ბოლოში (ჩიქობავა 1936, 28-30⁷).

4) ხმოვნის მეორეული სინკოპირება **თოფრ**- „თაფლი“, **კიბრ**- „კბილი“ ტიპის ფუძეებში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 123).

5) **ბ**-ს განვითარება ფუძისეული **მ**-ს შემდეგ (**თხოზე** „თხმელა“ > **თხოზბუ**, **ომური** „ტყემალი“ > **ომბრი**)⁸.

6) მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და კითხვითი ნადა „რომელი“ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა უჩვეულო წარმოება (**ჰა-ნი** „ესენი“, **ჰი-ნი** „ისინი“, **ნა-ნი** „რომლები“. შდრ. ვიწ.-არქ., ხოფ.-ჩხალ. **ჰამ-თ-ეფე** || **ან-თ-ეფე** „ესენი“, **ჰემ-თ-ეფე** || **ენ-თ-ეფე** „ისინი“, **ნამ-თ-ეფე** „რომლები“).

7) ათინურ-ართაშენულში მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები მოშლის გზაზე დგას: სახელობითის ფორმა მოთხრობითისა და მიცემითის ფუნქციითაც იხმარება. ასევე გარჩეული არ არის მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვები: **-შა** || **-შე**-დაბოლოებიანი ფორმები ორივე ამ ბრუნვის შინაარსს გამოხატავს. მეტად საგრძნობია ათინურ-ართაშენულის სხვაობა ხოფურ-ჩხალურისა და ვიწურ-არქაბულისაგან ლექსიკის თვალსაზრისით. შდრ. ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ. **ჯოდორი** „ძაღლი“, (**მ**)**თხა** „თხა“, **კაი** „კარგი, კარგად“ – ათინ.-ართაშ. **ლაჭი**, **შურონი**, **ვორსი** || **ვრთსი**... მხოლოდ ათინურ-ართაშენულში გვაქვს: **აბჯა** || **აბჯა** „მდინარე“, **აღიმბენ** „უყვარს“, **იტურხ** || **იტუმი** „ამბობს“...

ქართველური ენების მკვლევართ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ათინურ-ართაშენულის ზოგი თავისებურება, რომლებითაც

იარეს, იარეს, მაგრამ მოშივდათ. „რა ვჭამოთ?“ კაკლის ხე ნახეს, მაგრამ მელა ვერ ავიდა. დათეს უთხრა: „მე ვერ ავალ, შენ ადი და დაბერტყე...“.

⁷ აქ ეს მოვლენა ართაშენულში არის შენიშნული. შემდგომ მოპოვებული ტექსტები (იხ. კარტიოზია 1993) მოწმობენ, რომ **ხ** > **მ** და **ხ** > **მ** პროცესი ათინურის როგ თქმასაც ახასიათებს.

⁸ ეს და წინა პუნქტში აღნიშნული მოვლენა ვიწურშიც დასტურდება და ძნელი სათქმელია, ათინურ-ართაშენულის გაველენით ვიწურში გაჩენილი სიახლეებია, თუ დასავლური ლაზურისათვის ნიშანდობლივი არქაული მოვლენებია, რომლებიც არქაულში ხოფურ-ჩხალურის გაველენით შეიცვალა მეგრულთან საერთო ამოსავალი ფორმებით.

ეს დიალექტი სხვაობს როგორც ხოფურ-ჩხალურისაგან, ისე ვიწურ-არქაბულისგანაც და დიდ მსგავსებას ავლენს სვანურ ენასთან. ეს თავისებურებებია:

1. ველარულ ხშულთა პალატალიზაცია წინა რიგის ხმოვნებისა და პალატალური თანხმოვნის წინ: გ > ჯ, ქ > ჩ, კ > ჭ (ბერგი „თოხი“ > ბერჯი; გენი „ხბო“ > (ნ)ჯენი; მგვერი (ხოფ-ჩხალ, არქ. მგვერი) „მგელი“ > მჯვერი; გიარი „საჭმელი“ > ჯარი, თილქი (< თ. tilki) „მელა“ > თილჩი, მქვერი „ფქვილი“ > მჩვერი, ქილქი (< თ. kök) „ძირი, საფუძველი“ > ჩიკი, კიბრი „კბილი“ > ჭიბრი, კეფრი „კანაფი“ > ჭეფრი, მკიფუ „ტურა“ > მჭაფუ. შდრ. სვანურის ანალოგიური მაგალითები: ეჯა „ის“ < *ეჯე < *ეგე, ჩუ „ქვე“ < *ჩუე < *ქუე, ჭაშ „ქმარი“ < *ქაში < *კაჩი (მაჭავარიანი 1965, 40–41, 114).

2) თანხმოვანთკომპლექსების გარდაქმნა:

ა) კომპლექსის გამარტივება პირველი წევრის – დენტალური ხშულის – დაკარგვით: *ღგუთ- „ღგომა“ > გუთ- [ღოღგუთუ „დაღა“ > ღოგუთუ (ჩიქობავა 1938, 268–269)]. ხოფურ-ჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში კომპლექსი უცვლელად არის დაცული (ღოღგოთუ). იგივე ღგ > გ გადასვლა განხორციელებულა სვანურში (Климов 1964, 70; Klimov 1998, 38): ღგგ „ღგას“ [< *ღ-ღგ-აწ (მაჭავარიანი 1965, 86)]. შდრ. აგრ. სვან. *ოქწ > ქწ [ღწ-ქწ-ისგ „თქმა“ (Климов 1960, 25; 1964, 96; Klimov 1998, 75; Schmidt 1962, 115; ფენრიხი. სარჯველაძე 1990, 154; 2000, 242)].

ბ) კომპლექსის პირველი წევრის – აფრიკატის – სპირანტიზაცია [ლაზ. (ვიწ.-არქ.) ჩქუნი „ჩენი“ > შქუნი | შკუნი, ლაზ. (ხოფ-ჩხალ, ვიწ.-არქ.) მბგუჯი „სარი“ > მზგუჯი]. შდრ. სვან. გუშგენი „ჩენი“ < *გუშქენი < *გუჩქენი, მურსგენ „მარჯვენა“ < *მგრსგენ < *მგრზგენ < *მგრძგენ (მაჭავარიანი 1965, 40–41).

მეტად საინტერესოა ჭკ კომპლექსის გარდაქმნათა ერთგვარობა ლაზურის აღნიშნულ დიალექტსა და სვანურში. ათინურ-ართაშენულში ამ კომპლექსის გარდაქმნის ორი შესაძლებლობა რეალიზებული: 1) იკარგება კომპლექსის მეორე წევრი [ზან. ჭკად- „ჭედვა, დაჭედვა“ > ჭად- (ქონოჭკადუ „მიაჭედა“ > ქონოჭკადუ), ლაზ. (ვიწ.-არქ.) მჭკუდი „მჭადი“ > მჭუდი, ლაზ. (ვიწ.-არქ.) დუმჭკუ „ჭინჭველა“ > დუნჭუ, *დუმჭკუჯი (შდრ. ხოფ-ჩხალ. დიჭკიჯი) „ჭინჭარი“ > *დუმჭკუჯი > ტუმჭკუჯი]; 2) სპირანტიზაციას

განიცდის კომპლექსის პირველი წევრი [ზან. ტომ- „ჭამა“ > შომ- (ოტომუ „შეჭამა“ > ოშომუ), ლაზ. (ვიწ.-არქ.) ტორ- „ჭრა“ > შორ- (ტორუმს „ჭრის“ > შორუმს)]. ასეთსავე ცვლილებას განიცდის ტყ-სგან მიღებული მეორეული ტკ კომპლექსიც. მაგ., ლაზ. (ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ.) ტკ „დაწყება“ (შდრ. მეგრ. ტყ, ქართ. წყ) > ტ (გმოტკუ „დაიწყო“ > ჯოტუ), ლაზ. (ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ.) ტონდ- „დავიწყება“ (შდრ. მეგრ. ტყორდ-, ქართ. წყდ-, ვიწყდ-) > ტონდ- (გომოტკონდუ „დამავიწყდა“ > გომოტკონდუ). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე ფუძეში შეიძლება შეგვხედეს ამოსავალი კომპლექსის ორივე რეფლექსი. მაგ., ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ. ლემტკვა „ნერწყვი, ფურთხი“ [შდრ. მეგრ. ლე(რ)ტყვა, ქართ. ნერწყვი-ი, სევან. ნწყვი] ათინურ-ართაშენულ⁹ში ორ ვარიანტად არის წარმოდგენილი: ლემშკვა „ნერწყვი“ და ლემტვა „ფურთხი“ (იხ. Масс 1910, 175; ჩიქობავა 1936, 17).

საერთო-ქართველური *ჭ ფონემიდან მომდინარე ქართული ტ-ს შესატყვისად სვანურში, ზანურის მსგავსად, ტკ უნდა გექონოდა, მაგრამ ზოგ ფუძეში შკ გვაქვს [შდრ. ქართ. ტედ- „ტედეა, დატედება“ : ზან. (მეგრ.; ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ.) ტკად- : სევან. შკად-/შკგდ-; ქართ. ჯინტველ- „ჭინტველა“ : ლაზ. დიმტკუ (ხოფ.-ჩხალ.) || დუმტკუ (ვიწ.-არქ.) : მეგრ. ტკიტკიტია || ჯგიტკიტია : სევან. მტრშკ (Климов 1960, 27; 1964, 269; Klimov 1998, 344; Schmidt 1962, 57, 157–158)], ზოგში კი – ნული [შდრ. ქართ. ტერ-ტრ- „ჭრა“ : ზან. ტკორ- (ვიწ.-არქ.) || ტკორ- (მეგრ., ხოფ.-ჩხალ.) : სევან. რ- (Климов 1964, 255–256; Klimov 1998, 321; მაჭავარიანი 1965, 41–42) (ლწრე „სათიბი“ < *ლატრე < *ლატარე), ქართ. ტამ-ტმ- „ჭამა“ : ზან. ტკომ- (მეგრ., ხოფ.-ჩხალ., ვიწ.-არქ.) || ტკუმ- (მეგრ.) : სევან. წმ-/ემ-/ამ-/მ- (Климов 1964, 254; Klimov 1998, 319; მაჭავარიანი 1965, 44)]⁹. საერთო-ქართველური *ჭ-სგან მიღებული პრესვანური *ტკ კომპლექსი ჯერ უნდა გამარტივებულიყო მეორე წევრის – ველარული კ-ს – დაკარგვით და შემდეგ უნდა მომხდარიყო ტ-ს დაკარგვა (Картозна 1991, 111–114).

⁹ სვანურის ზოგ ფუძეში საერთო-ქართველური *ჭ წარმოდგენილია ტკ-ს სახით, რაც ლიტერატურაში სამართლიანად ახსნილია ამ ფუძეთა გვიანდელი სესხებით ზანურიდან. მაგ., სევან. ტკორ-ტკიტრ- „ჭრა“ < ზან. ტკორ-, სევან. ტკიტრ „მჭადი“ < მეგრ. ტკიდი.

როგორც ეხედავთ, აღნიშნული კომპლექსის გარდაქმნის ეს მეორე გზაც სვანურში ათინურ-ართაშენულის მსგავსია: მეორე წვერის (ველარული ხშულის) დაკარგვა. განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, რომ ცალად დარჩენილი აფრიკატი ათინურ-ართაშენულში დაცულია, სვანურში კი მოგვიანებით გაუჩინარებულია.

აღნიშნული ერთგვარობა ათინურ-ართაშენულსა და სვანურში მიმდინარე ფონეტიკური პროცესებისა შემთხვევითი არა ჩანს და უნდა მიუთითებდეს ამ ორი ენობრივი ერთეულის მჭიდრო კონტაქტებზე შორეულ წარსულში. შეიძლება დავუშვათ, რომ ათინურ-ართაშენულის წინაპარი, საერთო-ქართველური ფუძეენის დასავლური დიალექტის – კოლხურის – შემადგენელი ზანური კილოკავის მარგინალური თქმა, უშუალოდ ემეზობლებოდა კოლხური დიალექტის სვანურ კილოკავს, რამაც შეაპირობა მასში სვანურისათვის ნიშანდობლივი რიგი ფონეტიკური თავისებურების წარმოქმნა-განვითარება.

ათინურ-ართაშენულისა და სვანურის (უფრო სწორად, მათი წინაპარი ენობრივი დანაყოფების) უშუალო მეზობლობას შესაძლოა ქართველურ ტომთა მიგრაციამდელ ეპოქაში ჰქონოდა ადგილი (ქართველურ ტომთა მიგრაციის შესახებ იხ. Гамкрелиძე, Иванов 1984b, 880–881). შეიძლება დავუშვათ, რომ საერთო-ქართველური ენის დასავლური ანუ კოლხური დიალექტი, სვანურისა და ზანურის (მეგრულისა და ლაზურის) წინაპარი კილოკავების (თუ თქმების) გარდა, სხვა კილოკავებისაგანაც (თქმებისაგანაც) შედგებოდა. ერთი ასეთი კილოკავი შესაძლოა ყოფილიყო დღევანდელი ათინურ-ართაშენული დიალექტის წინაპარი, რომელიც ტერიტორიულად სვანურსა და ზანურს (მათ წინაპარ ენობრივ დანაყოფებს) შორის უნდა ყოფილიყო მოქცეული. ეს შუალედური პოზიცია განაპირობებდა საერთო ენობრივ (კერძოდ, ფონეტიკურ-ფონოლოგიურ) მოვლენებს როგორც სვანურთან (მათზე ზემოთ იყო საუბარი), ისე ზანურთანაც. ქართველურ ტომთა სავარაუდო მიგრაციული ტალღების შედეგად ზანური კილოკავის მატარებლები, როგორც ჩანს, მოექცნენ სვანურისა და ათინურ-ართაშენულის წინაპარ კილოკავებზე მეტყველთა შორის, რამაც განაპირობა შემდგომში ათინურ-ართაშენულზე ზანურის დიდი გავლენა და მათი დიალექტური

ერთობა. დასაშვებია სხვაგვარი ვარაუდიც: დღევანდელი ლაზური ენის ათინურ-ართაშენული დიალექტის წინაპარი მეტყველება საერთო-ქართველური ენის კოლხური დიალექტის სვანური კილოკავის შემადგენლობაში შედიოდა და ზანურ კილოკავზე მეტყველთა გადაადგილების (თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიხედვით, ქართველურ მიგრაციათა მეორე ტალღის) შედეგად ზანურმა მეტყველებამ ორ ნაწილად (ჩრდილოურ და სამხრულ არეალებად) გახლიჩა სვანური და მნიშვნელოვნად შეკვეცა ამ უკანასკნელის გავრცელების არე. სამხრულმა სვანურმა (ათინურ-ართაშენულის წინაპარმა მეტყველებამ) საერთო-ქართველური ენის ზანური დიალექტის დიდი გავლენა განიცადა და საბოლოოდ ლაზური ენის დიალექტად იქცა, შეინარჩუნა რა სვანურთან საერთო რიგი თავისებურება (კარტოზია 2000).

თავი პირველი

ფონოლოგია-ფონეტიკის საკითხები

1. 1. ხმოვანთა სისტემა. ლაზურში გვაქვს ხუთი ხმოვანი: ა, ვ, ო, ო, უ. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ლოკალური რიგის, აწეულობისა და ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობის მიხედვით. წინა რიგის ხმოვნებია ო, ვ, უკანა რიგისა – ა, ო, უ; დაბალი აწეულობის ხმოვანია ა, საშუალო აწეულობის ხმოვნებია: ვ, ო, მაღალი აწეულობისა – ო, უ; ბაგისმიერი ხმოვნებია: ო, უ, არაბაგისმიერი – ა, ვ, ო. ხმოვანთა ეს დაპირისპირება სქემაზე ასე გამოიხატება¹⁰:

	რიგი	წინა	უკანა	
			არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
აწეულობა				
მაღალი		ო		უ
საშუალო		ვ		ო
დაბალი			ა	

1. 1. 1. დიფთონგები. ხმოვანი და პალატალური **მ** თანხმოვანი დიფთონგს ქმნის. გვაქვს როგორც აღმავეალი (**მ** + **V**), ისე დამავეალი (**V** + **მ**) დიფთონგები. ლაზური დიალექტები დიფთონგიზაციის მხრივ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ: აღმავეალი დიფთონგი მთელს ლაზურშია ფართოდ გავრცელებული, დამავეალი ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს ახასიათებს, ხოფურ-ჩხალურში კი იშვიათად გვხვდება. თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში დამავეალ დიფთონგს დასავლური დიალექტები, როგორც წესი, ინარჩუნებენ, ხოფურ-ჩხალური კი ორ სრულ ხმოვნად გარდაქმნის. შდრ.

არ.-თ. meydan >	ათ.-ართ., ვიწ.-არქ. მეიდანი –	ხოფ.-ჩხ. მეიდანი „მოედანი“
თ. eytan >	შეით/ტანი –	შეითანი „ეშმაკი“.
თ. kaymak >	კაიმალი –	კაიმალი „ნალები“.
სპ.-თ. meyva >	მეივე –	მეივე „ხილი“.
არ.-თ. hayvan >	ჰაივანი –	ჰაივანი „ცხოველი“.

¹⁰ ხმოვანთა ამგვარი დაპირისპირებისათვის იხ. ონიანი 1998, 18.

თ. soysuz > სოისუზი - სოისუზი „უბრალო, უგვარო“.
 თ. yayla > მაილა - მაილა „იალალი, სასაფხულო საძოვარი“¹¹.

ხოფურ-ჩხალურში დამავალი დიფთონგის მოშლის მეორე გზაც დასტურდება: პალატალური **მ** იკარგება: თ. öyleyse > ოლეისე „თუ ასეა; ამ შემთხვევაში“¹².

დასახუსტეგებელია ლიტერატურაში აღმავალი დიფთონგის თაობაზე გამოთქმული მოსაზრებანი. ნ. მარმა ლაზურში, მარტივი **ა, ე | ი, ო | უ** ხმოვნების გარდა, გამოყო რთულებიც: **მა, მე, მო, მუ** (Mapp 1910, 1). მომდევნო ხანის მკვლევარნიც ამ ოთხ მიმდევრობას გულისხმობენ, როცა ლაპარაკობენ ლაზურის აღმავალ დიფთონგებზე (ჩიქობავა 1936, 13; უდენტი 1953, 48), იოტიან (უდენტი 1953, 29) ან პალატალიზებულ ხმოვნებზე (ქუთელია 1980, 110), **მო** მიმდევრობა კი იგნორირებულია. არადა **მო**-ს არსებობა ლაზურში რეალობაა¹³.

yi/y-თი დაწყებული თურქული სიტყვები, როგორც წესი, **მო** დიფთონგით გადმოიკვება ლაზურის ყველა კილოში. მაგ.,

მოგითი [< yiit] (კარტ. II, 141₃₃) „ვაჟაკი“; **მორთოჯი** [< yrte] (კარტ. II, 25₄) „სისხლისმსმელი“; **მორმი** [< yirmi] „ოცი“ (კარტ. II, 176₆), **მოლდირიმი** (< yldrm) „ელვა, მეხი“.

რაც შეეხება საკუთრივ ლაზურ სიტყვებს, **მო** დიფთონგი მხოლოდ ხოფურ-ჩხალურისთვისაა დამახასიათებელი **მე „ა-, ალ-“** პრევერბისა და **ო-** პრეფიქსის (მაქცვერის ან ვნებითის მაწარმოებლის) ან ფუძის საწყისი **ი** ხმოვნის შესაყარზე¹⁴. მაგ., **მისელუ** [< *მე-ისელუ] (კარტ. I, 30₂; კარტ. II, 77₂) „ადგა“; **მისელი** (კარტ. I, 107₇) „ადექი“; **მისელენ** (კარტ. II, 83₇) „ამდგარა“; **მისელტუ** (კარტ. II, 75₁₀)

¹¹ ამ სიტყვაში ორი პალატალური **მ** თანხმოვნიდან ხოფურ-ჩხალურში ხმოვნისწინა უცვლელად გადმოვიდა (აღმავალი დიფთონგი შენარჩუნებულ იქნა), მომომდევნო კი სრულ ხმოვნად იქცა (დამავალი დიფთონგი მოიშალა).

¹² ამ მაგალითში ორივე დამავალი დიფთონგი გარდაქმნილია: ერთი - მონოფთონგად, მეორე - ორ სრულ ხმოვნად

¹³ იგულისხმება **ო**-ზე **მო**-ის დართვა ანლაუტში და არა **მო**-ის, როგორც ხმოვანთგამყარის, განვითარება **ო**-ს წინ **რ, ვ, ღ, ყ, პ** თანხმოვანთა დაკარგვის მიღებულ ინტერეოკალურ პოზიციაში (მაგ., ***ამბაე** > **ამბაი** | **ამბაე** „ამბაკი“, **კიბირი** > **კიბიი** | **კიბიი** „კბილი“, **ართელი** > **ართეი** | **ართეი** „ერთი, ერთი ცალი“...).

¹⁴ ეიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში **მე** პრევერბისა და **ო-** პრეფიქსის შეერთებისას **ეი** კომპლექსი ან არ იცვლება, ან დამავალ დიფთონგად იქცევა: **ვისელუ** | **მისელუ** „ადგა“.

„ადგებოდა“; ქიუფი **იფშუ** [***მე-ი-ფშუ**] (კარტ. I, 134_ა) „ქვეერი აიესო“; შქეთ წანა **იფშუ** (კარტ. I, 29_ა) „შეიდი წელი შესრულდა („აიესო“)“; ჯას წიწილა **იითიბს** [***მე-ი-თირს**] (კარტ. I, 88_ა) „ხეზე გველი მიხობაეს“; თუდენდონ არ წიწილა **იითიტუ** (კარტ. I, 84_ა) „ქვემოდან ერთი გველი მიხობაედა“; [არწივიქ] ამა ბიჯი მსვას ქოგინხუნუ [...] დო უინ **იფონოფს** [***მე-ი-ფონოფს**] (კარტ. I, 85_ა); „[არწივმა] ეს ვაეი ფრთახე დიხსე [...] და ზევით აჰყავს“; მთუგე ბრინჯიშ თი მეჭკიუფს, **იშიმერს** [***მე-ი-მერს**] პლაკის (კარტ. I, 20_ა) „თავგი ბრინჯის თავსაეს მოჭრის, ააქეს ციცაბოზე“; ჭეიშა **იდეფს** [***მე-ი-დეფს**] „ჭერზე აიტანეს“ (კარტ. I, 107_ა); წკაი დოგიბეს, **იდეფს** თავანიშა (კარტ. II, 37_ა) „წყალი ააღუღეს, აიტანეს ჭერზე“; ოხორჯაქ არ ქიოშეშენ მეზიფის, მაეუა ქიოშეშა მიკიმერს, **იხიბს** [***მე-ი-ხირს**] (კარტ. I, 93_ა) „ქალი ერთი კუთხიდან იღებს, მეორე კუთხეში მიაქეს, იპარავს“; აწი ქომეფთათ მჭითა ლირა ნა **იხიბრს** ბიჭეფეშა (კარტ. I, 112_ა) „ახლა მივიდეთ, წითელი ოქრო რომ მოიპარეს, [იმ] ბიჭებთან“; წიწილა **იიტერენ** [***მე-იტერენ**] ჯაშა (კარტ. I, 84_ა) „გველი მიხობაედა („ადიოდა“) თურმე ხეზე“.

ადრე გამოქვეყნებულ ხოფურ ტექსტებში **იო** დიფთონგი ხან ცალი, ხან ორმაგი **ი** ხმოვნით არის გადმოცემული. მაგ.,

ისელოთ (ჩიქ. I, 39_ა) „ადექით“; **ისელუ** (ჩიქ. I, 37_ა) „ადგა“; **ისელეენ** (ასათ. 28, 1_ა) „ამდგარა“; **ისელასინონ** (ასათ. 58, 17_ა) „უნდა ადგეს“; **ილაგინონან** (ჩიქ. I, 39_ა) „უნდა აიტანოთ“; ვით წანა-ნა **იფშუ** (ასათ. 81, 44_ა) „ათი წელი რომ შესრულდა“; ჯაშა **იტეენ** (ასათ. 47, 12_ა) „ხეზე ადიოდა თურმე“.

ისელო (ჩიქ. I, 102_ა) „ადექი“; **ისეელუ** (ჩიქ. I, 110_ა) „ადგა“; **იიწკედუ** (ჩიქ. I, 36_ა) „აიხედა“; **იიფონოპტუ** (ჩიქ. I, 68_ა) „აჰყავდა“; **იიფშუ** (ჩიქ. I, 27_ა) „აიესო“; **იიტუ** (ჩიქ. I, 35_ა) „ადიოდა“; **იიდედიში** [***თ. yidm**] (ჩიქ. I, 68_ა) „ელვა, მესი“.

ამ ორი უმართებულო (წარმოთქმის არაადეკვატური) დაწერილობიდან ორმაგი **ი** მაინც „ნაკლები ბოროტებაა“. ცალი **ი**-ს შემთხვევაში სავსებით უგულებელყოფილია **ი**-ის მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია. შდრ. წყვილები: **იდე** „წაიღო“ – **იდეფუ** „აიტანა“, **იფონოფს** „მიჰყავს, წაიყვანს“ – **იფონოფს** „აჰყავს, აიყვანს“, **იტუ** „მიდიოდა“ – **იიტუ** „ადიოდა“.

1. 2. **თანხმოვანთა სისტემა**. ლაზურში 25 ჩქამიერი და 5 სონორი თანხმოვანია. ჩქამიერები იყოფა ხშულებად და ნაპრალოვნებად. გამოიყოფა ჩქამიერ თანხმოვანთა 6 ლოკალური რიგი: ლაბიალური, დენტალური, წინააღვეოლარული, უკანააღვეოლარული, ველარული და ლარინგალური. რიგებში შემავალი ხშულები სამეულებს ქმნიან (მჟღერი, ფშვინეიერი, მკვეთრი), ნაპრალოვნები კი – წყვილეულებს (მჟღერი, ფშვინეიერი). გამონაკლისს წარმოადგენს ბოლო ორი რიგი: ველარულეებში გლოტალიზებული სპირანტიც გვაქვს, ლარინგალური

რიგი ცალი ნაპრალოვნით არის წარმოდგენილი. სონორები იყოფა ორ ჯგუფად: ნაზალურებად (ლაბიალური მ და დენტალური ნ) და ორალურებად (სადაც გამოიყოფა გვერდითი დენტალური ლ და პირდაპირები – ალვეოლარული რ და პალატალური მ). წარმოვადგენ თანხმოვანთა ორივე კლასის სქემას ცალ-ცალკე:

ნკამიერ თანხმოვანთა სქემა

	სშულები			ნაპრალოვნები		
	მჟღერი	ფშვინე.	მკვეთრი	მჟღერი	ფშვინე.	მკვეთრი
ლაბიალური	ბ	ფ	პ	პ'წ	ფ	
დენტალური	დ	თ	ტ			
წინაალვეოლარული	ძ	ც	წ	ხ	ს	
უკანაალვეოლარული	ჯ	ჩ	ჭ	ქ	შ	
ველარული	გ	ქ	კ	ღ	ხ	ყ
ლარინგალური					კ	

სონორ თანხმოვანთა სქემა

	ნაზალური	ორალური	
		პირდაპირი	გვერდითი
ლაბიალური	მ		
დენტალური	ნ		ლ
ალვეოლარული		რ	
პალატალური		მ	

1. 2. 1. ლაბიალური მჟღერი სპირანტი ლაზურში, ისევე, როგორც მეგრულში, წარმოდგენილია ორი ფაკულტატური ვარიანტით – ლაბიოდენტალური [გ] და ბილაბიალური [გ'] ალოფონით. „ეს ელემენტები წარმოადგენენ ფაკულტატურ ვარიანტებს, რომლებიც ვლინდება უპირატესად როგორც კბილბაგისმიერი მჟღერი სპირანტი მეტი ან ნაკლები ინდივიდუალური და პოზიციური გადახრით წყვილბაგისმიერობისაკენ“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 53).

ასევე ერთი ფონემის ფაკულტატიური ვარიანტებია [ჟ] და [წ] დღეს ქართულში¹⁵. ძველ ქართულში კი /ჟ/ და /წ/ დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენდნენ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 41). მართალია, „/ჟ/ : /წ/ ოპოზიციის ფუნქციონალური დატვირთვა ფრიად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო“ (იქვე), მაგრამ მაინც დაიძებნა მინიმალური წყვილები (სარჯველაძე 1975, 46), რაც ამ ელემენტთა ფონემურობის კიდევ ერთი დასტურია.

„ფონემატიური დაპირისპირება [ჟ]-სა და [წ]-ს შორის, რომელიც ძველ ქართულში დასტურდება, ისტორიულად მეორეულია და ემყარება ამ ელემენტთა წმინდა ოპოზიციურ სხვაობას“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 41). არქაული ქართულის /*წ/ ფონემის უმარცვლო ალოფონი [*წ] უფრო გვიანდელი ხანის ქართულში გაიხლიჩა ორ ოპოზიციურ ვარიანტად: თანხმოვანსა და ხმოვანს შორის [წ] გექონდა, დანარჩენ ოპოზიციებში (ხმოვნის წინ ანლაუტში, ხმოვნის შემდეგ) – [ჟ]. შემდგომში მორფოლოგიური ანალოგიების მოქმედებამ, გათანაბრების, უნიფიკაციის პროცესებმა ხელი შეუწყო [ჟ]-ს განზოგადებას და დამკვიდრებას ისეთ ოპოზიციებში, სადაც ადრე მხოლოდ [წ] გექონდა (შეგ ~ შეგ-ა, ხედ-აგ-ს ~ ხედ-გ-ა...). ამან განაპირობა /ჟ/-სა და /წ/-ს დამოუკიდებელ ფონემებად ჩამოყალიბება (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 41 შმდ.).

ძველ ქართულ ტექსტებში ზ და ჯ გრაფემათა ურთიერთ-მონაცვლეობის ცალკეული შემთხვევები /ჟ/ და /წ/ ფონემათა ნეიტრალიზაციის პროცესს უნდა ასახავდეს; „იმ დიალექტებში, რომელთაც ასახვა პოვეს ქართულ სალიტერატურო ენაში, /ჟ/ : /უ/ ფონემატიური ოპოზიცია ძველი და საშუალი ქართულის მიჯნაზე მოიშალა. ამ დროისათვის გვაქვს არა ორი ფონემა,

¹⁵ შდრ. ლიტერატურაში გამოთქმული ურთიერთსაპირისპირო შეხედულებანი: „ლიტერატურულ წარმოთქმაში ე კბილბაგისმიერი სონანტია... დიალექტებში უმეტეს შემთხვევაში იგი წყვილბაგისმიერია (წ)“ (ჯღენტი 1956, 158); „ლიტერატურულ წარმოთქმაში განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ კბილბაგისმიერი ვ-ს ნაცვლად წყვილბაგისმიერი წ-ს წარმოთქმას, რასაც დიალექტალური წარმოთქმის გავლენის შედეგად აქვს ადგილი ხოლმე“ (ჯღენტი 1956, 158–159). – „უ ბგერა ქართულში არსებითად ყველა ოპოზიციაში წყვილბაგისმიერი სპირანტია“ (როგავა 1962, 115); „თუ კი სალიტერატურო ქართულზე მოლაპარაკებ უ მართლაც გამოთქვა როგორც კბილბაგისმიერი, ეს გამოთქმის არაბუნებრიობას ან სხვა ენის გავლენას უნდა მიეწეროს (როგავა 1962, 116).

არამედ ერთი ფონემის ორი ალოფონი (ფაკულტატიური ვარიანტი)“ (სარჯველაძე 1975, 48).

სხვა თვალსაზრისით, „[ე] და [უ] ერთი ფონემის ალოფონებად უნდა ჩაითვალოს ძველ ქართულში“ (უთურგაიძე 1995, 134); C-V პოზიციაში **ვ** გრაფემის წერა ახსნილია იმით, რომ ორთოგრაფიული ნორმა არ ეთანხმებოდა ორთოეპიულ ნორმას: „ძველ ქართულში მიღებული ორთოგრაფიული ნორმით, ხმოვნის მომდევნო ე უცვლელად რჩებოდა ხმოვნის ჩავარდნის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, ახალ პოზიციაში ეს ე ჩქამიერ თანხმოვანს მოსდევდა თუ არაჩქამიერს. პოზიციის შეცვლის შემდეგ, თუ ე-ს წინა თანხმოვანი აღმოჩნდებოდა ჩქამიერი, ბუნებრივი იქნებოდა მისი შეცვლა [უ] ბგერის აღმნიშვნელი უ ნიშნით ([ე] > [უ]). ეს ორთოეპიული ცვლილება, რომელსაც უთუოდ ჰქონდა ადგილი ძველ ქართულში, ორთოგრაფიის დონეზე ნიშნავდა ვ გრაფემის შეცვლას უ გრაფემით, მაგრამ მიღებული ორთოგრაფიული ნორმით ასე არ ხდებოდა ყოველთვის, კერძოდ, ავ > ვ (თემის ნიშნის) ცვლილების დროს; ასევე ძირეულ მორფემებში ვ-ს წინა ხმოვნის ამოვარდნის შემდეგ, როცა ეს უკანასკნელი ჩქამიერ თანხმოვანს მოსდევდა“ (უთურგაიძე 1995, 134–135); „როცა ჩქამიერთა მომდევნოდ მოსალოდნელი უ-ს ადგილზე სწერია ვ, უბრალოდ, არაადეკვატური ორთოგრაფიული წესის (რომელსაც ჩვენ ადრე მორფოლოგიური ინერცია ვუწოდეთ) გამო ნაწერი ვერ ასახავს სამეტყველო ნიუანსს“ (უთურგაიძე 1995, 137).

რომ ძველი ქართული ტექსტები C-V პოზიციაში ნახმარი ორი – **ვ** და **უ** – გრაფემით ორ განსხვავებულ ფონემას წარმოგვიდგენენ და ძველი ქართულის ორთოგრაფიულსა და ორთოეპიულ ნორმებს შორის წინააღმდეგობა არ იყო, ამას, ვფიქრობ, მეგრულის მონაცემები ადასტურებენ. საქმე ის არის, რომ ძველ ქართულ ტექსტებში C-V პოზიციაში **ვ** და **უ** გრაფემებით გადმოცემულ ბგერებს მეგრულში სხვადასხვა შესატყვისი აქვთ: **უ** გრაფემით გადმოცემულ ბგერას (ანუ /**ვ**/ ფონემას) მეგრულის [ვ] და [ფ] სპირანტები შეესატყვისება, **ვ** გრაფემით გადმოცემულ ბგერას (ანუ /**ვ**/ ფონემას) კი – მეგრულის /**უ**/ ხმოვანი. რაც შეეხება ლაზურს, აქ ძველი ქართულის ორივე ფონემის შესატყვისად [ვ] და [ფ] სპირანტები (ანუ ერთი და იმავე ფონემის ალოფონები) გვაქვს. შდრ.

1. ძვ. ქართ. /ჳ/ : მეგრ.-ლაზ. [გ] და [ღ]

ქ. სხნა, მ. შხვა | შხნა, ლ. ჩქვა | ჩქნა (< *შხნა)

ქ. ზღნა, მ. ზღვა | ზღნა, ლ. ზუღა | (მ)ზოღა (< *ზღნა)¹⁶

ქ. სწა-ს, მ-ლ. შგა-ს | შწა-ს; ქ. სწეს, მ-ლ. შგეს | შწეს

ქ. წწა-ს, მ-ლ. ჭგა-ს | ჭწა-ს; ქ. წწეს, მ-ლ. ჭგეს | ჭწეს

ქ. შწელო, მ. სჭეო | სჭეო, ლ. მსჭეო | მსჭეო „ირემი“

ქ. წწეო, მ. წგანჯო | წწანჯო

ქ. თქწენ, მ-ლ. თქგა(ნ) | თქწა(ნ)

ქ. მო-ბ-კეთა, მ-ლ. მო-გათუ | მო-კათუ

ქ. ი-ჭმელ-და, მ. ხვადუნ-ს | ხვადუნ-ს „ახეულებს“, ლ. ა-ხვადუნ | ა-ხვადუნ.¹⁷

2. ძვ. ქართ. /გ/ : მეგრ. /უ/ : ლაზ. [გ] და [ღ]

ქ. ჭგა, მ. ჭუა, ლ. (მ)ჭა | (მ)ჭა

ქ. რგა, მ. (ბ)რუო, ლ. ორგო | ოგრო

ქ. *გ-შე (> მშ: პირმშო), მ. სჭა (< *გ-სჭა) „შეილი“

ქ. შგა-ს, მ. სჭა-ს „კვერცხი დადოს“, ლ. დო-სჭა-ს | დო-სჭა-ს; ქ. შგ-ეს, მ. სჭეს „კვერცხი დადეს“, ლ. დო-სჭეს | დო-სჭეს

ქ. შჭგ-ა-ს, მ. ქუ-ა-ს, ლ. შჭგ-ა-ს | მჭწ-ა-ს; ქ. შჭგ-ეს, მ. ქუ-ეს, ლ. შჭგ-ეს | მჭწ-ეს

¹⁶ ლიტერატურაში მეგრულია და ლაზურისათვის ზღვა ფორმასაც უთითებენ. მეგრულიათვის ზღვა ფორმა არაბუნებრივია. ი. ყიფშიძის ლექსიკონში (Климов 1914, 238) მისი წარმოჩენა წა დიფთონგის ორ სრულ ხმოვნად მიჩნევის შედეგი ჩანს. შდრ. საპირისპირო ხასიათის ფაქტი: ორი სრული ხმოვნის დიფთონგად ჩათვლა – ქუა-ს პარალელურად ქუა [= ქწა] ფორმის მითითება (Климов 1914, 346). შდრ. აგრ. უა-ს ნაცვლად წა | ვა-ს ხმარების მაგალითები ა. ცაგარლის ტექსტებში: მასქწალი (ცაგ. 52) „კვერცხის მღებელი“, სქწალი (ცაგ. 6) „კვერცხის დება“, ქვაშევა (ცაგ. 13) „ქვიდანო“. ასევე მოულოდნელია ზღვა ფორმა ლაზურშიც. აქ, როგორც წესი, ზუღა | (მ)ზოღა იხმარება. ა. ჩიქობავა, რომელსაც ფიქსირებული აქვს ზღვა ფორმა, ტექსტში სამართლიანად უსვამს მას გაკვირვების ნიშანს (ჩიქობავა 1936, 178₁₅, 19). რაც შეეხება ამ ფუძის საერთო-ქართულურ არქტიპს, მართებული ჩანს მისი აღდგენა *ზღწა- ფორმით (Климов 1964, 89; Klimov 1998, 62); *ზღწა- (Bouda 1950, 293) ან *ზოღწა- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 136; 2000, 217) ფორმათა ვარაუდი ნაკლებად სააღბათოა. ლაზურში ზოღა | ზუღა < *ზღწა (ღ-ს მეტათეზისით და ვოკალიზაციით C-C პოზიციაში). შდრ. ანალოგიური პროცესი მეგრულში: ს-ქართვ. *სტწინ- > მეგრ. *შტწინ- > შგიტწინ- „სტკენა“ (კარტოზია 1996, 7; იხ. აგრ. აქვე, გვ. 36. შდრ. Климов 1964, 166; Klimov 1998, 168-169).

¹⁷ მეგრული [გ] და [ღ]-ს წარმოგვიდგენს მაშინაც, როცა ქართულ-ზანური არქტიპის (ამოსავალი ფუძის) ორი სრული ხმოვანი, რომლებიც ქართულში უცვლელად არის დაცული, ზანურში დიფთონგად არის ქცეული. შდრ. ქ. ყუა, მ. გვა | გწა „შუბლი“, ლ. ყვა || ყწა (ხოფ.-ჩხალ), კვა | კწა (ვიწ.-არქ); ქ. შუა, ზან. *შქწა > მ-ლ. შქა.

ქ. *ჟა-ბ (> ჟოს), მ. ჟა-ბ, ლ. (ხოფ.-ჩხალ.) ჟა-ბ | ჟა-ბ; ქ. ჟა-ბ, მ. ჟა-ბ, ლ. (ხოფ.-ჩხალ.) ჟა-ბ | ჟა-ბ

ქ. მო-წიღვა, მ. წიღვა „კრეფა“, ლ. წიღვა „ნოემბერი (ცურბ-ნის) კრეფა“¹⁸

აღნიშნული ფაქტი, ეფიქრობ, იმას უნდა მოწმობდეს, რომ /ჟ/ და /წ/ ფონემები ადრინდელ მეგრულში განსხვავებული ქცევით ხასიათდებოდა: წყვილბაგისმიერი /წ/ წინამავალ თანხმოვანთან ბუნებრივ კომპლექსს ქმნიდა, კბილბაგისმიერი /ჟ/ კი – არა. ზანურისათვის ბუნებრივმა Cწ კომპლექსმა გვიანდელ მეგრულში Cგ || Cწ მოგვეცა (*შხწა > შხგა || შხწა „სხვა“), არაბუნებრივი Cგ მიმდევრობა კი დაძლეულ იქნა ანაპტიქსური ზ ხმოვნის ჩართვით; /ჟ/ ფონემის მონაცვლე ოგ სეგმენტმა მომდევნო სუფიქსურ ხმოვანთან ერთად სხვადასხვაგვარი გარდაქმნა განიცადა: ოგ-ა > უა, ოგ-ო > იო, ოგ-ე > უე | იო, ოგ-უ > უუ¹⁹:

- *ქა > *ქოა > ქუა „ქეა“
- *ოგო > *როგო > რუო „რეა“
- *გ-სქა > *გსქოა > სქუა „შვილი“
- *სქგ-ა-ს > *სქოგას > სქუას „კვერციხი დადოს“ (= ქართ. შგ-ა-ს)
- *სქგ-ო > *სქოგო > სქოო „კვერციხი დადეი“ (= ახ. ქართ. შგ-ო)
- *სქგ-ეს > *სქოგეს > სქუეს | სქოის „კვერციხი დადეს“ (= ქართ. შგ-ეს)
- *სქგ-უ > *სქოგუ > სქუუ „კვერციხი დადო“
- *ფქგ-ა-ს > *ქოგას > ქუას „ფქვას“
- *ფქგ-ო > *ქოგო > ქოო „ფქვი“

¹⁸ ქართულის -აგ/-უ-სუფიქსიანი ზმნების მასდართა -ა დაბოლოებას მეგრულში -უა შეესატყვისება (თანაც ამ სუფიქსის გამოყენების არე ერთობ გაფართოებულია), ამიტომ სხვა მაგალითები აღარ მომყავს. ლაზურში -ა სუფიქსი მასდარს იშვიათად აწარმოებს, მაგრამ იმ იშვიათ შემთხვევებშიც მეგრულის -უა დაბოლოება აქ -ა-ს სახით არის წარმოდგენილი. შდრ. მეგრ. ტახ-უა „ტეხა“: ლაზ. ტახ-ა; მეგრ. ქოს-უა „გეა, წმენდა“: ლაზ. ქოს-ა; მეგრ. ჭარ-უა „წერა“: ლაზ. ჭარ-ა (იხ. Мapp 1910, 62, 148; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 61).

¹⁹ შდრ. ანალოგიური გარდაქმნები ოგ-სუფიქსიანი ზმნებში: *თხ-ოგ-ა-ს > თხუას „სთხოვის“, *ქშ-ოგ-ა-ს > შუას „ქსოვის“, *წ-ოგ-ა-ს > წუას „წოვის“; *თხ-ოგ-ო > თხოო „სთხოვე“, *ქშ-ოგ-ო > შოო „ქსოვე“, *წ-ოგ-ო > წოო „წოვე“; *თხ-ოგ-ეს > თხუეს | თხოის „სთხოვეს“, *ქშ-ოგ-ეს > შუეს | შოის „ქსოვეს“, *წ-ოგ-ეს > წუეს | წოის „წოვეს“; *თხ-ოგ-უ > თხუუ „სთხოვა“, *ქშ-ოგ-უ > შუუ „ქსოვა“, *წ-ოგ-უ > წუუ „წოვა“. შდრ. აგრ. ქართულიდან ნახესხები შოგ-ფუძისგან ნაწარმოები ფორმები: *ი-შოგ-ა-ს > იშუას „იშოვის“, *ი-შოგ-ო > იშოო „იშოვე“, *ი-შოგ-ეს > იშუეს | იშოის „იშოვეს“, *შოგ-ბა > შოიბა „შოინა“, *ი-შოგ-უ > იშუუ „იშოვა“.

- ***ტქვ-ს** > ***ქოვ-ს** > **ქუ-ს** | **ქი-ს** „ფქვეს“
- ***ტქვ-უ** > ***ქოვ-უ** > **ქუ-უ** „ფქვა“
- ***ყვ-ა-ს** > ***ყოვ-ა-ს** > ***ყუ-ა-ს** > **ყუ-ა-ს** „ყოს“ [ან: ***ყვ-ა-ს** > ***ცვ-ა-ს** > ***ყოვ-ა-ს** > **ყუ-ა-ს**]
- ***ყვ-ი-ს** > ***ყოვ-ი-ს** > ***ყუ-ი-ს** > **ყუ-ი-ს** „ყუი“ [ან: ***ყვ-ი-ს** > ***ცვ-ი-ს** > ***ყოვ-ი-ს** > **ყუ-ი-ს**]
- ***ყვ-ე-ს** > ***ყოვ-ე-ს** > ***ყუ-ე-ს** | **ყი-ს** > **ყუ-ე-ს** | **ყი-ს** „ყვეს“ [ან: ***ყვ-ე-ს** > ***ცვ-ე-ს** > ***ყოვ-ე-ს** > **ყუ-ე-ს**]
- ***ყვ-ე-ს** > ***ყოვ-ე-ს** > **ყუ-ე-ს** | **ყი-ს**]
- ***ყვ-ე-ს** > ***ყოვ-ე-ს** > ***ყუ-ე-ს** > **ყუ-ე-ს** „ყო“ [ან: ***ყვ-ე-ს** > ***ცვ-ე-ს** > ***ყოვ-ე-ს** > **ყუ-ე-ს**]
- ***წილ-გ-ა** > ***წილ-ოვ-ა** > **წილ-ა** „კრეფა“
- ***წნ-გ-ა** > ***წონ-ოვ-ა** > **წონ-ა** „ხენა“...

დიდი ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მეგრ. (ფსუა [და ლაზ. (მ)სვა || (მ)სწა] „ფრთა“ ფუძის ქართული შესატყვისი კბილბაგისმიერ /ვ/ ფონემას შეიცავდა და არა წყვილბაგისმიერ /წ/-ს. ეს ფუძე ძველ ტექსტებში რომ დასტურდებოდეს, ვ გრაფემით იქნება წარმოდგენილი და არა უთი, ე. ი. გვექნება სვე და არა სუე (თუ, რასაკვირველია, /ვ/ : /წ/ დაპირისპირების ნეიტრალიზაციის ფაქტთან არ გვექნა საქმე).

დასტურდება ზოგიერთი გადახვევა ამ წესიდან:

ა) ძვ. ქართულის /ვ/-ს შესატყვისად მოსალოდნელი /წ/-ს ნაცვლად C-V პოზიციაში მეგრული /ვ/-ს გვაძლევს დვ- (ქართ. დევ-დვ-) და ჩვ- (ქართ. ცევ-ცვ-) ზმნურ ფუძეებში: დლ-დვ-ა-ს „დადოს“, დლ-ჩვ-ა-ს „შეინახოს“, დლ-დვ-ეს „დადევს“, დლ-ჩვ-ეს „შეინახეს“, დლ-დვ-ი „დადევი“, დლ-ჩვ-ი „შეინახე“, დლ-დ-უ (< *დლ-დვ-უ) „დადო“, დლ-ჩ-უ (< *დლ-ჩვ-უ) „შეინახა“.

ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ზანურში გახმოვანების ნულ-საფეხურზე მდგომი ფუძის უხმოვნო ვარიანტია შემონახული, დვ- და ჩვ- არ გათიშულა ანაპტიქსური ხმოვნით, „რამდენადაც C + ვ კომპლექსი მეგრულ-ჭანურში ბუნებრივ კომპლექსთა წყებას განეკუთვნება“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 22).

თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულის Cწ და Cვ კომპლექსების შესატყვისთა განსხვავებულ რეფლექსებს მეგრულში (იხ. ზემოთ), უფრო მართებული იქნება დვ- და ჩვ- ფუძეთა უხმოვნობა მეორეულ მოვლენად, კერძოდ, ორი სრული ხმოვნის დიფთონგად ქცევის შედეგად, ვცნოთ [შდრ. მეგრ. ცვა || ცწა (< *ყუა) „შუბლი“, შქა (< *შქუა) „შუა“] და მათთვისაც ხმოვნიანი ვარიანტები აღვადგინოთ: დლ-დვ-ა-ს || დლ-დწ-ა-ს < *დლ-დუ-ა-ს < *დლ-დოვ-ა-ს < *დლ-დვ-ა-ს, დლ-ჩვ-ა-ს ||

დო-ჩჳ-ა-ს < *დო-ჩჳ-ა-ს < *დო-ჩოგ-ა-ს < *დო-ჩგ-ა-ს... ანაპტიქსური ხმოვნის არსებობა ამ ფუძეებში დიფთონგიზაციის შედეგად მიჩქმალულია.

თუმცა მეგრულს დღემდე დაუცავს ჩგ- ფუძის ამოსავალი (არადიფთონგიზებული) ჩჳ- ვარიანტიც. ჩგ-ან-ქ „ინახავ“, მ-ა-ჩგ-ე-(ნ) „შევინახავ“ ფორმებთან ერთად იხმარება ჩჳ-ან-ქ, მ-ა-ჩჳ-ე-(ნ) ფორმებიც. შდრ.

სი ჩქიმ წიგნენს მუშე ჩჳა [< ჩჳანქ < *ჩოგ-ან-ქ] (გულ. 27, 46) „შენ ჩემს წიგნებს რად ინახავ?“, დუდ სო იბლა, ვაშაჩჳე [< *ვა მ-ა-ჩოგ-ენ] (გულ. 66ჟ) „თავი სად წავილო? ვერ დაემალავ“.

ასევე დიფთონგიზაციის შედეგია ქართ. ყველ- ფუძის (ყაგ-/ყვ- ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობის) შესატყვისად გვალ- || ცნალ- (< *ყწალ- < *ყოვალ- < *ყვალ-) ფორმა მეგრულში²⁰. ამ ფორმებში დიფთონგიზაციის პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო /გ/ და /წ/ ფონემათა დაპირისპირების ადრეულ მოშლას, რაც, თავის მხრივ, ორგანულ კავშირშია ზმნურ ფუძეთა გახმოვანების სრული და ნულოვანი საფეხურების აბლაუტური მონაცვლეობის საერთო-ქართველური წესის მოშლასთან, ზანურში რომ გატარდა თანმიმდევრულად (ამ პროცესის შესახებ იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 214 შმდ.).

ბ) მეორე მხრივ, ქართ. თქჳ- ფუძის მეგრულ შესატყვისში მოსალოდნელი [გ] და [წ]-ს ნაცვლად დასტურდება /ჳ/ ხმოვანი: თქჳ-ა-ს „თქვას“, თქჳ-ეს „თქვეს“. შეიძლებოდა /ჳ/ აქ ძველი /გ/ ფონემის რეფლექსად მიგვეჩნია და მეგრულის არქტიპად *თქVგ-/თქვ- ფუძე გვევარაუდა, რომლის ნულოვანი საფეხური ანაპტიქსური ო ხმოვნის განვითარების შედეგად სწორედ ამ ფორმებს მოგვეცემდა, მაგრამ მეტად საგულისხმოა, რომ თქჳეს „თქვეს“ ფორმის ვარიანტად *თქიის კი არა გვაქვს (შდრ.

²⁰ შეიძლებოდა დიფთონგიზაციით აგვეხსნა ძვ. ქართ. სგ- ფუძის (აღესვის, დაახვის, შეახვიან...) შესატყვისად სგ- (ე. ი. სგ- | სწ-) ფუძის არსებობა მეგრულში, მაგრამ საილუსტრაციოდ მოტანილი (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 269; 2000, 400–401) ფორმები – სჳშალა „ჩასობა, ჩარჭობა“, ვუსვა „ჩაეარჭო“ – მეგრულისთვის დამახასიათებელი არ არის და იდიოლექტური თავისებურება ჩანს: ქართული სგ- „სობა“ ფუძის გამოყენებასთან ან „წასმის“ აღმნიშვნელი სგ- | სწ- ფუძის (ძვ. ქართ. სჳს შესატყვისის) ხმარებასთან უნდა გვექონდეს საქმე (შდრ. სშა : სობა დაპირისპირების მოშლა ქართულ კილოებში: წასობა (წამლისა) – დასობა (დანისა)).

სქუეს | სქიის „კვერცხი დადევს“, ქუეს | ქიის „ფქვეს“), არამედ თქვიის | თქვიის. ეს თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საერთო-ქართველური *თქ- ფუძე მეგრულში გართულებული იყო -ოგ სუფიქსით, რომელიც მომდევნო -გ-სუფიქსისეულ ხმოვანთან ერთად იმ მიმდევრობად გარდაიქმნა, ფუძისეული [გ/წ] სპირანტი კი მის წინ დაცულ იქნა. მაშასადამე, ერთი მხრივ, *თქ-ოგ-ეს > *თქნუეს > თქუეს, მეორე მხრივ, *თქ-ოგ-ეს > თქვიის/თქვიის.

ლაზურში ძველი /გ/ და /წ/ ფონემები C-V პოზიციაში დღეს ერთი და იმავე რეფლექსებით – [გ] და [წ] ალოფონებით – არის წარმოდგენილი. ეს ფაქტი, ეფიქრობ, გვიანდელი მოვლენაა და შედეგია /გ/-ს წინ განვითარებული ანაპტიქსური ო ხმოვნის გვიანდელი დაკარგვისა, რაც კიდევ ერთი გამოვლინებაა ხმოვანთა სინკოპირებისა და რედუქციის მეორეული ტენდენციისა, ლაზურისათვის რომ არის დამახასიათებელი (ამ ტენდენციის შესახებ იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 58).

ანაპტიქსური ო ხმოვანი სუფიქსისეული გ-ს წინ ლაზურში ისევე უნდა იყოს ამოვარდნილი, როგორც ამოვარდნილა თავდაპირველი ო ხმოვანი -ოგ-სუფიქსიან ზმნებში (გავიხსენოთ კბილბაგისმიერი /გ/-ს წინ განვითარებული ანაპტიქსური ო ხმოვნისა და -ოგ-სუფიქსიანი ზმნების ო-ს ერთნაირი გარდაქმნები მეგრულში). შდრ.

-ოგა > -გა: *გამ-ი-თხ-ოგ-ა-ს > გამითხვას | გამითხნას „გათხოვდეს“, *დოქშ-ოგ-ა-ს > დოშვას | დოშნას „მოქსოვოს“, *უწ-ოგ-ა-ს > უწვას | უწნას „უწოვოს“, *ჯოგ-ა-ხ > მჯვას | მჯნას „ძოვოს“;

-ოგო > -გო: *გამ-ი-თხ-ოგ-ო > გამითხვო | გამითხნო „გათხოვდი“, *დოქშ-ოგ-ო > დოშვო | დოშნო „მოქსოვე“, *უწ-ოგ-ო > უწვო | უწნო „უწოვე“, *ჯოგ-ო > მჯვო | მჯნო „ძოვე“;

-ოგუ > -გუ: *გამ-ი-თხ-ოგ-უ > გამითხვუ | გამითხნუ „გათხოვდნენ“, *დოქშ-ოგ-უ > დოშვეს | დოშნეს „მოქსოვეს“, *უწ-ოგ-უ > უწვეს | უწნეს „უწოვეს“, *ჯოგ-უ > მჯვეს | მჯნეს „ძოვეს“;

-ოგუ > -გუ > -უ: *გამ-ი-თხ-ოგ-უ > *გამითხვუ | *გამითხნუ > გამითხუ „გათხოვდა“, *დოქშ-ოგ-უ > *დოშვეუ | *დოშნუ > დოშუ „მოქსოვა“, *უწ-ოგ-უ > *უწვეუ | *უწნუ > უწუ „უწოვა“, *ჯოგ-უ > *მჯვეუ | *მჯნუ > მჯუ „ძოვა“; *გამ-ი-თხ-ოგ-უ > *გამათხვუ | *გამათხნუ > გამათხუ „გათხოვება“, *ოქშ-ოგ-უ > *ოშვეუ | *ოშნუ > ოშუ „ქსოვა“, *ოწ-ოგ-უ > *ოწვეუ | *ოწნუ > ოწუ „წოვა“, *ოჯგ-უ > *ოჯვეუ | *ოჯნუ > ოჯუ „ძოვა“.

/გ/ და /წ/ ფონემათა ადრინდელი დაპირისპირების აშკარა კვალი ლაზურში დღემდეა შემორჩენილი. მხედველობაში მაქვს

საერთო-ქართველური ყაგ-ყგ- ფუძის რეფლექსები ლაზურ დიალექტებში.

/ყ/ ფონემა ლაზურის დიალექტთაგან მხოლოდ ხოფურ-ჩხალურშია დაცული (ხმოვნებისა და [გ], [წ], /ლ/ თანხმოვნების წინ); ვიწურ-არქაბულში ხმოვნების წინ დაკარგულია, [გ], [წ] და /ლ/-ს წინ კი /ყ/-დ არის ცვლილი (გლოტალიზებულ ხშულთა შემდგომ ხოფურ-ჩხალურიცა და ვიწურ-არქაბულიც /კ/-ს სახით წარმოგვიდგენენ)²¹. შდრ.

ხოფ.-ჩხალ. ყაა | ყნა „შუბლი“, ვიწ.-არქ. კაა | კნა; ხოფ. ყაა-ო | ყნა-ო „ყვავი“, ვიწ.-არქ. კაა-ი | კნა-ი (იხ. Mapp 1910, 204); ხოფ.-ჩხალ. ყააჯ-ო | ყნაჯ-ო „testiculus“, ვიწ.-არქ. კააჯ-ო | კნაჯ-ო; ხოფ.-ჩხალ. ყაა-რ-ელო | ყნა-რ-ელო „დაკოდელი“, ვიწ.-არქ. კაა-რ-ე-ი | კნა-რ-ე-ი; ხოფ.-ჩხალ. ყაალო | ყნალო „ყველი“, ვიწ.-არქ. კაალო | კნალო.

ამ ფუძეთა მეგრულ შესატყვისებშიც /გ/ გვაქვს და არა /ჟ/. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეგრულის ზგV || ზწV (< *ყწV) მიმდევრობას ვიწურ-არქაბულში კგV || კწV შეესატყვისება²². მაგრამ როცა მეგრულში ზგV (< *ყგV) მიმდევრობა გვაქვს (ვგულისხმობ საერთო-ქართულ-ზანურ *ყაგ-ყგ- „ყოფა, ყოფნა“ ფუძეს, რომელიც გახმოვანების ნულ-საფეხურზეა განზოგადებული ზანურში), /ყ/-ს რეფლექსად ვიწურ-არქაბულში ნულია და არა /კ/. შდრ.

მეგრ. ზუა-ხ „ყოს, ქნას“, ხოფ.-ჩხალ. ყაა-ხ | ყნა-ხ, ვიწ.-არქ. ვა-ხ

მეგრ. ი-ზუა-ხ „იყოს, იქნეს“, ხოფ.-ჩხალ. ი-ყაა-ხ | ი-ყნა-ხ, ვიწ.-არქ.

ი-გა-ხ

მეგრ. ზუ-ეს „ყვეს, ქნეს“, ხოფ.-ჩხალ. ყა-ეს | ყნ-ეს, ვიწ.-არქ. ვ-ეს

მეგრ. ზუუ „ყო, ქნა“, ხოფ.-ჩხალ. ვუ (< ზგუ | ზწუ), ვიწ.-არქ. ვუ.

ასევე ნულია /ყ/-ს რეფლექსად ამავე ფუძისაგან ნაწარმოებ მიმდებობაში: მე-გ-აფ-ერ-ი „მაწონი [„შეყოფილი“]“ (ხოფ.-ჩხალ. მე-ყგ-აფ-ერ-ი || მე-ყწ-აფ-ერ-ი).

ხოფურ-ჩხალური ზგV || ზწV სეგმენტის სხვადასხვაგვარი გადმოცემა, ანუ /ყ/ ფონემის სხვადასხვაგვარი ქცევა ვიწურ-

²¹ ათინურ-ართაშენულში /ყ/ ფონემა ყველა პოზიციაში ნულოვანი რეფლექსით არის წარმოდგენილი.

²² ვიწ.-არქ. კგV | კწV (= ხოფ.-ჩხალ. ზგV | ზწV) მიმდევრობას მეგრულში ერთ შემთხვევაში კგV | კწV შეესატყვისება და არა ზგV | ზწV (მეგრ. კაარია | კნარია „ყვავი“, ხოფ.-ჩხალ. ყაა-ი | ყნა-ი, ვიწ.-არქ. კაა-ი | კნა-ი). თავკიდურა /კ/ მეგრულში მეორეულია და /ყ/-საგან მომდინარეობს: კაარია | კნარია < *ყაარია | *ყნარია (ჩიქობავა 1938, გვ. 108). შდრ. მეგრ. ყებურ-ი > აებურ-ი „კერა“.

არქაბულში (ყ > კ; ყ > 0), იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ [ჟ] და [წ] სპირანტები ზემოთ განხილულ ფუძეებში ყველგან ერთნაირი წარმომავლობისა არ არის. მეგრულის მსგავსად, ადრე ლაზურშიც წყვილბაგისმიერ და კბილბაგისმიერ თანხმოვანთა სახით ორი დამოუკიდებელი ფონემა გვქონდა. წყვილბაგისმიერი /წ/ ფონემა წინამავალ თანხმოვანთან ბუნებრივ კომპლექსს ქმნიდა (*ყწV > ხოფ-ჩხალ. ყწV || ყვV, ვიწ-არქ. კწV || კვV), კბილბაგისმიერი /ჟ/ კი ლაზურშიც ვერ ქმნიდა ბუნებრივ კომპლექსს და ივითარებდა ანაპტიქსურ ხმოვანს; ხმოვნის წინ კი /ყ/ ფონემა ვიწურ-არქაბულში კანონზომიერად გვაძლევდა ნულს. ანაპტიქსური ხმოვნის სინკოპირებისა და ყ > 0 გადასვლის შედეგად აღნიშნული ფუძე უკიდურესად გამარტივდა:

*ყა-ს „ყოს, ქნას“ > *ყოას (ანაპტიქსური ხმოვნის განვითარებით) > *ყოას (ყ > 0 გადასვლით) > *ყას (ანაპტიქსური ხმოვნის სინკოპირებით) > *ყას (ყ > 0 გადასვლით) [ან: *ყა-ს > *ყოას > *ყას > *ყას > *ყას > *ყას] „ყოს, ქნას“; *ოყ-ენ > *ყოენ > *ყოენ > *ყოენ > *ყოენ [ან: *ოყ-ენ > *ყოენ > *ყოენ > *ყოენ > *ყოენ] „იქნება“.

შდრ. ხოფურ-ჩხალურში მომხდარი გარდაქმნები:

*ყა-ს > *ყოა-ს (ანაპტიქსური ო ხმოვნის განვითარებით) > ყა-ს | ყწ-ა-ს (ანაპტიქსური ხმოვნის სინკოპირებით და /ჟ/ ფონემის დაშლით ფაკულტატურ ვარიანტებად); *ოყ-ენ > *ყოენ > *ყოენ | *ყოენ.

ასე რომ, ადრეულ ლაზურშიც მეგრულისთვის სავარაუდო გარდამავალი (ანაპტიქსურხმოვნისანი) ფორმებია სავარაუდო:

*ქა > *ქოა > (მ)ქა | (მ)ქა „ქა“

*ორგო > *ოროგო > ორგო | ოგრო „რვა“

*დო-სქე-ა-ს > *დოსქოვას > დოსქვას | დოსქნას „კვერცხი დადოს“

*დო-სქე-ო > *დოსქოვეს > დოსქვეს | დოსქნის „კვერცხი დადევ“

*დო-სქე-გ-ს > *დოსქოვეს > დოსქვეს | დოსქნის „კვერცხი დადეს“

*დო-სქე-უ > *დოსქოვეს > *დოსქვეს | დოსქნის > დოსქუ „კვერცხი დადო“

*შქ-ა-ს > *შქოვას > შქვას | შქნას „შქვას“

*შქ-ო > *შქოვი > შქვი | შქნის „შქვი“

*შქ-გ-ს > *შქოვეს > შქვეს | შქნის „შქვეს“

*შქ-უ > *შქოვეს > *შქვეს | *შქნის > შქუ „შქვა“

*წილ-გ-ა > *წილოვა > წილვა „კრეფა“

*ტახ-გ-ა > *ტახოვა > ტახვა „ტეხა“...

როგორც ჩანს, ფონოლოგიური სისტემის გარდაქმნის ის გზა, რომელიც ქართულისათვის არის ნავარაუდები, მეგრულთან ერთად განვლილი აქვს ლაზურსაც. საერთო-ქართველური /*ჟ/ ფონემის უმარცვლო ალოფონის ორ პოზიციურ ვარიანტად გახლეჩა და შემდგომში ამ ვარიანტების დამოუკიდებელ

ფონემებად ჩამოყალიბება ქართულ-ზანური ერთიანობის დროს მომხდარი ფაქტი უნდა იყოს. მოგვიანებით როგორც ქართულში, ისე ზანურ ენებში ეს ორი დამოუკიდებელი ფონემა ერთი ფონემის ფაკულტატურ ვარიანტებად იქცა.

1. 2. 2. **ლაბიალური ფშეინვიერი სპირანტი.** სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, ლაზურს აქვს ლაბიალური ფშეინვიერი სპირანტი **ფ**. იგი აქ ბერძნულისა და თურქული ენების გავლენით არის დამკვიდრებული (მდრ.: **ოფრიდი** [**<** ბერძნ. **ὄφρῖς**] „წარბი“, **მუსაფირი** [**<** არ.-თ. **misafir**] „სტუმარი“, **ფუკარა** [**<** არ.-თ. **fukara**] „ღარიბი“). ამ ენებიდან შემოსულ სიტყვებში **ფ** უცვლელად გადმოდის, მაშინ როცა ქართული, მეგრული და სვანური ნასესხებ სიტყვებში მას ლაბიალური **ფ** ხშულით ცვლიან. თუ არ ჩავთვლით ათინურ-ართაშენულში **ს**₁-ის {გ} მორფემის ალომორფად **/ფ/**-ს გამოვლენას **ხო-** || **ხტ-** ფუძის შემცველ ზმნურ ფორმებში (მოფთი || მოფტი „მოვედი“, მენდაფთი || მენდაფტი „წავედი, მივედი“) (ჩიქობავა 1935, 15). ეგვეე მოვლენა დასტურდება ვიწურის ზოგ თქმაში. საკუთრივ ლაზურ სიტყვებში (ზოგი თქმისა თუ ქცევისათვის დამახასიათებელი იშვიათი გამონაკლისის გარდა) არა გვაქვს. ამის გამო მას ფონემად არ მიიჩნევენ (უდენტი 1953, 66; კიზირია 1974).

ის, რომ **ფ** მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვაქვს, არ გამოდგება ამ ბგერის არაფონემურობის საბუთად. მართებულად მიუთითებენ, რომ „რამდენადაც უცხო წარმომავლობის სიტყვები (ძირითადად თურქული და ბერძნული) თანამედროვე ჯანური ლექსიკის ორგანულ ნაწილს შეადგენს, სინქრონიული ფონემატური ანალიზისათვის ამ ფორმებს ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საკუთრივ ზანურ და საერთო-ქართველურ ფორმებს“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 55, შენ. 1). ამავე მონოგრაფიაში ეს ბგერა დახასიათებულია როგორც ყრუ ლაბიალური სპირანტი ფონემა: „**/ვ/** განიხილება როგორც მეღერი ლაბიალური სპირანტი, რომელსაც უპირისპირდება ყრუ ლაბიალური **/ფ/** სპირანტი, წარმოდგენილი, როგორც წესი, ნასესხებ სიტყვებში“ (იქვე, გვ. 55).

ლაზურში **ფ**-ს პოზიცია მყარია. მხოლოდ სპორადულად თუ ენაცვლება მას ლაბიალური ხშული **ფ**. გამოქვეყნებულ ტექსტებში დასტურდება ამგვარი შენაცვლებების მაგალითები: **ჰაფთა** < სპ.-თ. **hafta** „კვირა, შვიდეული“ (ყიფ. ჯან. 923), **ტოფელი** < თ. **tüfek**

„თოფი“ (ჩიქ. II, 21₁₉), მარბიფეტი < არ.-თ. marifet „მარიფათი“ (ჩიქ. II, 21₁₉), სინიფი < არ.-თ. snf „კლასი“ (ჩიქ. I, 123₂₈), სუფრა < არ.-თ. sofra „სუფრა“ (ჩიქ. I, 123₂₈) (ჯიქია 1974, 123), ჩიფთი < სპ.-თ. cifte „წყვილი“ (ჩიქ. I, 129₁₁)...

ფ-სა და ფ-ს მონაცვლეობა ზოგჯერ თვით თურქულის ნიადაგზე აიხსნება. ლაზურში დასტურდება როგორც ფაითონი || ფამთონი, ისე ფაითონი || ფამთონი. საქმე ის არის, რომ ფრანგულიდან შესული ეს სიტყვა თურქულშივე ორი ფორმით გვაქვს: fayton || payton (Магазаник 1945, 186, 484).

ზოგ თქმაში შეინიშნება საპირისპირო პროცესიც: ფ იხმარება ისეთ სიტყვებში (ნასესხებში თუ საკუთრივ ლაზურში), რომლებიც სხვა კილოებსა და თქმებში ხშულით არის წარმოდგენილი

მაგ., კანაფის აღმნიშვნელი სიტყვა ლაზურში კერფი || კეფრი || მჭეფრი-ს სახით წარმოითქმის (Март 1910, 154), შდრ. მეგრ. კიფი (Кипшидзе 1914, 259), ხოფური კილოკავის სარფულ თქმაში კი კე(რ)ფი გვაქვს (იხ. ასათ. 161, 100₁₉₅; კარტ. I, 56₃₂, 34).

ჩვეულებრივი ოფუტე ფორმის გვერდით (შდრ.) ზოგიერთი მთქმელის მეტყველებაში დასტურდება ოფუტე (ჩიქ. I, 44₃₆, 101₃, 102₁₄).

თ. kibrit „ასანთი“ ლაზურში ყრუ ხშულით გამოითქმის [შდრ. ათინ-ართაშ. ქილფიტი (ჩიქ. II, 115₁₇), ჩილპიტი (კარტ. II, 172₁₆)], სარფულში კი ფ გვაქვს: ქიფიტი (ჩიქ. I, 112; კარტ. I, 129₁₈; ასათ. 60, 186).

სარფულში ფ გვაქვს ხმაბაძეითაც სიტყვაში ფიოფიო [ასე უწოდებენ ჩიტს, რომელსაც კურკამტახუ „კურკის მტეხელი“ ჰქვია).

1. 2. 3. გლოტალიზებული ველარული სპირანტი. ველარული ყ სპირანტი²³ ლაზურის კილოთაგან მხოლოდ ხოფურ-ჩხალურშია დაცული ხმოვნებისა და ვ, ლ თანხმოვნების წინ²⁴. ყ გვაქვს, აგრეთვე, ჩქამიერი თანხმოვნების მომდევნოდ რამდენიმე სიტყვაში. ისე კი, როგორც წესი, თანხმოვნის მომდევნო ყ, ვიწურ-არქაბულის მსგავსად, ხოფურ-ჩხალურშიც კ-დ არის ქცეული.

ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში ხმოვნების წინ ყ ველარი (ყ საფეხურის გავლით) დაკარგულია ან მ-ით

²³ ყ ფონემის ამგვარი კვალიფიკაციისათვის იხ. გამყრელიძე 2000, 249–256.

²⁴ ლ-ს წინ ყ გვაქვს ყლაპ- (ყლაპუფს „ყლაპავს“), ყლინწ- (ყლინწუფს „ყლუნწავს“), ყლანტ- (დოლოყლანტერი „ღრანტიანი, ოღროწოღრო“) ფუძეებში.

არის შენაცვლებული. თანხმოვნის წინ ვიწურ-არქაბულში ყ > კ [კვალი (< ყვალი) „ყველი“, დოლოკლანტერი (< დოლოყლანტერი) „დრანტიანი, ოდროოროდრო“, ათინურ-ართაშენულში ყ > 0 (ვალი [< ყვალი] „ყველი“). ჩქამიერ თანხმოვანთა შემდეგ ყ ხოფურ-ჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში კ-თი არის ცვლილი, ათინურ-ართაშენულში კი დაკარგულია.

ხოფურის ზოგ თქმაში (კერძოდ, მხიგურში), დასავლური კილოების მსგავსად, გლოტალიზებული ველარული სპირანტის მოშლის პროცესი დასრულებული ჩანს, მაგრამ შედეგი განსხვავებულია: ყ კ-დ არის ქცეული ყოველგვარ პოზიციაში (როგორც თანხმოვნის, ისე ხმოვნის წინაც):

კაფე [< ყაფე] ტახუფს. კაფე – მსხულიში დაღეფე. ბაზიქ ყა უწუმეს, ბაზიქ კა უწუმეს. ჩქინ კაფე ბზოპონთ (კარტ. II, 303¹⁷⁻¹⁸) „ტოტებს ამტერეფს. „კაფე“ – მსხლის ტოტები. ზოგი „ყა“-ს ეძახის, ზოგი „კა“-ს ეძახის. ჩვენ „კაფე“-ს ვამბობთ“; ძაზის ტუსა იკვენ [< იყვენ] დო კიშის კინი [< ყინი] იკვენ. ია ჯუმადიში ბერე შაკვენ [< მაყვენ] (კარტ. II, 303¹⁹) „ზაფხულში ცხელა და ზამთარში ცივა. ის ბიძაშვილად მერგება („მეყვის“)“; ნენას ნენა შოკუფს (< მოყუფს). მუ კვაგინონ [< ყვაგინონ]? (კარტ. II, 303²⁰) „სიტყვას სიტყვა მოჰყევა. რას იზამ (II რა უნდა ქნა)?“; კონიქ კუაფს [< ყურაფს], ჯოლოქთი კუაფს (კარტ. II, 303²¹) „კაცი ყვირის, ძაღლიც ყმუის („ყვირის“)“; კურზენი [< ყურზენი] ჩეთი იკვენ, უჩათი იკვენ, მჭითათი იკვენ (კარტ. II, 303²²) „ყურძენი თეთრიც არის, შავიც არის, წითელიც არის“.

მხიგურის ვითარება მოგვაგონებს სხვა კილოებში დადასტურებულ მოვლენას: დასავლელი ლაზები ქართულად მეტყველები-სას (ან როცა ლაზურში ქართულ სიტყვებს გაურევენ) მათთვის უჩვეულო ყ-ს კ-თი ცვლიან. მაგ.,

მამული კიკილიკი კვირის [= ქართ. ყვირის], კრიამ. ლაჭი კუტავეფე მესუ (მეიკვანა [= ქართ. მოიყვანა], დაკარა [= ქართ. დაყარა] (კარტ. II, 175^{4,5}) „მამალი ყიყლიყოს იძახის („ყვირის“), ყივის. ძაღლმა ლეკვები დაყარა (მოიყვანა, დაყარა)“; შეითანიში ბიგა გუნძე ტუ, [...] ლაზიში მეულე იკო [= ქართ. იყო] (კარტ. II, 180³) „ეშმაკის ჯოხი გრძელი იყო, [-] ლაზისა მოკლე იყო“.

მორფემათა შესაყარზე ფუძისეული ყ ხოფურ-ჩხალურში ცვლილებას არ განიცდის. შდრ.

S₁ ბ- + ყ > პყ:

პყოროფ (ჩიქ. II, 147³⁴) „მიყვარს („ყვეარობ“)“; პყუაფ (ჩიქ. I, 43²⁰; კარტ. II, 52³) „ვიყვირებ“; პყიაფ (კარტ. II, 43⁰) „ყვივი“; პყაზუფ „ეთლი“, მეპყო „გადავღვარე“, პყვარუფ „ეკოლაღ“–

O₁ მ- + ყ > მყ:

მყლ(რ)ოფან (ჩიქ. I, 31¹²; კარტ. I, 28¹⁴) „ეუყვარვართ“.

O₂ გ- + ყ > გყ || კყ:

გყოროფ (ჩიქ. II, 146g) „მიყვარხარ („გყვარობ“); კყოფთ (კარტ. I, 162a) „გეიყვარხარ“.

მიმღეობის მაწარმოებელი მ + ყ > მყ:

ფარა მყოლოფუ [< მყოროფუ] „ფულის მოყვარული“ (ნადარეიშვილი 1962, 178); წკაი მყოლ [< მყორო-უ] „წყელის გადამღვრელი“.

გამონაკლისს შეადგენს ყვ- „ყოფა, ქმნა“ და ყვილ- „კველა“ ფუძეები, რომელთა თავკიდური ყ პირველი სუბიექტური და ობიექტური პირის პრეფიქსების შემდეგ გარკვეულ ცვლილებებს განიცდის: ბ + ყვ > ბ, მ + ყვ > მპ:

ცხენიშ საუბი დოპი [< დო-ბყეი] (კარტ. I, 463) „ცხენის პატრონი გაეხადე“; დულა დოპათ [< დო-ბყეათ] (კარტ. I, 371) „საქმე გავაკეთოთ“; დოპილუფ [< დო-ბყეილუფ] (კარტ. I, 837) „მოკვლავ“; მოთ პილა [< ბყეილა] (კარტ. I, 617) „რატომ მოკვლა“.

რახატსუხი შპაგინონ [< მყევაგინონ] (ჩიქ. I, 7413) „შემაწუხებ („შეწუხებულს მყოფ“); ეა შპილენ [< მყეილერენ] (კარტ. I, 6128) „არ მოუეკლავარ“; შპილასიონ [< მყეილასუნონ] (კარტ. I, 5129) „მოშკლავს“.

რაც შეეხება O₂ გ- || გ-ს, მასთან მეზობლობაში არც ამ ფუძეთა თავკიდური ყ განიცდის რაიმე ცვლილებას. შდრ.

ჩიალი დოფყვა (კარტ. II, 313) „შეგირდად გაგხდი“; დოყვილუფს [< დოყვილუფს] (კარტ. I, 1017) „მოგკლავს“.

ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში ანლაუტის ამოსავალი ყ ხმოვნისწინა პოზიციაში, როგორც ითქვა, 0 | მ-ს გეაძლევს. ყV > მV გადასვლის შემთხვევაში ფუძის თავკიდური მ პირის ნიშნებთან ცვლილებას არ განიცდის [მაგ., ბ-მაზუმ (< ბ-ყაზუმ) „ეთლი“]; თუ ანლაუტის ყ დაკარგულია (ყV > 0V), ბ- და მ- პრეფიქსები ბ- და მპ-ს სახით გვევლინებიან, ისევე როგორც ხოფურ ყვ- „ყოფა“ და ყვილ- „კველა“ ფუძეებში:

პაზუმტი [< ბ-ყაზუმტი] (კარტ. I, 19010) „ეთლიდი“; პორომტი [< ბ-ყორომტი] (ქლ. 146) „გეიყვარდა, ვყვარობდი“; შპორომს [< მ-ყორომს] (კარტ. II, 12218) „ვეყვარვარ, მყვარობს“.

ეგეთივე ვითარება გეაქვს ხოფ. ყვ- და ყვილ-ის შესაბამის გ- (ვიწ.-არქ.) || 0- (ათინ.-ართაშ.) და ილ- ფუძეებშიც²⁵. მაგ.,

²⁵ ყვ- და ყვილ- ფუძეების ამგვარი (ე. ი. ყV დასაწყისის მქონე ფუძეების ანალოგიური) ქცევა ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში ადვილად აიხსნება, თუ გაეთვალისწინებთ, რომ ამ კილოებში ილ- „კველა“ ფუძის ამოსავალ ფორმად *ყილ- იგულისხმება (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში ველარულ თანხმოვნებთან მომდევნო მ-ს მეზობლობაში ჯ ლაბიალი იკარგება). რაც შეეხება ყვ- „ყოფა“ ფუძეს, ისტორიულად ყ აქ ხმოვნისწინა პოზიციაში იღვა (იხ. გვ. 29-30).

მა პი (კარტ. II, 137₁₅) „მე გაეაკეთე“; პისტერი მუთხანეფე პათუ (კარტ. II, 177₁₇) „ისეთი რაღაცები ექნათ (გაეაკეთათ)“; ეწაზღუ ლიევი დო: „პილაეა“-შა, ქოგაშინუ საიბი-მუშიშ ნენა (კარტ. I, 186₂₁) „ასწია დამბაჩა და, „მოუკლაიო“ [რომ იფიქრა], გაახსენდა თავისი პატრონის სიტყვა“; კო მო მპილოშთ დო მუნთხა გინონან, მახეეწითა! (კარტ. I, 199₂₉) „ოლონდ ნუ მომკლავთ და, რაც გინდათ, მთხოვეთო!“; აშქუინეს, დოშპილანორენია დო (კარტ. I, 199₂₆) „შეეშინდათ, დაგეხოცავენო“; შამპილუ [\leftarrow *მა-მ-ცილ-უ < *მა-მ-ყვილ-უ] „მკელელი“ (ჟღენტი 1938, 192).

მყ > მპ გადასვლა შედეგია პროგრესული ასიმილაციისა წარმოების ადგილის მიხედვით²⁶; ბყ > პ გადასვლა კი ასე უნდა მომხდარიყო: ბყ > პყ (რეგრესული ასიმილაციური დაყრუება) > პპ (პროგრესული ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით) > პ (ორი იდენტური თანხმოვნის შერწყმა)²⁷. გარდამავალი პპ საფეხური დასტურდება ზოგი არქაბელის მეტყველებაში:

²⁶ მყ > მპ გადასვლისათვის ფუძის შიგნით შდრ. *მყონ- > მპონ- „მყნობა“ (მაჭავარიანი 1958, 267) და *მყეჯი > *მპეჯი > პეჯი „სქელი“ (კარტოზია 1986, 8-10; იხ. აქვე, გვ. 201-202).

²⁷ ლიტერატურაში რიგი უმართებულო ცნობაა შემოთავაზებული ყ-ს რეფლექსების შესახებ. არ არის სწორი, თითქოს „პ-ს შემდეგ ყ-დ იქცევა [...]: პკოროფ (ხოფ.), პკორომ (ვიწ-არქ) – მიყვარს, „ყეყარობ“ (ჩიქობავა 1936, 18). პყ კომპლექსი ხოფურში, როგორც წესი, ცვლილებას არ განიცდის. პკოროფ მხოლოდ მხიგურში შეგეხვდება, მაგრამ მხიგურის თავისებურება ციტირებულ ფრაზაში ნამდვილად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული (ეს თავისებურება ადრე ფიქსირებული არ ყოფილა). ვიწურ-არქაბულში პკორომ კი არა, პორომ | პპორომ გეაქვს. მართალია, ნ. მარი პორომ | პპორომ ფორმათა გვერდით პკორომ-საც ასახელებს, მაგრამ კ თანხმოვანს მესამე პირის ფორმაშიც უჩვენებს: „ფუჯი ხოჯი კორომს კოროვა იყეტ ნყკა“ (Март 1910, 204). როგორც ჩანს, ყო-ფუძესთან ნ. მარს შეცდომით შეტანილი აქვს სხვა ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები. კო- იგივე უნდა იყოს, რაც გო- „მებნა“, რომელსაც ვიწურსა და ათინურ-ართამენულში „ნდომის“ მნიშვნელობა აქვს. შდრ. ათინ. ფუჯი ხოჯი გორომ [\leftarrow გორუმ] (კარტ. II, 204₁₆) „ძროხას ხარი უნდა“.

სრულიად გაუგებარია ამგვარი განცხადების საფუძველიც: „ვიწ. არქ. პკორომ | კორომ < *პკორომ < ბკორომ „მიყვარს“. ყ-ს შემდგომმა ევოლუციამ სრულიად შეცვალა ამ ფონემის შემცველ პარმონიულ კომპლექსთა სტრუქტურა. ისტორიულად *პყ > პყ > კ. საინტერესოა, რომ მეორე კომპონენტი კი არ იკარგება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო (შდრ. ათინური წარი < წკარი < *წკარი „წყალი“), არამედ პირველი – ბაგისმიერი“ (ქუთელია 1986, 52). პკორომ ფორმის შესახებ აღარას ვიტყვი (ზემოთ ვილაპარაკე), რაც შეეხება კორომ ფორმას („მიყვარს“ ზმნის მნიშვნელობით), ლაზურში ის არ არსებობს.

მეტად უცნაურია ეს ცნობაც: „ათინურ კილოკავში მაგალითად აორისტის ფორმა შეიცავს მხოლოდ ერთ ფონემას: მ (< პი < პყი) „გაეაკეთე“, შდრ. ხოფ. პი (< პყი < პყი)“ (ქუთელია 1980, 106). შეუძლებელია არსებობდეს

დუშმანეფეთი ჩქვა ვა პპილომ (კარტ. II, 266₂₇) „მტრებსაც აღარ ეხოცავ (დაეხოცავ)“; დოპპილომ პე აბრეკეფე (კარტ. I, 186₁₃) „დაეხოცე ის აბრაგები“; ხეფე ქოკომიწკი დო დოპპილომ პემთეფე (კარტ. I, 186₁₁) „ხელეები გამისხენი და იმათ დაეხოცავე“; პემუს იიიშენ ჩქუ პპორომთ (კარტ. II, 265₃₂) „ჩვენ ის ყველაზე უფრო გეიყვარს“.

შდრ. O₂ გ-სა და ფუძისეული ყ-ს შეერთებით მიღებული კკ მიმდევრობა არქაბულში:

მა პაწი თქვა სუბითი დოკეილომთია! (კარტ. I, 171₁₉) „მე ახლა თქვენ სამივეს დაეხოცავთო!“; მო მემობუ, ვანა კეილაიფია! (კარტ. I, 170₁₉) „ნუ მენხუბები, თორემ მოგკლავო“; მა სი კეორომ დიდო-დიდო (კარტ. II, 259₂₄) „მე შენ ძალიან-ძალიან მიყვარხარ“; სი მუ კეორომზია, ბადი კოჩიზია! (კარტ. II, 122₁₉) „შენ რას გეყვარობსო, ბერიკაცსო“.

რასაკვირველია, ამის პარალელურად გვაქვს ცალი გ-ც:

მუთეფექ-თი იბგარეს, სი მუჭო კილით-მა დო (ჩიქ. II, 78₁₃) „თვითონაც იტირეს, შენ როგორ მოგკალითო“; კარაბალუდი მიღეთი მულუნ სქანიშენი – სი კილანენ-მა (ჩიქ. II, 99₁₆) „უამრავი ხალხი მოდის შენ გამო („შენთვის“), შენ უნდა მოგკლანო“.

ფუძისეული ჩქამიერი თანხმონის მომდევნო ყ მთელს ლაზურში ვერ ძლებს. ხოფურ-ჩხალურსა და ეიწურ-არქაბულში ამოსავალი ტყ, წყ, ჭყ კომპლექსები ტა, წა, ჭა-დ არის ცვლილი, ათინურ-ართაშენულში კი კომპლექსები გამარტივებულია მეორე წვერის დაკარგვით.

ამასთან, ნ. მარმა შენიშნა ყ-ს შემცველი კომპლექსების ხმარების რამდენიმე შემთხვევა ხოფურში:

ტყუბო „ტყუპი“, წყენ- „წყენა“, ჭინჭყვალა „ნაწლაგები; აურზაური, ღრიანცელი (ბავშვებისა)“, ჭოჭყოფი „ჭოჭყი, ჭანჭრობი“, ჭყინტი „ჭყინტი სიმინდი“ (Mapp 1910, XX, 191, 222–223, 225, 227, 228).

ნ. ქუთელიამ ახალი მაგალითები გამოავლინა:

ხაპყარი „ხაპყარი, კუტი“, ტიტყლო „ძალიან თხელი და ძალიან გაცვეთილი“, ტყლიპ- „ტლეკა“, ტყლიპ- „ტყყპა“, ტატყალ- „თუხთუხი“, წყყ-წყყენ- „შეწყობა“, წყაპ- „შხეფა“, ჭი(ნ)ჭყიპი „ერთგვარი ჩიტი“, ჭყიპ- „ჭეჭყვა“, ჭყაპი „ჩიელი, უმწიფარი“ (ქუთელია 1986, 52–58).

ტყ, წყ და ჭყ კომპლექსებიანი სიტყვების სია შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. სარფულში დასტურდება:

ტყა-ტყა „თუხთუხის გამომხატველი ხმაბაძვითი სიტყვა“ (კარტ. I, 15), ჟატყუშე „ქალის სახელი“ (კარტ. I, 62₄...), ტატყ- (ტატყუფს „ტიტყნის, თითხნის“, ტატყულერი „შეტიტყნის, შეთითხნის“), ტყაპალ- (იტყაპალს „ჭყუმპალაობს“,

სრულმნიშვნელობიანი დამოუკიდებელი სიტყვა (არა ენკლიტიკა), რომელიც შეიცავს ერთადერთ ნახევარხმოვანს. არც არსებობს! ათინურშიც პი ფორმა გვაქვს, ისევე როგორც ლაზურის სხვა კილოებში.

ოტყაპალუ „ტყუმპალაობა“), ტყყინ- (ტყყინს „ტიტყინებს“), ტყიპინ- (ტყიპინს „ტყიპინებს“), ტყფორ- (ტყფიფორს „ტყიფორს, ტყფორის“; ოტყფიფორ „ტყიფიფორი, ტყფიფორი“), რიფყი „საზრდო“²⁸, დიტყფიფორ „ტინტარო“²⁹.

მართებულა მოსაზრება, რომ ხოფურ-ჩხალურის ზოგ სიტყვაში გამოვლენილი ტყ, წყ, ტყ კომპლექსები მეორეულია და მათი გაჩენა ქართულისა და მეგრულის გაელენას უნდა მიეწეროს (Mapp 1910, XX; ჩიქობაია 1938, 90, 143–144)³⁰. მართლაც, უმრავლესობა სიტყვებისა, სადაც ეს კომპლექსები გვაქვს (საპყარი, ტყუბი, წყენ-, წყფ-, ტყინტი, ტყაპი, ტყიპ-, ტყიპინ-, ტიტყინ-, ტოტყფორი, ტყფორ-), ლაზურს ქართულთან და მეგრულთან საერთო აქვს. ორიოდ შემთხვევაში, სადაც ქართულიდან და მეგრულიდან სესხება გამოირიცხებულა (რიფყი, დიტყფიფორი), ამ კომპლექსების მეორეულობა ეტყვს არ იწვევს: აშკარაა, რომ საქმე გვაქვს კომპლექსებში კ-ს ყ-თი შენაცვლებასთან. შდრ. ტკ/ტყ, წკ/წყ, ტკ/ტყ მონაცვლეობა ქართულში: ტკბილი/ტყბილი, ბუწკი/ბუწყი „დაბალი ჩირგვი“, ბაწკი/ბაწყი „სუსტი ძაფი“, წკეპლა/წყეპლა, ნაბერწკალი/ ნაბერწყალი (ქლენტი 1956, 121), წკანწკარა/წყანწყარა „ბოლოქანქარა“, ტკუტა „პანტა, მაჟალო“/ტყუტა „უხეირო, მჟაფე (ხილი)“ (ქეგლ, VIII 1964, 1147, 1205, 1278, 1308), წკნარ-წყნარ- (იმნაიშვილი 1974, 161).

ველარული კ ხშულის ყ სპირანტიტ შეცვლა სხვა შემთხვევებშიც იჩენს თავს. თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში უკანა რიგის ხმოვანთა წინ მდგომი კ ლაზურში კ-თი გადმოიცემა. ხოფურში მოსალოდნელი კ-ს ნაცვლად ზოგჯერ ყ გვაქვს მაგ.,

ყამეთი [< არ.-თ. kyamet] (კარტ. I, 146_{30.33(3)}) „მეორედ მოსვლა, ქვეყნის დასასრული“; ყინი [< თ. kayn] (კარტ. I, 72₂₀) „მაზლი“; ყუფეთი [< არ.-თ. kuvvet] (ყიფ. ტან. 13₂) „ძალა“; ყაფრანი [< თ. kovan] (ყიფ. დამ. 9, II) „სკა“.

²⁸ არ.-თ. rick-იდან მომდინარე ეს სიტყვა რიფკი (ჩიქ. I, 19₁₉) და რიფკი (კარტ. I, 19₁₀) ფორმითაც იხმარება.

²⁹ ამის პარალელურად (და უფრო ფართოდ) გამოიყენება ქართ. ჯინტარ- /ჯინტარ- ფუძის ზუსტი ლაზური შესატყვისი დიტიტიფორი. ვარიანტული დიტიტიფორი ფორმისათვის იხ. მაყაშვილი 1961, 149.

³⁰ საწინააღმდეგო თვალსაზრისისათვის (ყ-ს შემცველი კომპლექსები ლაზურს აღარ ახასიათებს და მხოლოდ ხოფურში შემორჩა ზოგიერთ ფუძეს) იხ. ქუთელია 1986, 53–54.

ჩვეულებრივ, გავრცელებულია: კიამეთი | კიამეთი, კაინი, კუვეთი, კავანი | კავრანი | კარვანი. ეჭვი არ არის, აღნიშნულ სიტყვათა კ-ს ყ-თი შენაცვლების სპორადულ შემთხვევებში ქართული ენის (კერძოდ, მისი აჭარული და იმერხეული კილოების) გავლენის შედეგი უნდა დავინახოთ. ქართული, როგორც ცნობილია, ამ რიგის სიტყვებში ყ-ს იყენებს. შდრ. ყიამეთი, ყუათი, იმერხ. ყოვანი „სკა“ (დიალექტოლოგია 1961, 655).

1. 2. 4. ღარინგალური ხშულის საკითხი ღაზურში. ზანურ ენებში საერთო-ქართველური ველარული ყ სპირანტის გამოყენების არე მეტად შეზღუდულია: მეგრულში სიტყვათა განსაზღვრულ რაოდენობაში გვხვდება, ძირითადად კი ღარინგალური ხშულით არის შენაცვლებული (ქორთფა „სიყვარული“, ცუჯი „ყური“, ციანს „ყივის“; ცვალი „ყველი“...); ღაზურის დიალექტთაგან ყ მხოლოდ ხოფურ-ჩხალურშია დაცული ხმოვნებისა და გ, ღ თანხმოვანთა წინ, დასავლურ დიალექტებში კი დაკარგულია (ან ძ-ით არის შენაცვლებული).

6. მარს ღაზურის ბგერათა შორის ელიფი (ფ) კი აქვს შეტანილი, მაგრამ, ამასთან, მიუთითებს მის მეტად შეზღუდულ გამოყენებაზე: „Из согласных чанский имеет подобно мингрельскому в качестве излишка элиф – ф, ослабление твердого согласного (древне-араб. ‘айн’³¹), но в чанском он представлен весьма слабо – лишь диалектически (говор V [= вицский – г. კ.]“ (Март 1910, 1). მართლაც, ქრესტომათიაში დაბეჭდილ ტექსტებში ელიფი მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული თურქულიდან შემოსულ არაბულ სიტყვაში ‘ამნის გადმოსაცემად: შეჯარიფი „მეცნიერება, ცოდნა“ (Март 1910, 109₁₉), ლექსიკონში კი ფ ასოზე მხოლოდ ოთხი ლექსიკური ერთეული აქვს შეტანილი. აქედან სამი (ციინი „ცივი“, ცონა „ყანა“, ცურ „ყვირილი“) დასავლური ღაზურის ყ-დაკარგული ფორმების პარალელურ ვარიანტებს წარმოადგენს, მეოთხე კი შორისდებულია: ცაა, რომელშიც ფ ხმოვნის მაგარი შემართვაა. ამ შორისდებულის ძირითად ფორმად ავტორს აა აქვს მითითებული და ათინურში დადასტურებულ ელიფიან ფორმას ანალოგს უძებნის ქართულ დიალექტებში: „აа междуом. нет; я слышал в А (= атинском): цаа (-рх, -х). Такое отрицательное между-

³¹ ტექსტში თავად არაბული გრაფემაა და არა მისი სახელწოდება.

მეტიე ვსტრეჩაეტსა ი ვ კარტსკიხ გოვორაჲ, კაკ ნაჲრ. ვ გურიისკომ, გდე ონო ვზუჩიტ ქა!“ (მარჲ 1910, 125).

ხოფურ-ჩხალური ყ ველარის ადგილას ხმოვნის წინ დასაველურ ლაზურ ფორმებში, როგორც წესი, არაფერს სვამენ ი. ყიფშიძე და ჟ. დიუმეზილიც. გამონაკლისებს (ე. ი. დასუსტებული ყ-ს ნაცვლად ც გრაფემის ან აპოსტროფის დასმას) მათს ტექსტებში სპორადულად თუ ვადასტურებთ. მაგ.,

დომაგლოროფუდორენ „შევევარებივარ“ (ყიფ. ჭან. 3128); ცონა „ყანა“ (ყიფ. ჭან. 6819); ცუჯიკალა „ყურთან“ (ყიფ. ჭან. 6821); ცინო „ცივი“ (ყიფ. ჭან. 7010); ოჭრუ „ყვირილი“ (დიუმ. I, 125^ა(2), 13).

ა. ჩიქობავა კი ხოფურის ყ ველარის ადგილას ხმოვანთა წინ დასაველურ ლაზურში ლარინგალური ც-ს არსებობას ვარაუდობდა, რომელსაც ზოგიერთ ფუძეში შეიძლება ი ენაცვლებოდეს (უფრო ათინურ-ართაშენულში).

წარმოების ადგილის მიხედვით თანხმოვანთა ჯგუფებში მკვლევარს ყელისმიერები – ც, ჰ – აქვს მითითებული (ჩიქობავა 1936, 14). მისი სიტყვით, ყელისმიერი ც „ვიწურ-არქაბულშია ჩვეულებრივი, ნაკლებ ხშირია ათინურში, სრულებით უცხოა ხოფურისათვის: ხოფურში მის ადგილას ყ გვაქვს: ხოფ. ყუჯი – ვიწ-არქ. ცუჯი! ყური... ც-ბგერა მეგრულშიაც გვაქვს; ის ქართული ყ-ს ადგილს იჭერს სწორედ ისეთსავე პირობებში, როგორშიაც მას ვიწურ-არქაბულში ვხვდებით“ (ჩიქობავა 1936, 15).

ა. ჩიქობავას საეჭვოდ მიაჩნდა ხმოვნის წინ მდგომი ყ-ს პირველადობა ხოფურში. მისი აზრით, ისტორიულად „ხოფური ვიწურ-არქაბულისა და მეგრულის მსგავსად ხმოვნის წინ ყ-ს ცვლიდა ც-თი... შემდეგ ქართულის გავლენით ყ დამკვიდრდა, მაგრამ ზოგან გარჩა წინანდელი ც“ (ჩიქობავა 1938, 47–48). ძველი ვითარების ნაშთად მიაჩნდა მკვლევარს სარფულში ხმარებული ცუჯი „ბოლო“. მისი აზრით, ეს არის იგივე ყუჯი „ყური“ სიტყვა: „გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას ხოფურშიც ცუჯი-გვაქვს: ჯა ქამეკვათუფან... ცუჯიკელე ქაეშახუტონუფან... ცუჯიკალა-თი ჯა ქოდოდუმელან I 137¹³ ხეს გაჭრიან... „ყურისაკენ“ ამოჭრიან (ჩაალრმავებენ)– „ყურთან“ ხეს დადებენ... სუმი ჭინო ენ: ართის თუდენი უწუმელან; ოკულე შქა-გუიში ქოგაჲუკიდაფან, ცუჯის-თი ყომუიში ქოგაჲუკიდაფან... ნოკეფე ცუჯის ქოგაჲულუმელან, ნოკეფეში ცუჯის-თი ღაფეი მეტაქსი ქოგაჲულუმელან I 150³⁶ სამი წნელია: ერთს ქვედას ეტყვიან; მერე შუათანას („შუაგულისას“)

მიაკრავენ; ბოლოს („ყურზე“) ტყემლისას მიაკრავენ... ბოლოში („ყურზე“) ძაფებს მიაბამენ, ძაფების ბოლოშიც („ყურშიც“) შედე-
ბილი აბრეშუმის ძაფს მიაკრავენ... ამ ცუჯის ხმარება გვაფიქ-
რებინებს, რომ ხოფურში ცუჯ-ი იხმარებოდა საერთოდ (და
არა ყუჯი, როგორც ეს ახლათ)“ (ჩიქობავა 1938, 47).

ცუჯი სიტყვის წარმომავლობის ამგვარი ახსნის გაზიარება
გაჭირდება. საინტერესოა ამ საკითხზე ა. ჩიქობავას ერთ-ერთი
სარფელი ინფორმატორის ახმედ თანთოდლის (თანდილაეას)
აზრი. ამის თაობაზე ა. ჩიქობავა შენიშნავდა: „ახმედი მარწმუნებს
„უჯი“ უნდა, თურქულიაო. მის ნათქვამშიც კი ც იხმის, თუმცა
სუსტი“ (ჩიქობავა 1929, 146 [შენ.]).

მართლაც, „ბოლოს, წვერის“ მნიშვნელობით ხოფურ-ჩხალურ-
ში, ისევე როგორც ლაზურის სხვა კილოებში, **უჯი** იხმარება.
მაგ.,

ტარადი ჩელიღიში იქიფან, არ **უჯი** მწკილი უღუნ, მაქუა **უჯი** –
ფართო, ჟუთი მჭკიულა (კარტ. II, 61_{კ-38}) „საკოდელს ფოლადისას აკეთებენ,
ერთი ბოლო წვეტიანი აქვს, მეორე ბოლო – ფართო, ორივე მჭრელი; ართელი
ქურჭი, კათთა თომას **უჯის** თითო ოღრანწკილონი უღუტასინონ (კარტ. I, 25₁₁)
„ერთი ქურჭი, თითოეული თმის ბოლოს თითო ეკვანი უნდა ჰქონდეს“;
ქიმოლი-მუშიქ თოკი გიძულუ შქას ელო მენდოჩქუ, თოკიშ **უჯი** მუს უღუტუ
(კარტ. I, 92₂₂) „მისმა ქმარმა თოკი შეაბა წელზე, პოდა გაგზავნა, თოკის
ბოლო თავად მას ჰქონდა“; გზაშ ორთას არ დიდი ქუთულის ართეი ხოჯი
არ **უჯის** ქონუკით, მაქუანი – მაქუანი **უჯის** (კარტ. I, 11₁₇₋₁₈) „შუაგზაზე ერთ
დიდ კუნძს ერთი ხარი ერთ ბოლოზე მოუბით, მეორე – მეორე ბოლოზე“;
პარუნიქ სკელე პიკო ქოლოდგინევენ დო, ფათიშაი ნა ძიუ, ემედენი სკელეს
ქუნკაპუ ზინი **უჯიშა** (კარტ. I, 114₃₆) „პარუნს კიბე ვერტიკალურად დაუდგამს
და, ხელმწიფე რომ დაინახა, მაშინვე კიბეზე შეხტა ზემო ბოლოსკენ“.

შდრ. არქაბულთ:

ფადიშაიქ ქოგაიკენუ ჰე **უჯის** (კარტ. I, 169₇) „ხელმწიფე დასწვდა იმ
ბოლოს“; ოროღანიშ **უჯის** ქოგაიკენს (კარტ. II, 127₁₈) „საბნის ბოლოს
დასწვდნენ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ხოფურ
ტექსტებშიც დასტურდება **უჯი** (და არა ცუჯი) ფორმა:

ნოკეფეში **უჯი** ბიგას ქოგიულუმელან (ჩიქ. I, 154₁₄) „აფის ბოლოს ჯოხს
მიაბამენ“.

უჯი „ბოლო, წვერი“ და **ყუჯი** „ყური“ სხვადასხვა სიტყვაა.
უჯი, მართლაც, იგივე უნდა იყოს, რაც თურქული აც (ucu)
„ბოლო, წვერი, კიდე“³².

³² რასაკვირველია, თეორიულად არ არის გამორიცხული საპირისპირო

ხოფურში ყ ველარის პირველადობა საეჭვო არ უნდა იყოს, ისევე როგორც დავას არ უნდა იწვევდეს დასავლურ ლაზურში ყ-ს ჯერ ყ ლარინგალად ცვლა და შემდეგ უკეალოდ დაკარგვა.³³

ყ ლარინგალის მიჩნევა ყ-ს რეფლექსად დასავლურ ლაზურში (ანუ ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულ ტექსტებში ხმოვნის წინ დაკარგული ყ-ს ადგილას ყ გრაფემის წარმოდგენა) რეალურ ვითარებას არ ასახავს. ხმოვანი, რომლის წინაც ისტორიულად ყ ველარია დაკარგული, დღეს ფონოლოგიურად არ განსხვავდება სხვა ხმოვნებისაგან. თვით ხმოვნები კილოკაურად განსხვავებული (უფრო სწორად, თქმებისა თუ ქცევების მიხედვით განსხვავებული) რაგვარობისა ჩანს ლაზურში, სახელდობრ, მაგარი შემართვის მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხასიათდებიან: ზოგ თქმაში (ქცევაში) მაგარი შემართვა ძნელად აღსაქმელია, ზოგში კი – ადვილად შესამჩნევი. და მაგარი შემართვის ეს რაგვარობა, ვფიქრობ, ერთი და იმავე თქმის (ქცევის) ფარგლებში ერთნაირია სხვადასხვა წარმოშობის ხმოვნებში. ეს კარგად ჩანს ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში, რომლებიც ა. ჩიქობავამ დაბეჭდა (ჩიქობავა 1936, 118–138). ამ ტექსტებში ხმოვნები მაგარშემართვიანია სულ სხვადასხვა მორფოლოგიური ჯგუფისა და წარმომავლობის სიტყვებში. შდრ.³⁴

A. ანლაუტში

ა) სიტყვები, რომლებშიც საერთო-ზანური ყ ფონემაა დაკარგული:

ვითარების დაშვება: თურქულის მიერ ლაზური სიტყვის სესხება (ე. ი. თურქული **uc** სიტყვის ლაზური ყუჯი | უჯი-საგან მომდინარეობა). ნ. მარი მართებულად მიუთითებდა, რომ «не всегда общие чанскому и турецкому слова представляют заимствования из турецкого в чанский» (Март 1910, XIII). მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თურქულიდან ნასესხობა ეჭვს არ იწვევს: **uc** სიტყვა თურქული ენის უქველესი კუთვნილებაა, იგი დადასტურებულია მე-8 საუკუნის დასაწყისის ერთ წარწერაში, რომელიც დღევანდელი მონღოლეთის ტერიტორიაზეა შესრულებული (იხ. Др.-тюрк. сл. 1969, 603).

³³ ერთ შემთხვევაში ყ > ყ > 0 პროცესი რეალიზებულია ხოფურ-ჩხალურშიც, მეგრულშიც, ე. ი. ორივე ზანურ ენაში. იგულისხმება ქართ. ყოველ-ყოველ- ფუძის შესატყვისად **იღ**- ფორმის არსებობა ლაზურსა და მეგრულში (იხ. გიგინეიშვილი 1984, 40–41; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 542).

³⁴ მაგალითები ს. ჯიქიას ტექსტებიდან, სხვა დამოწმებულთაგან განსხვავებით, გამოცემის შემოკლებული სახელწოდების (ჩიქ. II) გარეშეა მოყვანილი.

სუ „ყო, ქნა“ 123₂₅; წასენ „იზამს“ 125₃₁; წანენ „იზამენ“ 136₁₁; ცვი „ყვეს, ქნეს“ 124₃; ცილასერთუ „უნდა მოეკლა“ 132₁₆; ცურზენი „ყურძენი“ 131₁₆; 132₃.

ბ) თურქულიდან ნასესხები სიტყვები:

ცადრესი (< adres) „მისამართი“ 136₂₀; ცაეიშაე (< av „ნადირობა“) „სანადიროდ; ნადირობიდან“ 122₃ უ; 121₃₄; 122₂₄; ცაეჯილუღიშა (< avcilik „ნადირობა“) „სანადიროდ“ 119₂₁; ცაკშამი (< akam) „სალამო“ 127₃₃; ცამა (< ama) „მაგარამ“ 128₁₀; ცამან (< aman) „ოჰ! ღმერთო!“ 137₂₀; ცამანი „id.“ 125₂₃; ცართუქ (< artik) „ბოლოს“ 129₆; 135₇; ცასქერეფე (< asker) „ჯარი“ 138₁₃; ცე (< თ. e) „ჰე! ჰეი!“ 118₆; 119₉; 120₁₈; ცეო, ვახ(ი) (< თ. cyvah) „ეჰ! ოჰ! ოჰ-ოჰ! ღმერთო ჩემო!“ 120₃₃; 122₁₅; 123₃₁; ცეგერ, ცეგერე (< cer) „თუ“ 126₁₀; 132₃₃; 128₁₅; ცეველი (< evvel, evel) „წინათ“ 120₁₅ (იხ. შემინ. შეცთ., გვ. 152); ცევედი (< ivedi, evedi) „სასწრაფოდ“ 124₁; ცეველადი [< evlât (d)] „შვილი“ 135₆; ცემუჯა (< amca) „ბიძა (მამის ძმა)“ 131₁₅; ცენ (< en) უკაჩხე „სულ ბოლოს, ყველაზე ბოლოს“ 132₇; ცენ წულუტა „ყველაზე პატარა“ 136₃; ცესეთი (< essah „ნამდვილად, მართლა“) „მართლაც“ 133₃₁; ცეფეი (< epey) „გეგრიანად“ 129₂; ცეჰალე (< ahali, ehali) „მაცხოვრებლები; ხალხი“ 123₁₈; ცერმადი [< rmak (i)] „მდინარე“ 119₂₁, 2. 23; ცილა (< illâ) „აუცილებლად“ 122₃₃; ოდა (< oda) „ოთახი“ 125₂₈; ცორთა (< orta) „შუა“ 134₃₃; ცორთუქ (< örtük) „ფარულად“ 127₃₄.

გ) საკუთრივ ლაზური (არანასესხები) სიტყვები, რომლებშიც ყ არ ივარაუდება დაკარგულად:

ცარ „ერთი“ 118₁, 2. 7; 119₁, 3. 15. 20; ცართ „id.“ 124₁₁; ცა „id.“ 118₂₇; 119₆, 8. 24; ცანდლა „ერთ დღეს“ 119₂₃; 125₁; ცამსიქა [< არ მციქა] „ცოტა“ 129₆; ცაში „ექვსი“ 138₂₀; ცეჩ „ოცი“ 138₂₂; ცილი „წადი“ 118₂₃; 120₆; ციღუ „წავიდა“ 118₁₅; 119₂₀; ციდასენ „წავა“ 123₂₄, 34; ციტუ-შა „რომ მიდიოდა“ 119₂₃; 123₃₃; ცითე-შა „რომ მიდიოდნენ“ 119₁, 8. 20; 120₂; ცირი, ცირრი „ყოველი, ყველა“ 130₄; 119₁₈; ციხი „ქარი“ 132₂₁, 29. 20; ცოვრო „რეა“ 138₂₀; ცორა „დრო“ 126₁₁; 127₁₂; ცორდო „მაღლე“ 126₃₁; ცოშ(ი) „ასი“ 138₃₃; 120₂₀; ცოშეური „ეაშლი“ 130₁₁; ნანა ცოცხე „დედინაცვალი“ 124₃₃; ცუბა „უბე“ 130₃₃; ცუკულე „შემდეგ“ 127₃₃; ცულუნ(უ) „მიდის“ 123₂₄; 120₂; ცულვან „მიდიან“ 124₂₄; 134₃₀; ცულურთუ „მიდიოდა“ 123₂₀.

დ) ოდენხმოენიანი ან ხმოენით დაწყებული პრევერების (ე- „ა-“, ო- „და-, შე-“, ამა- „შე-“, ელა- „ა-, ამო-“, ოგო- „შე-“) მქონე ზმნები:

ცეზღუ „აიღო“ 134₃₄; ცეგაზდასინ „ასწევ“ 122₂₃; ცემაზდენ „აეწევ“ 122₂₃; ცეისელუ „ადგა“ 123₃₃; ცემსელეს „ადგენ“ 125₁₅; ცეფუთხუ „აფრინდა“ 136₂₆; ცეფუთხეს „აფრინდნენ“ 135₂₀; ცეფუთხარე „აფრინდები“ 136₁₅; ცეჭოფუ „აიყვანა“ 134₃; ცეპოფათენ „ავიღებთ“ 126₁₁; ცოშუ „დალია, შესვა“ 123₂₃; ცომჭოფუ „დამიჭირა“ 136₆; ცამიტუ-შა „რომ შედიოდა“ 122₂₁, 26; ცამიტა-შა „როცა შევა“ 122₁₇; ცამიდუმტუ-შა „რომ იღებდა“ 122₃₄; ცამულუნ „შედის“ 125₂₈; ცელეოწუ „დააძრო, ამოიღო“ 122₃₆; ცელიწუ „იღ.“ 127₁₅; ცოკიკათეს „შეიყარნენ, შეგროვდნენ“ 133₇.

ე) პრეფიქსული ხმოენით დაწყებული ზმნები და სახელზმნები:

ცაზირენ „ხედავს („ხედება“)“ 125₉; ცაზირუ „დაინახა“ 138₇; ცანჭუ „მოუწია, ერგო“ 123₁₃; ცახენენ „შეუძლია გააკეთოს“ 133₃₆; 137₁₁; ციბგას „ტირის“ 125₂₈; ციბგანა „ტირთან“ 123₁₀; ციბგარუ „ტირია“ 124₁₇; 35; ციკითხუ „იკითხა“ 123₁₀; ციღუშუნუ „იფიქრა“ 123₂₇₍₂₎; ციფშუ „აივსო“ 130₃₅; ციქუმს „იქმს, შერება“ 127₃₄; ციჩინარტუ „(შე)იცივობდი“ 136₁₂; ციშირთუ „ცურაყდა“ 138₂₂; ციშირი „იციურავე“ 138₂₁; ციმტუ „გაიქცა“ 120₁₀; 130₃₆; ციგზალუ „წავიდა“ 120₂₆; 135₁₂; ცორე „ხარ“ 118₂₅; ცორერთ „ხართ“ 132₃₅; ცონ, ცონუ „არის“ 120₁₆; 28; 122₇; 22; 129₃₁; ცონან „არიან“ 124₁; ცორთუ „იყო“ 118₂₉; 128₆; ცორთეს „იყენენ“ 124₁₀; ცოგნამს „იგებს, ესმის“ 122₁₆; ცოგნუ „გაიგო“ 125₄; ვარ ცოგნა-შა „სანამ არ გაიგებს“ 127₁₀; ობგარინუ „ატირა“ 124₂₀; ცორდითი „გაზარდეთ“ 125₂₅; ცოწედუ „შეხედა“ 134₃₅; ცობგარუ „ტირილი“ 125₂₇; ცობირუ „თამაში“ 121₃₂; 134₈; ცოზიტუ „ლაპარაკი“ 125₁₉; ცომბონუშა „დასაბანად“ 127₂₄; ცორდუშენი „გასაზრდელად“ 124₁₅; ცუნტალო „გაურია“ 128₁₄; ცუოხუ „დაუძახა“ 129₂₁; 134₆; ვარ ცუშეურტეს „არ იცოდნენ“ 137₂₄.

ბ. ინლაუტში:

ა) თურქულიდან შემოსული არაბული წარმომავლობის ('ადნიანი) სიტყვა:

საყეთი (< არ.-თ. saat) „საათი“ 134₉; 18. შდრ. მეყაროჟი (< არ.-თ. maarif) „მეცნიერება, ცოდნა“ (Mapp 1910, 167).

ბ) სიტყვები, რომლებშიც საერთო-ზანური ყ ველარი დაკარგულია:

დოყუ „ყო, ქნა“ 119₂; დიყუ „გახდა“ 121₂₃₍₂₎; ქომიყონუნუ „მყავს“ 119₁₀; ქუყონურთუ „მყავდა“ 124₉; გიყონარე „წავიყვან“ 122₂₄; მოიყონუ „მოიყვანა“ 121₃₄; მენდეყონუ „წავყვა“ 129₂₅; დოყილუ „მოკლა“ 122₃₀; ოყილუშა „მოსაკლავად“ 132₁₆.

გ) ინტერეოკალურ პოზიციაში ჯ და შ ფონემებდაკარგული სიტყვები:

მიყოხით (< მოხით < მიდოხით < მიჯოხით) „დამიძახეთ“ 127₂₇; მითი ვა მიყალე (< მეალენ < მედალენ < *მეყალენ) „ვერაყინ გადავა“ 133₂₈; ქეყოზუნ (< ქეოზუნ < ქეოზუნ < *ქეყოზუნ) „დევს“ 134₃₃; მეყოხთარე (< მეოხთარე < მეიოხთარე < *მეყოხთარე) „გადახვალ“ 137₈; ქეყოლუ (< ქეოლუ < ქეიოლუ < *ქეყოლუ) „დადო“ 137₁₈.

დ) პრევერბისეული ხმოვნის მომდევნოდ ფუძისეული ან პრეფიქსული ხმოვნის მქონე ზმნები:

მოყიტუ „მოდიოდა“ 120₂₉; ქომოყიშვანუ „შეისუნთქა“ 123₁₇; მოყიქთუ „მობრუნდა“ 129₂₅₍₂₎; გოყილუ „იარა, მოიარა“ 134₃₂.

ე) კომპოზიტები, რომელთა ბოლო შემადგენელი ხმოვნით იწყება:

ვითოყარი, ვითოყაში „თერთმეტი, თექვსმეტი“ 138₃₁; ჯურყეჟი „ორმოცი“ 138₃₂.

ს. ჯიქიას ათინური ტექსტებიდან მაგარშემართვიანი ხმოვნების შემცველ სიტყვა-ფორმათა ხმარების საილუსტრაციოდ აქ მხოლოდ

მცირე ნაწილია მოყვანილი. ამათ გარდა, სხვა უამრავი მაგალითის ამოწერა შეიძლება აღნიშნული ტექსტებიდან, მაგრამ მოყვანილი მასალაც კმარა იმისათვის, რომ დაერწმუნდეთ: ს. ჯიქიას ტექსტებში მაგარი შემართვით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ყოველგვარი (ე. ი. სულ სხვადასხვა წარმოშობის) ხმოვანი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ანლაუტისა და სათანადო პოზიციაში მდგომი ინლაუტის ხმოვანი ამ ტექსტებში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაგარი შემართვით იყოს წარმოდგენილი. ერთი და იმავე აგებულების სიტყვა-ფორმებში დადასტურებული მაგარშემართვიანი ხმოვნების ადგილას არც თუ იშვიათად გვხვდება ჩვეულებრივი (ე. ი. მაგარი შემართვის აღმნიშვნელი ყ გრაფემის გარეშე დატოვებული) ხმოვნები. ერთი და იმავე მთქმელისაგან ჩაწერილი ტექსტის მეზობელ ფრაზებში, ზოგჯერ ერთი წინადადების ფარგლებშიც კი, ერთი და იმავე სიტყვის ანლაუტის თუ ინლაუტის ხმოვანი მაგარი შემართვითაც არის წარმოდგენილი და მის გარეშეც. ნიმუშისათვის შდრ.

ქარ საყეთი ქეშო ყორტარე! არ საეთიშ უკულე გობწა, გამახთარე! (134₁₈₋₁₉) „ერთი საათი ისე იქნები! ერთი საათის შემდეგ გავხსნი, გამოხედე!“; ქარ ოხორიშა მენდახთუ; ვარ დოდგინეს. ცოხორი-თი ზადე დიდი ცონ (134₃₆₋₃₇) „ერთ სახლში მივიდა; არ დააყენეს. სახლი („სახლიც“) ძალიან დიდია; მა გეფტოფარე, წამა მუფერი ბოზუმოთა ბელლი პარე დო ეფტოფარე! (131₅₆) „მე შევირთავ, მაგრამ როგორი გოგო[ა] გავარკვევ და შევირთავ!“

მაგრამ როცა ზმნურ ფორმაში პრეფიქსულ ხმოვანთან ერთად ისტორიულად გაუჩინარებული ძირისეული ყ ველარის მომდევნო ხმოვანიც მოიპოვება, მოსალოდნელი ორი მაგარშემართვიანი ხმოვნის ნაკვლად მხოლოდ ერთი გვაქვს და ეს ხმოვანი, როგორც წესი, პრეფიქსულია:

ციენ (< *იყენ) „არის, ხდება“ 124₃₄₍₂₎; ციუ (< *იყუ) „იქნა, მოხდა“ 123₄, 11; ციასენ (< *იყვასენ) „იქნება, გახდება“ 123₈; 124₁₃, 14; 133₂₉; ცაუ (< *აყუ) „ეყოლა“ 121₂₁₍₂₎; ციონას (< *იყონას) „წაიყვანოს“ 137₃₆; ციონანენ (< *იყონანენ) „უნდა წაიყვანონ, წაიყვანენ“ 124₂₂; ციონარე (< იყონარე) „უნდა წაიყვანო, წაიყვან“ 137₃₅; ცლომსუ, ცლომსუ (< ოყო/უის) „მიიქცევა“ 121₄; 129₁₄; ცაოროფუ (< *აყოროფუ) „შეუყვარდა“ 118₇; 136₃; ქომოციონუ (< *ქომოციონუ) „მოიყვანა“ 122₁₄; ქომოციონეს (< *ქომოციონეს) „მოიყვანეს“ 124₁₅.

ხმოვნის მაგარი შემართვა სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვა-ფორმებში დაფიქსირებული აქვს აგრეთვე ლავრ. წულაიას, რომლის მიერ ჩაწერილი არქაბული ტექსტებიც ა. ჩიქობავამ დაბეჭდა (იხ. ჩიქ. II, 77-83, 86). შდრ.:

ყურუშყვე „ბერძნები“ (< თ. Runt „ბერძენი“) 78; ქავიშე „სანადიროდ“ (თ. av

„ნადირობა“) 78₃₀; ცავეჯილულიშე „id.“ (< თ. avcilik „ნადირობა“) 78₁₀; ცოქი „რაკი, რადგან“ 78₁₃; ცეისელეს „ადგენენ“ 78₂₅; ცეზბდი „აეიღე“ 81₂₀; ცირი „ყველა“ 77₂₈; 79₃₃₍₂₎; 80_{3,4}; ცირ ხოლ(ო) „ყველაფერი“ 80₅; 83₂₂.

დღევანდელ ლაზურ ფონემათა სისტემაში ლარინგალური ხშულის გამოყოფა უსაფუძვლოა. დასავლურ ლაზურში გლოტალიზებული ველარული სპირანტი ყ ხმოვნის წინ უკვალოდ არის დაკარგული. ყ გრაფემა ტექსტებში ხმოვნის მაგარი შემართვის აღმნიშვნელად უნდა განვიხილოთ შორისდებულებსა და გარკვეული სემანტიკისა და წარმომავლობის სიტყვებში, როგორც ეს ქართულის დიალექტებში, პირველ რიგში – აჭარულში, გვაქვს (იხ. ნიუარაძე 1957, 13). ნიმუშისათვის რამდენიმე ილუსტრაცია ლაზური ტექსტებიდან:

ყა (ყიფ. ჭან. 81₁₂) „აჲ“; ცუუ (ყიფ. ჭან. 81₂₆) „უჲ“; ცაჲ (ჩიქ. II, 78₁₂) „აჲ“; ცაა (კარტ. I, 195₂₈) „აჲ! ოჲ“; ცამან! (< თ. aman) „ოჲ! ღმერთოჲ“ (ჩიქ. I, 17₂₂); ცამმა (< არ.-თ. ama, amma) „მაგრამ“ (ჩიქ. I, 2₅; 7₂₈; 19₂₃).

1. 2. 5. **პალატალიზებული ლატერალი.** ლაზურ ენაზე უშუალოდ ლაზეთში დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი ხოფელი, ჩხალელი, არქაბელი და ვიწველი ლაზი, სულ სხვადასხვა სოფლის მკვიდრი, პალატალიზებულ ლ-ს წარმოთქვამს შუა და უკანა რიგის [სხვანაირად: უკანა რიგის (როგორც არალაბიალურ, ისე ლაბიალურ)] ხმოვანთა წინაც³⁵.

ასეთი რამ სარფელებისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩამოსახლებულ ლაზთა მეტყველებაში არ შემინინავენ. აქ ლ პალატალიზებულია მხოლოდ მაშინ, როცა მოსდევს წინა რიგის ხმოვანი (ო, ე) ან ო-ს დასუსტებით მიღებული **ჲ** (დუღა [**ჲ** ბერძნ. δισυλεια] „საქმე“, შიღა [**ჲ** ბერძნ. χυλα] „ათასი“). სხვათა მიერ ჩაწერილ ტექსტებშიც სპორადულად თუ წავაწყდებით ამ წესიდან გადახვევას³⁶.

³⁵ თუმცა ბევრი მათი თანასოფელის, ზოგჯერ – ოჯახის წევრების, მეტყველებაში ლ-ს ასეთ დარბილებას ადგილი არა აქვს.

³⁶ მაგ., უკანა რიგის ხმოვნის წინ პალატალიზებული ლ გვაქვს ჟ. დიუმეზილის ტექსტებში დადასტურებულ გ'სმუჟეზ [= გ'ულუმჟეზ] „დაულამდათ“ (დიუმ. I, 112₆) ფორმაში. ჟ-ს თავზე დასმული ორი წერტილი (ü) წინამავალი ლ თანხმოვნის პალატალიზაციაზე მიუთითებს. ი. ასათიანი ერთგან ტექსტის სკოლიოში საგანგებოდ შენიშნავს სარფელი ინფორმატორის მიერ ჟ-ს წინ ლ-ს დარბილების სპორადულ შემთხვევას: „ლ ძალიან დაარბილაო“ (ასათ. 154₂₃). ტექსტებისათვის წამძღვარებულ „შესავალში“ კი ამ ერთეულ შემთხვევაზე ნათქვამია: „ლ დარბილებულია მეგრულისებურად: ნულუნ“ (ასათიანი 1974, 9).

მიუხედავად იმისა, რომ ლ-ს პალატალიზაცია ლაზურში საკმარისად გავრცელებული პროცესი აღმოჩნდა, მაინც მოსაზრება, თითქოს „ლ ჭანურში ისევე რბილია, როგორც მეგრულის სენაკურს გამოთქმაში, მაგრამ არა ისე, როგორც მარტივბანძაში“ (ჩიქობავა 1936, 14), ადეკვატურად არ ასახავს რეალურ ვითარებას. ლ-ს მეგრულისებური დარბილება მთელ ლაზურს კი არ ახასიათებს, არამედ ცალკეული ინდივიდების მეტყველების თავისებურებაა, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობითაა რეალიზებული.

ზოგის მეტყველებაში ლ ყოველგვარ პოზიციაში რბილდება, ზოგისაში კი – გარკვეული შეზღუდვით. მაგ., ხოფელი (სუნდურელი) ზეკიე ბექიარ-ოღლი ანლაუტში და წინა რიგის ხმოვანთა მომდევნო პოზიციაში არბილებს ლ-ს, შუა და უკანა რიგის ხმოვანთა შემდეგ კი – არა³⁷. შდრ.

ლიაზუფქ³⁸ (87) „ლაზებმა“, ლიაზუ(რ)ი (85₁₁, 86₂) „ლაზური, ლაზურად“; ლიაზუზტი (87₆) „სიმინდი“, ლიობია (86₃₃) „ლობიო“; ლიოკმანოღლი (85₂₂) „ლოკმან-ოღლი“ (გვარი); ლიომა (86₃₃) „ლომა“ (სოფელი); ლიომური (87) „ლომელი (სოფ. ლომის მკეიდრი)“; ლიოყა (86₃₄) „ტკბილი“; ლიული (86₃₅) „ლეღვი“; ლიუყუ (87, 42, 5, 9) „მხალი“.

ფილარგეთი (87) „ფილარგეთი“ (სოფ.); ქილიო (87₁₀) „კილოგრამი“; ყეილიუფს (87₉) „კლავს“; ინილიუ (85₇) „დაქორწინდა, ცოლი შეირთო“; ქოგელიაღუენ (86₃₂) „მომკედარა, დამკედარა“; ხინგელიაღუელი (86₂₄, 30, 31) „დედაბერადამკედარი“ (ადგილის სახელი); ხეს გელიუხენ (87₉) „ხელზე უზის“.

მჭკიდიკალა (87₇) „მჭადთან ერთად“; სიჯაკალა (85₁₁) „სიძესთან“; ხალა (85₂₂) „მამიდა“; ლაღალაფან (85₁₆) „ამბობენ“; ფალო მჭკიდი (87₁₀) „ხმელა მჭადი“; პალო (87₁₀) „პალო“; სუნდურაღუი (85₁₃, 86₉, 11) „სუნდურელი, სუნდურულად“; ფაღუი (87₁₀) „ცეცხლის ალი“; პანჭოღლი (85₇) „პანჭოღელი (სოფ. პანჭოლის მკეიდრი)“; ულუტაში (86₁₁) „რომ წახვალ“; გოლულუტენ (86₆) „დადიონენ თურმე“; ნულუტენ (86₂₂) „მიდიონენ თურმე“; ოდას მულუხენ (87₆) „ოთახში უზის“.

წინამავალი ხმოვნის გავლენა ლ-ს პალატალიზაციაზე განსაკუთრებით კარგად ჩანს ერთი და იმავე ფუძისაგან სხვადასხვა პრეფერბით ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში. შდრ. გელმუხენ – მულუხენ.

ანლაუტში და წინა რიგის ხმოვანთა შემდეგ არბილებს ლ-ს ეიწელი (აბუნოღელი) ჭეთიე უსტაბაშიც. შდრ.

³⁷ გამონაკლისს წარმოადგენს უწუმეღან „ეძახიან, უწოდებენ“ (86₃₃) ფორმა.

³⁸ ლ-ს სილბო (შუა და უკანა რიგის ხმოვანთა წინ) იოტის მიწერით არის გამოხატული. ყველა მაგალითი მოყვანილია წიგნიდან – კარტ. II.

ღიაზიმი (151₂₄) „საჭირო“; ბიჩილაე (151₃₁) „დაეკორწინდები“; ქილო (152₂₁, 22₂₂) „იკილოგრამი“; ქელოლლანი (152₁₀) „ქაჩალბიჭი“.

ვიწელი (ღავრელი) სევეგი თათაროლლი კი ყოველგვარ პოზიციასში პალატალურ ლ-ს წარმოთქვამს:

ღიაზი (156₂₈) „ლაზი“; ღიაზუფე (156₂₇) „ლაზები“; ღიაზუი (156₂₂) „ლაზურად“; ღიაზნათი (156₂₉, 30) „ლაზურადაც“; ღიაზუტი (156₁₀) „სიმიინდი“; ღიობიას (156₁₀) „ლობიოს“; ღიუ (156₁₁) „მხალი“; გამანწიღიახონი (156₁₂) „გამოსაწური“; აწილღუმთ (156₁, 5, 6, 8₂₁, 156₃₂) „ეკრეფთ“; ელღუკორუტესდოენ (156₁₇) „მბმიათ, ებათ თურმე“; ელღუნტალღამთ (156₂₄) „ეურეფთ“; დღუღაბიში (156₁₉) „კარადის“; ნჭოღო (156₁₁) „ჭყინტი სიმიინდი“; დოღიობობამთ (156₃₄) „ჩაღასხამთ“; გობღუღუმთ (156₂₄) „ღაღღიღართ“.

ასევე იქცევა არქაბელი (ლომელი) სულბიე ნამლი.

ჩხალელი ჰუსეინ გუენეში ინლაუტში ყოველგვარი ხმოვნის შემდეგ ახდენს ლ-ს პალატალიზაციას, მაგრამ ფაკულტატურად: ერთსა და იმავე პოზიციასში ხან არბილებს ამ თანხმოვანს, ხან – არა. შდრ.

ღიჩიღუ (311₂₃) „დაეკორწინდა“ – იჩიღუ (311₁₄) „იდ.“; თქენკალდა (312₃) „თქვენთან“ – კოჩალიკალა (312₄₀) „კოჩალისთან“; პაგუმაღღუნ (311₃₆) „ჩამოუტანია“ – ჰოგუღღაღუნან (314₉) „დაურქმევიათ“.

ასევე ფაკულტატურია (მეტ-ნაკლები ინტენსივობით) ლ-ს პალატალიზაცია ზოგი სხვა ინფორმატორის მეტყველებაში.

1. 3. ხმოვანთა ასიმილაცია. განსაკუთრებით ხშირია ხმოვანთა ასიმილაცია პრევერბებში. ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, რეგრესულ ასიმილაციაზე – ფუძისეულთან პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსებაზე – მიუთითებენ, რაც ხოფურ-ჩხალურისთვის არის ნიშანდობლივი. დასავლური ლაზურის (ვიწურ-არქაბულისა და ათინურ-ართაშენულის) დამახასიათებლად კი ასიმილაციური პროცესების სუსტად გამოხატვაა ჩათვლილი. სინამდვილეში ხმოვანთა ასიმილაცია დასავლურ ლაზურშიც საკმარის ინტენსივობით არის გამოხატული, ოღონდ აქ პროგრესული ასიმილაცია გვაქვს: რთული ზმნისწინის მეორე ხმოვანი ემსგავსება პირველს იმ შემთხვევაში, თუ ზმნისწინს CV მიმდევრობა (პირის ნიშანი + პრეფიქსული ან ფუძისეული ხმოვანი) მოსდევს. ასიმილაციის სქემა ასეთია: (C)ეCa-C-V- > (C)ეCე-C-V-, CოCa-C-V- > CოCო-C-V-. ეკა, ელა, გელა/ჯელა, მე(ნ)და, ეშა/ეშკა, გეშა, მეშა/მეშკა, ეწა, გეწა, მე(ა)ა, ე(ა)ა და გოლა, გოშა/გოშკა. გოწა, მოკა, მოლა, მო(ა)ა, მოშა/მოშკა ზმნისწინები S₁ ბ/ვ, O₁ მ და O₂ გ-ს წინ, თუ მათ პრეფიქსული ან ფუძისეული ა,

ო, თ, უ ხმოვანი მოსდევთ, ეკე, ელლე, გელლე/ჯელლე, მე(ნ)დე, ეშე/ეშქე, გეშე, მეშე/მეშქე, ეწე, გეწე, მე(დ)ე, ე(დ)ე და გოლო, გოშო/გოშო, გოწო, მოკო, მოლო, მთ(დ)ო, მოშო/მოშქო ფორმით წარმოგვიდგებიან. მაგ.,

ვიწ-არქ: გელეგოჯანს (კარტ. I, 186²⁷) „გიწევს“; გელეგოკიდარე (კარტ. I, 171³⁰) „ჩამოვიდებ“; გეწეგოწეგო „დაეხედე“; ქელეგოგოთი (კარტ. I, 168²³) „წამომყვი“; ელეგოთი (კარტ. II, 157¹⁰) „მიყვები აღმა“; ელეგუნტალიაოთი (კარტ. II, 156²⁸) „ეურეთ“; ეშეგოდასენ (კარტ. I, 197³³) „ამომიღებს, ამომიტანს“; ქეშეგოთანი (კარტ. I, 178³) „ამოვიყვან“; ეწეგოხადამით (კარტ. II, 154²⁷) „ამოვიწვედით“; ეწეგურჩა (ჩიქ. II, 25²⁸) „დაეუფინო“; მენდეგაშქვახე (კარტ. II, 160¹⁵) „წაიყვან (წაგეყვანება)“; მენდეგოთონე (კარტ. II, 150¹³) „წამიყვანა“; მედეგოშქვით (კარტ. II, 118²) „გაგვიშვით“, მენდეგოთონა (კარტ. I, 180²³) „მიეყვანო“; მეგეგოდასენ (კარტ. 156²⁹) „გეწელება, გეწევა“; ხე მეწეგოლი (კარტ. II, 157²) „ხელი შეეყავი“; მეწეგოთონაოთი (კარტ. II, 158³³) „ჩაესვამთ, შეესვამთ“; მოკოგოლოთი მოლე (კარტ. II, 158²²) „გამოვალთ გამოღმა“; ეა გოშოგოდასენ (კარტ. I, 162⁸) „ეკერ გამოვარჩევ (გამოვიღებ)“; გოშოგოდასენ (კარტ. I, 162⁸) „გამოგირჩევ“; ქოგოგოლოთი (კარტ. I, 199¹²) „წინ დაეუდექი“.

ათინ-ართაშ: ელეგოგოთი (კარტ. II, 194²⁰) „მოვიტერი“; ელეგოგოთონე (კარტ. II, 185⁶) „მახლაეს“; ელეგოლო (კარტ. II, 185²⁰) „აეალ“; ეშეგოთონა (კარტ. II, 282¹⁴) „ამოგოყვან“; ეწეგოთონა (კარტ. II, 187¹⁶) „ძროხებსაც აერეკავთ“; ეწეგოთონა (კარტ. 225³) „ამოვიდოთ“; მენდეგოთონი (კარტ. II, 183²⁹) „წამიყვი“; მენდეგოთონი (კარტ. II, 193³⁹) „წამიყვანე“, მენდეგოთონი (კარტ. II, 203³⁴); მენდეგოლოთი (კარტ. 178⁵) „წაეალთ“, მეწეგოთონა (კარტ. II, 218²⁰) „ჩაგიდებ“; მეწეგოთონა (კარტ. II, 189¹³) „შეეხედაე“; ქოგოგოლოთი (კარტ. II, 184³⁷) „დაეხაზავთ“; გოგოლოთი (კარტ. 182²) „წაგართმევ“, მოკოგოდასენ (კარტ. II, 185¹⁰) „გადაახტება“; მოლოგოთონა (კარტ. II, 187¹⁰) „ჩაესვამთ, შეესვამთ“.

სოცა აგებულების პრევერბიან ზმნებში პირის ნიშანს თუ თ. ხმოვანი მოსდევს, პრევერბისეული ა თ-დ იცვლება მთელს ლაზურში, მაგრამ ამ ცვლილებას დიალექტურად სხვადასხვა საფუძველი აქვს: ხოფურ-ჩხალურში რეგრესული ასიმილაციის შედეგია (პირის ნიშნის მომდევნო ხმოვანი იმსგავსებს პრევერბისეულს: *მოლაძოხუნუ > მოლოძოხუნუ „ჩამსვა“), ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში კი პროგრესული ასიმილაცია მოქმედებს (პრევერბის პირველი ხმოვანი იმსგავსებს მეორეს: *მოლაძოხუნუ > მოლოძოხუნუ).

პროგრესული ასიმილაცია. საშუალო აწეულობის თ და ე ხმოვნები იმსგავსებენ მომდევნო ვიწრო უ, ი ხმოვნებს: თუ > თთ, თი > თთ, ეი > ეე. მაგ.,

უფონტუ „ჰყავდა“ მეტათეზისით გვაძლევს **უფონტუ** ფორმას, რაც ზოგიერთი მთქმელის მეტყველებაში **უფონტუ-დ** (ხმოვნებს შორის რ-ს ჩართვით კი **უფორონტუ-დ**) იქცევა. შდრ.

ქელოღლანის **უფონტუ** არ ნანა (კარტ. I, 23_ა) „ქაჩალობიჭს ჰყავდა ერთი დედა“; ფათიშაის არ კაი ხოჯი **უფორონტუ** (კარტ. I, 24_ა) „ხელმწიფეს ერთი კარგი ხარი ჰყავდა“; მან არ კაზი მიფორონტუ (კარტ. I, 25_ა) „მე ერთი ბატი მყავდა“.

როდესაც **ონი** (თ. *oyun*) „თამაში“ კომპოზიციის მეორე წევრად გვაქვს, **თ** ხშირად იმსგავსებს მომდევნო **ი-ს**. მაგ., **ბაბაწონი** < **ბაბაწონი** (< **ბაბაწა** „დედოფალა“ + **ონი**) „დედოფლობანა“; **მილონი** < **მილონი** (< **მილი** [არ.-თ. *mil*] „წვეტიანი ჯოხი, რიკი“ + **ონი**) „რიკტაფელა“; **პაპუწონი** < **პაპუწონი** (< **პაპუწი** [ბერძნ. *παπισται*] „ფეხსაცმელი“ + **ონი**) „ასკინკილაობა, კლასობანა“; **არკუჩხონი** < **არკუჩხონი** (< **არკუჩხე** „ერთი ფეხი“ + **ონი**) „id.“; **ქვაპაპულონი** < **ქვაპაპულონი** (< **ქვა** „ქვა“ + **პაპული** „პაპა“ + **ონი**) „კენჭობანა“.

დეიკე (< არ.-თ. *dakika*) „წუთი“ კ-ს დისიმილაციური დაკარგვით გვაძლევს **დეიკე-ს**. ზოგიერთ ინფორმანტთან დასტურდება ასიმილირებული **დეეკე**, ხმოვანთა შორის რ-ს ჩართვით კი – **დერეეკე**. მაგ.,

კართა **დეეკე** (|| **დერეეკე**) გამიყუაფს-ქი- (კარტ. I, 93_ა) „ყოველ წუთს გაჰყვირის-“.

დაბალი აწვეულობის ა ნაწილობრივ იმსგავსებს მაღალი აწვეულობის **ი-ს** და საშუალოაწვეულობის **ე-დ** აქცევს. მაგ.,

ქართ. **ყვაგილ-ი** ლაზურში **ყვაილი** (ხოფ.-ჩხალ.) || **კვაგილი** (ვიწ.-არქ.) || **გაგილი** (ათინ-ართაშ.) ფორმით აქვს დადასტურებული ნ. მარს (Mapp 1910, 202). სარფულ თქმაში **აი** > **აე** გადასვლის შედეგად **ყვაელი** გვაქვს:

ყვაელი გემიჭაეს „ყვაეილი ამიცრეს“, **ყვაელი** გულუნ „ყვაეილის ეპიდემიაა („ყვაეილი დაღის“)“.

ზაიფი (< არ.-თ. *zayf* „სუსტი, გამხდარი“) ფორმის გვერდით [მაგ., დიდო **დიზაიფუ** (კარტ. I, 61_ა) „ძალიან დასუსტდა“] იხმარება **ზაეფი**:

ოღუმჯღაფაშა ქოი, თოფალი, **ზაეფი** პიჯის ქამულაფს! (კარტ. I, 20_ა) „საღამომღის ბრმა, კოჭლი, სუსტი პირში ჩაუყარდება!“

ფრ.-თ. **varil** „კასრი“ ლაზურში რ-ს დაკარგვით და ა-ს შემდეგ **ი-ს** გაფართოებით გვაძლევს **ვაელი-ს**:

თი ვაგლი დომაყუ დო არ ელიფი ვარ მაგუაფუ (კარტ. I, 23₁₈) „თაეი გამისიედა („კასრი გამიხდა“) და ერთი ასო ვერ ვასწავლე“.

არ.-თ. sahip „პატრონი“ ლაზურში ხმოვნებს შორის ჰ ლარინგალის დაკარგვის შედეგად საიბი || საიბი ფორმებს გვაძლევს. პარალელურად დასტურდება საები-ც:

მაყუანი ნდღას ოხოიში საები იგზალეენ ყონაშა (კარტ. I, 30₃₀) „მეორე დღეს სახლის პატრონი წასულა ყანაში“; კოხეფექ მთელი დუნია გუილეს დო ია კუნხეშ მოდვალუშ საები ვა აძიეს (კარტ. I, 60₁₅) „კაცებმა მთელი ქვეყანა მოიარეს და იმ ფეხსაცმლის პატრონი ვერ ნახეს“.

ინტერეოკალურ პოზიციაში ჰ-ს დაკარგვითა და აი > აე გადასვლით არ.-თ. ahit „მოწმე“ გამოითქმის როგორც შაედი || შაეთი:

ჟურ კოჩი შაედი დოპჯაუფ დო სი ქაგონგდინუფ (კარტ. I, 71₉) „ორ კაცს მოწმედ დაეწერ და შენ დაგლუპაე“; ჟურ შაედიოთენ არზუალი პჯაი (კარტ. I, 72₃₈) „ორი მოწმით განცხადება დაეწერე“; პა ნა თი მემოკვათი, ბუტკა ჩქიმი შაეთი ენ! (კარტ. I, 20₁₃₅) „მე რომ თაეი მომკვეთე, ფოთოლი ჩემი მოწმეა“.

წინამავალი ა იმსგავსებს მომდევნო ე-ს კავშირებითი II-ის მხ. რ. I და II პირის ფორმებში ვიწურის ზოგ თქმაში (ქცევაში):

გედგითაა (< გედგითაე < გედგითარე) ჟურ კუნხეთე დო ქვასაა (< ქვასაე < ქვასარე) (კარტ. II, 167₁₂₋₁₃) „დადგები ორი(ვე) ფეხით და დაცეხვაე“; მჭიფე ლმაზუტი ტაღანის გობღაა, (< გობღაე < გობღარე), კაკალეი. გობღააში, ონკანაა (< ონკანაე < ონკანარე). ფაფაქული ივენ (კარტ. II, 167₂₂) „წერილ სიძინდს ტაფაზე დაყრი, დაფშენილს რომ დაყრი, ამოძრავებ. ბატიბუტი იქნება“; ჭურნი მიღუნან, თუდელე დაჩხუი უგზაა (< უგზაე < უგზარე), ეინ თელითე პაშო გეშევი, პექ ომბრი დობღაა (< დობღაე < დობღარე). თამო-თამო დაჩხუი ნუგზაა (< ნუგზაე < ნუგზარე) (კარტ. II, 167₂₄₋₂₆) „თონე გვაქეს, ქვევით ცეცხლს შეუნთებ, ზევით მავთულით ასე დაწულს [დადგამ] იქ ტყემაღს დაყრი. ნელ-ნელა ცეცხლს შეუნთებ“.

1. 4. თანხმოვანთა ასიმილაცია. რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია თანხმოვანთა ასიმილაციის ყველაზე გავრცელებული სახეა ლაზურში. დასტურდება მისი სხვადასხვა სახეობა: ასიმილაცია ხმის მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით (ასიმილაციური გამჟღერება და დაყრუება), ასიმილაცია წარმოების რაგვარობის მიხედვით, ასიმილაცია საწარმოთქმო ორგანოთა ადგილის მიხედვით.

ასიმილაციური გამჟღერება. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვიწურ-არქაბულს ახასიათებს თანხმოვანთა ასიმილაციის განსაკუთრებული სახე: სიტყვის ბოლოკიდური ყრუ ს, თ, ქ

მუღერდება მომდევნო სიტყვის (როგორც სრულმნიშვნელობიანის, ისე დამხმარის – კავშირის, ნაწილაკის) თავიკიდური მუღერი თანხმოვნის გავლენით (ჟღენტი 1938, XV; 1953, 64–65; ჩიქობავა 1939, XXV–XXVI). ეს ფონეტიკური პროცესი ასევე ახასიათებს ხოფურჩხალურსაც, კერძოდ, მის სარფულ თქმას.

ს > ზ გადასვლა დასტურდება მიცემითისა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებში, სუბიექტური მესამე პირის ნიშანში, მრავლობითი რიცხვის -ეს სუფიქსის თანხმოვნურ ელემენტში. მაგ.³⁹

ქოთუმე მუკოზ (< მუკოს) იენია? (I, 2618) „ქათამი რა ღირსო?“, ოხოიზ (< ოხოის) მიღუნ (I, 1217) „სახლში მაქვს“; სეიზ (< სეის < სერიშ) გვერდის დევეფე ქისელეს (II, 373) „შუალამეს („ღამის ნახევარზე“) დევები ადგენენ“; ბიჭიზ (< ბიჭის < ბიჭიშ) მანის გულილაფს (I, 954) „ვეჯის ახლოს ჩაივლის“; სქანი ტაზია (< ტასია) (II, 311) „შენი იყოსო“; ჭოფეზ (< ჭოფეს) დო მინდიყონეს (I, 3415) „დაიჭირეს და წაიყვანეს“–

თ > ღ გადასვლა ჩვეულებრივია ზმნის მრავლობითი რიცხვის სუფიქსში და მთთ „რატომ“ ზმნიზედის ბოლოკიდურ თანხმოვანში (წარმოშობით ვითარებითი ბრუნვის ნიშანში). შდრ.

ისა ფსქიდაღია (ფსქიდათია)! (I, 3137) „ერთად ვიცხოვროთო“; მინდიყონიღია (< მინდიყონითია) (I, 1451) „წაიყვანეთო“; მოღ (< მოთ) ვა მოხთუ? (I, 9913) „რატომ არ მოვიდა?“, სი ეშო მოღ მიწუმე? (I, 1621) „შენ ეგრე რატომ მეუბნები?“–

ქ > ზ გადასვლის საილუსტრაციოდ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისა და აქ „აქ“, ექ „იქ“ ზმნიზედების ბოლოკიდური თანხმოვნის გამუღერების მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ორიოდე ნიმუშით შემოვიფარგლოთ:

მუჯ (< მუქ) ვა იჩინუ (I, 2922) „თვითონ ვერ იცნო“; ამა კოჩიჯ (< კოჩიქ) ნა შიგნუ (კარტ. II, 2734) „ამ კაცმა რომ გაიგო“; ეჯ (< ექ) მუ იქიფ? (I, 3638) „იქ რას აკეთებ?“, ეჯ ნა ტუ ეშქიაფე – იმტეს (I, 149) „იქ მყოფი („იქ რომ იყო“) ყაჩაღები ... გაიქცნენ“.

³⁹ საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია წიგნებიდან – კარტ. I, კარტ. II. ადრე დაბეჭდილ ხოფურ (სარფულ) ტექსტებში მხოლოდ ორიოდე მაგალითი დასტურდება ამგვარი გადასვლისა. შდრ. ბაშქაქ ხუთ მანათის გიშეზ-ნა (< გიმეს-ნა), მან ოთხოს გიმერ-მა (ჩიქ. I, 9229) „სხვა თუ ხუთ მანეთად წავიღებ, მე ოთხად წავიღებ-მეთქი“; ჭადიმე აბაზური აზლაღაზ-იენ (< აზლაღას იენ) მაზული (ჩიქ. II, 14324) „აფხაზი ფადიმე აზლაღაშია, საბრალო“.

გარდა ზემოაღნიშნული სამი (ს, თ, ქ) თანხმოვნისა, ხოფურში გამჟღერებას განიცდიან სხვა ყრუ თანხმოვნებიც, სახელდობრ, შ, ჩ, ფ:

შ > ე

ა) მჟღერდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ:

ია მტგვიჲ (< მტვეიშ) მის დიდი ჯა ქაეხთუ (I, 31_ა) „იმ ნაცრის ალაგას დიდი ხე ამოვიდა“; კულანი ქომყონეს დევიჲ (< დევიშ) მანიშა (I, 78₁₆) „ქალიშვილი მოიყვანეს დევთან“; თი-სირმალი ბეეფჲ (< ბეეფეშ) მინე ლაკოტეჲე ქლოინუ (I, 44_ა) „თავსირმიანი ბეეშეების ნაცვლად ლეკეები გააჩინა“.

ბ) მჟღერდება ხოშ „ხომ“ ნაწილაკის ბოლოკიდური შ:

სინ ხოჲ (< ხოშ) გიჩქინ, მუ გზას მოხთი? (I, 48₆) „შენ ხომ იცი, რა გზაზე მოხვედი?“, მან თქვანი პატინობა ხოჲ ვა მინონ? (I, 46₃₁) „მე თქვენი სიავე ხომ არ მინდა?“.

ჩ > ჯ

მჟღერდება ჰიჩ (< თ. hič) „სრულებით“ ზმნიზედის ბოლოკიდური თანხმოვანი:

ჰიჯ (< ჰიჩ) მითის ვა მაცხუნუ ამა იზმოჯე (I, 29₆) „სრულებით ვერავინ ახსნა ეს სიზმარი“; მუქ ქალაქიშა ჰიჯ ვა მუიტუ (I, 147₂) „თვითონ ქალაქში სრულებით არ მოდიოდა“.

ფ > ბ

ბოლოკიდური ფ-ს გამჟღერება ხოფურ-ჩხალურისთვისაა სპეციფიკური. საქმე ის არის, რომ ფ ბოლოკიდურად გეხვედება -აფ, უფ, ლფ, -ოფ, -ეფ-თემისნიშნიან ზმნებში. ეს თემის ნიშნები კი მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში მათ მ-თანხმოვნისანი სუფიქსები ენაცვლება).

ფ > ბ გადასვლის მაგალითებია:

მუ ჯოდაბი შომჩაბა (< მომჩაფა)? (I, 52₃₄) „რა პასუხს მაძღვეო?“, სქანი ართეი კულანი მომჩია! ეგერ ვა შომჩაბ-ნა (< მომჩაფ-ნა), ქოგიმხოდა (I, 30₃₃) „შენი ერთი ქალიშვილი მომეციო! თუ არ მომცემ, შეგტამო“; მა ჰოპოფჲა (< ჰოპოფოფა) (I, 24₃) „მე დაეჭერო“; სქანიშენი შიჲონუბ-ნა (< მიჲონუფ-ნა), ასთახოლო მეეულუა (II, 21₆) „შენთვის თუ მიგყავარ, ახლავე მოედივარო“; „ასთეი ფადიშაი იჩინოფია?“, „ქო, ვიჩინობა (< ვიჩინოფა)“, – უწუ (I, 22₃₂) „ამა და ამ ხელმწიფეს იცნობო“, „კი, ვიცნობო“, – უთხრა“⁴⁰;

⁴⁰ ნიშანდობლივია, რომ მოყვანილ მაგალითში ორი ზმნური ფორმიდან სუფიქსისეული ფ გამჟღერდა მხოლოდ ერთში – იქ, სადაც -აფ-თემისნიშნიან ზმნას სხვათა სიტყვის -ნა ნაწილაკი უშუალოდ მოსდევს, ე. ი. იქ, სადაც გვაქვს მიმდევრობა: ფ + ნ (სხვანაირად: ფ + მჟღერი თანხმოვანი); იქ კი, სადაც ზმნურ ფორმასა და სხვათა სიტყვის ნაწილაკს შორის კითხვითი -ი

მუ ოქობია (< იქიფია)? (I, 134₁₃) „რას აკეთებო?“; ვა ოქობ-ნა (< იქიფ-ნა), ეშო დულა გოლოდაფ-ქი... (I, 71₉) „თუ არ იზამ, ისეთ საქმეს დაგმართებ, რომ...“; ვა გეგიყონება (< გეგიყონეფია) (II, 34₁₃) „არ ჩამოგიყვანო“.

ასიმილაციური დაყრუება. S₁ ბ- და O₂ გ- ფუძისეული ყრუ თანხმოვნის წინ კარგავენ მჟღერობას: ბ > ფ/პ, გ > ქ/კ. აქედან ფ და ქ ალომორფები ფშეინვიერთა წინ გვაქვს, პ და კ – მკვეთრებთან (Mapp 1910, 454; ჩიქობავა 1936, 88; ქლენტი 1953, 119–122)⁴¹:

მეფხი < მეზი „მიეცი“, მექხი < მეგი „მოგეცი“, ფქოსუფ (ჩიქ. I, 77₁₆) „ეწმენდ“; დოფქამინუფო (ასათ. 70, 30₄) „მოეზელთ“; დოფქოტი (ჩიქ. II, 69₁₉) „დაეახეიე“; დოფქაჩარე (კარტ. I, 194₁₆) „დაეჭვირ“.

მეჭოფი < მეჭოფი „აეილე, ვიყილე, შევირთე“, მეჭოფი < მეჭოფი „გიყილე, შევირთე“.

სპორადულად ფ და ქ გეხედება მკვეთრთა წინაც:

მეფჭოფი (ჩიქ. I, 147₂₆) „ეეილე“; მეფჭოფა-ნა (ჩიქ. I, 113₁₃) „რომ ეეილო“; ვა მეჭოფია (ჩიქ. I, 10₃₁) „არ გიყილო“...

ნაწილაკია ჩართული, ე. ი. იქ, სადაც გვაქვს მიმდევრობა: ფ + ო (სხვანაირად: ფ + ხმოვანი და არა მჟღერი თანხმოვანი), თემისნიშნისეული თ-ს გამჟღერებას ადგილი არა აქვს. ხმოვნის წინ ყრუ თანხმოვნის ასიმილაციური გამჟღერება არ ხდება. შდრ. კითხვითნაწილაკიანი და უამნაწილაკო ზმნური ფორმები:

- ძიროფია? „ხედავო?“ – ძიროფია | ძირობია „ხედავო“
- ძირითია? „ნახეთო?“ – ძირითია | ძირიდა „ნახეთო“
- ძირესია? „ნახესო?“ – ძირესია | ძირეზია „ნახესო“...

ზმნის ბოლოკიდური ყრუ თანხმოვნის გამჟღერების შემთხვევაში გამჟღერებული თანხმოვნის მომდევნოდ ო ხმოვანს ვერაფრით ვერ ვივარაუდებთ! ლაზური ტექსტების პუბლიკაციისას ზოგი გამომცემელი სხვათა სიტყვის ნაწილაკად ია-ს ნაცვლად ია-ს წარმოგიდგენს. ეს შეცდომაა (ია მიმდევრობა ლაზურში სხვათა სიტყვის ნაწილაკთან ერთად კითხვითი ნაწილაკის არსებობასაც გულისხმობს: ია < ი-ია) და ეს შეცდომა განსაკუთრებით აშკარაა მაშინ, როცა სხვათა სიტყვის ნაწილაკდართული ზმნის ბოლოკიდური ყრუ თანხმოვანი გამჟღერებულია.

⁴¹ ლაზუსტებას მოითხოვს ლაზურის პკ კომპლექსზე გამოთქმული მოსაზრება: „საინტერესოა, რომ ჭანურში პირის ნიშანი ბ კ-ს წინ არ ასიმილირდება: *ოკორუ* „შეკერა“, *ბკორუმ* „ეკრაე“; *ოკორობუ* „დაგროვება, თავმოყრა“, *ბკოროცხუმ* | *ბკოროცხუფ* „ეთელი“ და სხვ. მისთ. ეს ალბათ იმ გარემოებით აიხსნება, რომ ჭანური ძნელად ეგუება ორი მკვეთრის მეზობლობას (ქუთელია 1969, 87). სინამდვილეში, მორფემათა საზღვარზე პკ კომპლექსი ლაზურის არც ერთ დიალექტს არ ეუცხოება. შდრ.: პკითხი (ჩიქ. I, 114₁₆) „ეეითხე“; დოპკიდუფო (ჩიქ. I, 136₁) „ავაგებთ“; დოპკიუფო (ჩიქ. I, 137₁) „შეეკრავთ“; ეკოპკორობა (ჩიქ. I, 120₁₈) „შეეკრიბო“; დოპკეაიო (კარტ. I, 75₈) „დაეჭვირ“; პკორეცხუმ (ჩიქ. II, 115₉) „ეთელი“; პკონაე (ჩიქ. II, 81₁₃) „შეეკონაე“.

ასიმილაცია წარმოქმნის რაგვარობის მიხედვით. ხოფურ-ჩხალურში ფართოდაა გავრცელებული თემისნიშნისეული ყრუ ფშინვიერი ფ-ს გამკვეთრება -ტ სავრცობის წინ ნამყო უსრულსა და მასზე დაყრდნობილ მწკრივებში: ჭარუფტუ || > ჭარუპტუ „წერდა“, ჭარუფტას || > ჭარუპტას „წერდეს“... (ჩიქობავა 1936, 150; ქლენტი 1953, 122).

მსგავს ცვლილებას განიცდის მრავლობითი რიცხვის -თ სუფიქსი პირობითის -გონ მაწარმოებლის წინ: თკ > ტკ. მაგ.,

მციქა ჩქვა ორდო ქომუყონერეტიგონ-ნა [< ქომუყონერეტიგონ-ნა], დიყვეტუ (ჩიქ. I, 113₂) „ცოტა ადრე რომ მოგეყვანათ, იქნებოდაო“; ია ვარ ებზღევეტიგონ-ნა [< ებზღევეტიგონ-ნა], აშო ვარ მადღევეტეს (კარტ. II, 52₁₁) „ის რომ არ აგველო, ასე არ დაგვემართებოდა“.

ფუძის თავიკიდური ნ იმსგავსებს სუბიექტური I პირის ნიშანს ბ-ს და ნაზალურ მ-დ აქცევს, თავად კი იკარგება (Mapp 1910, 44-45; ჩიქობავა 1936, 88-89):

ყონა მზალუპტი [< *ზ-ნზალუფტი] (ჩიქ. I, 41₂) „ყანას ემიკიდი“; დუშუნი-დუშუნითე დომდღული [< დო-ბ-ნდღული] (ჩიქ. I, 113₁₁) „ფიქრით ჩამოვდინი“; ხე მემთხა [< *მე-ბ-ნთხა] (კარტ. I, 14₂₀) „ხელს მოვიკიდებ“; აია მაწკინდი ქაგომდინი [< *ქაგო-ბ-ნდინი], ცხენითი ვა გომდინაია [< *გო-ბ-ნდინაია] (კარტ. I, 41₃₁) „ეს ბეჭედი დაეკარგე, ცხენიც არ დაეკარგოთ“; ჩქინ ქაგომდუნთია [< *ქაგო-ბ-ნდუნთია] (კარტ. I, 47₂₁) „ჩვენ დავიღუპებითო“...

ყველა მოყვანილ მაგალითში ფუძისეულ ნ-ს თანხმოვანი მოსდევს. იმ შემთხვევაში, როცა ნ ხმოვნისწინა პოზიციაშია, მასიმილირებელი ბგერა დაცულია: ბნV > მნV. მაგ.,

„სი დოლოქუნუ განახეენი?“ „ქო, დომნახუფ [< *დო-ბ-ნახუფ]“ (კარტ. I, 69₁₃) „შენ ტანსაცმელს გარეცხავ?“ „კი, გაერეცხავ“; მა მნახუმ [< *ზ-ნახუმ] (ჩიქ. II, 83₁₃) „მე ერეცხავ“; არ-კატი ქეშამნახვი [< *ქეშა-ბ-ნახვი] „ერთხელ ამოერეცხე“.

შდრ. ნ. მარის მიერ დაფიქსირებული განსხვავებული ფორმები, რომლებშიც S₁ გაინფიქსებულია (და ფუძის ფშინვიერ თანხმოვანთან არის ასიმილირებული): ნაფხუმ, ნაფხუფ „ერეცხავ“, ნაფხვი „ერეცხე“, ნაფხვარე, ნაფხვამინონ „გავრეცხავ“ (Mapp 1910, 231).

ნაზალური ნ თანხმოვნის წინ S₁ იმავე ცვლილებას განიცდის მეგრულშიც. აქაც ხმოვნის წინ ვ/ზ + ნ > მნ, თანხმოვნის წინ კი ვ/ზ + ნ > მ (Кипшидзе 1914, 055).

ასიმილაცია საწარმოტქმთ ორგანოთა ადგილის მიხედვით. ნათესაობითის -ში და მიმართულებითის -შა დაბოლოებანი, გამო-

ყენებულნი კავშირებად, დაერთვიან ზმნურ ფორმებს და მათი თანხმონებითი ელემენტი ხშირად იმსგავსებს ზმნის ბოლო-კიდურ ს-ს, რომელიც ან სუბიექტური მესამე პირის ნიშანია, ან მრავლობითის -ეს დაბოლოებისეული თანხმონიანი. შდრ.:

დადიშა ეშახთეშ-ში [\leftarrow ეშახთეს-ში], ამა ბერეფე ქოძირეს (ჩიქ. I, 95_ა) „ტყეში რომ ავიდნენ, ეს ბაეშეები ნახეს“; მენდაწკედეშში [\leftarrow მენდაწკედეს-ში], კუიშ დოლოხე თე ქოძიეს (ქარტ. I, 28_ა) „რომ შეხედეს, ჭაში სინათლე დაინახეს“; აწი ჭუმენ ფათიშაიშ კულანიშ ნობეთი ენ; ია მეფჩაფთ დო ია იმხორტაშა [\leftarrow იმხორტას-შა] წკაი ნა ეებზდათ, არ ჰაჰთაშა ია წკაი ეიხმართ (ქარტ. I, 78_ბ) „ახლა ხვალ ხელმწიფის ქალიშვილის რიგია; იმას მიეცემთ და მის შეჭამადის („სანამ მას შეჭამდეს“) წყალს რომ ავიღებთ, ერთ კვირამდის იმ წყალს ვხმარობთ“.

სშ მიმდევრობა ზოგჯერ უცვლელად არის დაცული:

მანძაგერეჟ ართიკართის შეეფე ვა ოხმარაფას-ში, ვა იყვენ (ჩიქ. I, 7_ა) „მეზობლებმა („მეზობელმა“) ერთმანეთს ნიეთები რომ არ ათხოკონ („დაახმაროს“), არ იქნება“; გონწკესში, ფუთხუ (ქარტ. I, 12_ა) „[ქარი] რომ გააღეს, გაფრინდა“; ბეეფეს გიათხიოზუ. ბეეფე-თი, კუეეთი-ნა უღუტეს-შა, იმტეს (ჩიქ. I, 67_ა) „ბაეშეებს გაეკიდა. ბაეშეებიც, რაც ძალა ჰქონდათ („სანამ ძალა ჰქონდათ“), გაიქცნენ“.

ხშირად (სშ >) შშ კომპლექსი შერწყმით შ-ს გეაძლევს:

ჭუმანიშა არ საათი დოსქიდაში (\leftarrow დოსქიდაშში \leftarrow დოსქიდასში). გომოკუცხინი (ქარტ. I, 37_ბ) „გათენებამდე („დიღამდე“) ერთი საათი რომ დარჩება, გამაღვიძე“; ამა ბეე-თქენანია, ირდაშია (\leftarrow ირდაშშია \leftarrow ირდასშია), მაშლი კორიში კისმეტი ენა! (ქარტ. I, 104_ა) „ეს თქვენი ბავშვიო, რომ გაიზრდებო, ხნოვანი კაცის საბედო იქნებო („ბედი არისო“);“; ია ხომულა კეტი ვა იფუქიაშა (\leftarrow იფუქიაშა \leftarrow იფუქიასშა) მთელის გიაი-წკაი ჩაგინონ! (ქარტ. 133_ა) „სანამ ის ხმელი ჯოხი არ აყვაიღდება, ყველას უნდა აჭამო და ასეა“.

ვიწ-არქ. ჰამთეფე „ესენი“, ჰემთეფე „ისინი“ ნაცვალსახელებს ხოფურ-ჩხალურში ანთეფე და ენთეფე შეესაბამება. ლიტერატურაში მ და ნ ფონეტიკურ დანართად არის მიჩნეული (ჩიქობაეა 1936, 11). ვფიქრობ, ხოფურ-ჩხალური ფორმებისათვის ამოსავლად ანთეფე, ემთეფე უნდა ვივარაუდოთ. მ აქ ფონეტიკური დანართი კი არ არის, არამედ ნაცვალსახელური ძირეული ელემენტი, მხოლოდობითის ირიბ ბრუნვათა ფორმებში უ ხმოვანთან ერთად რომ არის წარმოდგენილი [(ჰ)ა-მუ-ქ „ამან“, (ჰ)ა-მუ-ს „ამას“, (ჰ)ა-მუ-ში „ამისი“... (ჰ)ე-მუ-ქ „იმან“, (ჰ)ე-მუ-ს „იმას“, (ჰ)ე-მუ-ში...]. ფუძისეულმა დენტალურმა თ-მ წარმოების ადგილის მიხედვით დაიმსგავსა ფუძისეულივე ბილაბიალური ნაზალური მ და წინაენისმიერ ნაზალურ ნ-დ აქცია.

მთ > ნთ გადასვლის მსგავსი ფონეტიკური პროცესი — მწ > ნწ [წინაენისმიერი (კერძოდ, წინანუნისმიერი) წ იმსგავსებს ბაგისმიერ მ-ს და წინაენისმიერ⁴² ნ-დ აქცევს] — არის განხორციელებული ხოფურ-ჩხალურ ანწი „წლეულს“ ფორმაში: *ამწი > ანწი. ამოსავალი მწ მიმდევრობა დაცულია დასავლურ ლაზურ ჰამწო ვარიანტში.

1. 4. თანხმოვანთა დისიმილაციური დაკარგვა. თუ სიტყვაში ორი იდენტური თანხმოვანია, რომლებიც მხოლოდ ხმოვნითაა გათიშული, წინა თანხმოვანი შეიძლება ამოვარდეს, მაგრამ იმ პირობით, თუ მის წინ ხმოვანი ზის, ე. ი. თუ ღია მარცვალს მოსდევს. მაგ., დეკიკე (< არ.-თ. dakika) > დეიკე „წუთი“:

არ ხუთ დეიკეჟე ქაოხომიშქვია! (კარტ. II, 47_ა, 48) „ერთი ხუთი წუთით გაიშვიო“.

დეიკე ასიმილირებული დეიკე ფორმითაც გვხვდება, რომელშიც შეიძლება ო განვითარდეს ხმოვნებს შორის: დერეკე (იხ. აქვე, გვ. 49).

იკარგება სახელის ან ზმნის ფუძისეული ფ თანხმოვანი მრ. რ. -ფე სუფიქსისა და -ფე თემის ნიშნის წინ:

გალე ქოთუმეფე, კაზეფე, ინდაურეფე სეი შეაფეჟე (< შეაფეჟე) ნუხირტუ (კარტ. II, 35_ა) „გარეთ ქათმებს, ბატებს, ინდაურებს ტურები კპარაენდენ“. ქოსე ქოჭოფეჟან (< ქოჭოფეჟან), გამიყონოფან, ცხენიშ კუდელის ნუკიდაფან დო შუი ქიუმელან (კარტ. II, 21_{ა-ბ}) „ქოსას დაიჭერენ, გამოიყვანენ, ცხენის კულზე გამოაბამენ და სულს ამოხდიან“; ჩხომი ოპოჭოფეჟო (< ოპოჭოფეჟო) დო და-ჩქიმი ჩხომიში ქორბაშენ ქაეშაიყონოფთმა (კარტ. II, 48₁₁) „თევზს დაეიჭერთ და ჩემს დას თევზის მუცლიდან ამოიყვანთ“; მან ეულურია დო მჩხუი ქეპოჭოფეჟა (< ქეპოჭოფეჟა) (კარტ. II, 8_ა) „მეო წავალო და ცხვარს ვიყიდო“.

ფართოდაა გავრცელებული მყოფადის ფორმებში უნონ „უნდა“ მეშველი ზმნის ფუძისეული ნ-ს დისიმილაციური დაკარგვა:

მა ნა მოფთა, ჯუმა-ჩქიმი დუელი ბძიაშიონმა! (< ბძირამინონმა) (კარტ. II, 22₁) „მე რომ მოვალ, ჩემი ძმა მეკდარი უნდა ენახოო!“, არ ფათიშაიშ ასქეის მუთუ ვა ახონენ დო მან, არ კოჩიქ, მუ პაშიონმა? (< პამინონმა) (კარტ. II, 20_ა) „ერთი ხელმწიფის ჯარს ვერაფერი გაუწყვია („უქნია“) და მე, ერთი კაცი, რას ვიზამო?“, ეშო დიდი თოკი მულაგიონ-ქი (< მულაგინონ-ქი),

⁴² შდრ. უთურგაიძე 1976, 62: „[ნ]-ს შესაძლებელია ხშვა კქონდეს, როგორც კბილებთან, ისე ნუნებთან“; 1976, 62–63: „კოარტიკულაციის საფუძველზე [ნ]-ს ექმნება საშუალება ხშვის გადაადგილებისათვის წინაენის მოქმედების არეში, რასაც აქვს კიდევ ადგილი“.

ამა დღის გოულაფა ედო არ ოინის მთელი გელაილაშიონ (<გელაევილამინონ) (კარტ. II, 371₁₋₁₄) „ისე დიდი თოკი უნდა მოიტანო, რომ ამ ტყეს შემოვაელებ და ერთ ჯერზე მთლიანად ჩამოვიტან“; ოხოიშა ილაგოინია (< ილაგინონია) (კარტ. II, 371₆) „შინ უნდა წახვიდო“; კელე, მიწვი, მუ მიწვაგოინია? (< მიწვაგინონია) (კარტ. II, 19₂₀) „აბა, მითხარი, რა უნდა მითხრაო?“, მუსტაფას ნა მეჩუ ნჯა, დევექ შოკვათახიონ (< მოკვათახინონ) (კარტ. II, 36₃₇) „მუსტაფას რომ მისცა [ის] ხე დევემა უნდა მოჭრას“; მითხანის აშუ წკაი ამა გუნდა იოფშა, ია იყვასიონ (< იყვასინონ) ჩქინი დიდი (კარტ. II, 36₂₈) „რომელიც დალევს ამ წყლით სახე გუნდას, ის იქნება ჩვენი უფროსი“.

ნ თანხმონის ამგვარსავე დაკარგვასთან უნდა გეკონდეს საქმე „ყოლის“ აღმნიშნელი ყონ- ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებშიც. ხოფურ-ჩხალურში მიყონუნ, გიყონუნ, უყონუნ „მყავს, გყავს, ჰყავს“ ფორმათა გვერდით ჩვეულებრივია ნ-ჩაგარდნილი მიყოუნ, გიყოუნ, უყოუნ. ვიწურ-არქაბულმა და ათინურ-ართაშენულმა მხოლოდ ნ-დაცული ფორმები იციან: მიონუნ | მიიონუნ, გიონუნ | გიიონუნ, უონუნ | უიონუნ. ა. ჩიქობავას აზრით, „ხოფ. უყოუნ მიღებულია უყოფუნ-ისაგან; ე. ი. ხოფურში ამ ზმნას ფუძედ აქვს ყოფ- კანონზომიერი შესატყვისი ქართული ფუძისა ყავ- [...] ცონ- | მონ- ვიწურ-არქაბულისა და ათინურისა ქართული ყვან- ფუძის შესატყვისია“ (ჩიქობავა 1938, 356). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხოფურში „ყოლა“ და „წაყვანა“ ორი სხვადასხვა ზმნური ფუძით გადმოიცემა, ლაზურის დასავლურ დიალექტებში კი ერთი ფუძე ითავსებს ორივე ამ მნიშვნელობას: „ხოფური ყონ- ქართულ ყვან-ს უდრის, ხოფ. ყოფ- ქართ. ყავ-ს. ვიწ.-არქ., ათინ. ცონ- | მონ- | ონ- ქართ. ყვან-ს შესატყვისება, მაგრამ ყავ- ფუძის როლსაც ასრულებს“ (ჩიქობავა 1938, 357).

ეფიქრობ, ხოფურ-ჩხალური ამ შემთხვევაში ცალკე არ უნდა იდგეს სხვა ლაზური დიალექტებისაგან. აქაც ორივე აღნიშნული მნიშვნელობის გადმოსაცემად ერთადერთი ყონ- ფუძე უნდა გეკონდეს; ლაზურში ყოფ- ფუძის გულეება საფუძველს მოკლებული ვარაუდი ჩანს. უყოუნ < უყონუნ. ყონ-ის ყო- ალომორფი მიღებულია იმის შედეგად, რომ ფუძისეული ნ დაკარგულია მომდევნო სუფიქსისეული ნ-ს მადისიმილირებელი გავლენით.

ფუძისეული ნ იკარგება არა მარტო „ყოლის“, არამედ „წაყვანის“ აღმნიშნელ ფორმებშიც. შდრ.

ნანა სქანი ანდლა აქოლენ ვა უყოუნან (< უყონუნან) (ჩიქ. I, 101₁₃) „დედაშენი დღეს აქეთ არ წაუყვანიათ“.

რასაკვირველია, ფართოდ იხმარება ამოსავალი (ე. ი. ნ-დაცული) ყონ- ფუძის შემცველი ფორმებიც. მაგ.,

მიყონუნ (კარტ. I, 39₂₁, 40₂₀, 42₉, 45₇, 47_{1...}) „მყავს“; გიყონუნ (კარტ. I, 45₁₁, 49_{9...}) „გყავს“; უყონუნ (კარტ. I, 45₁₉, 71₂; კარტ. II, 39₂₈; 71₃₉; 80₃₁; 83₉) „მყავს“; ქუყონუნ (კარტ. I, 40₁₆) „id.“; ქომიყონუნან (კარტ. II, 305₁₉) „გეყავს“.

რაც შეეხება ნამყო უსრულისა და მასზე დაყრდნობილი მწკრივების ფორმებს (უყონტუ „ჰყავდა“, უყონტას „ჰყავდეს“, უყონტუკონ „რომ ჰყოლოდა“, უყონტე(რ)ენ „ჰყოლია“), ფუძისეული ნ აქ დაკარგული კი არ არის, არამედ გადასმულია: უყონტუ < უყონტუ, უყონტას < უყონტას და ა. შ. თანხმოვნის ასეთი გადასმისათვის შდრ. ლაზუტი > ლაზუტი „სიმინდი“.

ხოფურ-ჩხალურისათვის ასევე ჩვეულებრივია ამოსავალი (ნ-გადაუსმელი) ფორმებიც. შდრ.

უყონტუ (კარტ. I, 136₂₈; კარტ. II, 22₃; 35₃₆; 74₃₀) „ჰყავდა“; ქუყონტებს (კარტ. I, 129₂₁) „ჰყავდათ“; უყონტახ (კარტ. I, 45₃₁) „ჰყავდეს“; უყონტე(რ)ენ (კარტ. I, 55₂₇; 107₃₅; 134₂₀) „ჰყოლია“; ქუყონტეენ (კარტ. I, 60₂₅) „id.“.

პარალელური ფორმები დასტურდება ულ- „სელა“ ფუძის შემცველ ზმნათა აწმყოს მრავლობითის მესამე პირში: -ნან სუფიქსს ხშირად ენაცვლება -ან ალომორფი: შდრ.:

ნულუნან (კარტ. I, 35₂₉, 51₄) „მიდიან“; მინდულუნან (კარტ. II, 23₃₂) „წავლენ“; ქამულუნან (კარტ. I, 122₃₂, 123₉) „შეელენ“...

ნულვან (კარტ. I, 9₆, 11₃, 12₃₅) „მიდიან“; ქონულვან (კარტ. I, 45₁₄) „მივლენ“; მულვან (კარტ. I, 13₃₀, 15₂₄, 51₄) „მოდიან“; მინდულვან (კარტ. I, 27₇) „წავლენ“; გულვან (კარტ. I, 27₂₉) „დადიან“...

ტუმანი გზას ქოგედგითეს დო ნულუნან. ნდლაღერი ნულვან, ლუმჯაში, ქოდინჯირან (კარტ. I, 35₆₂₋₃₀) „დილით გზას დაადგნენ და მიდიან. დღისით მიდიან, რომ დაღამდება, დაიძინებენ“; სუმიითი მაჭანკალეფე ქომულვან (I ქომულვან) (კარტ. I, 54₃₂₋₃₃) „სამივე მაჭანკალი მოვა („მაჭანკლები მოვლენ“).

ნულვან, მულვან და მსგავსი ფორმები ნ-ს დისიმილაციური დაკარგვის შედეგად არის მიღებული: ნულუნან > *ნულვან > ნულვან, მულუნან > *მულვან > მულვან.

იკარგება მე- და მო- პრევერბების მ, თუ მას O, მ- მოსდევს, წინ კი დადასტურებითი ქო || ჰო ან უარყოფითი გა ნაწილაკი უძღვის:

უშქი ქაეშიხინან [< ქამეშიხინან] (კარტ. I, 87₄) „ეაშლს მოგეპარავენ“; ვა მინონ, ვა მინონ, ჰაემაშქვით [< ქამემაშქვით!] (კარტ. I, 117₂₇) „არ მინდა, არ მინდა, გამიშვით!“; მან ვაემაჩუ-ნა [< ვა მემაჩუ-ნა] ადა ართუნი, ხომ ოკოკედინუ დიყვენა! (კარტ. II, 28₁₀) „მე თუ ვერ დაგიბრუნე („მოგეცი“) ეს

ოქრო, ხომ ჩხუბი ატყდებაო!"; მა ნა გიწვა ნენას ვაემიხიბინი-ნა [
 მემისიხიბინი-ნა], სინ კუის ქოდოლოხოცქუ (ქარტ. II, 19₁₂) „რასაც მე გეტყვი,
 თუ არ დამკაბულდები („მომისმენ“), შენ ჭაში ჩაკედები“; მა ვაემახონდინუ [
 ვა მემახონდინუ] (ქარტ. I, 62₃₄) „მე ვერ გაფუქელი“; დვევ ვაემიჭკიაშა (< ვა
 მემიჭკირაშა) სქანიკალა ვარ დოფსქიდუ! (ქარტ. I, 95₁₁) „თუ აქლემს არ
 დამიკლავ, შენთან არ დაერჩები!"; მთელი შეის ქომეტიშოლ, ჰამა ეინ
 ეხთიმუშა ვაემაშოლენია [< ვა მემაშოლენია] (ქარტ. II, 26₃₇) „ეკლადურში
 დაგეხმარები, მაგრამ ზევით ასვლაში ვერ დაგეხმარებიო“; ქოლმჩი [<
 ქომომჩი] ჩქიმი იელელი! (ქარტ. I, 35₁₃) „მომეცი ჩემი პერანგი!"; ენა მექნი
 ლიაფე გერი ქოლმჩაფია [< ქომომჩაფია] (ქარტ. I, 113₁₃) „მოცემულ („რომ
 მოგეცი“) ლირებს დამიბრუნებო („ისევ მომცემო“); მან ღურას ქაოშიშლეთინი [<
 ქამომიშლეთინი] (ქარტ. II, 19₂₈) „მე სიკედილს გადამარინე“.

ანალოგიური ფონეტიკური პროცესი შეიძლება დავადასტუროთ
 აჭარულშიც. აქ გამო- ზმნისწინის მ იკარგება ობიექტური პირვე-
 ლი პირის მ- პრეფიქსის გავლენით. ზემოაჭარულ ტექსტებში
 გეხედება: არ გაწმადგება (ნიჟარ. 106₂₁), გაწმიჭედელ (ნიჟარ.
 106₂₂). როგორც ვხედავთ, ზემოაჭარულში პრევერბისეული მ-ს
 დაკარგვის შემდეგ უშუალო მეზობლობაში მოხვედრილ ორ
 ხმოვანს დიფთონგიზაცია განუცლია: გამომადგება > *გაომადგება >
 *გაუმადგება > გაწმადგება (ან ასე: გამომადგება > *გაუმადგება
 > *გაუმადგება > გაწმადგება).

საინტერესოა მუ „რა“ ნაცვალსახელის გაცვეთა ფრაზაში:
 მაუმინქინ [< მა მუ მიჩქინ] (ქარტ. II, 24₄₀) „მე რა ვიცი“.

ს სპირანტის დისიმილაციურ დაკარგვასთან გვაქვს საქმე
 ვიწურში, სადაც მყოფადის ნამყოს მრ. რ. III პირის ფორმებში
 ძირითადი ზმნის S₃ დაკარგულია მეშველი ზმნის S₃-ის
 დისიმილაციური გავლენით: ტატეს < *ტას-ტეს „იქნებოდნენ“,
 მოხთატეს < *მოხთას-ტეს „მოვიდოდნენ“ (იხ. გვ. 122–123).

ასევე ს-ს დისიმილაციური დაკარგვის შედეგია ვიწურში
 ხმოვნით დაბოლოებულ ზმნურ ფორმებზე სრული -სის ნაწილა-
 კის ნაცვლად -ის ალომორფის დართვა: მოფთი-ის < მოფთი-სის
 „როცა/რომ მოვედი“, მოხთუ-ის < მოხთუ-სის „როცა/რომ
 მოვიდა“ (იხ. გვ. 182).

თავი მეორე

სახელთა მორფოლოგიის საკითხები

2. 1. ბრუნება. ლაზურში, სახელთა (და ნაცვალსახელთა) გარდა, ზმნაც იბრუნვის. ეს ფაქტი შეპირობებულია ლაზურის თავისებურებით: მიმღებობის გვერდით მათი ფუნქციით გამოიყენება ზმნური ფორმაც, რომელიც ასეთ შემთხვევაში სახელივით იბრუნება; მაგ.,

ჰე-ნა **იშქიდუ-ში** ნოღამისა ოხორი მუშის ტუ (ელ. 76) „დამხრჩვალის („რომ დაიხრჩო-ს“) საცოლვე თავის სახლში იყო“.

ზმნებზე ბრუნვის (და მრავლობითის) ნიშნის დართვისას, სახელებთან შედარებით, ზოგი თავისებურება დასტურდება:

1) ზმნის ბოლოკიდურ თანხმოვანსა და ბრუნვის ნიშანს შორის **ი** ხმოვანი (წარმოშობით სახელობითის ნიშანი), ზოგჯერ არის, ზოგჯერ – არა, მაშინ როცა ყველა თანხმოვანფუძიანი სახელის ყველა ბრუნვაში ეს ხმოვანი გვაქვს. შდრ.

მეკტასი-ნა უღუნ-იქ ელუდგამს, ვარ უღუნ-იქ ვარ ელუდგამს (ყიფ. ჭან. 8532-33) „აბრეშუმის მქონე („აბრეშუმი რომ აქვს-მა“) მიუდგამს, არმქონე („რომ არა აქვს-მა“) არ მიუდგამს“ – უღუნ-მუღუნ-ქ ქვა ასთომეს „გამუღულე-გამომუღული ქვას („მოდის-მოდის-მა ქვა“) ესერის“.

2) მრავლობითის ნიშნად თანხმოვნით დამთავრებულ ზმნურ ფორმებსაც -ფე ერთვის, ისტორიულად თანხმოვანფუძიანი სახელებისაგან განსხვავებით, რომლებთანაც -ფეფ გვაქვს მაგ.,

გაეფუ ნა პჭკომითფექთი ხეირ ვა მომჩეს (კარტ. 19410) „ნაჭამმა საჭმელბმა („საჭმელები რომ ეჭამეთ-ებმა“) ხეირი არ მოგეცა“.

ათინურ-ართაშენულში თანხმოვნით დამთავრებულ ზმნურ ფორმებთან ემფატიკური ხმოვანი მრავლობითის -ფე სუფიქსის წინ დაცულია:

ნა ბიგზალითუფეში (= ბიგზალით-უ-ფე-ში) ლაზუტი ჰინი დოკორობემ (კარტ. II, 16911) „წასულების („რომ წავედით-ების“) სიმინდი მათ მოაგროვეს“.

2. 1. 1. სახელობითი ბრუნვა. ლაზურში ყველა სახელი ხმოვან-ფუძიანია. სახელობითის ნიშანი დღეს ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი. ბოლოკიდური **ა, ო, უ** ხმოვნები ისტორიულადაც ფუძის კუთვნილებაა. ფუძისეულია

ბოლოკიდური **ო-ც** **ო-ფუძიან** სახელთა ერთ ნაწილში. ესაა უცხო ენებიდან – ბერძნულიდან და თურქულიდან – ნასესხები ის სიტყვები, რომლებიც იმ ენებშიც ხმოვანფუძიანნი არიან. მაგ., **ეჩენდი** < ბერძნ.-თ. *efendi* „ბატონი“, **დემირჩი** < თ. *demirci* „მჭედელი“, **გიურჯი** < თ. *Gürçü* „ქართველი“... დანარჩენი **ო-ფუძიანი** სახელები ისტორიულად თანხმოვანფუძიანები არიან და ორ ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფს განეკუთვნება საკუთრივ ლაზური, მეორეს – ნასესხები სახელები. ამ ფუძეებთან ბოლოკიდური **ო** წარმოშობით სახელობითის ნიშანია:

კოჩი < კოჩი „კაცი“, **ოხორო** < ოხორო-ი „სახლი“... **ბუედი** < ბუედი-ი < თ. *byk* „ულეაში“, **დუგუნი** < დუგუნი-ი < თ. *dügün* „ქორწილი“, **ფაი** < ფაი-ი < თ. *pay* „ნაწილი, წილი“...

სახელობითის ნიშანი ამ სახელებში ფუძესთანაა შეხორცებული: ორი ბრუნვებში ყველგან დაჩნდება ბრუნვის ნიშანთა წინ: **კოჩი-ქ** „კაც-მა“, **კოჩი-ს** „კაცს“ – **ფაი-ქ** „ნაწილმა, წილმა“, **ფაი-ს** „ნაწილს, წილს“ –

ლიტერატურაში სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული აგრეთვე ფუძის ბოლოკიდური **ე**.

ნ. მარი **ო-ს** სახელობითის ქართულ დაბოლოებად თვლიდა, ძველ ლაზურ თუბალ-კაენურ მაწარმოებლად **კი** **ე** ნიშანი მიაჩნდა, ზოგიერთ სახელში რომ დასტურდება: **ბერ-ე** „ბიჭი“, **ნოთ-ე** „კვარი“, **ვიწ-ე** „ვიწე (დაბის სახელწოდება)“, **ოსურ-ე** „ქალიშვილი“ (Mapp 1910, 9–10).

ამასთან, **ნ.** მარი სახელობითის ამ **ე** ნიშნისაგან განასხვავებდა სიტყვათმაწარმოებელ **ე** სუფიქსს, რომელიც **ო**, **მა**, **ნო** პრეფიქსებთან ერთად გვხვდება წარმოქმნილ სახელებსა და მიმღეობებში: **ო-ფუტ-ე** „ადგილი სახლის გარშემო, ეზო“, **ო-ქოსალ-ე** „ცოცხი“, **მა-ღუღ-ე** „მელელვია“, **მა-პაზუღ-ე** „ციცინათელა“, **ნო-ცინცხალ-ე** „ნაპერწკალი“, **ნო-ცქიპოღ-ე** „ნაფოტი“ (Mapp 1910, 75–76).

სახელის ბოლოკიდურ **ე-ს** სხვადასხვა ოდენობად მიიჩნევდა **ა.** ჩიქობავაც. ფუძისეულად თვლიდა მკვლევარი ბოლოკიდურ **ე-ს** ნასესხებ სიტყვებში: **დეკიკე** (< არ.-თ. *dakika*) „წუთი“, **მეივე** (< სპ.-თ. *meyva*) „ხილი“; ფუძისეულად მიაჩნდა **ე** ნაწარმოებ სახელებშიც: **მამცუღალე** „მატყუარა“, **ონჩამურე** „ღომის საცეხველი“, **ნოპინწკალე**⁴³ „ცეცხლის წინწკლები“. სახელობითის

⁴³ თუმცა შდრ. **ნო** – **ე** კონფიქსით ნაწარმოებ **ნო-ხაპუღ-ე** სიტყვის

ოდინდელ, საკუთრივ მეგრულ-ლაზურ დაბოლოებად არის ჩათვლილი უ პირველადს (არანაწარმოებ) ლაზურ სახელებში: კუჩხე (შდრ. მეგრ. კუჩხი) „ფეხი“, ბერე „ბავშვი“, დამთირე (მეგრ. დიანთილი) „დედამთილი, სიდედრი“, ჩელამურე (მეგრ. ჩილამური) „ცრემლი“, ქოთუმე (მეგრ. ქოთომი) „ქათამი“, ლადრე/ლარდე (მეგრ. ლადირი) „ნედლი“ (ჩიქობაეა 1936, 49; 1938, 37, 63, 73, 97, 244). სახელობითის ამავე უ ნიშანს ხედავდა მკვლევარი მრავლობითი რიცხვის -ფფ-ე/-ფ-ე დაბოლოებაში: კონ-ფფ-ე „კაცები“, კატუ-ფფ-ე „კატები“⁴⁴.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, მიმღეობა ო-ჭკომ-ად-ე „საჭმელი“ სახელობითის უ დაბოლოებას შეიცავს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 92).

ჰ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს მიაჩნიათ, რომ ლაზ. -ე და სეან. -ე სახელობითის ნიშნის ალომორფია, რომლის შესატყვისი ქართულსა და მეგრულში არ არის შემონახული (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, 111; 2000, 183).

ლაზურში სახელობითის ნიშნად -ჟ-ს მიჩნევას გარკვეული დაბრკოლება ელოდება.

ქართული -ი-ს ზანურ (ნ. მართ – თუბალ-კაენურ) შესატყვისად -ჟ-ს გუღეება გაუმართლებელია, რადგან შესატყვისობა – ქართ. ი : ზან. ე – ლექსიკური მასალით არ დასტურდება, ქართულის ი-ს ზანურში ი შეესატყვისება და არა ე (Климов 1962, 38).

სახელობითის ნიშნის ერთ-ერთ ალომორფად -ჟ-ს დაშვებაც პრობლემატურია: მ. ქალდანმა, ვფიქრობ, დამაჯერებლად ახსნა, რომ -ე დაბოლოება, რომელიც სეანური პოეზიის ენაში დასტურდება და სახელობითის სეანურ მაწარმოებლად იყო მიჩნეული, მიღებულია ა ხმოვნის (ფუძის ბოლოკიდურის ან მრავლობითის სუფიქსის) და სახელობითის -ი დაბოლოების

შესახებ მისი ნათქვამი: „სახელობითის დაბოლოება ე-ც ზანურია“ (ჩიქობაეა 1938, 157).

⁴⁴ ნ. მარი მრავლობითის მაწარმოებლად -ფფ სუფიქსს გამოყოფდა და ფიქრობდა, რომ სახელობითის ძველი, თუბალ-კაენური -ე დაბოლოება მის წინ არის შემონახული: კონ-ე-ფფე „კაცები“, ფუჯ-ე-ფფე „ძროხები“ (Март 1910, 13).

შერწყმით. სახელობითის ნიშნად სვანურშიც -**ო** გამოიყოფა (ქალდანი 1974, 148-165).

2. 1. 2. ნათესაობითი ბრუნვა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ლაზურში -**ში** და -**ში** ალომორფებით არის წარმოდგენილი. ისტორიულად ლაზურშიც, ისევე როგორც მეგრულში, ნათესაობითის ფორმანტის ალომორფთა ორი წყვილია სავარაუდებელი: -**ში** || -**ში** (ბოლოთანხმოვნთან) და -**ში** || -**ში** (ბოლოხმოვნთან): **თხორ-ში** || **თხორ-ში** „სახლის“ და **ჯა-ში** || **ჯა-ში** „ხის“. ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ლაზურ-მეგრულის -**ში** და -**ში** (< ***ძში**) დაბოლოებები ქართულის -**ის** და -**ის** ნიშნებს შეესატყვისება (თოფურია 1927, 314; ჩიქობავა 1936, 54; 1942a, 92)⁴⁵. რაც შეეხება ბოლოკიდურ **ო** ხმოვანს, მისი რაობა გარკვევას მოითხოვს.

ა. ჩიქობავას აზრით, ეს არის ემფატიკური ხმოვანი, რომელიც იგივე ოდენობაა, რაც არის **ო** ქართულის ფუძეუკვეცველ სახელთა ნათესაობითში (**წყაროს-ო**, **ყრუს-ო**, **პეტრეს-ო**, **შოთას-ო**), და ფუნქციურად ეტოლება ქართულის ემფატიკურ **ა** დაბოლოებას (**მდინარის-ა**) (ჩიქობავა 1942a, 71 შმდ.).

მკვლევრის აზრით, ემფატიკური **ო** მეგრულ-ლაზურში დაერთვის, ნათესაობითის გარდა, სხვა ირიბ ბრუნვებსაც: „მეგრულში ასევე ხშირია ის მოქმედებითში, არ არის უცხო მიცემითისა და მოთხრობითისათვის: კოჩით(ი), კოს(ი), კოჩქ(ი); დამოუკიდებელივ აღებულ ბრუნვებში ეს **ო** უფრო მკვიდრია, სხვა სიტყვასთან ხმარებისას კი იჩრდილება; მეტადრე ეს ითქმის ნათესაობითი ბრუნვის შესახებ; მაგრამ საკმარისია -**ცა** ნაწილაკი დაუმატოთ და **ო** ყველა ხსენებულ ბრუნვაში ნათლად იგრძნობა: კოჩი-თი (კაციც), კოჩიში-თი (კაცისაც), კოსი-თი (კაცსაც), კოჩქი-თი (კაცმაც)... ეს **ო** მეგრულისა (და ჭანურის) ემფატიკური დაბოლო-

⁴⁵ შდრ. ნ. მარის ვარაუდი, თითქოს ლაზურში ნათესაობითის ნიშანი -**ში** მიღებულია -**ში**-ისაგან **ო** ელემენტის გადასმით: **ნოლაში** < ***ნოლა-ში** „ბაზრის“. მკვლევრის აზრით, **ო**-ს გადასმა განაპირობა იმან, რომ ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი (-**ში**) მუდამ ხმოვანს მოსდევდა. ეს ხმოვანი ან ფუძის ბოლოკიდური იყო (***ნოლა-ში**), ან სახელობითის **ო**, რომელიც ირიბ ბრუნვებში გადაჰყვება ფუძეს (***მღუთ-ო-ში** „თუთის“, ***ზერ-ო-ში** „ბაგვის“) (Март 1910, 10). ანალოგიურად ახსნა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შედგენილობა მეგრულში ი. ყიფშიძემ (Кипшидзе 1914, 019-020). იხ. აგრ. ონიანი 1989, 93.

ბაა, ე. ი. იმავე ღირებულების მქონეა, როგორც ქართული -ა: კაც-ისა, კაც-ითა, კაც-სა...“ (ჩიქობავა 1936, 56).

ფიქრობ, **o** არ უნდა იყოს ემფატიკური დაბოლოება. საქმე ის არის, რომ, ჯერ ერთი, ნათესაობითში წარმოჩენილი **o** სულ სხვა ოდენობაა, ვიდრე დანარჩენ ირიბ ბრუნვებში გამოვლენილი **o** (კოჩქ-**o**-თი, კოს-**o**-თი); მეორეა და, თვით ქართულში ფუძე-უკვეცველ სახელთა ნათესაობითის (წყაროს-**o**) -**o** არ უნდა წარმოადგენდეს ემფატიკურ ხმოვანს.

დავიწყოთ იმით, რომ ნათესაობითის **o** (კოჩქ-**o** „კაცისა“, ჯაშ-**o** „ხისა“) არ შეიძლება გაეუტოლოთ სხვა ირიბ ბრუნვებში დართულ **o**-ს (კოჩქ-**o** „კაცმა“, კოს-**o** „კაცს“... ჯაქ-**o** „ხემ“, ჯას-**o** „ხეს“...).

მეგრულში მოთხრობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი და დანიშნულებითი ბრუნვის ფორმებს, ე. ი. იმ ბრუნვის ფორმებს, რომლებშიც ბრუნვის ნიშანი თანხმოდებით ბოლოვდება, **o**-ს ნაცვლად შეიძლება **g** ან **z** ხმოვანი დაერთოს⁴⁶. ასე რომ, გვაქვს პარალელური ფორმები: კოჩქ-**o** | კოჩქ-**g** | კოჩქ-**z** „კაცმა“, კოს-**o** | კოს-**g** | კოს-**z** „კაცს“...

რომ სახელთა ირიბ ბრუნვებს (ნათესაობითის გამოკლებით) **o**-ს პარალელურად **g** და **z** ერთვის, ეს აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს (Кипшидзе 1914, 017, 022, 024). იგი მართებულად მიუთითებს, რომ ეგვე **o**, **g**, **z** ხმოვნები ერთვის თანხმოდებით დამთავრებულ ზმნურ ფორმებს, მაგ., ჭარუნს-**o** | ჭარუნს-**g** | ჭარუნს-**z** „წერს“. **o**, **g**, **z** ხმოვნები, როგორც სახელებში, ისე ზმნებში, ი. ყიფშიძეს მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტებად მიაჩნდა. მისი აზრით, ეს ხმოვნები გამოთქმის გასაადვილებლად ჩნდება სახელისა და ზმნის თანხმოდებით დაბოლოებებში (Кипшидзе 1914, 012).

⁴⁶ შდრ. Климов 1962, 23: «В мегрельском диалекте, сфера использования эмфатического гласного является сравнительно широкой, эмфазис может факультативно присоединяться к любому падежному окончанию с исходом на согласный, кроме, по-видимому, морфемы обстоятельного падежа -ს). მაერცობი ხმოვანი ვითარებით (და დანიშნულებით) ბრუნვაშიც არ ეუცხოება მეგრულს. შდრ. საეაჭროთი (ყიფ. მეგრ. 3₁₂) „საეაჭროდ“, ტყურათი (ხუბ. 11_ა) „ტყურადად“, გასაკერეთი (ყიფ. მეგრ. 4_ა) „გასაკერადად“, ჩქიმოთი (ყიფ. მეგრ. 4_ა) „ჩემთვის“, ნდიშოთი (ხუბ. 13₁₂) „დევისთვის“, მეანბეთ (ყიფ. მეგრ. 33_ა) „შობადად“, მაშხვათ (ყიფ. მეგრ. 13₁₂) „სიმსხოდად“, კოჩქოთ (ხუბ. 329_ა) „კაცისთვის“ და სხვა მრავალი.

ამგვარი „პარაზიტული“ ხმოვნები (სახელწოდებისათვის იხ. ჟღერები 1953, 177) ლაზურშიც დასტურდება. მათი არსებობა ი. ყიფშიძისა და ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში საგანგებოდ აქვს აღნიშნული ა. ჩიქობავას (ჩიქობავა 1939, XXVI-XXVII). ეს ხმოვნებია: **ო, უ, ჯ.** მაგ.,

უკანხე ჭუმანი დიფუ. **შოფელესო**, – „ჩოი ჩიქიშია ვიღარე“, – თქუ დილენჩიქ (ყიფ. ჭან. 76₁₁) „მერე გათენდა. ადგენ, „ჩემს სოფელში წავალ“, – თქვა მათხოვარმა“; დილა[შ] ოხოროშა/ე ეულურ, სი-თი მეხთარე, ოფშა ნეძი უღუნო, მვეიხირათერე! (ყიფ. ჭან. 77₁₆) „დედაბრის სახლში მიედივარ, შენც წამოდი, ბევრი ნიგოზი აქეს, მოვიპაროთ!“; **ხერახ(ო) დიდაქ(ო)** თხვერი შუმტუ (ყიფ. ჭან. 78₂₄) „ლამე დედაბერი ნართით („ნართს“) ქსოვდა“; პიმდოს პიმ დიდაქო პამუს უკიფუ (ყიფ. ჭან. 83₁₃) „მაშინ იმ დედაბერმა ამას უკიფლა“; პუს დელიქჟ მორდერი კუკმათე წარი ქონობუ (ყიფ. ჭან. 79₆) „ახლა გიქმა დიდი თუნგით წყალი ჩამოკიდა“; პინდოს ა გამატახერი კალათი დელიქჟ ქეჭოფუ (ყიფ. ჭან. 79₂₈) „მაშინ ერთი ძირგაეარდნილი („გამოტეხილი“) კალათი აიღო გიქმა“; „ბოზუმოთა მი მებუშქვათუ“, **თქვეხ(უ)**. „ჩოური იმამი მებუშქვათუ“ (ჩიქ. II, 118₄) „გოგო ვის დაუტოვოთ?“ – თქვეს. „სოფლის იმამს დაუტოვოთ“; ხაჯილულიშა მენდახოფუ (ჩიქ. II, 118₆) „პაჯობაზე წაეიდნენ“, ბოზო-მოთა სქანი ოროსპილული **იქუმსუ** (ჩიქ. II, 118₂₂) „შენი ქალიშვილი უსაქციელობს („ბოზობას იქმს“)“; ცუ, და შქიმი, ბაბა შქიმი **გოხოხამსუ**, ჭუმანი ბიდაფენუ! (ჩიქ. II, 118₃₁) „ჰე, ჩემო დაო, მამაჩემი გეძახის, ხეალ წაეიდეთ“; დადი ცა დაჩხური **ოგუნუ** (ჩიქ. II, 119₆) „ტყეში ცეცხლი ანთია“...

იხ. აგრ. ზემოთ (გვ. 12–13) დამატებითი მასალა ახლად მოპოვებული ათინური ტექსტებიდან.

ა. ჩიქობავა ლაზურის **ო, უ, ჯ** ხმოვნებს მეგრულის **გ**-ს ფარდ ოდენობად თელიდა. როგორც მეგრულის **გ**, ისე ლაზურის **ო, უ, ჯ** მას მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტად, ქართულის პროსოდიული ა ხმოვნის შესატყვისად, მიაჩნდა, ლექსში რომ გეხედება (შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ ტირსა, სწვაგსა).

საყურადღებოა, რომ ქართულის კილოებშიც შეინიშნება **გ** და **უ** ხმოვნების ანალოგიური ხმარება. შ. ძიძიგურს ლექსუმურში შენიშნული აქვს, რომ წინადადებაში პაუზის დროს სიტყვის ბოლოს ვითარდება **გ** და **უ**. მაგალითებად მოტანილია: **ხუთშაბათსგ, სამშაბათსგ, ვიცოდითგ, თქვენგ; ვიცოდითუ, ხუთშაბათსუ**– როგორც მკვლევარი მიუთითებს, **უ**-ს ხმარება ახასიათებს იმერულსაც. ასეთი **უ**-ები შ. ძიძიგურს აღნიშნული აქვს ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ XVIII საუკუნის ერთ იმერულ საბუთში (ძიძიგური 1954, 175).

დამაჯერებელი ჩანს ქ. ძოწენიძის მიერ ფრთხილად გამოთქმული ვარაუდი იმერულისა და ლენსუმიურის ამ ფორმებში მეგრულის სუბსტრატის გამოკრთომის შესახებ (ძოწენიძე 1967, 223).

მეგრულის მემკვიდრეობასთან უნდა გვექონდეს საქმე სვანურშიც, სადაც **o** და **u** ხმოვანთა ამგვარივე ხმარების მაგალითები შენიშნული აქვს გ. კლიმოვს (Климов 1962, 25–27).

მეგრულში სახელთა ირიბ ბრუნვებს **o**, **g**, **u** ერთვისო, ითქვა, მაგრამ ეს არ ეხება ნათესაობით ბრუნვას. ნათესაობითის **u** ელემენტს მხოლოდ **o** ხმოვანი ერთვის და მას არ შეიძლება შეენაცვლოს **g** ან **u**. შეუძლებელი ფორმებია: კოჩიშგ, კოჩიშუ.

ნათესაობითის ფორმებს დართული **o** რომ იმ რიგის ხმოვანი არ არის, რაც სხვა ირიბ ბრუნვებში დაჩნდება, ამას ლაზურშიც მოწმობს. ლაზურში „პარაზიტული“ **o**, **u**, **g** ხმოვნები მეტად შეზღუდულად იხმარება. დღესდღეობით ისინი მხოლოდ ათინურ-ართაშენულ კილოშია დადასტურებული, ნათესაობითში კი **o** ჩვეულებრივია ყველა კილოსათვის. ერთსა და იმავე პოზიციაში, ვთქვათ, **-ოი** „-ცა“ ნაწილაკის წინ, სხვა ირიბ ბრუნვებში **o**, **u**, **g** არ ჩანს, ნათესაობითში კი **o** აუცილებლად გვაქვს: კოჩიქ-ოი „კაცმაც“, კოჩის-ოი „კაცსაც“, მაგრამ – კოჩიშ-ო-ოი „კაცისაც“.

ლაზურში ემფატიკური **o** სპორადულად თუ ამოტივტივდება მიცემით ბრუნვაში. ამის მაგალითია ათინურ ტექსტში დადასტურებული ბექჩისი (< bekçi „დარაჯი, მცველი“) „გამზრდელს“:

იმ ბექჩისი წარ ბოზუმოთა-თი ქუჟონუ (ჩიქ. II, 124₆) „იმ გამზრდელს ერთი ქალიშვილიც ჰყავს“⁴⁷.

⁴⁷ სახელზე **o** მავრცობის დართვის მაგალითად არ გამოდგება იმავე ტექსტში წარმოდგენილი ლუნჯისი ფორმა: ლუნჯისი ოხოროში ბიდარე, ოფშკომარე (ჩიქ. II, 126₁₇). [შდრ. Климов 1962, 24 (ლუნჯი-ს-ი 'вечером'); კარტოზია 1968c, 151 („საღამოს“)]. ლუნჯისი არ შეიძლება ლუნჯი (< *ლუმჯი) „საღამო“ არსებითი სახელის მიცემითი (ან სხვა ბრუნვის ფორმა) იყოს. ლუმჯ-/ღიმჯ- ფუძეთაგან უ-ხმოვნიან ვარიანტს ათინურ-ართაშენული და ხოფურ-ჩხალური მხოლოდ ზმნურ ფორმებში წარმოგვიდგენენ, სახელურებში კი **o**-ხმოვნიან ღიმჯ- ფუძეს იყენებენ (განსხვავებით ვიწურ-არქაბულისაგან, რომელსაც ყოველგვარ ფორმაში – სახელურშიცა და ზმნურშიც – ერთადერთი ლუმჯ- ფუძე აქვს). ეჭვი არ არის, ციტირებულ ფრაზაში ზმნური ფორმაა საგულევებელი. სავარაუდოა, რომ ტექსტში უნდა იკითხებოდეს ლუმჯასი, ე. ი. ზმნის კავშირებითი II-ის ფორმა, რომელსაც

ორიოდე შემთხვევაში **o** ერთვის ზმნურ ფორმებსაც:

ჰამ ბერე დალი ბზირი! ცამანი ეროსი ცოღლითი! (ჩიქ. II, 125₁) „ეს ბავშვი ტყეში ვნახე. იცოდეთ, კარგად გაზარდეთ“; ცარ გიარი ოფშომათი! (ჩიქ. II, 127₂) „ერთი საჭმელი შევჭამოთ“.

ლექსებში ნ. მარს შენიშნული აქვს **o** ხმოვნის (რომელსაც მკვლევარი პროსოდიულად თვლიდა) დართვის შემთხვევები: «В стихах прозодически нарастает для рифмы гласное i, напр. мებიქაჩითი...» (Март 1910, 80).

ლიტერატურაში (Климов 1962, 24) მიცემითის **ს-ზე** ემფატიკური **o** ხმოვნის დართვის მაგალითებად არის მინიშნული ათინურ-ართაშენულში დადასტურებული ფორმები: **დოთანუ-ს-ო** „რომ გათენდა“, **შეომუ-ს-ო** „რომ შეჭამა“, **იდუ-ს-ო** „რომ წავიდა“...

დოთანუ-ს-ო, **შეომუ-ს-ო** და მსგავსი ფორმები ათინურ-ართაშენულში მეტად გავრცელებულია. შედგენილობით ესაა ზმნის პირიელი ფორმები, რომლებზეც მიცემითის ფორმანტის შემცველი ნაწილაკია დართული. ირკვევა, რომ **-ს-ო** ნაწილაკი ათინურ-ართაშენულის იმ თქმებში იხმარება, სადაც ბოლოკიდური **ს** იკვეცება. **დოთანუ-ს-ო**, **შეომუ-ს-ო** მიღებული ჩანს **დოთანუ-ს-ის**, **შეომუ-ს-ის** ფორმებისაგან. ამდენად **o-ს** ემფატიკურ ხმოვნად ჩათვლა გაჭირდება (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. აქვე, გვ. 180).

როგორც ვნახეთ, ემფატიკურ ხმოვნად ლაზურ-მეგრულში **ო**, **უ**, **გ** და **o** გვხვდება. ამათგან **ო** მეგრულმა არ იცის, **გ** და **o** კი მეტად შეზღუდულად იხმარება ლაზურში⁴⁸.

რა ურთიერთობაშია ეს ხმოვნები ერთმანეთთან და სხვა ქართველურ ენათა სათანადო მონაცემებთან?

მეგრულის ემფატიკური **უ**, **გ** და **o** ხმოვნებიდან **გ** ძირითადად ზუგდიდურ-სამურზაყანულში გვხვდება, **o** სენაკურ-მარტვილურს ახასიათებს, **უ** ორივე კილოში დასტურდება, უმთავრესად მაშინ, როცა ფუძე **უ** ან **ო** ხმოვანს შეიცავს (**დუს-უ** „თავს“, **კოს-უ** „კაცს“).

დაერთვის **o** (< **o-ს**) კავშირი (წარმოშობით – მიცემითი ბრუნვის ნიშანი). ტექსტი, ვუიქრობ, ასე უნდა გაიმართოს: **ლუნჯახი**, ოხორიშა ბიდარე, ოფშომარე „რომ დაღამდება (მოსაღამოდება), შინ მივალ, შევჭამ“.

⁴⁸ სახელთა ირიბ ბრუნვებში **უ** ხმოვნის დართვა ლაზურში იშვიათი მოვლენაა (შდრ., მაგ., **ჰინდოსუ** „იმ დროს“ ჩიქ. II, 87₂), მაშინ როცა ზმნურ ფორმებს ათინურ-ართაშენულში ყველაზე ხშირად **უ** მავრცობი ერთვის.

გ. კლიმოვის აზრით, ემფატიკური უ მიღებული უნდა იყოს გ და ი ხმოვნებისაგან ფუძისეულ უ და თ ხმოვნებთან ასიმილაციით (Климов 1962, 25). საქმის ვითარება, ვფიქრობ, სხვაგვარად აიხსნება: უ, გ და ი ხმოვანთაგან ამოსავალი უ უნდა იყოს, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში (ფუძეში უ ან თ ხმოვნის არსებობისას) შენარჩუნებულ იქნა, უცვლელად იქნა დაცული, სხვა შემთხვევებში კი გ და თ იცვალა.

ასევე უ უნდა იყოს ამოსავალი ემფატიკური გ და ი ხმოვნებისათვის ლაზურში. ლაზურისა და მეგრულის უ, რომელიც, თავის მხრივ, თ-სგან მომდინარეობს, ქართულის ემფატიკური ა ხმოვნის შესატყვისი ჩანს⁴⁹.

მაშასადამე, გამოდის, რომ ქართულის ა ხმოვანს ლაზურსა და მეგრულში თ, უ, გ და ი ხმოვნები შეესატყვისება. ქართულ ა-ს ზანურში თ შეესატყვისება. ეს თ გარკვეულ პოზიციებში ვიწროვდება და გადადის უ, ი, გ-ში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 158). სწორედ ერთ-ერთ ასეთ პოზიციაშია ემფატიკური თ ხმოვანი, სახელდობრ, სიტყვის ბოლოში (პაუზის წინ) არის მოქცეული. ლაზური, როგორც ჩანს, ამოსავალ თ-ს უცვლელად იცავს. შდრ. სუბიექტური მესამე პირის ნიშნის ანალოგიური სახეცვლილებანი ლაზურსა და მეგრულში: ქართ. ა სუფიქსის შესატყვისად ლაზურში უ გვაქვს, მეგრულში — უ და -გ⁵⁰, მაგრამ, ამასთან, ლაზურში (ათინურ-ართაშენულში) დასტურდება ამოსავალი თ ხმოვანიც: კრით (ჩიქ. II, 1217) „იკივლა“, დუხენო (ჩიქ. II, 12813) „გაუკეთა“, იგზალთ (ჩიქ. II, 12820) „წავიდა“ (კრითუ, დუხენუ, იგზალუ-ს ნაცვლად).

ლაზურში (და მეგრულში) ნათესაობითის -შ სუფიქსზე დართული -ი არ არის ემფატიკური ხმოვანი, ე. ი. იმ რიგის ხმოვანი, სხვა ირიბ ბრუნვებში რომ დაჩნდება გ, უ, თ-ს პარალელურად. ახლა ვნახოთ, რამდენად საფუძველიანია თ-ს ჩათვლა ემფატიკურ ხმოვნად თვით ქართულში.

ნათესაობითის ფორმებზე დართულ თ-ს, როგორც ლაზურ-

⁴⁹ იხ. Климов 1962, 25; 1964, 41. ოლონდ უნდა შეენიშნო, რომ მკვლევარს ზანურის ი ქართულის თ-ს შესატყვისად მიაჩნია და არა ა ხმოვნისა.

⁵⁰ ამ სუფიქსის ვარიანტად ი ხმოვანს რომ ვერ ვადასტურებთ, სავსებით გასაგებია: III პირის სუფიქსად თ ვერ იქნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ შემთხვევაში III და II პირის ფორმები დაემთხვეოდა ერთმანეთს.

მეგრულში, ისე ქართულში, ა. ჩიქობავა ემფატიკურ ხმოვნად თვლის. მკვლევარს მხედველობაში აქვს **ო**-ს არა უძველესი, თავდაპირველი ფუნქცია, არამედ ის ფუნქცია, რომელსაც დღეს ასრულებს. ა. ჩიქობავას აზრით, როგორც ემფატიკური **ა**, ისე სახელობითის **ო**, „ორივე ნაცვალსახელოვანი წარმოშობისაა (**ა** < **ჰა** – ნ. მარი; **ო** < **ოგო** – ა. შანიძე) და ორივეს თავდაპირველი ფუნქცია ერთნაირი უნდა ყოფილიყო, – განესაზღვრა ფუძე თუ ბრუნვა (კაც**ო** – კაც**ისა**)“ (ჩიქობავა 1942a, 90). მაგრამ როცა **ო**-ს ემფატიკურობაზე მსჯელობს, ავტორს მხედველობაში აქვს „ამ მონაცემთა ურთიერთობა არა გენეზისის მიხედვით, არამედ მათი ფუნქცია ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში“ (იქვე).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **ო** ხმოვანი ბოლო-უკვეცეულ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში გვაქვს: წყარ**ო**ს-**ო**, წყარ**ო**თ-**ო**; ყრუ**ს**-**ო**, ყრუ**თ**-**ო**; პეტრ**ე**ს-**ო**, პეტრ**ე**თ-**ო**; შოთა**ს**-**ო**, შოთა**თ**-**ო**...

კილოებში (ფშაურში, ხევსურულში, თუშურში, ინგილოურში, იმერულში, სპორადულად – კახურში, ქართლურში...) **ო** ერთვის ფუძეკვეცად და ბოლოთანხმოვნიან სახელთა ნათესაობითსაც. **ო** მოქმედებითში ფუძეკვეცად და ბოლოთანხმოვნიან სახელებს ერთვის ზემოიმერულში (სპორადულად – კახურში, ქართლურში) (შანიძე 1953, 92–93; ლეკიაშვილი 1941, 163; ჭინჭარაული 1960, 53; უთურგაიძე 1960, 34–35; გ. იმნაიშვილი 1956, 95; 1962, 138; ძოწენიძე 1952–1953, 77–78; მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956, 68, 70).

კილოების გავლენით, ორიოდ შემთხვევაში სალიტერატურო ენაშიც შესაძლებელი ჩანს მოქმედებითისათვის **ოთი** დაბოლოება: **ომითი**, **ამითი** (ჩიქობავა 1942a, 94), **მითი**, **მაგითი**, **რითი**.

ნ. მარის აზრით, ფუძეუკვეცეულ სახელთა მოქმედებითში **ოთ** დაბოლოება მიღებულია **ოთ**-ისაგან **ო**-ს გადასმით, ისევე როგორც ლაზურში (Mapp 1925, 52). ასეთი ახსნა უმართებულოა როგორც ლაზურის, ისე ქართულისთვისაც.

ა. შანიძესა (შანიძე 1953, 68) და ვ. თოფურიას (თოფურია 1929; 1956, 234 შმდ.; 1933, 41–42) მიაჩნდათ, რომ წყარ**ო**სი, ყრუ**ს**ი ნანათესაობითარი სახელობითია. რაც შეეხება მოქმედებითის **ო**-ს (წყარ**ო**თ-**ო**, ყრუ**თ**-**ო**), ა. შანიძის აზრით, იგი დართულია მოქმე-

დებითის დაბოლოებაზე, „ოღონდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქო **თ** დაბოლოებაში ხმოვანი იქნა გადასმული და ასეთი გადასმის შედეგად **თ** მივიღეთო. არა, **თ** სუფიქსს ახლად განუვითარდა ბოლოში **ი**, როდესაც მის წინ **ი** უკვე დაკარგული იყო“ (შანიძე 1953, 66). ე. თოფურიას აზრით, **ი** მოქმედებითში ნათესაობითის ანალოგიით არის გაჩენილი.

წყაროსი რომ ჩვეულებრივი ნანათესაობითარი სახელობითი არ არის, ამაზე, ა. ჩიქობავას აზრით, შემდეგი ფაქტი მიუთითებს: ნანათესაობითარი სახელობითის ფორმები (მისი, სხვისი...) საზღვრულის წინაც შეიძლება დავსვათ (მისი საქმე) და შემდეგაც (საქმე მისი). **წყაროსი** კი მხოლოდ საზღვრულის შემდეგაა შესაძლებელი (წყალი წყაროსი), წინ კი – არა (**წყაროსი წყალი** არ ითქმის) (ჩიქობავა 1942a, 88–89).

მაგრამ ძველ ქართულში ნათესაობითში დასმული საკუთარი სახელებიც ამგვარსავე სურათს გვიჩვენებდნენ: პოსტპოზიციური წყობის დროს ირთავდნენ **ი**-ს, პრეპოზიციულის დროს კი – არა: ძმ დავითის-**ი** – დავითის ძმ. „მაგრამ, – წერს ა. ჩიქობავა, – „დავითისი“ და „წყაროსი“ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ფაქტია; მერე – სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა ჯგუფთა სახელებთანაა ნახმარი (აღამიანის სახელი – ზოგადი სახელი). და რაც მთავარია, დავითისი (ძმ დავითის-**ი**) წინ დასმისას რომ უინოდაა, – ამას ახსნა ჭირდება. და სანამ ეს ახსნილი არაა, მანამდე დავითისი, როგორც სახელობითი, უფრო საკითხია, ვინემ ფაქტი, რომლის მიხედვითაც სხვათა კვალიფიკაცია შეიძლებოდეს“ (ჩიქობავა 1942a, 89, შენ. 1).

წყაროსი და **დავითისი**, ვთქვათ, სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ჯგუფის ფაქტებია და, დაეუშვათ, ამიტომ არ შეიძლება მათი შედარება, მაგრამ ერთსა და იმავე ეპოქაში საზოგადო სახელებშიც ხომ იგივე ვითარება გვექონდა?! შდრ. ძმ დავითის-**ი** – დავითის ძმ და ძმ კაცისა-**ი** – კაცისა ძმ. კაცისა-**ი** ფორმაში **ი** იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც **ი** დავითის-**ი**-ში: **ი/ი** სახელობითის ნიშანია.

ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს სახელობითის **ი/ი** ერთოდა პოსტპოზიციური წყობის დროს, არ ერთოდა პრეპოზიციური წყობის დროს. ასე იყო ეს როგორც საკუთარ სახელებში, ისე საზოგადოებშიც.

შემდეგ. რატომ განვიხილავთ სახელობითს სხვა ბრუნვებისგან მოწყვეტით? (იხ. მარტიროსოვი 1956, 385). ირიბ ბრუნვებშიც ხომ იგივე მდგომარეობა გვაქვს: წინამავალი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, მომდევნო კი იბრუნვის: დავითის ძემან, დავითის ძესა... კაცისა ძემან, კაცისა ძესა... — ძემან დავითის-მან, ძესა დავითის-სა... ძემან კაცისა-მან, ძესა კაცისა-სა...

დავითის-მან, დავითის-სა ნანათესაობითარი ბრუნვებია, ასევე ნანათესაობითარი ბრუნვაა **დავითის-ო**.

სუბსტანტიური მსაზღვრელისათვის სწორედ ის იყო დამახასიათებელი, რომ ბრუნვის ნიშნებს მაშინ დაირთავდა, როცა საზღვრულს მოსდევდა. საზღვრულის წინ იგი უბრუნველი იყო. ესაა ნორმა ქართულისათვის, როგორც ძველისათვის, ისე ახლისთვისაც.

ამ ნორმიდან გადახვევა შეიმჩნევა იმ შემთხვევაში, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია (**მისი, თვისი, ვისი, მათი...**). ასახსნელი სწორედ ეს გადახვევაა.

ეფიქრობ, ეს საკითხი კარგადაა ახსნილი ლიტერატურაში. საქმე ის არის, რომ **მისი, თვისი, ვისი, მათი** ნაცვალსახელები, ერთი მხრით, და **დავითისი, კაცისაჲ, წყაროსი** სახელები, მეორე მხრივ, სხვადასხვა ოდენობებია. აღნიშნული კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოშობით ნანათესაობითარი ფორმებია, მაგრამ მათ დიდი ხანია (უკვე ძველსავე ქართულში) დაკარგული აქვთ ნათესაობითის გაგება. სამართლიანად მიუთითებდა ა. შანიძე: „კუთვნილებით ნაცვალსახელებს გენტივის გაგება აღარ აქვთ. მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ „მისი“, „მათი“, „სხვისი“ და მისთანა ორმაგი ბრუნვის გაგებას გვაძლევდნენ (ნათ.-სახელობითისას); არა, ესენი ცალმაგი ბრუნვის ფორმებია, მათი ფორმაა სახელობითი. ამის გამო მათში შემავალი **ის** და **თ** წარმოქმნის ელემენტებად უნდა ვცნათ“ (შანიძე 1953, 116):

ემფატიკური **-სა** და **-ს** ფუნქციური იგივეობა, ა. ჩიქობავას აზრით, იმაშიც ვლინდება, რომ ორივე აუცილებელია საზღვრულის შემდეგ დასმულ მსაზღვრელთან. „-ა, -ო თუ აქვს ნათესაობითს, ეს ნათესაობითი წინამავალ საზღვრულთან დაკავშირებული გამოდის; უამისოდ კი ნათესაობითი შეზღუდული არაა: მომდევნო სიტყვას ისევე შეიძლება დაუკავშირდეს, როგორც — წინამავალს: შდრ.

კავშირი ინგლისისა კოლონიებთან (ვისი კავშირი? ინგლისისა).

კავშირი ინგლისის კოლონიებთან (ვის კოლონიებთან? ინგლისის კოლონიებთან).

•, → მომდევნო მსაზღვრელს დაერთვის და გვაძლევს დახშულ კონსტრუქციას (შეიძლება გვეთქვა: ფინიტურ კონსტრუქციას)“ (ჩიქობავა 1942a, 90).

ის ფაქტი, რომ • ხმოვანი ისევე აუცილებელია საზღვრულის მომდევნო მსაზღვრელში (წყალი წყაროს-•), როგორც ა (წყალი მდინარისა), ჯერ კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ → და • ერთ და იმავე ოდენობად ვცნოთ. • და → მართლაც აუცილებელია დახშული კონსტრუქციისათვის, მაგრამ საკითხავია: კონსტრუქციას რა ხშავს, ემფატიკური ხმოვანი თუ ბრუნვის ნიშანი? ირიბი ბრუნვები რომ ავიღოთ, კონსტრუქციის დამხშველი ყველგან ბრუნვის ნიშანია: წყალმა მდინარისა-მ, წყალს მდინარისა-ს; წყალმა წყაროსა-მ, წყალს წყაროსა-ს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე ბრუნვის ნიშანია კონსტრუქციის დამხშველი სახელობითშიც. წყაროს• და მდინარისა ორივე ნანათესაობითარი სახელობითის ფორმაა. განსხვავებას მხოლოდ ის ქმნის, რომ ერთ შემთხვევაში ფუძედ ნათესაობითის გავრცობილი ფორმაა აღებული (მდინარისა-), მეორეში კი – გაუვრცობელი (წყაროს-). როცა ფუძედ ნათესაობითის გაუვრცობელი ფორმაა აღებული, კონსტრუქციის დამხშველი ბრუნვის ნიშანი (-•) ნათლად ჩანს (წყაროს-•), ხოლო როცა ფუძედ გავრცობილი ფორმაა ნათესაობითისა, ბრუნვის ნიშანი (-მ) ახალ ქართულში გაუჩინარებულია, ფარულადღა იგულისხმება, უფრო ზუსტად: ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი (მდინარისა = მდინარისა-0). კონსტრუქციის დახშვის ფუნქცია თითქოს -ა-ს აქვს დაკისრებული. მაგრამ •-სა და →-ს ფუნქციური იგივეობა მოჩვენებითია.

შესადარებლად შემდეგ ფაქტზე მივუთითებ:

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ზოგიერთი ზედსართავის საწარმოებლად საკმარისი იყო ბრუნვის ნიშნის დართვა შესაბამის ზმნიზედაზე. აქა – აქა-მ (აქა-მან, აქა-სა...), მანდა – მანდა-მ და ა. შ. (მანჯგალაძე 1953, 481 შმდ.; კიკვიძე 1958, 81–82). ზედსართავის წარმოების ეს წესი ახალ ქართულსაც შემორჩა. ახალ

ქართულში ზმნიზედათა დიდ ნაწილს ბოლოკიდური ა მოკვეცილი აქვს: აქ, მანდ, სად, ზედ, წინ... იმისათვის, რომ მათგან ზედსართავი ეაწარმოოთ, საჭიროა აღუედგინოთ მოკვეცილი ა: ზედ – ზედა, შინ – შინა, წინ – წინა, ჯგან – ჯგანა. შდრ. ზედა სართული; წინა კაკი ჯგანასი ხილიაო; წეროებს ეზედაე ცაშია, დამწერივდნენ როგორც ისარი, წინა ჯგანას ხმას აძლევს, უყვირის როგორც ციკარი (რ. ერისთ. 1960, 345).

ამ აღდგენილ ა-სთან სახელობითის ნულოვანი ალომორფის არსებობა იეარაუდება. ახ. ქართ. ზედა = ზედა-0 = ძვ. ქართ. ზედა-მ.

მაგრამ ზედსართავის წარმოება სხვანაირადაც შეიძლება: ა-მოკვეცილ ზმნიზედას პირდაპირ დაეურთავთ ბრუნვის ნიშანს:

ზედაზედ – ზედაზედ-ი (არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედაზედო, ეტ, 1180₂), წინდაწინ – წინდაწინ-ი (პრისტავმა ესე ყოველივე წინდაწინი გამოძიება დასწერა, გ. წერ. 333).

ამგვარი წარმოება ძველსავე ქართულში გექონდა. მუნ ზმნიზედისაგან (რომელსაც ბოლოკიდური ა ადრევე ქქონდა მოკვეცილი) ზედსართავი იწარმოებოდა მასზე უშუალოდ ბრუნვის ნიშნის დართვით, ა-ს აღუდგენლად: მუნ – მუნ-ი (მანჯგალაძე 1953, 482).

ზედა (ზედა სართული) და ზედ-ი (ჭირი ზედაზედო) მნიშვნელობით ერთია, ერთი და იმავე ზმიზედისაგანაა (ზედ < ზედა) წარმოებული. ზედსართავის მაწარმოებლად ერთ შემთხვევაში - ა ჩანს, მეორეში – ი, მაგრამ ამის გამო მათ ფუნქციურად ტოლ ოდენობებად – ზედსართავის მაწარმოებლად – ვერ ჩავთვლით. ორივე შემთხვევაში ზედსართავის მაწარმოებლად ბრუნვის ნიშანი გვევლინება⁵¹. ერთ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი (ა) ერთვის ზმნიზედის სრულ (ა-იან) ფორმას და ბოლოკიდური ა-ს მეზობლობაში თვითონ იკარგება, მისი არსებობა ფარულადღა იგულისხმება. მეორე შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი (ი) ერთვის ზმნიზედის ა-მოკვეცილ ფორმას და დაცულიკაა.

ნათესაობითის ფორმას დართული ი, მაშასადამე, სახელობითის ნიშანია. მაგრამ, ნათესაობითის გარდა, ი მოქმედებითშიც

⁵¹ „ზედსართავი წარმოადგენს ბრუნვის ნიშნებით განსაზღვრულ ფუძეს, ხოლო ზმნისართი – განუსაზღვრელ ფუძეს“ (კიკვიძე 1958, 82).

გვხვდება: წყარო-თ-ი, რუ-თ-ი, პეტრე-თ-ი, ლურჯა-თ-ი... შდრ. აგრ. ზემოიმერული საპნ-ით-ი, ქვ-ით-ი, ურმ-ით-ი... აქ იგი სახელობითისა, რასაკვირველია, არ არის, ნათესაობითის ანალოგიით ჩანს გაჩენილი (ვ. თოფურია).

ა. ჩიქობავამ XIII –XVIII სს-ის ძეგლების ენის ანალიზის საფუძველზე დაასკენა, რომ **-ო** დაბოლოება ერთდროულად იჩენს თავს ნათესაობითსა და მოქმედებითში, ამდენად **-ო** მოქმედებითში ნათესაობითის ანალოგიით ვერ იქნება გაჩენილი; და რადგანაც **-ო** მოქმედებითში სახელობითის ნიშანი არ არის, არც ნათესაობითში იქნება **-ო** სახელობითისაო (ჩიქობავა 1942a, 88).

ვფიქრობ, ძნელია ასე გადაწყვეტით იმის მტკიცება, თითქოს **-ო** დაბოლოება ნათესაობითსა და მოქმედებითში ერთდროულად ჩნდებოდეს. მთის კილოებში **-ო** თანხმოვანფუძიან და ფუძეკვეცად სახელთა ნათესაობითსაც ერთვის, მაშინ როცა მოქმედებითში **-ო** უჩვეულოა (განსხვავებით ზემოიმერულისაგან).

შემდეგ. შუა საუკუნეთა ძეგლების ენის მონაცემები სხვაგვარად სვამს ნათესაობითსა და მოქმედებითში **-ო**-ს ხნოვანების საკითხსაც. ა. ჩიქობავა **-ო**-იანი ფორმების წარმოჩენას XVII–XVIII საუკუნიდან ვარაუდობს, მაგრამ წყაროსი ტიპის წარმოება შეიძლება საშუალი ქართულის უფრო ადრინდელ ძეგლებშიც დაეადასტუროთ.

ასე, მაგ., XV საუკუნის ხელნაწერში (H 795), სადაც მოთავსებულია „ცხოვრება იოანე ზედაზნელისაჲ“, გვხვდება **-ო**-ხმოვნიანი ნანათესაობითარი სახელობითი ბოლოუკვეცელი სახელისა – **უკორცოსი**:

ვითარცა იყო სახე ყოყელთავე ჭეშმარიტისა, პირველი იგი – ახლისა მის სჯულისა სიძე იგი ფარაოსი, ფარაოჲ უკორცოსი⁵² მის ფარაოსი, ვითარცა ეგპეტე ჯოჯოხეთისაჲ, ერთი-ერთისა მახლობელნი სახითა. ი. ზედაზნ. 193₄₃.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „კარაბადინის“ ხელნაწერში, რომელიც XV ს-ის უკანასკნელ ათეულ წლებს განეკუთვნება, გვხვდება ასეთი მაგალითები:

ტყაენ[ნი] ბუხი და ფანაქისა არიან კარგნი და საზრდელნი ტანისანი (კარაბ. 91₂₆); ნიშანი უმცროსისა აფლონისა (კარაბ. 108₅).

უფრო მეტიც. XII ს-ის ხელნაწერში გვხვდება მოხუცებულაჲსი: ნუგეშინის-მცემელი მოხუცებულაჲსი (S 417, 366₂₂).

⁵² გამოცემაში (ი. ზედაზნ. 193₂₉) გასწორებულია: უკორცოჲსა.

ნანათესაობითარი სახელობითის ო-ხმოვნიაანი ფორმების გაჩენა შედეგია ენაში მომხდარი ძირეული ძვრისა – ემფატიკური -ა ხმოვნის ფუნქციის მოშლისა. იმის შემდეგ, რაც ჩვეულებრივი ფაქტი გახდა პრეპოზიციული სუბსტანტიური მსაზღვრელის ამ ემფატიკური ხმოვნის გარეშე წარმოდგენა, ნანათესაობითარმა ბრუნვებმა ფუძედ ნათესაობითის -ა-თი გაურთულებელი ფორმა გამოიყენეს.

ემფატიკური -ა-ს ფუნქციის მოშლა უკვე ძველ ქართულშივე დაწყებული პროცესია და ამის შედეგი უნდა იყოს ნანათესაობითარ ბრუნვებში ნათესაობითის მარტივი ფორმების წარმოჩენის საკმაო მაგალითები ძველი ქართული ენის ძეგლებში. შდრ.

თუალთა ბრმისთა (იოანე, 9, 6 E); სცა თავსა მის უკეთობისსა (კიმ. I, 307,24); მამამან მის ქალისმან თქუა (კიმ. I, 309,16); გეჰენიასა ცეცხლისსა (კიმ. II, 48,17); გეჰენიამისსა (მათე, 23, 33 E); ნათესავისნი (ლუკა 7, 31 L); ღ თის-მშობლისსა (კიმ. I, 83,11) და ა. შ.

მთელი ეს მსჯელობა ნათესაობითში წარმოჩენილი ბოლოკიდური ო-ს არაემფატიკურობის შესახებ მიმართული იყო იქითკენ, რათა დამტკიცებულყო, რომ ლაზურში (და მეგრულში) წინამავალი სუბსტანტიური მსაზღვრელი ნანათესაობითარი სახელობითის ფორმით არის წარმოდგენილი.

წინამავალი სუბსტანტიური მსაზღვრელის ნანათესაობითარ სახელობითში დასმა ქართულ დიალექტებსაც [ინგილოურს (იმნაიშვილი 1962, 138), თუშურს, ფშაურს (უთურგაიძე 1960, 35), აჭარულს (ნიქარაძე 1957, 55)...] არ ეუცხოება.

ლაზურ-მეგრულისა და ქართულის რიგი კილოს მონაცემები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისტორიულად აქ სუბსტანტიური მსაზღვრელიც იბრუნეოდა საზღვრულის წინ, შემდგომში კი, როცა წინამავალი მსაზღვრელი საერთოდ უბრუნველი გახდა, ატრიბუტული მსაზღვრელები სახელობითის ფორმით დარჩა ირიბ ბრუნვებში, სუბსტანტიურები კი – ნანათესაობითარი სახელობითის ფორმით.

ეს რომ მართლაც ასე უნდა მომხდარიყო, ძველი ქართულის მონაცემები მოწმობს. ძველ ქართულში ნათესაობითში დასმული საკუთარი და საზოგადო სახელები იშვიათად საზღვრულის წინაც დაირთავდნენ ბრუნვის ნიშნებს, ეთანხმებოდნენ მომდევნო საზღვრულს. დადასტურებულია ასეთი შესიტყვებანი:

კორცთამ არსებამ, კაცთამ ნათესავი, წყალთამ ბუნებამ, ბაჟამსამ რტომ,

ღმრთებისამან სამკჳდურმან, მროკეალისამან მოძღუარმან, სიწმიდისასა მას სძესა, წარმართთასა მას ზღაპრობასა, რკინისანი საჯინი, ზღუსანი იგი ღელეანი— იესუსი ხილუა, დაეთისი კაცი, იუდაისი უბადრუკებამ, რებეკასი ძმამ, პაულსი თავისა მოკუეთამ, იოვანშისა კელის-დადებასა, პეტრშისი ცრემლნი...

აქ მხოლოდ ზოგიერთი მაგალითია მოყვანილი წყაროთა მიუთითებლად. ამ რიგის ენობრივ ფაქტებს დაწვრილებით მიმოიხილავენ ი. იმნაიშვილი და ა. კიზირია.

ი. იმნაიშვილი ფიქრობდა, რომ ისტორიულად სუბსტანტიური მსაზღვრელი, ატრიბუტულის მსგავსად, ბრუნვაში (და რიცხვში) ეთანხმებოდა საზღვრულს, ე. ი. მართულ-შეთანხმებული იყო. შემდგომ კი დაკარგა შეთანხმების უნარი და ნათესაობითის ფორმით დამკვიდრდა საზღვრულის წინ (იმნაიშვილი 1957, 584).

ა. კიზირიას აზრით, მართული მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულს რომ ეთანხმება, მეორეული მოვლენაა, რომელიც ენამ არც კი შეითვისა (კიზირია 1963, 255–256).

როგორც უნდა გადაწყდეს წინამდევალი სუბსტანტიური მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების სიძველის საკითხი, ფაქტია, რომ ეს შეთანხმება უკვე ძველ ქართულშივე გვხვდება და დიალექტებში დღესაც იჩენს თავს. ასე რომ, ლაზურსა და მეგრულშიც სუბსტანტიური მსაზღვრელის შეთანხმება მომდევნო საზღვრულთან უძველესი მოვლენა თუ არა, ამ ენების მიერ უკვე განვლილი ფაქტი მაინც არის.

წინამდევალი სუბსტანტიური მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმება, როგორც ჩანს, ფაკულტატურ ხასიათს ატარებდა.

ამის გამოძახილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი **-ს** გარეშეც გვხვდება. პარალელურად დასაშვებია: ლაზ. **ბაბაში ოხორი** | **ბაბაში ოხორი** „მამის სახლი“, მეგრ. **ჯაში ცუდე** | **ჯაში ცუდე** „ხის სახლი“. **ბაბაში** და **ბაბაში**, **ჯაში** და **ჯაში** უნდა განვიხილოთ როგორც სუბსტანტიური მსაზღვრელის ორგვარი სახეობა: მართულ-შეთანხმებული და ოდენმართული.

მაგრამ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა სუბსტანტიური მსაზღვრელი მხოლოდ **-(ი)ში** ფორმანტითაა წარმოდგენილი, ვერ ვიტყვით, რომ ეს მაინც და მაინც ძველი ვითარების ამსახველი იყოს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ბოლოკიდური **ი** ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს დაკარგული. საქმე

ის არის, რომ მეგრულ-ლაზურს ბოლოკიდურ ხმოვანთა, კერძოდ, **ო-ს**, დასუსტება-დაკარგვა ახასიათებს. **ო-ს** დაკარგვა ჩვეულებრივია მეგრულის ორივე დიალექტში (აქ სუსტდება და იკარგება ბოლოკიდური **უ** და **გ** ხმოვნებიც⁵³). ლაზურში განსაკუთრებით ვიწურ-არქაბულს ახასიათებს **ო-ს** მოკვეცვა, არც ათინურ-ართაშენულისათვის არის უცხო ეს მოვლენა (ყლენტი 1953, 174-175). ასე რომ, სახელობითის **კოჩ** „კაცი“, **ოხო** „სახლი“, **კაპიკ** „კაპიკი“, **მჭკუდ** „მჭადი“ და მსგავსი ფორმების ამოსავლად **ობოლოკიდურიანი** ფორმები (**კოჩი**, **ოხო**, **კაპიკი**, **მჭკუდი**) ივარაუდება. ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ ხშირ შემთხვევაში, როცა სუბსტანტიურ მსაზღვრელს ოდენ **-(ო)შ** ერთვის, ბოლოკიდური **ო** მოკვეცილი უნდა ჰქონდეს. ამავე დროს გასათვალისწინებელია ხოფურ-ჩხალურის ჩვენებაც. აქ სახელობითის **ო**, ჩვეულებრივ, არ იკვეცება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაოდენობით რიცხვით სახელებს), სუბსტანტიური მსაზღვრელი კი ბოლოკიდური **ო-ს** გარეშე აქაც იხმარება (თუმცა, რასაკვირველია, ვიწურ-არქაბულთან შედარებით ნაკლები ინტენსივობით).

ლაზურში სახელობითის ფორმა და სახელის ფუძე ერთმანეთს დაემთხვა (შდრ. **კოჩი** [**კოჩ-ო**] „კაცი“ – **კოჩი-ქ** „კაცმა“, **კოჩი-ს** „კაცს“...). მეგრულში **ო-ხმოვნისანი** ფორმა (წარმოთქმის სრული სტილის დროს) და **ო-მოკვეცილი** (წარმოთქმის კვეცილი სტილის შემთხვევაში), ორივე თანაბრად გამოხატავს ფუძესაც და სახელობითსაც (შდრ. კომპოზიტებში: **გურ-ჭითა** | **გური-ჭითა** „გულწითელა“, **კისერ-მუკოტახილი** | **კისერი-მუკოტახილი** „კისერმოტეხილი“). ანალოგიური მიმართებაა ნათესაობითის **ო-ხმოვნისანი** (ე. ი. ნანათესაობითარი სახელობითის) და უამხმოვნო (ე. ი. ოდენნათესაობითის) ფორმათა შორის. ამიტომ არის შესაძლებელი ნანათესაობითარი სახელობითის ხმარება თანდებულთან (ნათესაობითის ნაცვლად). შდრ.

ლაზ.: **მაკრიაღურეფეში** წოხლე (ჩიქ. II, 21₂) „მაკრიაღელების წინ“; **ჯაში** თუდე (ჩიქ. II, 26₁) „ხის ქვეშ“; **ქვაში** ჯინ (ჩიქ. II, 134₂₄) „ქვაზე“; **ტორბაში** თუდენდო (ჩიქ. II, 88₁₄) „ტომრის ძირში“...

მეგრ.: **ცუდეში** თუდო (ხუბ. 7₃₃) „სახლის ქვეშ“; **ცუდეში** წოხოლე (ხუბ. 10₃₈) „სახლის წინ“; **გერიში** ხოლოშა (ხუბ. 10₆) „მგლის ახლოს“; **ცა** დო **დიხაში** შქას (ხუბ. 4₅) „ცისა და მიწის შუა“...

⁵³ წარმოთქმის ორგვარი (სრული და კვეცილი) სტილის შესახებ მეგრულში იხ. გუდავა 1975, 356-360.

ზოგიერთი მთქმელის მეტყველებაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად -შ(ი)-ს პარალელურად -ს დაბოლოებაც დასტურდება:

მუსტაფას შუი მოლაღვინ გუდას (კარტ. II, 363) „მუსტაფას სულა („სული დგას“) გუდაში“; შეეფე მუსტაფას ოხოის პოდოდეს (კარტ. II, 371) „ნიუები მუსტაფას სახლში დადეს“; არ ზენგინის ოხოის ინალიშეფს (კარტ. II, 2419) „ერთი მდიდრის სახლში მუშაობს“; მაჟუანი ნდღას ქომულუნან თურჯაის ოხოიშა (კარტ. II, 2320) „მეორე დღეს მოვლენ ვაჭრის სახლში“; ანშ თანე კააი თურჯაის ბიჭის მეჩაფს (კარტ. II, 2340) „ექვს გემს ვაჭრის ვაფს მისცემს“; ართუნის ბურთი (კარტ. II, 2727, 2819) „ოქროს ბურთი“; ონდღე იყვეტუ-ქი, ფათიშაის ოხოის ქონოდგითუ. ნეგნას ბექნეფექ ვარ ამონქეფს კოჩი (კარტ. II, 2736-37) „შუადღე იქნებოდა, რომ ხელმწიფის სახლს მიადგა. კარის მცველებმა არ შეუშვეს კაცი“; მუში ნეგნას კონეფეს დუჯოხუ (კარტ. II, 2815) „თავის კარისკაცებს დაუძახა“; ია კოჩის ჯოხო დო ოდლი ქოდლიიჭაეს (კარტ. II, 2822) „იმ კაცის სახელი და გვარი ჩაიწერეს“; სეიზ (< სეიხ: მომდევნო მქდერის მეზობლობაში) გვერდის დეეფე ქისელეს (კარტ. II, 373) „შუადამეს („ღამის ნახევარზე“) დეეები ადგნენ“; არ დღას ჯუმა-მუშის წოხლე ქაგონტუხუ (კარტ. II, 223) „ერთ დღეს თავის ძმას გამოუტყდა („თავისი ძმის წინ გამოტყდა“)“.

ნათესაობითის ნიშნად -ს ფორმანტის წარმოჩენა ჩვენი ინფორმატორების ინდივიდუალურ თავისებურებას როდი წარმოადგენს. საინტერესოა, რომ რ. ერკერტი ნათესაობითის ნიშნად ლაზურში სწორედ -ს ფორმანტს გამოყოფდა და ნიმუშად მოჰყავდა მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი წყვილები: ბინეხი-ს ღობერი „ვენახის ღობე“, ბაბა-ს ონტულე (ორტულე) „მამის ბოსტანი“, ბაბა-ს ჯუმა „მამის ძმა“, ჯუმა-ს⁵⁴ და „ძმის და“, ბაბა-ს ცხენი „მამის ცხენი“ და ა. შ. (Erckert 1895, 347, 350).

ლაზურის მკვლევართ არ გამოჰპარვიათ რ. ერკერტის ეს უცნაური ცნობა. პ. აჭარიანი აღნიშნავდა: ერკერტის მიხედვით, ნათესაობითი და მიცემითი იდენტურნი არიანო (Adjarian 1899, 69[407]).

ბ. მარის აზრით, «Все это – или из речи отгузинившихся лазов, или одно недоразумение» (Март 1910, 12).

მართალია, თავისი შრომის მეორე ნაწილში – გრამატიკულ მიმოხილვასა და საილუსტრაციო შესიტყვებებსა და წინადადებებში – რ. ერკერტი მხოლოდ -ს ფორმანტს უჩვენებს ნათესაობითის ნიშნად, მაგრამ ნაშრომის პირველ ნაწილში, სადაც ლექსიკონია მოთავსებული, ლაზურ მასალაში – კომპოზიტებსა და სახელურ შესიტყვებებში – ნათესაობითის ნიშნად თითქმის ყოველთვის

⁵⁴ დაბეჭდილია: ჯუმი-ს.

-ში, -შ გვხვდება. მაგ., №105 filiš-kvili (= ძილიშ-ყვილი) „სპილოს ძვალი“, №115 cxeniši-thgebi (= ცხენიში-ტკები) „ცხენის ტყავი“, №133 cxeniš-motha (= ცხენიშ-მოთა) „კეცი“, №173 cxeniš ilxi (= ცხენიშ ილხი) „ცხენის ჯოგი“, №245 tکاریš pskibu (= წკარიში ფსქიბუ) „წყლის წისკელი“, №298 diškaš xope (= დიშქაშ ხოპე) „ხის ნიჩაბი“, №366 thopuriši luquna (= თოფურიში ლუქუნა) „თაფლის სანთელი“ და სხვ. ასე რომ, ლაზურში ნათესაობითის ნიშნად -შ(ი) რომ გვაქვს, რ. ერკერტისთვის ცნობილი იყო.

რ. ერკერტის მიერ ნათესაობითის ნიშნად -ს ფორმანტის მინჩევა, ვფიქრობ, შეპირობებული იყო იმით, რომ მისი ინფორმატორები სპორადულად ს-დაბოლოებიან ნათესაობითსაც იყენებდნენ. ამგვარი ნათესაობითი დასტურდება სხვადასხვა დროს სხვადასხვა კილოს წარმომადგენელთაგან სხვადასხვა პირის მიერ ჩაწერილ ტექსტებში. უცნაურია, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისს არც ნ. მარის ჩანაწერები წარმოადგენს. ზემოაღნიშნული სამი მკვლევრის გარდა, -ს-ნიშნის ნათესაობითის საკითხს 1968 წლამდე (შდრ. კარტოზია 1968a, 136-142) არავინ შეხებია. ა. ჩიქობავას მის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში (მათ შორის - მისი რედაქციით გამოცემულ ი. ყიფშიძის ტექსტებშიც) -ს-ნიშნის ნათესაობითთან ზოგჯერ კითხვის ან გაკვირვების ნიშანი აქვს დასმული. საილუსტრაციოდ მოვიყვან -ს-ნიშნის ნათესაობითის მაგალითებს ადრე გამოცემული ტექსტებიდან:

ნამ კირალის კონი რე? (მარი, 109, 21₁₃) „რომელი ხელმწიფის კაცი ხარ?“, რუსის კონი სი რე ნა⁵⁵, პიჯი ვარ გილუნ სარი (მარი, 109, 21₁₇) „შენ თუ რუსის კაცი ხარ, პირი არა გაქვს ყვითელი“; კირალის კონი რე (მარი 112, 22₉₀) „ხელმწიფის კაცი ხარ“; ჩინელი დოკორობუმს, წიფრის დუღის ქეილამს (მარი, 103, 15₄) „ყვეაილებს შეაგროვებს, წიფლის წვერზე აიტანს“; მაჟურანი ნდღას ურუსის (?) ასკერი ჭოროხიშა იმტუ (ყიფ. ჭან. 2₂₀) „მეორე დღეს რუსის ჯარი ჭოროხისკენ გაიქცა“; იენჩერეფე გონიას კალეს ქომულიბღეს (ყიფ. ჭან. 3₂₅) „იანიჩარები გონიოს ციხეში შეცვივდნენ“; არ ტაქიმიქ საფთიეფეშ ოდას კურშუმის (!) ოსტომილუთე თოლი ვარ გონწკაფეს (ყიფ. ჭან. 10₇) „ერთმა ჯგუფმა პოლიციელთა ოთახში ტყვიის სროლით თვალი არ გაახელინა“; სქანი-სთერი კონიშ აქ დოხუნუ ონჯლორე ვარენი სქანდა, ოშ კონიხ ბედელი-ნა რე? (ყიფ. ჭან. 11₉) „შენისთანა კაცის აქ დაჯდომა სირცხვილი არ არის შენთვის, ასი კაცის ბადალი რომ ხარ?“, -„ამსერი გიჭანდღეფ“ -„სო მონჯირაფ?“ -„ხინჯის (?) თის!“ (ყიფ. ჭან. 17₁₇) „ამაღამ გაპტიუებ“ «სად დამაწვენ?» «ხიდის თაქში»“; კად ხეშა ლეტა ქომობღეს-შ-კულე

⁵⁵ დაბეჭდილია: სი რენ ნა.

ხოჯაქ დახინის ოკითხუს ქოგოჭკუ (ჩიქ. I, 131₁₁) „მიწა კარგად („კაიხელად“) რომ მოაყარეს, ხოჯაქ დახინის⁵⁶ კითხვა დაიწყო“; ადუხტოზის თუთას-ნა მაყოროფი (ჩიქ. II, 146₆) „აგვისტოს თვეში რომ შემეყვარე“; სკურაფი აგუდუ დო იდუ ალა მუშის ხანიშა (ჩიქ. II, 10₁₆) „სამართლებელი აილო და მივიდა თავის ბატონთან („წავიდა თავისი ბატონის მხარისკენ“); სუმ წანას ანაკრიას, ფოთის, ჩამჩირეს ბიჩალიშიდორენ, ზუღას (!) სანდალის (ჩიქ. II, 23₂₆) „სამ წელიწადს ანაკლიაში, ფოთში, ოჩამჩირეში ვიძუშავე, ზღვის გემზე“; ასლანიშ ბიჭიქ ბოზო ეჭოფუ დო ფადიშაის ბიჭის გვიდენ ქეკუხუნუ (ჩიქ. II, 38₃₄) „ლომის ვაჟმა გოგო აიყვანა და ხელმწიფის ვაჟს უკან შემოუსევა“; ქამ მცხურიში თიკანი ჯოღორის ბუას ნორდერენ (ელ. 48₂₂) „ეს ცხერის ბატკანი ძაღლის რძით არის გაზრდილი“; ნოღამისა ოხორჯალეფეს ოღას ქამონამან (დიუმ. I, 118₁₉) „პატარძალს ქალების ოთახში შეიყვანენ“⁵⁷ -

-ს-ნიშნიანი ფორმები დასტურდება თანდებულთა წინაც:

არ ხაათის კულე (ელ. 42₄) „ერთი საათის შემდეგ“; კაჭხის დოღოხე (ელ. 151₁₃) „გალიაში“; ხუთ წანას დოღოხე (ელ. 143₁₆) „ხუთ წელიწადში“; მთვორის დოღოხე (ელ. 88₂₄) „თოვლში“; კუის დოღოხე (ელ. 78₂₃) „ორმოში“; ოხორის დოღოხე (ყიფ. ჭან. 2₃) „სახლში“; მუზარეს დოღოხე (ჩიქ. II, 93₂₆) „საფლაეში“; ფიშფილის თუდე (ჩიქ. II, 10₉) „წიერს ქვემოთ“; მახტუღის თუდე (ჩიქ. II, 16₁₅) „ბალიშის ქვეშ“; ქვას თუდე (ჩიქ. II, 58₁₉) „ქვის ქვეშ“; გურ დღას წოხლე (ჩიქ. II, 148₆) „ორი დღის წინ“-

როგორ აეხსნათ **-ს-დაბოლოებიანი ნათესაობითის არსებობა ლაზურში?**

-ს-ნიშნიანი ფორმები მხოლოდ თანდებულთა წინ რომ გექონდეს, კაცი იფიქრებდა, მიცემითის ფორმასთან გვაქეს საქმეო, მაგრამ მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში მიცემითის დაშვება გამორიცხულია⁵⁸.

-ს-ნიშნიანი ნათესაობითი -შ-ფორმანტიანი ნათესაობითის ფონეტიკურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. იგი შედეგი ჩანს ბოლოკიდური შ თანხმოვნის ს-ში გადასვლისა. შ > ს პროცესი ლაზურში ანალოგიური უნდა იყოს ქართულის კილოებში (კახურ-

⁵⁶ ყურანის სურა, რომელსაც მიცვალებულს უკითხავდნენ

⁵⁷ გამომცემელს (ჟ. დიუმენილს) ოხორჯალეფეს მიცემითად აქეს გაგებულა aux femmes „ქალებს“. მთელი ფრაზაც, ამის შესაბამისად, ასე აქეს თარგმნილი: Puis on introduit la fiancée près des femmes „შემდეგ პატარძალი ქალებთან შეყავთ“.

⁵⁸ სახელშმნასთან **-ს-დაბოლოებიანი სახელის შეწყობა (კურშუმის ოსტომილე, მასინის ოკითხუ...)** შეიძლებოდა მიგვეჩნია უძველესი სინტაქსური ურთიერთობის - შმნის (და, მაშასადამე, აგრეთვე სახელშმნის) მიერ სახელთა მიცემით ბრუნვაში მართვის - ამსახველად, მაგრამ რა უწყობთ ისეთ სახელურ შესიტყვებებს, სადაც საზღვრული არსებითი სახელია (კირაღის კონი, ადუხტოზის თუთა, ფათიშაის ბიჭი...)?

ში, ქართლურში-) მოქმედი $\mathfrak{S} > \mathfrak{D}$ პროცესისა. როგორც ცნობილია, ქართულის ზოგიერთ დიალექტში სიტყვის ბოლო-კიდური \mathfrak{S} თანხმოვანი (კერძოდ, ნათესაობითის ფორმანტიც) იოტად იქცევა. რაც შეეხება არაბოლოკიდურ \mathfrak{S} ბგერას, იგი მხოლოდ გარკვეულ პოზიციაში, გარკვეულ თანხმოვანთა, კერძოდ, წინა-ენისმიერთა წინ იქცევა იოტად. მაგ., **ბოსტანი** > **ბომტანი**, **ნასწავლი** > **ნამწავლი**...

მსგავს ცვლილებას განიცდის ნათესაობითის - \mathfrak{S} ნიშანი მეგრულში. იგი ხშირად სუსტდება და \mathfrak{D} -დ იქცევა: **კამეჩიშ ცვალი** > **კამეჩიშ ცვალი** „კამეჩის ყველი“ (ლომთაძე 1954, 220 შმდ.). კომპოზიტებში ეს \mathfrak{D} -ც დაკარგულია: **ზღვა-პიჯი** < **ზღვაშ პიჯი** „ზღვის პირი“ (Кипшидзе 1914, 20). ასევე არამდგრადია **შთ/შტ** და **სთ/სტ** კომპლექსები მეგრულშიც. მეგრულიც ამარტივებს მათ, მაგრამ სხვა გზით: კარგავს კომპლექსის მეორე წევრს: **სუმარი** < **სტუმარი**, **შერი** < **შტერი** (ქლენტი 1953, 165).

ნათესაობითის \mathfrak{S} დაკარგულია ლაზურ კომპოზიტებშიც: **ზუღა-პიჯი** < **ზუღაშ პიჯი** „ზღვის პირი“ (Март 1910, 11), მაგრამ $\mathfrak{S} > \mathfrak{D}$ პროცესს ლაზურში ვერ ვადასტურებთ (ჩხალურში ნათესაობითის ნიშნის \mathfrak{D} ალომორფი სხვა წარმოშობისაა. ამის შესახებ იხ. ცოტა ქვემოთ). ლიტერატურაში (ლომთაძე 1954, 226; Климов 1962, 90) ნათესაობითის \mathfrak{S} -ს \mathfrak{D} -დ ქცევის შემთხვევად მიიჩნევენ ამგვარ ფორმებს ათინურ-ართაშენული ტექსტებიდან: **ფადიშაი** **ოხორიშე** (ჩიქ. II, 9620) „ხელმწიფის სახლში“, **ფადიშაი** **ბოზომოთას** (ჩიქ. II, 9820) „ხელმწიფის ქალიშვილს“. მაგრამ აქ \mathfrak{S} -ს \mathfrak{D} -დ ქცევასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მის უკვალოდ დაკარგვასთან, დაჩრდილვასთან (ჩიქობავა 1936, 63).

\mathfrak{D} აქ \mathfrak{S} -ს ნაცვალი კი არ არის, არამედ \mathfrak{O} ხმოვნისაგან არის მიღებული რიგი ფონეტიკური პროცესის შედეგად: **ფადიშაიში(ო)** > **ფადიშაიშ(ო)** > **ფადიშაიშ(ო)** > **ფადიშაი** (ხმოვნებს შორის \mathfrak{D} -ს დაკარგვით, დიფთონგიზაციით და ნათესაობითის - $\mathfrak{S}(ო)$ -ს მოკვეცივით). შდრ. სხვა ბრუნვათა ფორმები:

ფადიშაი, **თილიი**, **სიჯა** **დერემენჯი**, **კონქშიფე** **ხოლო** **ოდას** **ქოხენან** (ჩიქ. II, 9736) „ხელმწიფე, მელა, სიძე მეწისქვილე, მეზობლები კიდევ ოთახში სხედან“; **დუგუნჯიფე**, **ფადიშაი** **კონალიშე** **ქომოდონუ** (ჩიქ. II, 9926) „მექორწილენი, ხელმწიფე სახლში მოიყვანა“; **ოკანხე** **დუგუნჯიფე**, **ფადიშაი** **ჯერი** **გოიქთეს**, **ოხოი** **ნიშიშე** **მენდახთეს** (ჩიქ. II, 9933) „შემდეგ მექორწილენი, ხელმწიფე უკან გაბრუნდნენ, თავიანთ სახლში წავიდნენ“; **ქომენუ** **ფადიშაიქ** **ოზუმაშე**

ხოლო (ჩიქ. II, 96₃₆) „მისცა ხელმწიფემ საწყაო კიდევ“; **ფადიშაიქ** კომნი ნუკვათუ (ჩიქ. II, 97₃₂) „ხელმწიფემ ცხვარი დაუკლა“; **ფათიშაი**-თი-ქ სერი-ნდღალერი ნჯირი ვა იქომს (ჩიქ. II, 97₃) „ხელმწიფესაც ღამით და დღისით არ სძინავს („ხელმწიფეცაც – ძილი არ იქმს“)“; **ფადიშაი**ს თილჩიქ უწუჩი- (ჩიქ. II, 96₂₀) „ხელმწიფეს მელამ უთხრა...“; **ფადიშაი**ს სელამი ქომენეს (ჩიქ. II, 98₂₆) „ხელმწიფეს მიესალმნენ („სალამი მისცეს“)“...

მ მაშინაც დასტურდება, როცა ნათესაობითის -შ მოკვეცილი არ არის ან მიმართულებით-გამოსვლითის -შა/-შე-დაბოლოებიანი ფორმა გვაქვს:

თილჩი იგზალუ **ფათიშაიში** ოხოიშე (ჩიქ. II, 97₃) „მელა წაეიდა ხელმწიფის სახლში“; მა **ფადიშაიში** ბოზომოთა ქომექჩი (ჩიქ. II, 100₁₈) „მე ხელმწიფის ქალიშვილი შეერთე“; სუმ დღაშ უკულე ხოლო-თი მენდახთუ თილჩი **ფადიშაიშა** (ჩიქ. II, 96₃₅) „სამი დღის შემდეგ კელავაც წაეიდა მელა ხელმწიფესთან“.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ში | -შ | -ს | -ი ალომორფებს უნდა დაემატოს -მ. იგი დასტურდება ჩხალურში, დაერთვის სუბსტანტიურ მსაზღვრელს და თანდებულებიან სახელს. მაგალითები მომყავს წიგნიდან – კარტ. II:

აღი-აღამ ხუსენი (306₂) „აღი-აღას ჰუსეინი“; **ჩხალიამ** დუზი (313₂₅) „ჩხალის ვაქე“; **გაურჯეფე** ქიოის (311₃₄) „ქართველების სოფელში“; **იობიპე** ბაბა (311₁₃₋₁₄) „იობის მამა“; **გაურთი** მექთების (311₁₅) „ურჯულოს სკოლაში“; **უშქიჩი** ვაფეფს (312₁₉) „ვაშლის ტოტებზე“; **ეშუი** კონეფექ (307₆) „იმისმა კაცებმა“; **ტუქღელი ოხოლოდამში** ეერი (312₂₃) „თოფის სასროლი (სროლის) ადგილი“.

ეშუი დოლოხე (306₁₀) „იმის შიგნით“; **ჩეჩმე** თუდე (305₃₃) „ჩენმის ქვეშ“; **მეზაჩი** ეინ (307₈) „საფლავზე“; **ეშუი** წოხლე (309₃₃) „მასზე უწინ“; **მოღარდუი** უკულე (306₃₃) „როცა დაიღალა („დაიღალა-ს შემდეგ“)“; **ეშუიკულე** (304₁₃) „იმის შემდეგ“.

მ ფაკულტატიურად იკარგება ფუძისეული ი-ს შემდეგ (დამავალი იმ დიფთონგი მარტივდება):

ფათიშაი (< ფათიშაი) კულანი (308₂₂) „ხელმწიფის ქალიშვილი“; **ცხენი** (< ცხენი) ხუშქი (310₁) „ცხენის ჩონჩორიკი“; **გაოლი** (< გმოლი) უკავანხე (308₃₉) „ტბასთან („ტბის უკან“)“.

შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ მ აქ შ-ს დასუსტების შედეგად არის მიღებული, და შ > მ გადასვლა იმავე პროცესად მიგვეჩნია, რაც ახასიათებს მეგრულს (შდრ. მეგრ. **კამეჩი**მ ცვალი < **კამეჩი**შ ცვალი „კამეჩის ყველი“, **ინჭამ** წყარი < **ინჭაშ** წყარი „ჭის წყალი“), მაგრამ ჩხალურშივე შენიშნული ზოგი ენობრივი ფაქტი სხვაგვარი ახსნის საშუალებას იძლევა. მხედველობაში მაქვს შემდეგი:

ა) როცა ნათესაობითის -ში ნიშანი ზმნის ფორმას ერთვის (ე. ი. კავშირის ფუნქციას ასრულებს), იკარგება ამ ნიშნის თანხმონური ელემენტი:

აქონ ნე თელეფონი იჩალიშეფს, მთეიი დომთეაი (< დომთეაში < დომთეასში), ნეთი ჯეირანი იყენ არ თუთა, ეურ თუთას (305₁₁) „აქ არც ტელეფონი მუშაობს, რომ მოთოვს („თოვლი რომ მოთოვს“), არც დენია ერთ თევს, ორ თევს“; მთეიი მთეაი (< მთეაში < მთეას-ში), ჩქეა ეა გამულუნ მითი, ჭახლა დომთეაი (< დომთეაში < დომთეას-ში) (305₁₆₋₁₇) „რომ მოთოვს, აღარაენ გამოდის, ძლიერ რომ მოთოვს“; ქიოილი მუკაპაფს, მოხთაი (< მოხთაში < მოხთას-ში), მუთუ ეა რენ (307₁₇) „თანასოფლეი („სოფლეი“) მოირბენს, რომ მოეა, არაფერი“; ექონა მებთაია (< მებთა-ში-ა), თოლითენ ძირათუნონა (308₃₈) „იქო რომ მიხვალთო („მიხვალო“), [თქენი] თვალთ ნახეთო“.

ბ) იკარგება -ში დაბოლოების შ ზმნიზედებშიც:

აქონაი (< აქონაში) (307₁₂, 311₃₁, 312₁₀) „აქ“; ექონაი (< ექონაში) (306₂₁, 307₂, 310₃₆, 312₆, 314₁₈) „იქ“; მტკობაშიაი (< მტკობაშიაში) (311₃₄, 311₃₅) „მაღულად“.

გ) მიმართულებითი ბრუნვის -შა ნიშანი ხშირად ა აღომორფად წარმოგვიდგება:

დემირჯია (< დემირჯიშა) მინდახთუ (307₂₅) „მჭედელთან წავიდა“; ქეშიძია (< ქეშიძიშა) ეშაფთათა, გოვოწკედათა (307₃₄) „გამოსარკევეად ავიდეთო, შეეხედოთო“; მაქქემეა (< მაქქემეშა) მინდახთუ (309₂₇) „სასამართლოში წავიდა“; აა ოხორია (< ოხორიშა) მინდილია, ხანუმის მინდულია (309₃₆) „ეს სახლში წაიღეთო, ქალბატონს მიუტანეთო“; ბაბა-მუშითი მტკობაა-მტკობაა (< მტკობაში-მტკობაში) კალიგია (< კალიგიშა) ნულუნ (310₃₁) „მამამისიც მაღულად („მაღულად-მაღულად“) კარვისკენ მიდის“; ემ ვახთის თრაბუზანია (< თრაბუზანიშა) მენდოქუ ბაბა-მუშიქ (311₁₈) „მაშინ ტრაპიზონში გააგზავნა მამამისმა“.

დ) შ იკარგება დაშორებით ბრუნვაშიც:

თუდენ (< თუდემენ) (307₆) „ქვეშიდან“.

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები, ვფიქრობ, იძლევა იმის საფუძველს, რომ ნათესაობითის -შ დაბოლოებაც ამ გზით მიღებულიად ჩაეთვალთ: $V + ში > Vი$ (ინტერვოკალურ პოზიციასში შ-ს დაკარგვით) $> Vი$ (დამავალი დიფთონგიზაციით).

2. 1. 3. მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვები. ამ ბრუნვათა დაბოლოებათა თანხმონური ელემენტი (შ) ჩხალურში რომ იკარგება, ითქვა. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ათინურ-ართაშენულში მიმართულებითი და დაშორებითი ერთი ბრუნვით გადმოიცემა. ამ ბრუნვის ნიშანი ზოგ ქცევაში -შა არის, ზოგში -შე (ჩიქობავა 1936, 60-61; 1939, XXVII-XXVIII). ათინელი (სოფ. მელიათი) ენეერ ერგენჩის მეტყველების თავისებურება კი ის

არის, რომ მიმართულებით-დაშორებითის ფუქციით ნათესაობითის ფორმას იყენებს:

შეიძინა პაპუში პაპუში პაპუ კირიმში პოლიში მოხტეს (კარტ. II, 331₁₂) „ჩემი პაპის პაპის პაპა ყირიმიდან სტამბოლში მოვიდა („მოვიდნენ“); **ობტანობლიში** გულეთითი მოხტეს პაპო (კარტ. II, 331₁₃) „სტამბოლიდან დიდი ნავით მოვიდნენ აქ“; ა ჯუმა-მუში სურმინათში მოხტუ [...], ა ჯუმა-მუში ჩაველიში მოხტუ, ფერკამში ეშეახტუ (კარტ. II, 331₁₅₋₁₇) „ერთი ძმა სურმინათში მოვიდა [...], ერთი ძმა ჩაველიში მოვიდა, ფერკამში ავიდა“; ა ბერე-მუში და სურმინათში მეღიათში ჯეხტუ (კარტ. II, 331₂₂) „ერთი შვილი კი სურმინათიდან მეღიათში ჩამოვიდა“; დულმა-შეიმში ეულუ-მოვეულუ (კარტ. II, 331₁₇) „ჩემს საქმეზე მივიდი-მოვედივარ“.

2. 1. 4. მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის აღმომორფებად ლაზურში **-თენ** და **-თე** გვაქვს. გამოკვეყნებულ ათინურ-ართაშენულ ტექსტებში სპორადულად დასტურდება **-თ**:

ინჯილი ქვათ იფუ (ჩიქ. II, 124₃₅) „მარგალიტის თელით („ქვით“) აივსო“; დოფცონი ღემშით(ე)⁵⁹ (ჩიქ. II, 106₁₃) „აეცვი ნემსით“; ხოჯი დო ხაფანთ ხონუმტეს (კარტ. II, 181₈) „ხარითა და სახნისით ხნაედნენ“; გოდორთ მობიკილამტით (კარტ. II, 181₉) „გოდრით მოვიკიდებდით“.

ამ მაგალითებისაგან უნდა განვასხვავოთ არქაბულში დადასტურებული **კუკუმაფეთ** „თუნგებით“ ფორმა:

ოფურემ კონიფ დო ოხორჯალეფ ორ ხოლ ხეფეს ქუფეფ დო კუკუმაფეთ, წკარიშ მოხითიუ ჩუმერტეს (დიუმ. I, 93) „სოფლის კაცები და ქალები, ყველანი ხელში ქვევრებითა და თუნგებით, წყლის მოსეკლას უცდიდნენ“.

არქაბულ კილოკავს (უფრო სწორად, მის ზოგ თქმას) სიტყვის აუსლაუტში ხმოვნის (მათ შორის **ე-ს**) მოკვეცვა ახასიათებს (შდრ. თუნდაც წინამდებარე ფრაზაში: **კოჩეფ < კოჩეფე, ოხორჯალეფ < ოხორჯალეფე, ქუფეფ < ქეფეფე, ირხოლ < ირხოლე**), ამიტომ ამ შემთხვევაში **-თ** აღმომორფის სიძველეზე საუბარი გაჭირდება, მაშინ როცა ათინურ-ართაშენულში მოქმედებითის არქაული (საერთო ქართულ-ზანური) დაბოლოების შემონახვა უფრო სააღბათოა.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ რ. ერკერტის განცხადება, ლაზურში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **-თ** არისო (Erckert 1895, 351). ნ. მარი წერდა: «По Erckert'у заимствованным оказывается в чанском из грузинского и род[ительный] усеченный на -с [...], а твор[ительный] звучит совершенно по-грузински: ცხენით,

⁵⁹ ამ სიტყვის შესახებ გამომცემელი სქოლიოში შენიშნავს: „ე თითქმის სულ არ ისმის“.

ხოვე ესე - ილი იზ რეჩი ოგრუზინივშიქსე ლავი, ილი ოდო ნედორაზუმენი» (მარე 1910, 12).

რ. ერეკერტი არ ცდებოდა, როცა ნათესაობითი ნიშნად - ზფორმანტს მიუთითებდა ლაზურისათვის. როგორც ჩანს, არც მოქმედებითი ნიშნის შემთხვევაშია მისი ცნობა უგულვებელსაყოფი.

2. 1. 5. ვითარებითი ბრუნვა. ვითარებითი (და დანიშნულებითი) ბრუნვა ლაზურში დღეს არა გვაქვს. მისი ნაშთილა შემოგვრჩა თითო-ოროლა სიტყვაში. ლიტერატურაში შენიშნულ მაგალითებს [დიდო „ძალიან“ (ჩიქობავა 1936, 51); მთ „რატომ, რად“ (ლომთაძე 1977, 112)] შეიძლება დაემატოს: მჯგეშოთ „ძველად“, ართოთ „ერთად“, ლაზურთოთ „ლაზურად“. მაგ.,

მჯგეშოთ ქორტეენან სუმ ჯუმა დო სუმ და (კარტ. II, 66) „ძველად ყოფილან სამი ძმა და სამი და“; დოტახით აწი ართოთოა ოკოკიელია! (კარტ. II, 77₃₆) „დაღეწეთ ახლა ერთადო შეკრულიო!“; ართოთ იყვათში, დუშმანის ვა აჯგინენ თქვანდადა (კარტ. II, 78₉) „ერთად თუ იქნებით, მტერი ვერ მოგერევათ თქვენო“; მა ლაზუი (|| ლაზურთოთ) ეულარღალტი (კარტ. II, 80₂₆) „მე ლაზურად ველაპარაკებოდი“; ლაზურთოთ მიწვი! (კარტ. II, 80₃₉) „ლაზურად მითხარი!“.

2. 2. მრავლობითი რიცხვის წარმოება. ლაზურში სახელების (ე. ი. არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელების) მრავლობითის მაწარმოებლად, ძირითადად, ორი ალომორფი გვაქვს: -ფე და -ფჟე. -ფე ერთვის ა, ვ, ო და უ ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, -ფჟე კი - ო ხმოვნით დაბოლოებულებს, ანუ წარმოშობით ბოლოთანხმოვნის ფუძეებს (ნაცვალსახელებიდან მრავლობითს თავისებურად აწარმოებენ ჩვენებითები; მათზე ამჟამად არ არის საუბარი).

ასე რომ, ერთი მხრივ, გვაქვს: ლეტა-ფე „მიწები“, კუნხე-ფე „ფეხები“, ჯოხო-ფე „სახელები“, კატუ-ფე „კატები“... და, მეორე მხრივ, - კოჩ-ფჟე „კაცები“, ნხოშ-ფჟე „თევზები“...

ამასთან, ა ხმოვნით დაბოლოებულ რამდენიმე ფუძეს მრავლობითის მაწარმოებლად -ლეჟე დაერთვის:

ღა-ლეჟე „ღები“, (ნ)ღღა-ლეჟე „ღლები“, ჯა-ლეჟე „ხეები“, (შ)თხა-ლეჟე „თხები“, ჯუმა-ლეჟე „ძმები“, სიჯა-ლეჟე „სიძეები“, ნი/უსა-ლეჟე „რძლები“, მთა-ლეჟე „შვილიშვილები; ბარტყები, მართეები“, ოხორჯა-ლეჟე | ხორხა-ლეჟე „ქალები“...

ამ ა-ფუძიან სახელთა შორის ერთი ე-ფუძიანი სახელიც არის: ხე „ხელი“ - ხე-ლეჟე „ხელები“.

6. მარის აზრით, ლ ამ ფორმებში ფუძის კუთვნილებაა. ფუძის ბოლოკიდური ლ მხოლოდობითში დაკარგულია, მრავლობითში კი დაცულია (Mapp 1910, 14). მაგ., მხ. რ. და (< *დალ-ო) „და“ – მრ. რ. დალ+ე-ფე; ნუსა (< *ნუსალ-ო) „რძალი“ – მრ. რ. ნუსალ+ე-ფე და ა.შ. (კერძოდ, სხვა მაგალითებად მოყვანილია: ოხორჯა || ოხორძა || ხორძა „ქალი“, სწა „ადგილი“, ქრა „რქა“, ქწა „ქვა“, ღწა „ლოყა“, ყა „ტოტი“, ჯა „ხე“, ჯუმა „ძმა“).

6. მარი საგანგებოდ შენიშნა: მხოლოდ იაფეტური ენების ისტორიის არცოდნის გამო მიაჩნდათ მკვლევრებს ეს შემთხვევები მრ. რიცხვის განსაკუთრებულ ფორმად. მკვლევარს უთუოდ მხედველობაში ჰქონდა ჰრ. აჭარიანის განცხადება: რამდენიმე ა ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეს მრავლობითის -ფე სუფიქსის წინ -ლე ემატებაო (მაგალითებად დასახელებულია: ქწალეფე, ჯუმალეფე, აღეფე || ყალეფე, ოხორჯალეფე | ოხორზალეფე (Adjarian 1899, 67[405] – 68[406]).

მარისეული ახსნა გაიზიარა ი. ყიფშიძემ და მეგრულის ხმოვანფუძიანი ზოგი სახელის მრავლობითში (დალეფო, ჯომალეფო, სქწალეფო...) წარმოჩენილ -ლეფ დაბოლოებაში ლ ელემენტი ფუძისეულად ჩათვალა (Кипишадзе 1914, 026). ასევე ახსნა -ლეფე-დაბოლოებიანი ფორმების წარმომავლობა ა. ჩიქობავამაც [ა-ზე დაბოლოებული ფუძეები მრავლობითში ხშირად აღიდგენენ ხოლმე ფუძის ბოლოკიდურ ლ-ს, რომელიც მხოლოდობითში არსად ჩანს: ჯუმა ძმა – ჯუმალ-ეფე; და (და) – დალ-ეფე...“ (ჩიქობავა 1936, 61)].

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, ლაზურისა და მეგრულის ზემოთ დასახელებულ ზოგ სიტყვაში -ლეფე/-ლეფ- დაბოლოებისეული ლ, მართლაც, ფუძისეულია (შდრ: ზან. ჯა [< *ჯალ-ო] „ხე“ და ქართ. ძელ-ო, ზან. ხე [< *ხელ-ო < *ხალ-ო] „ხელი“ და ქართ. კელ-ო), მაგრამ ბევრ მათგანში, როგორც ავტორები მიუთითებენ, „ლ ელემენტი (რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია ელემენტისაგან მომდინარეობდეს) მეგრულ-ჭანურში შედარებით გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს ხმოვნებს შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 149). ლ ელემენტის გვიანდლობა განსაკუთრებით აშკარაა იმ ფუძეებში, სადაც ლაზურ და მეგრულ ფუძეთა ბოლოკიდურ ა ხმოვანს ქართულშიც ა შეესა-

ტყვისება და არა **თ** (ან **უ**), როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ლაზურისა და მეგრულის აღნიშნულ ფუძეებში **ა** ხმოვანი არაბოლოკიდური რომ ყოფილიყო, ე. ი. ფუძისეულად მიჩნეული **ლ-ს** წინ რომ მდგარიყო. როგორც ცნობილია, შესატყვისობა – ქართული **ა** : ზანური **თ** (ან **უ**) – არ დასტურდება სუბსტანტიურ ფუძეთა აუსლაუტში. ამგვარ შემთხვევაში საერთო-ქართველური ***ა** ქართულშიც და ზანურშიც **ა-ს** გვაძლევს.

ამასთან, ა. ჩიქობავამ შენიშნა, რომ „ხოფურში ზოგჯერ ეს აღდგენილი **ლ** იკარგება და გვაქვს: ჯაეფე, ყაეფე, ქრაეფე“ (ჩიქობავა 1936, 62). და მართლაც, ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებზე **-ეფე** ალომორფის დართვა ლაზურის დიალექტთაგან მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს. და პარალელურად გვხვდება: **ჯა-ლეფე** || **ჯა-ეფე** „ხეები“, **ყა-ლეფე** || **ყა-ეფე** „ტოტები“, **ქრა-ლეფე** || **ქრა-ეფე** „რქები“ **ქვა-ლეფე** || **ქვა-ეფე** „ქეები“, **ხე-ლეფე** || **ხე-ეფე** „ხელები“, **მთხა-ლეფე** || **მთხა-ეფე** „თხები“, **მსგა-ლეფე** || **მსგა-ეფე** „ფრთები“, **გზა-ლეფე** || **გზა-ეფე** „გზები“. ამასთან, **-ეფე** დაბოლოება გვაქვს სხვა არსებით სახელთა ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთანაც: **მტკო-ეფე** „მტკაელები“, **მწკო-ეფე** „წყაეები“, **თი-ეფე** „თაეები“, **მტი-ეფე** „ტილები“. **-ეფე** ალომორფი გვაქვს კითხვით ნაცვალსახელებთანაც: **მი-ეფე** „ვინები“, **მუ-ეფე** „რაები“. დასავლურ ლაზურში ბოლოხმოვნიან ფუძესთან ან პარალელურად გვაქვს როგორც **-ლეფე**, ისე **-ფე** ალომორფები, ან მხოლოდ **-ფე**. პირველი რიგის მაგალითები: **ჯა-ლეფე** || **ჯა-ფე**, **ქრა-ლეფე** || **ქრა-ფე**, **ხე-ლეფე** || **ხე-ფე**, **თხა-ლეფე** || **თხა-ფე**... მეორე რიგისაა: **მტკო-ფე** (ვიწ.-არქ.) || **მტუ-ფე** (ათინ.-ართაშ.), **მწკო-ფე** (ვიწ.-არქ.) || **მწუ-ფე** (ათინ.-ართაშ.), **თი-ფე**, **მი-ფე**, **მუ-ფე**.

როგორც მოხმობილი საილუსტრაციო მაგალითები მოწმობს, **-ეფე** ალომორფი **-ლეფე-ს** პარალელურად ბოლოხმოვნიან ფუძეთაგან მხოლოდ ერთმარცველიანებს დაერთვის ხოფურ-ჩხალურში. მრავლობითის საწარმოებლად **-ლეფე-ს** პარალელურად **ლ** თანხმოვნის არშემცველი სუფიქსი გვაქვს არა მხოლოდ ერთმარცველიან, არამედ ორმარცველიან ფუძეებშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში **ლ-ს** მომდევნო **ე** ხმოვანიც არ ჩანს. პარალელურად გვაქვს: **ჯუმა-ლეფე/ჯუმა-ფე**, **მთა-ლეფე/მთა-ფე**... **ჯუმა-ეფე**, **მთა-ეფე** და მსგავსი ფორმები შეუძლებელია.

ლაზურის დასავლურ დიალექტებში კი **ღეფე** დაბოლოებას შეიძლება მხოლოდ **ფე** შეენაცვლოს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენმარცვლიანია ბოლოხმოვნიანი ფუძე. შდრ. **თომა** „თმა“ – **თომაღეფე** | **თომაფე**, **დიშქა** „შეშა“ – **დიშქაღეფე** | **დიშქაფე**, **ჯა** „ხე“ – **ჯაღეფე** | **ჯაფე**, **თხა** „თხა“ – **თხაღეფე** | **თხაფე**. ასევე როცა ბოლოხმოვნიან ფუძეს **ღ-ელემენტის** დაბოლოება არ ერთვის, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში მრავლობითის სუფიქსად **-ფე** გვაქვს როგორც **ორ-** და **მეტ-**, ისე ერთმარცვლიან ფუძეებთანაც. ამ უკანასკნელთა მაგალითებია: **თიფე**, **მტკოფე** | **მტკუფე**, **მიფე**, **მუფე**...

ხოფურ-ჩხალური **ჯაფე**, **ხეფე**, **მიფე**, **მუფე** და მსგავსი ფორმები **ღ** ელემენტის დაკარგვის შედეგად არ უნდა იყოს მიღებული. აქ საქმე გვაქვს ხმოვნით დამთავრებულ ერთმარცვლიან ფუძეებზე თანხმოვანფუძიანებისათვის დამახასიათებელი **-ფე** სუფიქსის დართვასთან. ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი ფუძეები რომ **ორ-** და **მეტმარცვლიანი** ბოლოხმოვნიანებისაგან სხვაობენ და თავიანთი ქცევით ბოლოთანხმოვნიანებს ეკედლებიან, უნაალოგო მოვლენა არ არის. ამ თვალსაზრისით შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ახალ ქართულში წოდებითის **-ო** დაბოლოების დართვა ბოლოთანხმოვნიანებსა და ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიან ფუძეებზე, განსხვავებით ერთზე მეტმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი ფუძეებისაგან, რომელთაც **ფ** და **ნულ-ალომორფი** ერთვის.

მრავლობითის სუფიქსის ალომორფების განაწილების ლიტერატურაში მიღებული წესი მხოლოდ დასავლურლაზური დიალექტებისათვის არის მართებული; აღმოსავლური (ხოფურ-ჩხალური) დიალექტისათვის ამ წესში გარკვეული კორექტივია შესატანი: აქ **ფე** ერთვის **ორ-** და **მეტმარცვლიან** ბოლოხმოვნიან ფუძეებს, **-ფე** კი – სხვა დანარჩენებს, ე. ი. ბოლოთანხმოვნიანებსა და ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიან ფუძეებს.

ხოფურ-ჩხალური კიდევ სხვა მხრივაც უპირისპირდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულ დიალექტებს.

-ფე/**ფე** ალომორფების პარალელურად **ღეფე** ალომორფი გვხვდება ზედსართავეებსა და კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც. მაგ., **მჭითა** „წითელი“ – **მჭითაფე/მჭითაღეფე** „წითლები“, **უჩა** „შავი“ – მრ. რ. **უჩაფე/უჩაღეფე**, **გინძე** „გრძელი“ – **გინძეფე/**

გინბელეფე, მჭიფე „წერილი“ – მჭიფეფე/მჭიფელეფე, მონკა „მძიმე“ – მონკაფე/მონკალეფე, ტუცა „ცხელი“ – ტუცაფე/ტუცალეფე, ჭიტა || ჭუტა „პატარა“ – ჭიტაფე || ჭუტაფე/ჭიტალეფე || ჭუტალეფე, თითხუ „თხელი“ – თითხუფე/ თითხულეფე. ჩიჩქუ „ჩეილი“ – ჩიჩქუფე/ჩიჩქულეფე, კობო „მკეახე“ – კობოფე/კობოლეფე... -ლეფე შეიძლება დაერთოს ო ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებსაც, რომლებშიც ის წარმოშობით სახელობითის ნიშანია. შდრ. დიდი „დიდი“ – დიდეფე/დიდილეფე, პეჯო „სქელი“ – პეჯეფე/პეჯილეფე, ჩორჩი „მსუბუქი“ – ჩორჩეფე/ჩორჩილეფე, კა(მ)ი „კარგი“ – კა(მ)ეფე/კაილეფე, ჩქიმე „ჩემი“ – ჩქიმეფე/ჩქიმილეფე „ჩემები“... ზედსართავეებისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა -ლეფე-სუფიქსიანი ფორმები უფრო ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს, თუმცა დასავლურ დიალექტებსაც არ ეუცხოებათ.

ზემოთ მოყვანილი ზედსართავეებიდან მხოლოდ რამდენიმეზე შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ -ლეფე დაბოლოების ლელემენტი ფუძისეულია. კერძოდ, მჭითა (შდრ. ქართ. წითელ-), მჭიფე „წერილი“ (ქართ. წრფელ-), გი/უნძე (ქართ. გრძელ-), თი/უთხუ (ქართ. თხელ-), ჩი/უნჩქუ (ქართ. ჩჩწილ-) ფუძეთა არქეტიპებად *(მ)ჭითალ-, *(მ)ჭიფელ-, *გი/უნძელ-, *თი/უთხულ-, *ჩი/უნჩქულ- ფორმათა გულებზე საფუძვლიანი ჩანს. გასაგებია ამ ზედსართავეთა მხოლოდობითში ფუძისეული ლ-ს დაკარგვა, მრავლობითში კი შემონახვა (ამის შესახებ დაწერილებით იხ. გამყრელიძე, მაჭაყარიანი 1965, 88 შმდ). ამ ფუძეთა ანალოგიით სხვა სტრუქტურის ზედსართავეთა მრავლობითშიც განზოგადდა -ლეფე ალომორფი.

ხოფურ-ჩხალურში, არსებითების მსგავსად, ზედსართავეებიც განსხვავებულად აწარმოებენ მრავლობითს, ერთი მხრივ, ერთმარცვლიანი და, მეორე მხრივ, ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეებისაგან.

ორმარცვლიანი ფუძის მქონე ზედსართავეები თუ -ლეფე ალომორფს დაირთავენ, ერთმარცვლიანებს -ელეფე დაერთვის: მსქვა „ლამაზი“ – მსქვაელეფე, მჯვე „ძველი“ – მჯვეელეფე, ხჩე „თეთრი“ – ხჩეელეფე, მჩხუ „მსხვილი“ – მჩხუელეფე, შუ „სველი“ – შუელეფე. ამ ფორმათა გვერდით ხოფურ-ჩხალურში პარალელური -ეფე-დაბოლოებიანი ფორმებიც იხმარება: მსქვაეფე,

მჯვეფე, ხჩეფე, მჩხუეფე, შუეფე. დასაველურ ლაზურში კი -**ფე**-
სუფიქსიანი ფორმები გეაქვს: **მსქვაფე, მჯვეფე, ქჩეფე, მჩხუეფე,**
შუეფე.

ამრიგად, სახელთა მრავლობითის სუფიქსად ლაზურში
გამოიყოფა -**ფე**, -**ეფე**, -**ლეფე** და -**ელეფე** ალომორფები; მათი
განაწილების წესის მიხედვით ხოფურ-ჩხალური დიალექტი
უპირისპირდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულ
დიალექტებს.

თავი მესამე

ზმნის მორფოლოგიის საკითხები

3. 1. **ზმნის პირი და რიცხვი.** აბსოლუტური და რელატიური ზმნები წარმოდგენილია ერთპირიანი და ორპირიანი ფორმებით⁶⁰.

1) აბსოლუტური ზმნა ერთპირიანია პირდაპირი წყობისას, ორპირიანია ინვერსიული წყობის შემთხვევაში (პოტენციალისისა და ინვერსიული თურმეობითის ფორმებში). 2) რელატიურ ზმნაში ერთპირიანი ფორმები გვაქვს, როცა ერთმანეთთან შეწყობილია: ა) I და II პირი (როგორც პირდაპირი, ისე ინვერსიული წყობისას); ბ) I ან II პირის სუბიექტი III პირის ობიექტთან (პირდაპირი წყობის დროს); გ) I ან II პირის ობიექტი III პირის სუბიექტთან (ინვერს. წყ.). ორპირიანი ფორმები გვაქვს, როცა ა) სუბიექტად III პირია (პირდ. წყ.); ბ) ობიექტად III პირია (ინვერს. წყ.).

აბსოლუტური ზმნის ორპირიან (ინვერსიული წყობის) ფორმებში სუბიექტის პირი გამოიხატება კონფიქსით, რომელიც შედგება შესაბამისი პირის ობიექტური პრეფიქსისა (მ-, გ-, 0-) და III პირის სუბიექტური სუფიქსისაგან (-ნ – აწმყოსა და ინვერსიულ თურმეობით I-ში, -ს – კავშირებითებში, -ჟ – ნამყო დროებში).

ლაზურში მკვეთრად იჩენს თავს ტენდენცია – რელატიურ ზმნათა ერთპირიანი ფორმები შეიცვალოს ორპირიანით. რელატიური ზმნა, რომელთანაც ობიექტად I ან II პირი ივარაუდება, ინვერსიული წყობის დროს ისე ფორმდება, თითქოს ობიექტად III პირი გვექონდეს. ამასთან, თვით ობიექტის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი ვიწურსა და ათინურ-ართაშენულში ფორმას არ იცვლის, ხოფურ-ჩხალურსა და არქაბულში კი მიმართულებით ბრუნვაში გადადის. მაგ.,

ვიწ., ათინ.-ართაშ.: მა სი ვარ ემაჭოფენ [< ემაჭოფერ], კელპალ დოგოფახალეს⁶¹ (მარი, 105, 18) „მე შენ ვერ გითხოვ [„ვერ გიყიდი“ („მე შენ

⁶⁰ ზმნის პირიანობისა და ვალენტობის შესახებ იხ. გამყრელიძე 1979, 42–43

⁶¹ დაბეჭდილია: დოკოფახალეს..

არ მეყოლება“), ახლა დაგაძვირეს“; **სი ვარ ემაჭოფუნა** [< ემაჭოფი-ნა], მუ ივასენ სოლუნი? (მარი, 104, 16₁₇) „შენ თუ ვერ გითხოვე („შენ თუ არ მეთხოვა“), რა იქნება საბოლოოდ?“; ჩქუ **თქვა ვა მიძიაშტეს** [< მიძიაშტით], პაწი გძით (კარტ. II, 156₃₄) „ჩვენ თქვენ არ გვენახხე („არ გვენახა“), ახლა გნახხეთ“; თემელი უოხუ-ჩი: „სი **მა გაზინა** [< გაზირი-ია]“⁶¹ -ჩი, ღურსუნი ტკუ-ჩი: „**ვა მაზინა** [< ვა მაზირერ-ია]“ (კარტ. II, 189_{14,15}) „თემელმა რომ დაუძახა, „შენ მე მხედავო („შენ მე გეხედებავო“)“, ღურსუნმა თქვა: „ვერ გხედავო („არ მხედებავო“)“; **მა სი მალიმზენა** [< მალიმზერა] (კარტ. II, 217₃₇) „მე შენ მიყვარხარო („მიყვარსო“)“; **მა სი ოფშა მალიმზენ** (კარტ. II, 284₂₅) „მე შენ ძალიან მიყვარხარ („მიყვარს“)“; **მა მითი ვა გვაჩვენა** [< გოვაჩვერა] (კარტ. II, 203₃₃) „მე ვერაფინ გამძარცვეავსო („მე არავის გაეძარცვებავო“)“.

ზოგჯერ ობიექტის გამომხატველი I და II პირის ნაცვალ-სახელები ზმნის ინვერსიულ ფორმასთან შეიძლება არ ჩანდეს, არ იყოს დასახელებული. ბუნებრივია, ამ შემთხვევებშიც **მა „მე“ და სი „შენ“** ეიგულისხმოთ გამოტოვებულად ვიწურსა და ათინურ-ართაშენულში. შდრ.

„**ჰამსერი მა გიფონარე!**“ „სი ბერე რე! ვარ **ფეგაზდასინ** [< ეგაზდარე]! **ჰემაზდენ** [< ემაზდერ]!“ (ჩიქ. II, 122₂₄) „ამაღამ მე წაგიყვან!“ „შენ ბავში ხარ! ვერ ამწევ („არ აგეწევა“)“! „აგწევ („ამეწევა“)“; „სი ოტია, – უწუ, – ნა ულუტია, ნა **მალიმზეტუა** [< მალიმზებრტი-ა]“ (კარტ. II, 200₁₉) „შენ იყავიო, – უთხრა, – რომ მიდილიო, მიყვარდიო („მიყვარდაო“)“⁶².

ხოფ-ჩხალ, არქ: ვარ, **მა სქანდა ვა მალუნენ** (< სი ვა მალურინერ), სი ართეი ოხასქიი მიყონუ, **სქანდა მა ვა მალუნენ!** (კარტ. II, 22₂₂) „არა, მე შენ ვერ მოგკლავ („მე შენდა არ მომეკვლება“), შენ ერთი მაზლი მყახხარ, შენ მე ვერ მოგკლავ!“; **მა ჯუმა მიყოუნტუკონ ეგერენა**, სი **ჩქიმდა ვა გაყვიღებუ** (< მა ვა გაყვიღებტი) (კარტ. II, 22₃₀) „მე რომ ძმა მყოლოდა, შენ მე ვერ მომკლავდი („შენ ჩემდა არ მოგეკვლებოდა“)“; მითხანის **ჩქიმდა ვა აშცოდელუ** [< მა ვა ეამცოდელი], ემუს თი მეყოოტკიაჟ! (კარტ. II, 27₂₇) „ვინც მე ვერ მომატყუებს („ვისაც ჩემდა არ მოეტყუა“), იმას თაქს მოეკეთ!“; ბე-მუშის **ნანგაფინუ ჩქიმდა** [< მეგანგაფინი მა] ედო ხინი ქოლოლომაქიტუ (კარტ. I, 123₃₀) „თავის შეილს მიმამსგავსა მე („თავის შეილს მიემსგავსა ჩემდა“) და დედაბერი გადამეხეია“; **ჩქიმდა ნანგაფინუ** (< მა მეგანგაფინი) ბე-მუშიშა (ასათ. 28, 1₄₃) „მე მიმამსგავსა თავის შეილს“⁶² („ჩემდა მიემსგავსა თავის შეილისად“)“; თქვან ალაქ დოგოჯეინეს, **ჰამა ჩქიმდა ვა აჯვინუ** (< მა ვა ვაჯვინი), ალა მან ვოჯვინი (კარტ. I, 98₁₁) „თქვენ ბატონმა გაგაცურათ („მოგაძოვათ“), მაგრამ მე ვერ გამაცურა („ჩემდა არ მოემოვა“), ბატონი მე გაეცურე („მოგაძოვე“)“; **ჩქიმდე მითის ვა აჯკომენ** (< მა მითის ვა ბაჯკომერ!) (კარტ. I, 165₂₁₋₂₂) „მე ვერაფინ შემტამს („ჩემდა არავის შეეჭმება“)“; ჯუმაღეფე კაი ივით, **თქვანდე მითის ვა ნანდრიკენა** (< თქვა მითის ვა ნანდრიკეთა) (კარტ. II, 105₁₆) „ჩემბი [ერთმანეთში] კარგად იყავით, თქვენ ვერაფინ მოგდრეკთო („თქვენდა არავის მოედრიკებავო“)“.

⁶² და არა „ჩემთვის მიუმსგავსებია თავისი შეილი“ (შდრ. ასათ. 30, 1₄).

ობიექტის გამომხატველი I-II პირის ნაცვალსახელები შეიძლება ხოფურ-ჩხალურსა და არქაბულ ფრაზებშიც იყოს გამოტოვებული. ბუნებრივი იქნება, თუ აქ ამ ნაცვალსახელთა მიმართულებითი ბრუნვის ფორმებს ვივარაუდებთ ნაგულისხმევად. მაგ.,

მა უინი დუნმაშ კოიი ეოე დო ეგაყონენ-ნა (= ჩქიმდა ეგაყონენ-ნა < მა ეგაყონერ-ნა), ქემიყონი! (კარტ. I, 882) „მე ზემო ქეყენის კაცი ვარ და, თუ ამიყვან („თუ [ჩემდა] აგეყვანება“), ამიყვანე!“, ვფენდია, ჩქიმი აქარდაშიშა მემანგაფინუ (= მემანგაფინუ სქანდა < მემანგაფინი სი) დო გოგოჭკეიღია (კარტ. I, 145) „ბატონო, ჩემს ამხანაგს მიგამსგავსე („ჩემი ამხანაგისად მიმემსგავსა [შენდა]“) და გაგარტყიო“; მწამასია, აწამენ-ნაია! (= ჩქიმდა აწამენ-ნაია < მა ვაწამერ-ნაია) (კარტ. II, 312) „მომკლასო, თუ მომკლავსო („თუ [ჩემდა] მოეკვლებაო“)“.

აბსოლუტურ ზმნაში სუბიექტის სიმრავლე ყოველთვის გამოიხატება. I და II პირის ერთპირიან (პირდაპირი წყობის) ფორმებში მრავლობითის სუფიქსია -თ, III პირის ერთპირიან (პირდაპირი წყობის) ფორმაში და სამივე პირის ორპირიან (ინვერსიული წყობის) ფორმებში მრავლობითის სუფიქსებია -ან/-ნან⁶³/-ნ/-ეს.

ამათგან -ან აწმყოში იხმარება, -ნან – აწმყოსა და თურმეობით I-ში, -ნ – კავშირებითებში, -ეს – ნამყო დროებში.

რელატიურ ზმნაში I და II პირის სუბიექტისა და ობიექტის სიმრავლეც ყოველთვის გამოიხატება. რაც შეეხება III პირს, ზმნაში მხოლოდ სუბიექტის სიმრავლე ჩანს, ისიც ორპირიან ფორმებში. III პირის ობიექტის სიმრავლე, საერთოდ, არ გამოიხატება. მრავლობითობას ერთპირიან ფორმებში -თ სუფიქსი გამოხატავს, ორპირიანებში – -ან/-ნან/-ნ/-ეს. ასე რომ, I და II პირის სიმრავლე შეიძლება გამოხატული იყოს ორივე რიგის სუფიქსებით, III პირისა – მხოლოდ მეორე რიგის სუფიქსებით.

ა) აბსოლუტური ზმნის უღლება

პირდაპირი წყობა

ინვერსიული წყობა

მხ. რ.

მო-ფ-თი (<*მო-ფ-ხთი) „მოვედი“
 მო-ხთი „მოხვედი“
 მო-ხთ-უ „მოვიდა“

მო-მ-იხთიმუ-ნ „მოვსულეარ“
 მო-გ-იხთიმუ-ნ „მოსულხარ“
 მუხთიმუ-ნ (<*მო-მ-უხთიმუ-ნ)
 „მოსულა“

⁶³ -ნან სუბიექტური III პირის -ნ სუფიქსისა და მრავლობითის -ან სუფიქსის შეერთებით არის მიღებული, მაგრამ, სინქრონიული ანალიზის თვალსაზრისით, ერთიან სუფიქსად განიხილება.

მრ. რ.

მო-ფ-თი-თ (<*მო-ფ-ხთი-თ) „მოუვლით“
 მო-ხთი-თ „მოსხველით“
 მო-ხთ-ეს „მოვიდნენ“

მო-მი-ხთი-მუ-ნან „მოესულეართ“
 მო-გ-იხთი-მუ-ნან „მოსულხართ“
 მუხთი-მუ-ნან (<*მო-ო-უხთი-მუ-ნან)
 „მოსულან“

ბ) რელატიურ ზმნათა უღლება

პირდაპირი წყობა	მხ. რ.	ინვერსიული წყობა
S ₁ ⁵გ O ₂ ⁵გ გ-ძირი „გნახე“		S ₂ ⁵გ O ₁ ⁵გ გო-გ-ოჰკონდი „დაგაეიწყლი“
S ₁ ⁵გ O ₃ ბ-ძირი „ენახე“		S ₃ O ₁ ⁵გ გო-ე/ბ-ოჰკონდი „დაეაეიწყლი“
S ₂ ⁵გ O ₁ ⁵გ მ-ძირი „მნახე“		S ₁ ⁵გ O ₂ ⁵გ გო-მ-ოჰკონდი „დამაეიწყლი“
S ₂ ⁵გ O ₃ ძირი „ნახე“		S ₃ O ₂ ⁵გ გო-ჰკონდი (<*გო-ო-ოჰკონდი) „დააეიწყლი“
S ₃ ⁵გ O ₁ ⁵გ მ-ძირ-უ „მნახა“		S ₁ ⁵გ O ₃ გო-მ-ოჰკონდ-უ „დამაეიწყლა“
S ₃ ⁵გ O ₂ ⁵გ გ-ძირ-უ „გნახა“		S ₂ ⁵გ O ₃ გო-გ-ოჰკონდ-უ „დაგაეიწყლა“
S ₃ ⁵გ O ₃ ძირ-უ „ნახა“		S ₃ ⁵გ O ₃ გო-ჰკონდ-უ (<*გო-ო-ოჰკონდ-უ) „დააეიწყლა“

მრ. რ.

S ₁ O ₂ ᵖᵏ გ-ძირი-თ „გნახეთ“		S ₂ ᵖᵏ O ₁ ; S ₂ O ₁ ᵖᵏ გო-გ-ოჰკონდი-თ „დაგაეიწყლით“
S ₁ ᵖᵏ O ₃ ბ-ძირი-თ „ენახეთ“		S ₃ O ₁ ᵖᵏ გო-ე/ბ-ოჰკონდი-თ „დაეაეიწყლით“
S ₂ ᵖᵏ O ₁ ; S ₂ O ₁ ᵖᵏ მ-ძირი-თ „მნახეთ; გენახე; გენახეთ“		S ₁ ᵖᵏ O ₂ ; S ₁ O ₂ ᵖᵏ გომოჰკონდი-თ „დაგაეიწყლით; დაგაეიწყლით; დამაეიწყლით“
S ₂ ᵖᵏ O ₃ ძირი-თ „ნახეთ“		S ₃ O ₂ ᵖᵏ გო-ჰკონდი-თ (<*გო-ო-ოჰკონდი-თ) „დააეიწყლით“
S ₂ ᵖᵏ O ₁ ; S ₃ O ₁ ᵖᵏ მ-ძირ-ეს „მნახეს; გენახა; გენახეს“		S ₁ ᵖᵏ O ₃ გომოჰკონდ-ეს „დაგაეიწყლა“
S ₃ ᵖᵏ O ₂ ; S ₃ O ₂ ᵖᵏ გ-ძირ-ეს „გნახეს; გნახათ“		S ₂ ᵖᵏ O ₃ გო-გ-ოჰკონდ-ეს „დაგაეიწყლათ“
S ₃ ᵖᵏ O ₃ ძირ-ეს „ნახეს“		S ₃ ᵖᵏ O ₃ გო-ჰკონდ-ეს (<*გო-ო-ოჰკონდ-ეს) „დააეიწყლათ“.

მეშველზმნიან მწკრივთა შეხორცებულ ფორმებში (ე. ი. იქ სადაც მთავარი ზმნა მხოლოდ პირის მიხედვით იცვლება, მეშველი ზმნა კი პირსაც განარჩევს და რიცხვსაც), თუ მეშველი ზმნა აბსოლუტურია (ეჭენ || ტენ „არის“ – ხოფურ-ჩხალურ თურ-

მეობითებსა და ვიწურ-არქაბულსა და ხოფურ-ჩხალურ მყოფადის ნამყოში), მრ. რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით მეშველზმნიანი ფორმები არ განსხვავდება მარტივებისაგან (შდრ. გძიო-თ „გნახეთ“ – გძიო-ეს „გნახეს; გნახათ“ და გძიოლევე-თ „გვინახაუხარ; გვინახაუხართ; მინახაუხართ“, გძიოლევეტი-თ „გნახეთ“, გძიორატი-თ „გნახავდით“ – გძიოლევე-ნან „უნახაუხართ“, გძიოლევეტი-ეს „გნახეს; გნახათ“, გძიორატი-ეს „გნახავდნენ; გნახავდათ“). იმ შემთხვევაში, როცა მეშველი ზმნა რელატიურია (უნონ „უნდა“ – ხოფურ [არაჩხალურ] მყოფადსა და მყოფადის ნამყოში), მეშველზმნიანი ფორმები ყოველთვის მეორე რიგის სუფიქსებს (-ნან, -ეს) დაირთავენ: გძიოამინო-ნან „გნახავთ“ (სიტყვასიტყვით: „გნახო გვინდა“), გძიოამინტი-ეს „გნახავდით“ („გნახო გვინდოდა“) [იგულისხმება პირთა შემდეგი კომბინაციები: ჩვენ შენ | ჩვენ თქვენ | მე თქვენ]; გძიოასუნო-ნან „გნახავენ; გნახავთ“ („გნახოს უნდათ“), გძიოასუნტი-ეს „გნახავდნენ; გნახავდათ“ („გნახოს უნდოდათ“) [ისინი შენ | ისინი თქვენ | ის თქვენ].

ხოფური მყოფადისა და მყოფადის ნამყოს გარდამავალ (ნარევე) ფორმებში მრავლობითი რიცხვი ორმაგად გამოიხატება: მთავარ ზმნაში (სადაც მხოლოდ I–II პირის სიმრავლე აღინიშნება) მრავლობითის სუფიქსად -თ გვაქვს, მეშველ ზმნას კი სამივე პირში -ნან და -ეს დაერთვის: გძიოა-თ-მინო-ნან „გნახავთ“ [ჩვენ შენ | ჩვენ თქვენ | მე თქვენ], გძიოა-თ-მინტი-ეს „გნახავდით“ [ჩვენ შენ | ჩვენ თქვენ | მე თქვენ], მძიოა-თ-გინო-ნან „მნახავთ; გვნახავ; გვნახავთ“, მძიოა-თ-გინტი-ეს „მნახავდით; გვნახავდით; გვნახავდით“.

3. 2. მწკრივთა სისტემა. განირჩევა მწკრივთა ორი რიგი: 1) ძველი ანუ ძირითადი (მეგრულთან საერთო) მწკრივები: აწმყო, ნამყო უსრული, აორისტი, თურმეობითი I, თურმეობითი II და სამ-სამი კავშირებითი და პირობითი; 2) ახალი, ძირითად მწკრივებზე დაყრდნობილი (საკუთრივ ლაზური) მწკრივები: არაინვერსიული თურმეობითები და კავშირებითი, მყოფადები, მყოფადის ნამყოები, არაინვერსიული თურმეობითისა და მყოფადის ნამყოს პირობითები.

აღნიშნული მწკრივები სამ სერიად ჯგუფდება. სერიებად დაჯგუფებისათვის ამოსავალია ძირითადი მწკრივები. გვიანდელი

მწკრივები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მწკრივზე არიან დაყრდნობილი, შესაბამის სერიას განეკუთვნებიან.

მწკრივთა ცხრილი

პირველი სერია

1. აწმყო: ჭარუფს (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმს (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „წერს“.
2. ნამყო უსრული: ჭარუფტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტუ (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „წერდა“.
3. კავშირებითი I: ჭარუფტას (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტას (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „წერდეს“.
4. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: ჭარუფტერენ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტუდორენ (ვიწ.-არქ.) „წერდა თურმე“.
5. პირობითი I: ჭარუფტუკონ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტუკონ(ნ) (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „ეწერა, რომ ეწერა“.
6. მყოფადი I: (რ)ტასუნონ (ხოფ.-ჩხალ.) || (რ)ტასენ (ვიწ.-არქ.) || ორტასენ (ათინ.-ართაშ.) „იქნება“.
7. მყოფადი I-ის ნამყო: (რ)ტასუნტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ტასტუ (ვიწ.) || ორტასერტუ (ათინ.-ართაშ.) „იქნებოდა“.

მეორე სერია

1. აორისტი: (დო)ჭარუ „(და)წერა“.
2. კავშირებითი II: ჭარას „წეროს“.
3. ნააორისტალი თურმეობითი I: ჭარელერენ || ჭარეენ | ჭარელენ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუდორენ (ვიწ.-არქ.) „დაუწერია“.
4. ნააორისტალი თურმეობითი II: ჭარელერეტუ || ჭარეეტუ || ჭარელეტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუდორტუ(ნ) (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „დაეწერა, დაწერა“.
5. ნააორისტალი კავშირებითი: ჭარელერეტას/ჭარეეტას/ ჭარელეტას (ხოფ.-ჩხალ.) „ეწეროს“.
6. პირობითი II: ჭარუკონ(ნ) (ათინ.-ართაშ., ვიწ., ჩხალ.) „ეწერა, რომ ეწერა“.
7. მყოფადი II: ჭარასუნონ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარასენ (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „დაწერს, უნდა დაწეროს“.
8. მყოფადი II-ის ნამყო: ჭარასუნტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარატუ (ხოფ., ვიწ.-არქ.) | ჭარასერტუ (ათ.-ართ.) „დაწერდა, უნდა დაეწერა“.

9. ნააორისტალი თურმეობითი პირობითი: ჭარელერეტუკონ
| ჭარეეტუკონ (ხოფ.) „დაეწერა“.

10. მყოფადის ნამყოს თურმეობითი: ჭარასუნტერენ (ხოფ.) |
ჭარატუდორენ (არქ.) „უნდა დაეწერა თურმე“.

11. მყოფადის ნამყოს პირობითი: ჭარატუკონ(ნ) (ხოფ., არქ.)
„ეწერა“.

მესამე სერია

1. ინვერსიული თურმეობითი I: უჭარუნ „უწერია“.
2. ინვერსიული თურმეობითი II: უჭარუტუ „ეწერა“.
3. კავშირებითი III: უჭარუტას „ეწეროს“.
4. პირობითი III: უჭარუტუკონ(ნ) „ეწერა, რომ ეწერა“.

3. 2. 1. მესამე სერიის მწკრივთა წარმოება. ლიტერატურაში
აზრთა სხვადასხვაობაა ლაზურში ინვერსიული თურმეობითების
გავრცელებულობისა და გამოყენების თაობაზე.

ბ. მარის სიტყვით, «Третья группа, прош. совершенное и
давнопрошедшее, не чужда чанскому, но в нем эти времена
получают редкое применение» (Март 1910, 46).

ი. ყიფშიძემ სრულიად საპირისპირო რამ აღნიშნა: «Прош.
совершенное довольно часто употребляется в чанском языке как
в действительной, так и в страдательной формах» (Кипшидзе
1911, 3–4).

ა. ჩიქობავამ გაიზიარა ბ. მარის თვალსაზრისი: „ინვერსი-
ული წყობის თურმეობითი ჭანურში მხოლოდ ნაშთის სახით
მოიპოვება“ (ჩიქობავა 1936, 203). მოჰყავდა რა თურმეობითი
მეორის მაგალითი ლაზური ტექსტიდან (უბიარაფუტუ „ემღერა“),
მკვლევარი შენიშნავდა: „გარდამავალ ზმნათა თურმეობითი
მეორე ქართულში არ იწარმოება თურმეობითი პირველისაგან.
ეს მეგრულს ახასიათებს; წინათ ეს, ეტყობა, ჭანურისთვისაც
ჩვეულებრივი წარმოება იყო“ (ჩიქობავა 1936, 153). ინვერსიული
თურმეობითები მას არც შეუტანია ლაზური ზმნის ძირითად
და ნაწარმოებ დროთა საერთო სქემაში და დროთა მხოლოდ
ორი ჯგუფი გამოყო – აწმყოსა და აორისტისა.

ჟ. დიუმეზილს კი ლაზური ზმნის უღლების სისტემაში ინვერ-
სიული თურმეობითებიც (ნამყო სრული და ნამყო წინარეწარსული)

აქვს მითითებული ყოველგვარი შენიშვნის გარეშე (Dumézil 1967, 7, 11).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, იმეორებენ ნ. მარისა და ა. ჩიქობავას მოსაზრებას ლაზურში ინვერსიულ თურმეობითთა ერთობ შეზღუდული ხმარების შესახებ (იხ., მაგ., Кизирия 1967, 70–71; Jorbenadze 1991, 166).

სინამდვილეში, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში ნაშთის სახით კი არ არის შემორჩენილი, არამედ საყოველთაოდ არის გაერცვლებული. უფრო მეტიც, მათ გამოყენების არე გაუფართოებიან და, მეგრულის მსგავსად, ზოგ გარდაუვალ ზმნასაც ეწარმოება. მაგ.,

ულგაფუნ „წასულა“; უხთიმუნ „წასულა, უელია“, გეფხთიმუნ „ჩასულა, ჩამოსულა“, ქეშხთიმუნ „ამოსულა“, მენდუხთიმუნ „წასულა“, მუხთიმუნ „მოსულა“... გემხხუნუნ „დაემჯდარეარ, შეემჯდარეარ“; უნჯიორუნ „უძინია“.

ინვერსიული მწკრივების წარმოებისას ამოსავალია მასდარი (უფრო სწორად, მასდარის ფუძე). თურმეობითები მასდარის მქონე ყველა გარდამავალი ზმნისაგან იწარმოება; იმ ზმნებს, რომელთაც მასდარი არ ეწარმოებათ, თურმეობითებიც არა აქვთ. მაგ., მხორ- || ფხორ- (იმხორს || იფხორს „ჭამს“), ქ- (იქიფს || იქომს || იქუმს „იქმს, აკეთებს“), წგ- (უწუმერს || უწოდემს „ეტყვის, ეუბნება“, უწვი „უთხარი“) ფუძეებისაგან არც მასდარი იწარმოება და არც ინვერსიული თურმეობითები. ზოპ- ფუძე (ზოპონს || ზოპუმს „ამბობს, ლაპარაკობს“), ჩვეულებრივ, მასდარს ვერ აწარმოებს და არც თურმეობითები ეწარმოება. ზოგ თქმაში დასტურდება ამ ზმნის მასდარი: ზოპინი „ლაპარაკი“ (შდრ. აგრ. მიმღეობა – ოზოპინუში „სალაპარაკო“ (იხ. Март 1910, 145), ამ თქმებში, შესაბამისად, დასტურდება თურმეობითის ფორმაც: უზოპინუნან „უთქვამთ“ (აჭარ. 104₂₆; მარი, 119₂₈⁶⁴).

მკითხველისთვის რომ ცხადი გახდეს, თუ რა ფართოდ იხმარება ლაზურში ინვერსიული თურმეობითები, მოვიყვან საილუსტრაციო მასალას ტექსტებიდან.

⁶⁴ ნ. მარს საეჭვოდ მიაჩნდა ეს ფორმა: «Ачар[ян] приводит глагол, напр. в форме უზოპინუნან [при этом 1-е лицо должно бы быть უზოპინურ] с ссылкой на Bt (= Батум), но в х (= восточном наречии) его не знают» (Март 1910, 145). რამდენადაც ამ ზმნის საწყისად ზოპინი „თქმა“ ფორმის არსებობა ნ. მარსვე აქვს აღნიშნული, უზოპინუნან საეხებით კანონიერი წარმოებაა მხ. რ. I პირში გვექნება მიზოპინუნ „მითქვამს“ და არა უზოპინურ, რომელიც სრულად არარეალური ფორმაა.

A. ხოფურ-ჩხალური დიალექტი

ა) თურმეობითი I

ბახ-: მიბახაფუნ „მიცემა“ (კარტ. I, 105₂).

ბღ-: ქოდულუბღაფუნან „ჩაუყრიათ“ (კარტ. II, 306₁₁).

ბნ-: მიგნაფუნ „გამიგია, გამიგონია“ (ყიფ. ჭან. 4₃₆, 7₂₈; კარტ. II, 84₂₇, 86₆); შემიგნეფუნ „id.“ (ჩიქ. I, 153₃; კარტ. I, 153₂₀); შემიგნაფუნ „id.“ (კარტ. II, 78₆); მიგნაფუნან „გაგეიგია, გაგეიგონია“ (ყიფ. ჭან. 4₂₀; კარტ. II, 81₂₆).

ბურ-: ქოდუგურაფუნან „დაუსწავლიათ“ (კარტ. II, 306₁₅).

ბგ-: ქოდუღგიმუნან „დაუღგამთ“ (კარტ. II, 306₁₃).

ბდ-: ჰოგამუდეალუნან „დაურქმევიათ“ (კარტ. II, 314₉; ქოდუდეალუნან „დაუდევიათ“ (კარტ. II, 306₁₇); ნუდეაფუნ „მიუდევიათ“ (კარტ. I, 43₂).

ბოპ-: უზოპინუნან „უთქეამთ“ (აჭარ. 104₂₆).

ბქგ-: მითქენ „მითქეამს“ (კარტ. II, 40₁₁); მითქეაფუნ „id.“ (კარტ. I, 46₂₄); უთქენ „უთქეამს“ (კარტ. I, 46₂₄).

ბიღ-: დუკიდუნან „აუშენებიათ, აუგიათ“ (კარტ. II, 311₃₅).

ბრღ-: მირდაფუნ „გამიზრდია“ (კარტ. I, 88₂₂).

ბუაშ-: დუფაშაფუნან „დაუშლიათ, დაუხსნიათ“ (კარტ. II, 306₁₆).

ბღ-: ჰაგთუმაღლუნ „ჩამოუტანია“ (კარტ. II, 311₃₆); ქამუშუმაღლუნან „გამოუღლიათ“ (კარტ. II, 306₁₆).

ბგ-: უყოფუნ „გაუკეთებია“ (კარტ. II, 314₃, 314₁₂); უყოფუმუნ „id.“ (კარტ. II, 314₁₃); დუყოფუმუნან „გაუკეთებიათ“ (კარტ. II, 306₁₀).

ბო-: უყოუნან „წაუყვანიათ“ (ჩიქ. I, 101₁₃); მენდუყონაფუნ „წაუყვანია“ (ყიფ. ჭან. 18₁₀).

ბენახ- | **შინახ-**: ქოშუნახუნ „შენახავს“ (ყიფ. ჭან. 17₄).

ბგ-: უშუმუნან „უსევამთ, დაულევიათ“ (ყიფ. ჭან. 18₂₄).

***ბურ-** > **ნჩვირ-**: მინჩვირუნ „მიცურავია“ (კარტ. II, 305₃₇).

ბირ-: მიდი(რ)უნ „მინახავს“ (ყიფ. ჭან. 8₁₄, 8₁₉; ჩიქ. I, 19₁₅, 38₈, 101₁₇, 159₃; კარტ. I, 46₁₀₍₂₎, 46₂₃, 79₃₁, 92₁₆, 92₂₀; კარტ. II, 19₃₈, 43₂₀, 60₄); მიძირამუნ „id.“ (ჩიქ. I, 120₃₀; კარტ. I, 30₂₀); მიძირუნან „გეინახავს“ (კარტ. II, 30₁₄); გიძირუნ „გინახავს“ (კარტ. II, 19₃₇, 240₄); გიძირამუნ „id.“ (ასათ. 102, 55₅₇); უძირ(რ)უნ „უნახავს“ (კარტ. I, 80₃₁; კარტ. II, 54₁₃, 246₃₆); (ქ)უძირამუნ „id.“ (კარტ. I, 137₂₀; კარტ. II, 311₃₆); ქუძირამუნან „უნახავთ“ (კარტ. II, 311₆).

***ბჯ-** > **ნწჯ-**: გომინწკიმუნ „გამიხსნია, გამიღია“ (კარტ. I, 46₁).

***ბ-** > **ნგ-**: იუნჭაფუნან „აუწევიათ“ (კარტ. II, 312₃₃).

ბარ-: უჭარუნ „უწერია“ (ჩიქ. I, 107₂₂); დუჭარუნან „დაუწერიათ“ (კარტ. II, 313₂₇).

⁶⁵ ხასან ჰელიმიშის ლექსებში ნახმარი თურმეობითების ფორმები [იხ. აგრ. მიკოკომაფუნ (კარტ. II, 244₂₄), მუხთიმუნ (კარტ. II, 249₃₂)] ხოფური კილოს მაგალითებშია მითვლილი, თუმცა თავისუფლად შეიძლება ვიწურ-არქაბულადაც მიგვეჩნია, რადგან ამ ავტორის ლექსებში ხოფურის გვერდით ვიწურ-არქაბული ფორმებიც უხვად გვხვდება.

ჭკოზ-: მიტკომუნ „მიჭამია“ (ჩიქ. I, 1927; (კარტ. I, 64); მიტკომაფუნ „id.“ (კარტ. II, 2442); გიტკომუნ „გიჭამია“ (ჩიქ. I, 159); უტკომუნ „უჭამია“ (ჩიქ. I, 822).

ჭოფ-: ოუტოფუნ „დაუტერია“ (ყიფ. ჭან. 173).

ხვენ- | ხონ-: მიხონუნ⁶⁶ „გამიკეთებია“ (ასათ. 181, 102256); მიხონაფუნ „id.“ (კარტ. II, 332); დოგიხვენუნ „გაგიკეთებია“ (კარტ. II, 4026).

ხთ- | ხტ-: მიხთიმუნ „წაესულეარ, მიველია“ (ასათ. 42, 723, 72, 347); მიხთიმუნან „წაესულეართ, გეიველია“ (ასათ. 135, 8429); უხტიმუნ „წასულა“ (ყიფ. ჭან. 117); გომიხთიმუნ „გამიველია“ (კარტ. I, 4918); ქაფუხთიმუნ „ასულა“ (კარტ. II, 30624); ქეშუხტიმუნ „ამოსულა“ (ყიფ. ჭან. 2324); მინდუხტიმუნ „წასულა“ (ყიფ. ჭან. 117); მომიხთიმუნ „მოესულეარ“ (კარტ. II, 2122); მუხტიმუნ „მოსულა“ (კარტ. II, 24932); (ქო)მუხტიმუნან „მოსულან“ (კარტ. II, 30615, 3114).

ხირ-: ქანუხირაფუნან „მოუპარავეთ“ (კარტ. II, 31110).

*ჯირ- > ნჯირ-: მინჯიუნ „მიძინია“ (კარტ. I, 13022).

ბ) თურმეობითი მეორე

ბირ-: უბირაფუტუ „ემღერა“ (ჩიქ. I, 3219).

თქვ-: მითქეაფუტუ „მეთქვა, ნათქვამი მქონდა“ (ჩიქ. I, 15827).

კიდ-: დუკიდაფუტეს „აეშენებინათ“ (ჩიქ. I, 14619).

სვ-: ნუსუმუტუ „გაესვა“ (ჩიქ. I, 382).

ძირ-: უძიამუტუ „ენახა“ (ჩიქ. I, 8210).

*წკ- > ნწკ-: გუნწკიმუტუ „გაეხსნა“ (ჩიქ. I, 9912).

B. ვიწურ-არქაბული დიალექტი

ა) თურმეობითი I

ბირფ-: ოკოგიბრიწუნ „გაგიგლევჯია“ (კარტ. I, 19436, 19529).

გნ-: მიგნაფუნ „გამიგია, გამიგონია“ (კარტ. II, 10014); მიგნაფუნან „გაგვიგია, გაგიგონია“ (კარტ. II, 16421).

თქვ-: უთქეალუნ „უთქეამს“ (ჟლ. 14811).

სთერ-: მისთერუნ „მითამაშია“ (ყიფ. ჭან. 6822).

*ზურ- > მზვირ-: მიმჩეიუნ „მიცურავია“ (კარტ. II, 32632).

ძირ-: მიძირუ(რ) „მინახავხარ“ (დიუმ. I, 1225; ჟლ. 9926); მიძირუნ „მინახავს“ (ყიფ. დამ. 15, VI30; ყიფ. ჭან. 446, 4425; ჟლ. 3318, 7913); (ქო)გიძირ(რ)უნ „გინახავს“ (ყიფ. დამ. 15, VI80; ჟლ. 7912, 15927; კარტ. II, 14820); უძირუნ „უნახავს“ (დიუმ. I, 11527; ჟლ. 798); უძირუნან „უნახავთ“ (ყიფ. დამ. 9, I9; დიუმ. I, 8913).

ჭკოზ-: მიტკომუნ „მიჭამია“ (ყიფ. ჭან. 3122; ჟლ. 2518; კარტ. II, 13815); მიტკომუნან „გიჭამია“ (კარტ. II, 12537); უტკომუნ „უჭამია“ (კარტ. I, 195; კარტ. II, 13812).

ხ-: გემიხუნუნ „დაემჯდარეარ, შეემჯდარეარ“ (კარტ. I, 15615).

ხენ-: მიხენუნ „გამიკეთებია“ (ჩიქ. II, 2827).

ხთ-: გომიხთიმუნ „გამიველია“ (კარტ. I, 15615); ემიხთიმუნ „აესულეარ“ (დიუმ. I, 10122); მეკუხთიმუნ „გაუველია“ (დიუმ. I, 27, I333); (ქო)მუხტიმუნ „მოსულა“ (ჟლ. 14811; კარტ. I, 17412).

⁶⁶ დაბეჭდილია: მიხონუნ.

ბ) თურმეობითი II

გნ-: უგნუტუ „გაეგო, გაეგონა“ (კარტ. I, 202₂).

ზდ-: ეწუზღიძუტუ „აეწია“ (დიუმ. I, 32₄).

ლოდ-: მილოდინუტუ „გამეკეთებინა (= გამიკეთებია)“ (ჩიქ. II, 56₂₁, 56₃₆).

ძიორ-: მიძიორუტუ „მენახა“ (ქლ. 33₁₁); მიძიამუტეს „გეენახა (= გეენახეთ)“ (კარტ. II, 156₃₈); უძიორუტუ „ენახა“ (დიუმ. I, 83₂; ქლ. 32₂, 32₂₆, 131₄).

ხენ-: მიხენაფუტუ „მექნა (= მიქნია)“ (კარტ. I, 187₁₂).

ხთ-: გამუხთიმუტუ⁶⁷ „გამოსულიყო“ (დიუმ. I, 31₆; გაუხთიმუტეს „ჩა(მო)-სულიყენენ“ (კარტ. I, 202₂₄); მუხთიმუტუ „მოსულიყო“ (დიუმ. II, 155, LI₃).

ინვერსიული თურმეობითი II ვიწურ-არქაბულში ზოგჯერ დორენ | რენ „არის“ მეშველი ზმნით არის გართულებული⁶⁸:

უძიორუტუდორენ „ენახა“ (დიუმ. II, 144, XXXVIII₃); გაუხთიმუტუდორენ „ჩასულიყო“ (დიუმ. II, 144, XXXIX₁); მუხტიმუტუდორენ „მოსულიყო“ (ყიფ. დამ. 14, VI₂₇); უგნაფუტესრენ „გაეგონათ, გაეგოთ“ (კარტ. II, 317₂₇).

C. ათინურ-ართაშენული დიალექტი

ა) თურმეობითი I

გნ-: მიგნაფუნ „გამიგია, გამიგონია“ (კარტ. II, 328₁₃); მიგნაფუნან „გაგეიგია, გაგეიგონია“ (კარტ. II, 328₁₁).

გურ-: ლოგიგურაფუნ „გაგიგია, გაგიგონია“ (კარტ. II, 217₂₁, 221₂₄).

ზიტ- | ძიტ-: მიძიტაფუნ „მისწავლია“ (მარი, 95₃); მიზიტაფურან „გეითქეამს“ (ყიფ. ჭან.72₁₃).

ლ-: მომილეაფუნ⁶⁹ „მოესულეარ“ (მარი, 85₁).

ძიორ- | ზიორ-: მიძიორენ „მინახავს“ (ყიფ. ჭან. 91₂₆); მიზიორამუნან „გინახავს“ (კარტ. II, 211₂₇); უძიორამუნ „უნახავს“ (ჩიქ. II, 98₁, 2); უზიორამუნან „უნახავთ“ (კარტ. II, 206₃₆).

⁶⁷ დაბეჭდილია: გამუხთინუტუ.

⁶⁸ დორენ ვიწურ-არქაბულში ნამყო უსრულისა და აორისტის ფორმებს ერთეის და არაინვერსიულ თურმეობითებს აწარმოებს. როგორც ჩანს, ეს მეშველი ზმნა გამოყენების არეს იფართოებს: ინვერსიული თურმეობითების გარდა, აწმყოს ფორმებსაც დაერთვის. შდრ. მზახუმსდორენ „სცემს, ურტყამს“ (კარტ. II, 320₂₀); რენდორენ „არის“ (ქლ. 24₄); (ქო)ენდოე „იდ.“ (კარტ. II, 120₁₂, 125₆, 133₉, 323₃); ისალენდორენ „გაცოცხლდება“ (ქლ. 11₁₆); მულუნდოე „მოღის“ (კარტ. II, 125₇); გულუნდონ „დადის“ (კარტ. II, 101₁₇); იქომსდორენ „იქმს, აკეთებს“ (ქლ. 11₁₆); გილუნდო(რ)ენ „გაქვს, გქონია“ (ქლ. 14₂₅; კარტ. II, 317₂₀); ულუნდოე „აქვს, ქქონია“ (კარტ. II, 319₂, 323₃); მიონუნდოენ „მყავს“ (კარტ. II, 105₂); მქამანდორენ „აძლევენ“ (დიუმ. II, 133, XXXI₁); მოლოგიძინდორენ „გიდევის, გდება“ (ქლ. 24₄); ვა ნახონდინენდოე „ვერ უძღებს“ (კარტ. II, 319₂); ითქვენდოენ „ითქმის“ (კარტ. II, 159₁₆); კიამსდოენ „ყივის“ (კარტ. II, 152₃₁).

⁶⁹ დაბეჭდილია: მომილეაფუნ. ამავე ფორმას უჩვენებს ნ. მარი ნამყო სრული-სათვის გრამატიკაშიც (Март 1910, 68), მაგრამ ყ რომ აქ ბეჭდვისმიერი შეცდომაა, აშკარაა: ათინურ-ართაშენულს გლოტალიზებული ელარული სპირანტი არა აქვს.

ტკომ > ტკომ-: მიშკომაფუნ „მიჭამია“ (ჩიქ. II, 99₁₃).

ხენ-: მიხენაფუნ⁷⁰ „მიქნია, გამიკეთებია“ (მარი, 84₁).

ბ) თურმეობითი II

გნ-: მიგნაფურტუ⁷¹ „გამეგო, გამეგონა“ (ჩიქ. II, 137₂₃).

ზიტ- > ძიტ-: უძიტაფურტუ „ესწავლა“ (ეიფ. ჭან. 72₃₄).

ჯ-: ულვაფურტუ „წასულიყო“ (ჩიქ. II, 92₃₁).

ძიტ- > ზიტ-: უზირამურტუ „ენახა“ (კარტ. II, 206₃₃); უზირამურტე „ენახათ“ (კარტ. II, 205₁₆).

იშვიათად, მაგრამ მაინც, დასტურდება ინვერსიული კავშირებითი III-ის წარმოებაც. მაგალითები ხოფური ტექსტებიდან:

კაი გურითე გიხთიმუტას (ასათ. 216, 129₁₅) „კარგი გულით გველოს“; დოგორნაფუტას ფაჭაურა ედო სი ამ გუნახეფემ გუნე გიკანდაფუტასა! (კარტ. II, 85₁₋₂) „დაგეფინოს ჭინჭი და შენ ამ ცოდვების გულისთვის გემათხოვროსო!“.

ლაზურში მესამე სერიის მწკრივთა მყარ პოზიციაზე ისიც მეტყველებს, რომ საესებით რეალურია თურმეობითი მეორისგან ნაწარმოები პირობითი III-ის ხმარება. სარფში გამიგონია: გიგუაფუტუკონ-ნა „რომ გესწავლა“, უძიურტუკონ-ნა „რომ ენახა“ და მსგავსი ფორმები.

3. 2. 2. არაინვერსიული თურმეობითები. ლაზურს თურმეობითთა რთული სისტემა ახასიათებს. საერთო-ქართველური ინვერსიული წარმოების გვერდით აქვს საკუთარი არაინვერსიული წარმოებაც, რომელიც დიალექტურად განსხვავებულია. ლიტერატურაში (ჩიქობავა 1936, 141, 143-144) ასეა გადმოცემული ეს სხვაობა: ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში ზმნის ნამყო დროთა ფორმებს ერთვის მეშველი ზმნები დორქ(ნ) „არის“ და დორტუ(ნ) „იყო“; ხოფურ-ჩხალურში თურმეობითებს აწარმოებს -ერქ ან -ელ-ერქ სუფიქსები, რომლებიც, დაერთვიან რა ნამყო დროთა ზმნურ ფუძეებს, ბოლოში დაირთავენ სუბიექტური III პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნებს, ნამყო უსრულის -ტ(ო) დაბოლოებას.

რამდენადაც ლაზურს ინტერვოკალურ პოზიციაში რ თანხმოვნის დასუსტება-დაკარგვა ახასიათებს, თურმეობითთა აღნიშნული მაწარმოებლები გამარტივებული სახითაც გვხვდება: დორქენ > დორენ > დონ, დორქე > დორე, -ერქ > -ერე, -ელ-ერქ > -ელ-ერე.

⁷⁰ დაბეჭდილია: მეხინაფუ.

⁷¹ დაბეჭდილია: მიგინაფურტუ.

ლიტერატურაში გამოყოფილია თურმეობითა შემდეგი სახეობები:

ა) ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში:

1. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: **ზუმუმტუ-დორენ** „თურმე ზომავდა“;

2. ნააორისტალი თურმეობითი I: **ზუმუ-დორენ** „უზომავს“;

3. ნააორისტალი თურმეობითი II: **ზუმუ-დორტუნ** „ეზომა“.

ბ) ხოფურში:

1. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: **ზიმუფტ-ერენ** „თურმე ზომავდა“;

2. ნააორისტალი თურმეობითი I: **ზიმ-ერენ** „უზომავს“;

3. ნააორისტალი თურმეობითი II: **ზიმ-ერენ-ტ-უ** „ეზომა“;

4. პირობითისაგან ნაწარმოები თურმეობითი: **ზიმასუნტ-ერენ** „თურმე უნდა ეზომა“ (ჩიქობავა 1936, 141, 143–144, 150).

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ერთი რიგის ზმნურ ფუძეებს ხოფურში -ე(რ)ე დაბოლოების ნაცვლად რთული -ელ-ე(რ)ე სუფიქსი ერთვის. -ერე და -ელ-ერე დაბოლოებათა განაწილება ასეა წარმოდგენილი: „ხოფურში თურმეობითი პირველი იწარმოება -ელ-ერ-ე სუფიქსით, თუ ფუძეში -რ- გვაქვს, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ -ერ-ე სუფიქსია გამოყენებული; შდრ.: აღაქ უწე-ერ-ე-ნ... I, 15₉ ბატონს (აღას) უთქვამს, ბატონი „ნათქვამა“ და: ქოდინჯირ-ელ-ერ-ე-ნ I, 15₂₄ დაუძინია“ (ჩიქობავა 1936, 154).

ლაზეთის სხვადასხვა რეგიონში დამატებით მოპოვებული ტექსტები და სხვა ენობრივი მასალა, ადრე გამოქვეყნებული მასალის გულდასმითი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დაზუსტდეს და შეივსოს ლიტერატურაში არსებული ცნობები არაინვერსიული თურმეობითების წარმოების შესახებ, სახელდობრ:

ა) ათინურ-ართაშენულში ნანამყოუსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი I (ე. ი. დორენ-იანი მწკრივები) არ იხმარება. აქ მხოლოდ ნააორისტალი თურმეობითი II (დორტუნ-იანი მწკრივი) გვაქვს.

ბ) მყოფადის ნამყოს თურმეობითი, რომელსაც პირობითისაგან ნაწარმოები თურმეობითს უწოდებენ, ხოფურშია შენიშნული (ჩიქობავა 1936, 150, 152). მისი ხმარება მოგვიანებით ჩაწერილ ტექსტებშიც დასტურდება:

გეულე წიწილა იტერენ ჯაშა დო ია კართალიშ მოთაფე ჭკომახინტერენ (კარტ. I, 84₃) „მერმე გეული მიხობხაედა (ადიოდა) თურმე ხეზე და იმ არწივის მართეები უნდა შეეჭამა თურმე“; ილლა არ დლას არ კულანი მეზაგინტერენ (ასათ. 54, 16₃) „აუცილებლად დღეში ერთი ქალიშვილი უნდა მიგეცა თურმე“; მა იეტიკონ-თი-ნა⁷², აშო მეზლაშინტერენ (ასათ. 55, 16₄) „მე კიდეც რომ აესულიყავი, ასე ჩამოვეარდებოდი თურმე“; ანთეფე ქაბეშა იდასუნტერენან (ასათ. 87, 4) „ესენი ქაბაში უნდა წასულიყვენ თურმე“.

ეს მწკრივი არქაბულსაც არ უნდა ეუცხოებოდეს. შდრ.

არ ოფუტეს ზენგინ კოჩი ქორტუდორენ. პემ კოჩი ჰაჯილუღიშე იდატუდორენ (ელ. 72₁₈) „ერთ სოფელში მდიდარი კაცი ყოფილა. ის კაცი მექაში სალოცავად უნდა წასულიყო თურმე“; ორჭაი ეურ ჯუმაღეფე ნოლაშე ქოგეხთეს-დორენ. ნჯუმუ ეჭოჭატეს-დორენ (დიუმ. II, 139, XXXIII₂) „ორი ორჭელი ძმა ქალაქში ჩასულა. მარილი უნდა ეყიდათ თურმე“.

გ) ვიწურ-არქაბულში ნანამყოუსრულარ თურმეობითს და ნააორისტალ თურმეობით პირველს დორენ „არის“ მეშველი ზმნა აწარმოებს. არქაბულის ზოგ თქმაში (კერძოდ, სოფ. ბუჩის მკვიდრთა მეტყველებაში) დორენ || დორენ-ის პარალელურად უზმნისწინო რენ || ენ ფორმებიც იხმარება. მაგ.,

ორჭაეფე ოლინე დეეამლი ნოლაშე გაულუტესრენ დო ჯუმუ ეჭოფუმტეს-დორენ (კარტ. II, 316₇) „ორჭელები წინათ მულამ ქალაქში ჩამოდიოდნენ თურმე და მარილს ყიდულობდნენ თურმე“; ორჭაი კურბთიშე იგზალუნ დო ოხორჯა ჰაქოლე ნაშქუ ხვალა (კარტ. II, 316₂) „ორჭელი საშოვარზე წასულა და ცოლი აქ დატოვა მარტო“; აიქ-ნარენ თქუდორენ-ქი (|| თქურენ-ქი... (კარტ. II, 315₄) „ერთს უთქვამს, რომ...“; ორჭაეფექ თქვესრენ-ქი... (კარტ. II, 315₂) „ორჭელებს უთქვამთ, რომ“; არ ხუთ-აშ კოჩი ოკოათესრენ დო მუქთიშე ქოგეხთესრენ (კარტ. II, 315₂₋₂) „ერთი ხუთი-ექესი კაცი შეყრილა და მუფთისთან ჩასულან“; ჰაწი ჰამთეფე ოკოათესრენ დო ქოიშე ეშულუნან. გზას გაულუმჯესრენ (კარტ. II, 316₁) „ახლა ესენი შეყრილან და სოფელში ადიან. გზაზე დაღამებიათ“; ტუქეღეფე ედოკიდესრენ (კარტ. II, 316₁₇) „თოფები აუსხამთ“; დუშემექ არალულ ქომეზუნ (კარტ. II, 316₂₉) „იატაკს ღრიტოები გასწენია („მიუცია“)“; ალი ჯუმაღიქთი ქომეზუდორენ არ თენექე ლაზუტი, ჰამუქ თჯომურენ (კარტ. II, 317₁₀) „ალი ბიძიასაც მიუცია ერთი თუნუქი სიმინდი, ამას შეუჭამია“; დიდო დომატკინდურენ (კარტ. II, 332₄) „ძალიან დაველიღვარ“...

არანივერსიული თურმეობითების წარმოებისას მეშველი ზმნის უზმნისწინო ფორმების გამოყენება, ალბათ, ხოფურ-ჩხალური კილოს გაელენის შედეგია. ბუჩის მეტყველება არქაბულ კილოკავს განეკუთვნება (თავად სოფ. ბუჩა ხოფის თემში შედის), მაგრამ მასში ხოფური ფორმები უხვად დასტურდება. მაგ., ბუჩელი ენვერ შათირი თურმეობითის ხოფურ ვარიანტსაც ხმარობს, ასევე პარა-

⁷² დაბეჭდილია: იეტიკონ-თი ნა (!).

ლელურად იყენებს მყოფადის ვიწურ-არქაბულსა და ხოფურ წარმოებას.

დ) ნააორისტალ თურმეობითებში ო-თანხმოვნთან ზმნურ ფუძეებზე რთული -ელ-ერე სუფიქსის დართვა მთელ ხოფურ-ჩხალურ კილოს კი არ ახასიათებს, არამედ ხოფური კილოკავის სარფულ თქმას და ზოგიერთი სხვა სოფლის (მაისქიოფუტეს, ქოფურიჯის...) მეტყველებას. დანარჩენ თქმებში⁷³ (მაგ, საკუთრივ ხოფის, სუნდურის, მხიგის მეტყველებაში) -ე(რ)ე დაბოლოება იხმარება ყოველგვარი ფუძის მქონე ზმნების თურმეობითებში. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ამ თქმებში დადასტურებულ -ერე-სუფიქსთან ფორმებს, რომლებსაც სარფულში მუდამ -ელ-ერე-დაბოლოებიანი ფორმები შეესაბამება.

ა) საკუთრივ ხოფის მეტყველება

ისკანდერიქ დოგორევენ არ ჯოხო (ჩიქ. I, 165₁₂) „ისკანდერს მოუძებნია სახელი“; არქადაშიქ მექთუბი დოჭაჩევენ (ჩიქ. I, 166₂₃) „ამხანაგს წერილი დაუწერია“; უჩურუმიშ თუდე მატოფი-კალა თელლი დინხხეავენან (დიუმ. III, 40, 6₁₆) „ხრამში („ხრამის ქვეშ“) ნავითურთ ყველანი დამსხერეულან“; იგზალევენ დადიშა დო თხა ქანოჭკევენ (კარტ. II, 77₁₄) „წასულა ტყეში და თხა დაუკლავს“; დადიშა იგზალევენან დო ქაშანთხოვენან კუი (კარტ. II, 77₁₇) „ტყეში წასულან და ამოუთხრიათ ორმო“; კოჩიქ მებსეს ქოლოღაბონევენ, ოყუუ ქოგეუჭკევენ, უყუვენ ოხოჯავს (კარტ. II, 77₂₀) „კაცი ვითომ წაქიდებია, ყვირილი დაუწყია, უყვირია ქალისათვის“; ეშანთხოუშში, ქოძივენან-ქი, დოხვეი ტუ თხა (კარტ. II, 77₂₇) „რომ ამოთხარეს, უნახავთ, რომ ჩაფლული იყო თხა“; უქუმეთიშ კოჩის გვაკეიგევენ-ქი: „ადა მუ ენა?“ (კარტ. II, 77₂₈) „მთავრობის კაცს გაქეირეებია: „ეს რა არისო?“, კოჩის ოხოჯავა დუღუვენ. ეჟურ წანაშკულე მაქეანი ოხოჯავა დოგორევენ (კარტ. II, 78₆) „კაცს ცოლი მოქეედომია. ორი წლის შემდეგ მეორე ცოლი უთხოვია“; კულანიქ იმავენ (კარტ. II, 78₁₀) „გოგოს უტირია“; აწი დოსქიდებუ მქაფუ, მქაფუქ ვა ძიებუ (კარტ. II, 81₉) „ახლა დარჩენილიყო ტურა, ტურას არ ენახა“; „სი ბერეფე დობლაფა, ჩქვა მუთუ ვარა?“ – უყვენან (კარტ. II, 84₁₃) „შენ ბაეშეებს ყრიო, მეტი არაფერიო?“ – უყვირიათ“; ნუკუფე დიკივენან (კარტ. II, 84₃₄) „პირი აუხვევიათ“.

ბ) ბუჯალის მეტყველება

ადა მუ ენა, მოლლა ნუსრედინია, ბაბა-სქანი ვა დურევენა! (კარტ. II, 74₂₆) „ეს რა არისო, მოლა ნასრედინო, მამაშენი არ მომკედარაო!“.

გ) სუნდურის მეტყველება

დიდი ნანა-ჩქიმიში ჯუმა ბათუმის დოღუვენ (კარტ. II, 85₁₀) „ბებიჩემის ძმა ბათუმში მომკედარა“; დიდი ნანა-ჩქიმიქთი ამუში დუზუნდენ დიდო სიხინთეფე

⁷³ ჩხალური კილოკავის გარდა! ჩხალურის შესახებ იხ. მომდევნო (ე) პუნქტში.

ნწიყენ. ემუშკულე ნანა-ჩქიმიში ნანა დოღურენ (კარტ. II, 85₁₃) „ბებიაჩემს ამის გამო ბვერი ტანჯვა გამოუელა იმის შემდეგ დედანემის დედა მომკედარა“; მოხთენანში, პირ მუთუ ვა ძიყენან, პირ მუთუ ვა დუსქიდენან (კარტ. II, 85₂₆) „რომ მოსულან, აღარაფერი უნახავთ, აღარაფერი დარჩენიათ“; გზას დიდო მთეი მთევენ, ექ ხინი ქოგელაღუვენ (კარტ. II, 86₃₀) „გზაზე ბვერი თოელი დაუღვია („დაუთოვია“), დედაბერი იქ მომკედარა“.

დ) მხიგის მეტყველება

გოწკედუში, ხორცი ვა ენ, ქანხიყენან! (კარტ. I, 152₂₉) „რომ გახედა, ხორცი არ არის, მოუპარავთ!“; ბადი ბინეხი თოკიშ იეინე ხხმარენან (კარტ. I, 153₂₄) „თოკის ნაცვლად სვია უხმარიათ“; ქედოვოტონხორო დოღურენ, ართელი თოფალი ქოდოსქიდენ (კარტ. I, 153₂₆) „ოცდაცხრამეტი დახოცილა, ერთი კოჭლი დარჩენილა“; არ ფუჯი ქომუყონენ დო ღუქთიყენან ქაფნიაშ გეჭუში გრასთაშა (კარტ. I, 154₃) „ერთი ძროხა მოუყვანია და გაუცვლიათ ქაფშიის შესაწვავ კეცში“; ქოხიყენ, ვა ზიყენ (კარტ. II, 303₂₁₋₂₂) „უნახავს, არ უნახავს“.

ე) ჩხალურ კილოკავში რ-თანხმოენიან ზმნათა ნააორისტალ თურმეობითს -ელე დაბოლოება აწარმოებს. მაგ.,

ბერექ ღომა დიდო ხხთერელენ. ე კონი ხარმელი ტუ დო აწი დოღურელენ. ა ქითაბი დოხარელენ (კარტ. II, 305₃₅₋₃₇) „ბავშვს გუშინ ბვერი უთამაშია. ის კაცი ავად იყო და ახლა მომკედარა. ეს წიგნი დაუხეგია“; თქვა მითიქ გძირას დო მა მიღარღალაში, ემ ვახთის ბზოპონ-ქი: ქუძირამუნან, ქოძიყელენან. მეხირუ ხირსუზონა ენ. ვარ ძირაში, ქანხიყელენანია, ითქვენ; ქოძირაში, ემუქ ქანიხირუა, ითქვენ, ვა ძირაში, – ქანუხირაფუნან, მითხაქ ქანხიყელენ (კარტ. II, 311₇₋₁₁) „თქვენ ვინმემ რომ გნახოთ და მე მითხრას, მაშინ ვამბობ: უნახავთ. მოპარვა ქურდობაა. თუ არ ნახავ, მოუპარავთო, ითქმის; თუ ნახავ, იმან მოიპარაო, ითქმის, თუ არ ნახავ, – მოუპარავთ, ვიდაცას მოუპარავს“; ე ხამნელაჲ ვახთის დოჭინჭოლემ მიღლეითი, დოღურელენან, ვარ დოსქადვენ მითი (კარტ. II, 313₃₈) „იმ ავადმყოფობის დროს გამწყდარა ხალხი, დახოცილან, არაენ დარჩენილა“.

ჩხალური -ელე, ალბათ, -ერე-საგან მომდინარეობს ფუძისეულ რ-სთან დისიმილაციით. როგორც ჩანს, ჩხალური კილოკავი ხოფურის იმ თქმებს ეკედლება, სადაც თურმეობითის -ერე დაბოლოება ყოველგვარი ფუძისაგან ნაწარმოებ აორისტს დაერთვის. ოღონდ, სხვა თქმებისაგან განსხვავებით (რომლებიც ორი რ-ს მეზობლობას იტანენ), ჩხალურში დისიმილაციის საშუალებით არის აცილებული ეს უხერხული მეზობლობა⁷⁴.

ე) ზმნის ფუძეში რ თანხმოენის არსებობა საკმარისი პირობა არ არის რთული -ელ-ე(რ)ე სუფიქსის დართვისათვის. -ელ-ე(რ)ე

⁷⁴ რამდენადაც ინტერეოკალურ პოზიციაში რ თანხმოენი, როგორც წესი, იკარგება, ორი რ ამ თქმათა თურმეობითებშიც აღარა გვაქვს: დოჭარენ (< დოჭარერენ) „დაუწერია“, ქოძიყენ (< ქოძირერენ) „უნახავს“.

მხოლოდ მაშინ დაერთვის ზმნას, როცა **რ** ფუძის ბოლოკიდური ბგერაა⁷⁵. თუ **რ** ფუძის ბოლოს არ არის, ნააორისტალი თურმე-

⁷⁵ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ფუძისეული **რ** დაცულია თუ არა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის სადაყო მოსაზრებები, რომლებიც გამოთქმული აქვს ირ. ასათიანს ხოფური თურმეობითების შესახებ. მეკვლევარი აღნიშნავს ზოგიერთი მთქმელის მეტყველების თავისებურებას – თურმეობითის **გე** (< ვრე) დაბოლოებაში იდენტური ხმოვნების შერწყმას – და მიუთითებს, თითქოს **რ-ფუძიან** ზმნას, რომელიც თურმეობითს, ჩვეულებრივ, **-გე-ვრე-თი** აწარმოებს, შეიძლება **ვრე** დაერთოს, როცა ფუძისეული **რ** დაკარგულია. ავტორი წერს: „ნიჭკიეტუ (1, 51) ნიჭკირ-ერე-რ-უ „დაკლულა“ **რ**-იანი ფუძეა, ამიტომ ვრე სუფიქსის წინ მოსალოდნელი იყო ჩართვოდა **-გე**, მაგრამ რადგანაც ფუძისეული **რ** დაკარგულია, გაფორმდა, როგორც ჩვეულებრივი თურმეობითი“ (ასათიანი 1974, 13).

ნიჭკიეტუ ენებითის თურმეობითი კი არ არის, არამედ პოტენციალისის ფორმაა, ნამყო უსრულია. ტექსტი სწორად არ არის ჩაწერილი. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან ვრცელ კონტექსტს, სადაც ეს ზმნაა ნახმარე: „47. ოხოიშა დომიჯოხეს. 48. ფუჯიშ [ტექსტში: ფუჯიმ. – გ. კ.] გენი ქამემიჭკირი-ა. 49. მან-თი ბაკიშა გეფთი დო მწკუფის, გენი-მა, დო, ფუჯი ქამეოჭკიი. 50. ა ჩქვა გეხთ-ში, ფუჯი ქამეოჭკიელე. 51. „ფუჯი ნიჭკიეტუ“-ა. 52. მიწვეს მან დო ყუეს“ (ასათიანი 1974, 28–29). გამომცემელი ასე თარგმნის ამ ფრაზებს: „47. სახლში დამიძახეს. 48. „ძროხის ხბო დამიკალი!“-ო. 49. მეც ბაკში ჩავედი და სიბნელეში, ხბო მეთქი და, ძროხა დავკალი. 50. ახლა ისინი რომ ჩამოვიდნენ, ძროხა დამიკლავს. 51. „ძროხა დაუკლავთ („დაკლულა“)-ო. 52. მითხრეს მე და იყიერეს“ (იქვე). „ფუჯი ნიჭკიეტუ“-ა ს ნაცულად უნდა იყოს: „ფუჯი ნიჭკიეტუ-ო?“-ა, რაც ნიშნავს: „ძროხა დაიკვლებოდაო?“ („ძროხის დაცულა იქნებოდაო?“ – უყვირიან გაბრაზებული მასპინძლები ზღაპრის გმირს). პოტენციალისის ნამყო უსრულს (ნიჭკიეტუ) ერთვის **-ა** (კითხვითი ნაწილაკი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი). გამომცემელს ეს **-ა** სხვათა სიტყვის **-ა**-ში აურევია (აქედან – კითხვითის ნაცულად თხრობითი წინადადება). თვითნებურია ზმნის მნიშვნელობის გადმოდებაც ქართულად: „დაუკლავთ („დაკლულა“)“. ანალოგიური შეცდომა აქვს დაშვებული მეკვლევარს **იყვიერებს** კვალიფიკაციის შემთხვევაშიც. მისი აზრით, „იყვიერებს“ (48, 26) < იყვიერებს > იყვიერებს „იკვლევოდა თურმე“ (ასათიანი 1974, 13). სინამდვილეში აქაც პოტენციალისის ნამყო უსრული გვაქვს. დაბეჭდილია: **ფააშენი კოჩი იყვიერებსა**. უნდა იყოს: **ფააშენი კოჩი იყვიერებს-ა**, ე. ი. „ფულისთვის კაცი მოიკვლევოდაო?“

ასევე ძნელია დავეთანხმოთ ი. ასათიანის შემდეგ მსჯელობასაც: „თავისებურად არის გადაწყვეტილი ერთად თავმოყრილი ორი **რ-ს** საკითხი ფორმაში: პოგოიკილენ (2, 47) < პო-გო-ი-კილ (<კირ)-ეც (<ერე)-ნ „მიბმული ყოფილა“; ფუძისეული **რ** > **ლ-ს**, ამიტომ თავიდან აცილებულია ელვ-დამატებითი ელემენტის ჩართვა“ (ასათიანი 1974, 13).

პოგოიკილენ სარფულში შეუძლებელი ფორმაა. ჯერ ერთი, ბოლოკიდური **ნ** (III სუბიექტური პირის ნიშანი) აქ უადგილოა **გო-პრევერბის** უცვლელად შემონახვა სათავისო ქცევის **ი** ნიშანთან (**გო-ი-** და არა **გუ-ი-**) იმაზე მიუთითებს,

ობითების მაწარმოებლად სარფულშიც -**ვ(რ)ე გვაქვს და არა -ელ-ვ(რ)ე მაგ,**

სარფული არ კონი გზას ნიტეენ-ში, არ გპურჯი ქონარგვენ (ჩიქ. I, 118₁₉) „ერთი სარფელი კაცი გზაზე რომ მიდიოდა („მინავალა“), ერთი ქართველი შეხედრია“; ნოლედის ზამანის მსკევიშა იგზალეენან. მენდაწკედეენან – გზას არ გინი ქონარგვენან (ჩიქ. I, 117₁₄) „ნოლედში ძეკლად ირემზე [სანადიროდ] წასულან. გაუხედაეთ, გზაზე ერთი სახედარი შემოხვდომიათ“; ბაბა-მუშიშ მეზაი ნა ჩუმეტუ, ცხენეფე აქოლენ **შორგვეტუ** (კარტ. I, 43₃₁) „მამამისის საფლავს რომ დარაჯობდა, ცხენები მაშინ ეშოვა („აქედან მოვეგ“)"

მუტო რენ, ფიმფილეფე დიდო **შარდვენ-ი?** (ჩიქ. I, 13₁₉) „როგორ არის, წვერები ძალიან გამზრდია“; აშო ნაკო წანაფე მიკილეენ, მუში ბეეფეთი **დგარდვენ** (კარტ. I, 130₁₂) „ასე რამდენიმე წელს გაუელია, თავისი ბავშვებიც დაზრდია“; ია მცხულეფე კაი **დორდვეტუ** დო მცხულეფე-თი მენანტუ (ჩიქ. I, 87₂₇) „ის მსხლის ხეები კარგად გაზრდილიყო და მსხლებიც ესხა“; მჩხურის გინძე თომა **დგარდვეტუ** დო ყინი ვარ აყეეტუ (ჩიქ. I, 105₃) „ცხვარს გრძელი თმა გაზრდოდა და არ სციოდა“.

მითხანეფე მოხთერეტეს დო ჩქირი ზექიე ქაშორკვეტეს (ჩიქ. I, 48₁₅) „ვილაცე-ბი მოსულიყენენ და ჩვენი ზექიე მოეტაცათ“; ქომეხთეს ია დევიშ ოხოიშა, ნადა დევიქ ნა **შურკვეტუ** ნოლაბისა (კარტ. II, 8₁₆) „მივიდნენ იმ დევის სახლში, რომელ დევსაც მოეტაცა საცოლდე“.

ქაბეში ნეკნაკალა არ ძუკაა, გობიწელი ბექე მენდილი **დორჩვენ** დო ფაა კოობუფს, იკეანს (კარტ. I, 102₂₅) „ქაბის კართან ერთ ღარიბ, ტანისამოს]შემო-გლეჯული ბიჭს მანდილი დაუფენია და ფულს აგროეებს, მათხოვრობს“.

შქეთ დღაშა ანთეფეს მეთუ ვა **დგარინეენან** (ჩიქ. I, 117₂₆) „შეიდ დღეში („შეიდ დღევე“) ამთ ვერაფერი დაუბადებიათ“.

პოლის, მუქუმეთის ჯუმოიში ქმეფი (დერგულა) **დუტრუხვენ** დო ჯუმოი ქოდეაბენ (ჩიქ. I, 26₂) „სტამბოლში მთავრობას ძმრის ქვეერი (დერგულა) გასტეხია და ძმარი დაღვრია“.

ვილე მეგეემ დიდი აქლია წიწილა **დოხროცქვენ** დო ემუში პიჯიშენ აღუ ნა დიბეტუ, ია გიტეენ (კარტ. I, 110₃₃) „ზემოთ თურმე დიდი გეელეშაპი მომკედარა და იმისი პირიდან რომ საწამლაეი იღვრებოდა, ის ჩამოდიოდა თურმე“; ტუმანი მეფთიში, დევე მისელეენ დო ეშშეილი ქოგუწიკიდენ, ეშშეილი **დოხროცქვენ** (კარტ. I, 123₂₁) „დილას რომ მივედი, აქლემი ამდგარა და სახედარი წამოუკიდა, სახედარი მომკედარა“.

თი ქეას-ნა გემანერეტუშენი, ქაგოფისერსემერეტბი (ჩიქ. I, 92₁₂) „თაეი ქეას რომ დაეკარი („დამეკრა“), გაეოგნებულეარ („გაეოგნებულიყავი“)"

რომ აქ პირველი პირის ფორმაა; მეორეც, გაუგებარია, რატომ უნდა ქვეულიყო ფუძისეული **რ** თანხმოვანი **ლ-დ?** ვფიქრობ, აქ უნდა გვექონდეს ჩვეულებრივი, წესიერი წარმოება: **პოგოფიედე** (< პოგოიკირ-ელ-ერე) „შემომიკარავს, შემომიხვევია“. კონტექსტიც ამას უჭერს მხარს: 46. ... მწკუფის მანი-მანი დოლოქუნეფე დოლოქუნეფ. 47. ოხორჯაშ შავალი თის პოგოიკიედე, ბაშლული მიჩქიტუ (იქვე, გვ. 32) „ბნელში ჩქარ-ჩქარა ტანისამოსს ვიცეამ. ქალის შარვალი თაეზე შემომიხვევია (შემოვიკარი თურმე), ყაბალახი მეგონა“.

ფათიშაის არ კულანი უყოუნტერენ დო კულანი ია ბიჯის დგაყოლოფვენ (კარტ. I, 283) „ხელმწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყოლია და გოგოს ის ვაჟი შეჰყვარებია“.

ზ) -ელ-ერე სუფიქსი მაშინაც გვაქვს, როცა ზმნის ფუძე ხმოვნით ბოლოვდება.

მაგ., ფაი (< თ. pay) „წილი, ხედრი, ნაწილი“ სახელისაგან ნაწარმოები ზმნის აორისტია დოფაუ „გაანაწილა“. მისგან ნაწარმოებ თურმეობითებში -ელ-ერე დაბოლოება გვაქვს: დოფაელერენ „გაუნაწილებია“. შდრ.:

გიინი დოყვილენან. ე-ნა იფაელენან, არის კუჩხეფე დენაჭერენ, ოხოიშა მინდილენ დო დოგობენ (ჩიქ. I, 117₁₈) „სახედარი მოუკლაეთ. რომ გაუყვიათ, ერთს ფეხები რგებია, შინ წაულია და მოუხარშავს“.

არაბულ-თურქული silah „იარაღი“ ლაზურში სხვადასხვა სახეობით არის გადმოსული: სილაჰი || სილახი || სილადი. სარფულში ჩვეულებრივია სილაი ფორმა, რომელშიც ფუძის ბოლო-კიდური ჰ დაკარგულია (შდრ. სპ.-თ. padiah > ფათიშაჰი || ფათიშადი || ფათიშაი). ამ სახელისაგან ნაწარმოები ზმნის აორისტია გუისილაუ „შეიარაღდა“, თურმეობითი I კი – გუისილაელენ „შეიარაღებულა“, სადაც სუფიქსად -ელ-ერე გვაქვს.

სარფულში დასტურდება ბოლოთანხმოვანდაცული ფუძეც: სილაჰი. ამისგან ნაწარმოები ზმნის თურმეობითი უკვე -ერე-დაბოლოებიანია: გუისილაჰენ.

-ელ-ერე დაბოლოება გვაქვს კაი „კარგი“ სახელისაგან ნაწარმოები ზმნის ნააორისტალ თურმეობითშიც. სარფში ითქმის: დოკაელენ „მოურჩენია“, დიკაელენ „მორჩენილა“.

საერთო-ქართველური *ყიფ- ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში ლაზური ფუძისეულ გ-ს კარგავს: ყიაფს „ყივის“, დიყიუ „დაიყივლა“. ამ ზმნის ნააორისტალი თურმეობითებიც სარფულში -ელ-ერე-თი ფორმდება: დიყიელენ „დაუყივლია“.

ეს, ერთი შეხედვით, უცნაური მოვლენა ადვილად აიხსნება. ლაზურში ფართოდ არის გავრცელებული რ-ს დაკარგვა ორ ხმოვანს შორის. ამავე დროს მოქმედებს საპირისპირო პროცესიც: ორ ხმოვანს შორის რ-ს განვითარება, ასე ვთქვათ, დაკარგულად ნავარაუდვეი რ-ს აღდგენა. ზოგიერთი მთქმელი, რომელიც ცდილობს რ თანხმოვნის დაცვას, მას აღადგენს ხმოვანთა შორის ისეთ შემთხვევაშიც, სადაც რ არასდროს ყოფილა⁷⁶.

⁷⁶ ხმოვნებს შორის რ-ს ჩართვის შესახებ არქაბულში იხ. ელენტი 1938,

ასე რომ, ზმნებში, სადაც სუფიქსისეულ ხმოვანს ფუძისეული ხმოვანი უძღვის, დღევანდელი ლაზისათვის **რ** თანხმოვანი ივარაუდება დაკარგულად. -**ელ-ერე** სუფიქსის დართვისათვის კი, როგორც ზემოთ ითქვა, მნიშვნელობა არა აქვს, ფუძის ბოლოკიდური **რ** დაცულია თუ დაკარგული, მთავარია, მისი არსებობა ივარაუდებოდეს.

რ-თანხმოვნიან და ხმოვანფუძიან ზმნათა თურმეობითების წარმოების თავისებურებები საინტერესოა -**ელ-ერე** მაწარმოებლის შედგენილობის გარკვევისათვის.

ლიტერატურაში ადრევე გამოითქვა ვარაუდი, რომ ლაზურ თურმეობითთა საწარმოებლად გამოყენებულია გარდაუვალ ერთპირიან ზმნათა თურმეობითის ყალიბი: ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობა + მეშველი ზმნა.⁷⁷

XVI– XVII. ეს პროცესი გაერცელებულია ხოფურშიც. მაგ., სარფელი სალის თანდილაას მეტყველებაში დასტურდება ასეთი ფორმები: აზბაჩი [< აზბაი < აზბაეი] (კარტ. I, 83₆) „აზბაეი“, კაჩი [< კაი] აწონუ (კარტ. I, 83₁₉) „გაუხარდა“, ქაოჩიშა [< ქაოიშა < თ. köy] (კარტ. I, 85₁₄) „სოფელში“, მურთშვანუ [< მუიშვანუ] (კარტ. I, 83₂₂) „შეისუნთქა“, ქოკუჩობდეს [< ქოკუიბდეს] (კარტ. I, 83₃₆) „შეიყარნენ“, დიხოღურია? [< დიხოღურია?] (კარტ. I, 85₂₃) „გათაედო?“, სი მითი გიყოღურია? (კარტ. I, 84₃) „შენ ვინმე გყავსო?“. საინტერესოა ეს უკანასკნელი მაგალითი. გიყოღურ ფორმისათვის ამოსავალია გიყოღუნ, რომლისგანაც **ნ** თანხმოვნის დისიმილაციური დაკარგვით ხოფურში მიიღება გიყოღენ (იხ. აქვე, გვ. 57); ერთმანეთის მეზობლად მოხვედრილ ორ ხმოვანს შორის კი აღდგა **რ**. **რ**-ს უადგილო ადგილას აღდგენის კარგი მაგალითია ჰაკი კახიდის მიერ **რ**-ს ჩართვა პრევერბსა და ფუძისეულ ხმოვანს შორის ქართულ ზმნაში: გამოაშკარავდა > გამოლაშკარავდა (კარტ. I, 127₁₃). საინტერესოა, რომ აქ **რ**-ს ჩართვისათვის ხელი არ შეუშლია სიტყვაში მეორე **რ**-ს არსებობას.

⁷⁷ ნ. მარს თურმეობითის მიმღეობური წარმოების ნიმუშად მოჰყავს დიხინერენ (< დიხინერ რენ) „გახუნებულა“ და დოხოშუდოღენ (< დოხოშუერ დორენ) „გამხმარა“. მკვლევარს მიაჩნდა, რომ აქ მეშველი ზმნა დაერთვის მიმღეობის შეკვეცილ (სახელობითის ნიშანდაკარგულ) ფორმას. ნ. მარი მათგან განარჩევდა თურმეობითის ისეთ წარმოებას, როცა მეშველი ზმნა დაერთვის ზმნის პირიან ფორმას, კერძოდ, აორისტს: დიგუ დოღენ „გამხდარა“. მაგრამ ასეთი ახსნა არ უნდა იყოს ზუსტი. დიხინერენ ხოფურ ნააორისტალ თურმეობით I-ს წარმოადგენს. ამაზე მიუთითებს ზმნაში ენებითის **ო**-პრეფიქსის არსებობა: დიხინერენ < *დო-დ-ხინ-ერენ. რაც შეეხება დოხოშუდოღენ ფორმას, ვჯვს იწვევს მისთვის ამოსავლად ნაევარაუდევი დოხოშუერ- მიმღეობის არსებობა ლაზურში. უფრო სავარაუდოა, რომ აქაც ნააორისტალი თურმეობითი I გვაქვს ერწურ-არქაბული წარმოებისა: დოხოშუ-დოღენ. გარდაუვალ ზმნათაგან თურმეობითთა მეშველზმნიანი წარმოება ლაზურში დღეს ერთადერთ ყოფ- ფუძეს აქვს

ფიქრობენ, რომ ხოფურ ნააორისტალ თურმეობითებში -ერე და -ელ-ერე სუფიქსების მონაცვლეობა დაკავშირებულია ნამყო დროის მიმღეობის ორგვარ წარმოებასთან. ზმნები, რომელთა ფუძეში არ არის რ თანხმოვანი, მიმღეობას -ერ სუფიქსით აწარმოებენ (კიდ-ერ-ი „აშენებული“), იმ ზმნურ ფუძეებს კი, რომელთაც რ აქვთ, მიმღეობის სუფიქსად -ელ ერთვის: სუფიქსისეული რ დისიმილაციას განიცდის ფუძისეული რ-ს გავლენით (ჭარ-ელ-ი < ჭარ-ერ-ი „დაწერილი“). ვარაუდობენ, რომ -ერ-სუფიქსიან მიმღეობას მეშველ ზმნად ერთოდა რენ ფორმა (*კიდერ-რენ > კიდერენ „უშენებია“), -ელ-სუფიქსიანს კი (რადგან ელ-რენ თანმიმდევრობა ფონეტიკურად შეუწყნარებელია) – ორენ (*ჭარელ-ორენ > ჭარელერენ „უწერია“) (ნათაძე 1961, 34)⁷⁸.

ამიტომ ზმნები, რომლებსაც ნამყო დროის (ენებითი გვარის) მიმღეობა -ერ სუფიქსით ეწარმოებათ, თურმეობითში -ერე დაბოლოებას ავლენენ; ის ზმნები კი, რომლებსაც მიმღეობის სუფიქსად -ელ აქვთ, თურმეობითებში -ელ-ერე-ს ირთავენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, თურმეობითში -ერე-დაბოლოებიანი ზმნები მიმღეობას -ერ სუფიქსით აწარმოებენ, ხოლო -ელ-ერე-დაბოლოებიანები – -ელ-ით.

სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო ის ფაქტი, რომ ზმნები, რომელთა ფუძეში რ თანხმოვანი გვაქვს, მაგრამ არა ბოლოკიდურ პოზიციაში, და რომლებიც თურმეობითს -ერე სუფიქსით აწარმოებენ, ვნებითის მიმღეობებს ორგვარად წარმოგვიდგენენ: მიმღეობის მაწარმოებლად -ელ სუფიქსიცა გვაქვს და

შემონახული: ყოფერენ < *ყოფერ-რენ „ყოფილა“. შდრ.: ა-თი თამარ მეფეში ყოფერენ (ტერენ) (ყიფ. ჭან. 5;) „ესეც თამარ მეფისა ყოფილა“; ეკულე ექთი ექდაეჯი ბადი ყოფერენ დო ემუქ ენთეფეს უწვეერენ-ქი... (ჩიქ. I, 1172) „მერმე იქაც მეზღაპრე ბერიკაცი ყოფილა და იმას მათთვის უთქვამს...“; არ ფათიშაი ყოფერენ დო სუმ ბიჭი უყოუნტეენ (კარტ. I, 22,6) „ერთი ხელმწიფე ყოფილა და სამი ვაჟი ჰყოლია“; ემ იერის-თი მთელი ამრი-ამრი ყოფერენან (ყიფ. ჭან., 1,6) „იქაც სულ ცალ-ცალკე ყოფილან“. პრ. აჭარიანის მიერ ჩაწერილ ტექსტებში (რომლებიც გადაბეჭდილი აქვს ნ. მარს თავის ქრესტომათიაში) დასტურდება ყოფ- ფუძისგან ნაწარმოები მიმღეობური თურმეობითის კიდევ ერთი ვარიანტი – დოყოფუმერენ (< *დოყოფუმერ-რენ): ამა მეიფეფე დოყოფუმე რენ (მარი, 122გ) „ეს ხილი დამწიფებულა, მოწეულა („ქნილა“)“.

⁷⁸ -ელ-ერე დაბოლოების სხვაგვარი ახსენისათვის იხ. ქლენტი 1953, 132–134; ასათიანი 1970, 150.

-**ვრ** დაბოლოებაც. ხოფურ-ჩხალური დიალექტი, რომელშიც სხვა ლაზური დიალექტებისაგან განსხვავებით, მეტად ძლიერია ორი **რ-ს** დისიმილაციის ტენდენცია (ელენტი 1953, 130 შმდ.), არაბოლოკიდური **რ** თანხმოვნის მქონე ზმნური ფუძეებისაგან ვნებითი გვარის მიმღეობის წარმოებისას ნაკლებად ამჟღავნებს ამ ტენდენციას. შდრ.

ხოცქეო [< **ხოცქეო**] (ჩიქ. I, 914) „მკედარი“, **შქურინეო** (ჩიქ. I, 451) „შეშინებული“, **შქიონეო** (ჩიქ. I, 4120) „მშიერი“, **თი-ხერხეო** (მარი, 115, 21) „თავგახერხილი“, **მონდრიკეო** [< **მონდრიკეო**] (ჩიქ. I, 1017) „მოდრეკილი, მოღუნული“, **თი-გელანდრიკეო** [< **თი-გელანდრიკეო**] (კარტ. I, 237) „თავდაღუნული, თავდახრილი“, **გობიწეო** [< **გობიწეო**] (ჩიქ. I, 6032, 10317; კარტ. I, 9933) „დახეული, დაფხრეწილი“, **მგაინეო** [< **მგაინეო**] (ჩიქ. I, 6415, 10430) „მტირალი“, **გოსვრსვმეო** (ჩიქ. I, 9214) „გაოგნებული“.

ზმნები, რომელთა ფუძე **რ-ზე** თავდება, ხოფურ-ჩხალურში ყოველთვის **-ელ** სუფიქსით აწარმოებენ ვნებითი გვარის მიმღეობას: **ჭარელი** „დაწერილი“, **ღურელი** „მკედარი“, **მეჭკირელი** „მოჭრილი, დაკლული“... **ჭარეო**, **ღურეო**, **მეჭკირეო** და მსგავსი ფორმები აქ შეუძლებელია. ამიტომაც ამ ზმნებს თურმეობითებში **-ელ-ერე** აქვთ და არა **-ერე**.

არაბოლოკიდური **რ-ს** მქონე ზმნური ფუძეები მიმღეობის **-ვრ-ს** სუფიქსიანი ვარიანტით ეკედლებიან **რ-ს** არმქონე ფუძეებს, რომლებსაც მიმღეობა **-ვრ** სუფიქსით ეწარმოებათ და, მაშასადამე, თურმეობითში **-ერე** დაბოლოება აქვთ და არა **-ელ-ერე**.

ვნებითი გვარის მიმღეობისა და თურმეობითების წარმოების კავშირი კარგად ჩანს იმ ზმნების მაგალითზეც, რომლებსაც ფუძე ბოლოხმოვნია აქვთ.

ფაო, **კაო** და მსგავს ბოლოხმოვნიან ფუძეთაგან ნაწარმოები ზმნები, რომლებსაც ნააორისტალ თურმეობითებში **-ელ-ერე** მაწარმოებელი ახასიათებთ, მიმღეობებს **-ელ** სუფიქსით აწარმოებენ: **ფა-ელ-ო** „განაწილებული“, **კა-ელ-ო** „მორჩენილი“.

როგორც აღინიშნა, თურქული silah „იარაღი“ სარფულში ორგვარად გამოითქმის: **სილაო** || **სილაპი**. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ სახელურ ფუძეში ბოლო თანხმოვანს იცავენ (**სილაპი**), თურმეობითებში **-ერე** დაბოლოებას იყენებენ (**გუისილაპენ** „შეიარაღებულა“); ისინი კი, რომლებიც ამ თანხმოვანს კარგავენ (**სილაო**), თურმეობითებს **-ელ-ერე**-თი აწარმოებენ (**გუისილაელენ**). მსგავსი ვითარებაა მიმღეობის წარმოების დროსაც. ის, ვინც

სილაპი-ს ამბობს, მიმღეობას -ერ სუფიქსით აწარმოებს: გო-სილაპ-ერ-ი „შეიარაღებული“ (იხ. ჩიქ. I, 30₂₃, 31₁₈, 31₂₇); სილაი-ს მთქმელი კი -ელ-სუფიქსიან მიმღეობას იტყვის: გო-სილა-ელ-ი.

აღნიშნული პარალელიზმი სარფული თურმეობითისა და ვნებითი გვარის მიმღეობის წარმოებაში შემთხვევითი არ უნდა იყოს. -ელ-ერე დაბოლოებაში -ელ სუფიქსი წარმოშობით, მართლაც, მიმღეობის მაწარმოებელია.

თურმეობითების წარმოებისას რ-ბოლოკიდურიანი და რ-ს არმქონე ფუძეების ერთნაირი ქცევა, ხოფურის რიგ თქმაში რომ დასტურდება, მეორეული მოვლენა ჩანს. იგი იმის შედეგი უნდა იყოს, რომ დაიჩრდილა ძველი კავშირი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების არაინვერსიული თურმეობითებისა და ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა მიმღეობური თურმეობითების წარმოებას შორის⁷⁹, რის შედეგად ზმნის არაინვერსიული თურმეობითების საწარმოებლად აორისტის ფორმას ყველგან -ერე (< ორე) მეშველი ზმნა დაერთო.

ნააორისტალი თურმეობითი II-ის მსგავსად ნაწარმოები ნააორისტალი კავშირებითი ხოფურში მეტად შეზღუდულად იხმარება. შდრ.:

აწიშკულე ხოლო ჩქინი ოხორიშა ორდო-ორდო მოხოვეტა! (ასათ. 139, 89₃₃) „ამის შემდეგ კიდევ ჩვენს სახლში ხშირ-ხშირად მოსულიყაი!"; სანქის იგზალეგტას (ასათ. 113, 64₂₂) „ვითომ წასულიყოს“.

რაც შეეხება ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს, ნააორისტალი კავშირებითის მაწარმოებლად ლიტერატურაში (ჩიქობავა 1936, 144–145, 156) აქ დორტას დაბოლოებას მიუთითებენ: ბზუმი-დორტას, ზუმი-დორტას, ზუმუ-დორტას... „მეზომოს, გეზომოს, ეზომოს“..., მაგრამ ასეთი წარმოება არც ტექსტებში, არც ლაზ ინფორმატორთა მეტყველებაში არ დამიდასტურებია.

3. 2. 3. მყოფადები. მყოფადის აღწერითი წარმოება ლაზურში კილოურად განსხვავებულია. ხოფურში კავშირებითის ფორმას დაერთვის მეშველი ზმნა უნონ „უნდა“, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში – ერე(ნ) || ორე(ნ) || რე(ნ) || ე(ნ).

⁷⁹ ამას ხელს შეუწყობდა ის, რომ გარდაუვალ ზმნათა თურმეობითების მიმღეობური წარმოება ლაზურში ნაშთის სახითღა გვაქვს შემორჩენილი: ყოფერენ (< *ყოფერ-რენ) „ყოფილა“, დოყოფუმერენ (< *დოყოფუმერ-რენ) „მოწეულა („ქნილა“)" (დაწერილებით იხ. ზემოთ, შენ. 77).

იმის მიხედვით, თუ რომელი კავშირებითია ამოსავალი (I თუ II), გვაქვს მყოფადი I და მყოფადი II. მყოფადი I ეწარმოება იმ ზმნებს, რომლებსაც აკლიათ II სერიის მწკრივები [მაგ., (რ)ტას-უნონ || (რ)ტას-ენ „უნდა იყოს, იქნება“, უღუტას-უნონ || უღუტას-ენ „უნდა ჰქონდეს, ექნება“]; სხვა ზმნებს (I-II სერიის ან მხოლოდ II სერიის მწკრივთა მქონეებს) მყოფადი II ეწარმოება. თუმცა სპორადულად დასტურდება მყოფადი I-ის წარმოება ორივე სერიის ფორმათა მქონე ზმნაშიც. მაგ.,

ჩქუ მუდესთი მკოანოე დო მოინანაშტანოეა ჰამ კოჩიგა, ჰემ ორას იარდუმ მო მოლოდამთა (კარტ. II, 119₂₃) „როდესაც ჩვენ შეგვეკრავს და წაგვიყვანსო ეს კაციო, მაშინ ნუ დაგვეხმარებიო“.

ხაზგასმული ფორმის ნაცვლად მოსალოდნელი იყო გექონოდა მყოფადი II: მოინანანოე.

ხოფურ-ჩხალურში გამოყოფენ მყოფადის წარმოების ორ ტიპს: ჩხალურს და არაჩხალურს, ძირითადი და მეშველი ზმნის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით თუ დაეახასიათებთ, – შეუხორცებელსა და შეხორცებულს. ჩხალურ (შეუხორცებელ) მყოფადში ძირითადი ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, მეშველი ზმნა კი უცვლელად (მხ. რ. III პირის ფორმით) დაერთვის ორივე რიცხვის სამივე პირში⁸⁰. არაჩხალური (შეხორცებული) მყოფადის წარმოების ყალიბი ასეთია: ძირითადი ზმნა იცვლება მხოლოდ პირის მიხედვით, მეშველი ზმნა კი – პირისა და რიცხვის მიხედვით. შდრ.

⁸⁰ ჩხალურიო, ვამბობთ, მაგრამ მყოფადის ამგვარი წარმოება ზოგ სხვა თქმაშიც დასტურდება ძირითადი (არაჩხალური) წარმოების პარალელურად. მაგ., ხოფელი ნაილი ლაზიშვილის მეტყველებაში ერთმანეთს ენაცვლება არაჩხალური და ჩხალური ფორმები. შდრ: ოკომირთაგინონია | ოკომირთაუნონია „უნდა გამოყო“ (კარტ. I, 76₁₆₋₁₇), მიწვაუნონია | მიწვაგინონია „უნდა მითხრაო“ (კარტ. II, 77₃) ასევე ბუნებრივია მის მეტყველებაში გიწვაგინონ | გიწვაუნონ „უნდა გითხრა“ ტიპის მონაცვლეობაც. რაც შეეხება ამავე მთქმელის მიერ მეშველი ზმნის დასმას ძირითადის წინ [სი უნონ ოხოწონა (კარტ. II, 76₄, 76₂₃) „შენ უნდა გაიგო“; ეთი უნონ მიწვა (კარტ. II, 76₅, 76₂₄) „ისიც უნდა მითხრა“; ვა უნონ გოგოჭკონდახ (კარტ. II, 76₃₀) „არ უნდა დაგაეიწყედეს“]. ეს მოვლენა ქართულის კალკს უნდა წარმოადგენდეს და ინდივიდუალური სიახლე ჩანს. სარფულშიც იხმარება შეუხორცებელი მყოფადის ფორმები, მაგრამ მხოლოდ მხ. რ. II პირში, და განზოგადებულ მოქმედებას გამოხატავენ. მაგ., არ ზანაათიში საპეტი ტაუნონ (ჩიქ. I, 63₂₇) „ერთი ხელობის პატრონი უნდა იყო“; ბორჯიშე მენდრა იყვანონ (ჩიქ. I, 59₃₁) „ვალისგან შორს უნდა იყო“; ამა ყვილაუნონ, ნოჭიაუნონ, გონდინაუნონ (კარტ. I, 13₄) „ეს უნდა მოკლა, დაკლა, დაღუპო“.

შეუხორცებელი

შეხორცებული

ეორტა-უნონ
(რ)ტა-უნონ
(რ)ტას-უნონ
ეორტათ-უნონ
(რ)ტათ-უნონ
(რ)ტან-უნონ
გილუტან-უნონ
ულუტან-უნონ

ა) მყოფადი I
ეორტა-მინონ „ეიქნები, უნდა ვიყო“
(რ)ტა-გინონ „იქნები, უნდა იყო“
(რ)ტას-უნონ „იქნება, უნდა იყოს“
ეორტა-მინონან „ეიქნებით, უნდა ვიყოთ“
(რ)ტა-გინონან „იქნებით, უნდა იყოთ“
(რ)ტას-უნონან „იქნება, უნდა იყოს“
გილუტას-უნონან „გექნებათ, უნდა გქონდეთ“
ულუტას-უნონან „ექნებათ, უნდა ქქონდეთ“.

მექჩა-უნონ
მეფჩა-უნონ
მომჩა-უნონ
მეჩა-უნონ
მომჩას-უნონ
მექჩას-უნონ
მეჩას-უნონ
მექჩათ-უნონ

ბ) მყოფადი II
მექჩა-მინონ „მოგცემ“
მეფჩა-მინონ „მივცემ“
მომჩა-გინონ „მომცემ“
მეჩა-გინონ „მისცემ“
მომჩას-უნონ „მომცემს“
მექჩას-უნონ „მოგცემს“
მეჩას-უნონ „მისცემს“
მექჩა-მინონან „მოგცემთ [ჩვენ შენ, მე თქვენ, ჩვენ თქვენ]“

მეფჩათ-უნონ
მომჩათ-უნონ
მეჩათ-უნონ
მომჩან-უნონ
მექჩან-უნონ
მეჩან-უნონ

მეფჩა-მინონან „მივცემთ“
მომჩა-გინონან „მომცემთ; მოგვცემ; მოგვცემთ“
მეჩა-გინონანან „მისცემთ“
მომჩას-უნონან „მომცემენ“
მექჩას-უნონან „მოგცემენ; მოგცემთ [ის თქვენ]“
მეჩას-უნონან „მისცემენ“.

ხოფურში ზოგან დასტურდება მყოფადის ნარევი (გარდამავალლი) ტიპიც: პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება როგორც ძირითადი, ისე მეშველი ზმნა (გამონაკლისს შეადგენს მრ. რ. III პირი, სადაც ძირითადი ზმნა მხ. რ. ფორმით არის წარმოდგენილი), ე. ი. გვაქვს ასეთი პარადიგმა:

ა) მყოფადი I

ეორტა-მინონ „ეიქნები, უნდა ვიყო“
(რ)ტა-გინონ „იქნები, უნდა იყო“
(რ)ტას-უნონ „იქნება, უნდა იყოს“
ეორტათ-მინონან „ეიქნებით, უნდა ვიყოთ“
(რ)ტათ-გინონან „იქნებით, უნდა იყოთ“
(რ)ტას-უნონან „იქნებიან, უნდა იყვნენ“.

მილუტას-უნონ „ექნება, უნდა მქონდეს“
გილუტას-უნონ „გექნება, უნდა გქონდეს“
ულუტას-უნონ „ექნება, უნდა ქქონდეს“
მილუტას-უნონან „გექნება, უნდა გქონდეს“
გილუტას-უნონან „ექნებათ, უნდა გქონდეთ“
ულუტას-უნონან „ექნებათ, უნდა ქქონდეთ“.

ბ) მყოფადი II

მექია-მინონ „მოგცემ“
მეფია-მინონ „მიეცემ [მე მას/მათ]“
მომია-გინონ „მომცემ“
მეჩა-გინონ „მისცემ [შენ მას/მათ]“
მომჩას-უნონ „მომცემს“
მექჩას-უნონ „მოგცემს“
მეჩას-უნონ „მისცემს [ის მას/მათ]“
მექჩათ-მინონან „მოგცემთ [ჩვენ შენ/თქვენ; მე თქვენ]“
მეფჩათ-მინონან „მიეცემთ [ჩვენ მას/მათ]“
მომჩათ-გინონან „მომცემთ; მოგცემთ; მოგცემთ“
მეჩათ-გინონან „მისცემთ [თქვენ მას/მათ]“
მომჩას-უნონან „მომცემენ; მოგცემენ; მოგცემენ“
მექჩას-უნონან „მოგცემენ; მოგცემთ [ის თქვენ]“
მეჩას-უნონან „მისცემენ“.

მაგალითები ტექსტებიდან:

მან თქვან უშქი მექჩათმინონან (კარტ. II, 80₃₈) „მე თქვენ ვაშლს მოგცემთ“; მუთხანი ზოპონ ღიათი, თქვი, ჩქინ სი მექჩათმინონან დო ამ ქემეი მომჩათგინონ⁸¹ (კარტ. II, 82₂₂) „რა ფასსაც ამბობ, თქვი, ჩვენ შენ მოგცემთ და ამ ქამარს მოგცემ (= ეს ქამარი უნდა მოგცეცე)“; სუმითი აქ ქოდოხელითა, მუთხანი გიწვათმინონანა (კარტ. I, 72₂₇) „სამივე აქ დასხედითო, რადაცა უნდა გითხრათო [მე თქვენ]“; ჩქინი ქიმოლეფე მოხთასუნონ დო ლოყა დო კაი გეი გუხვენათმინონანა (კარტ. II, 83₂₄) „ჩვენი ქმრები მოვლენ („მოვა“) და ტკილ და კარგ საჭმელს გაგუკვებთო“; კაი ირი შეი ყვათგინონან, სთოლის გეხვათგინონან დო ონჯირეს ამახთათგინონან (კარტ. II, 83₁₇) „ყველაფერი კარგი უნდა გააკეთოთ, სუფრაზე უნდა დააწყოთ და ლოგინში უნდა შეწვეთ („შეხედეთ“)“; ონჯირეს ხვალა ფორჩა მოგომიტასუნონან (კარტ. II, 83₁₉) „ლოგინში მხოლოდ პერანგი უნდა გეცვათ“; თოლეფეს მოთვალერი გიღუტასუნონან (კარტ. II, 83₂₀) „თვალეებზე დაფარებული უნდა გქონდეთ“.

ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში, როგორც ითქვა, მყოფადს ერე(ნ) || ორე(ნ) || რე(ნ) || ე(ნ) აწარმოებს.

ნ. მარის აზრით (Mapp 1910, 52–53), მყოფადის საწარმოებლად კავშირებითის ფორმებს, გარდა მრ. რ. III პირისა, დაერთვის

⁸¹ უნდა გვეკონოდა მომჩათგინონან, რადგან I და II პირის კომბინირებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, სუბიექტი იქნება მრავლობითში თუ ობიექტი: მეშველ ზმნაში ეს სიმრავლე აუცილებლად გამოიხატება (შდრ. წინა და მომდევნო ფრაზების მექჩათმინონან, გიწვათმინონან [მან თქვან], სადაც ირიბი ობიექტის სიმრავლე მეშველ ზმნაშიც ასახულია, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი მხოლოდობითში დგას). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მეტყველების ლაფსუსთან, რომლის ანალოგი მყოფადის შეხორცებულ წარმოებაშიც შეიძლება დაიძებნოს. შდრ. [მან თქვან] ვა გოჭკიამინონ [= ვა გოჭკიამინონან] (კარტ. I, 16₂) „[მე თქვენ] არ დაგკლავთ“.

მეშველი ზმნა რე „არის“, რომელიც უშუალოდ დაერთვის ხმოვნით დამთავრებულ ზმნურ ფორმებს მხ. რ. I–II პირში (ბჭარა-რე „დავწერ“, ჭარა-რე „დაწერ“); მხ. რ. III და მრ. რ. I–II პირში ბოლოკიდურ თანხმოვანსა და რე-ს შორის დაჩნდება თუბალ-კაენური სახელური დაბოლოება ე (ჭარას-ე-რე „დაწერს“, ბჭარათ-ე-რე „დავწერთ“, ჭარათ-ე-რე „დაწერთ“); მრ. რ. III პირში რე-ს ენაცვლება ნართაული ნ თუბალ-კაენური ე ხმოვნით (ჭარან-ე-ნ „დაწერენ“). ნართაული ე შეიძლება ბოლოშიც დაერთოს (ჭარან-ე-ნ-ე). მხ. რ. III პირში რე შეიძლება მოიკეცოს (ჭარას-ე), რე-მოკეცილ ფორმას შესაძლოა განუვითარდეს ნ (ჭარას-ე-ნ). არქაბულში მრ. რ. III პირში ზმნას დაერთვის ორენ (ჭარან-ორენ „დაწერენ“), რაც ნ. მარს „არის“ მეშველი ზმნის არქაულ ფორმად მიაჩნდა.

მყოფადის ფორმებში რენ „არის“ მეშველი ზმნის მონაწილეობას ვარაუდობდა გ. დეეტერსი (Deeters 1930, 160).

ა. ჩიქობავას აზრით, მყოფადის მაწარმოებლად ვრე გვევლინება და არა რე. ხმოვნების შემდეგ ვრე კარგავს თაეკიდურ ე-ს (ბზუმა-რე „გაეზომავ“, ზუმა-რე „გაზომავ“), თანხმოვნების შემდეგ კი ვრე მთლიანადაა შემონახული (ზუმას-ერე „გაზომავს“, ბზუმათ-ერე „გაეზომავთ“, ზუმათ-ერე „გაზომავთ“) ან ე-ს სახით არის წარმოდგენილი (ზუმას-ე, ბზუმათ-ე, ზუმათ-ე). ა. ჩიქობავას ბოლოკიდური ნ მხოლოდ მრ. რ. III პირში აქვს აღნიშნული (ზუმან-ე-ნ „გაზომავენ“). ამ ნ-ს მორფოლოგიური ფუნქცია მკვლევრისთვის არ იყო გარკვეული (ჩიქობავა 1936, 148–149).

თვით ვრე-ს ა. ჩიქობავა „რომ“ კავშირის აღმნიშვნელ სიტყვად მიიჩნევდა და ლაზურ მყოფადს ახალბერძნულისებრ წარმოებულად თვლიდა: ბჭარარე < ბჭარა + ვრე = „ვწერო რომ“; გამოტოვებულია მეშველი ზმნა „მინდა“. ეს ზმნა, მკვლევრის სიტყვით, დაცულია ხოფურ მყოფადში (ბზიმა-მინონ „გაეზომავ“). ლაზ. მყოფადის ფარდ ოდენობად მიიჩნევდა მკვლევარი მეგრ. გამოთქმას: ოკო პკითხე < ოკონ + პკითხა + ვრე „უნდა ვკითხო, რომ“ (ჩიქობავა 1944, 116).

ქ. ლომთათიძემ გაიზიარა ნ. მარის ვარაუდი ლაზური მყოფადის „არის“ მეშველი ზმნით წარმოების შესახებ და ვრე იმავე ოდენობად მიიჩნია, რაც არის ხოფურ თურმეობითში (ბზიმ-ერე „მიზომავს“) (ლომთათიძე 1946, 137–138).

ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული მყოფადის წარმოების პრინციპი ასეთია: მთავარი ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, მეშველი ზმნა უცვლელია, მხ. რ. III პირშია დასმული, წარმოდგენილია ვარიანტებით: **რე || ენ || ვრენ**. ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში მთავარი ზმნის ბოლო-ხმოენიან (ე. ი. მხ. რ. I და II პირის) ფორმებს **რე** ერთვის, ბოლოთანხმოენიან (მხ. რ. III პირისა და მრ. რიცხვის სამივე პირის) ფორმებს **კი - ენ (< რენ)** და **ვრენ (< ორენ)**. ამასთან, **რე-ს** პარალელური **რ** (ათინ.-ართაშ.), **ე** (ათინ.-ართაშ., ვიწ.) და **ა** (ვიწ.) ენაცვლება, **ენ-ს - ე** (ათინ.-ართაშ., ვიწ.) და **ინ** (ათინ.-ართაშ.), ხოლო **ვრენ-ს** **კი - ვრე** (ათინ.-ართაშ., ვიწ.) და **ენე** (ათინ.-ართაშ.). არქაბულში ხმოენით დაბოლოებულ ზმნებს **რე** ერთვის, **ს** და **თ** თანხმოენით დაბოლოებულებს (მხ. რ. III პ. და მრ. რ. I, II პ.) - **ენ (< რენ)**, ნ-ბოლოკიდურიანებს **კი - ორენ**. მათი ალომორფები: **ე; ორე, ოენ, ოე, ონ**.

რ ალომორფის ხმარების მაგალითები ათინურ-ართაშენულში:

ენ წოხლე ხორცი დოხკვათარ, დოფხხარ... დოტკადანარ, ჯუმუ ქოხუკათარ (ჩიქ. II, 114,12-13) „ყველაზე წინ ხორცს დაეჭრი, გაერეცხავ... შევწვაე, მარილს ეუზამ“; დობერი დოღობარ, ოტი ფუჯი მო ამიტამ (ჩიქ. II, 11530) „ღობეს შეღობავ, რომ ძროხა არ შევიდეს“.

ინ || ი აგრეთვე ათინურ-ართაშენულში გვხვდება:

ბაბა სქანი ვადი ულუნ, მემოკვათასინ (< მემოკვათას-ენ)! (ჩიქ. II, 1212) „მამაშენს პირობა აქვს, უნდა მომკლას!“, „ჰამსერი მა გიქონარე!“ „სი ბერე რე! ვარ ეგაზდასინ [< ეგაზდას-ენ]!“ „ცემაზდენ!“ (ჩიქ. II, 12224) „ამაღამ მე წაგიყვან!“ „შენ ბაეში ხარ! ვერ ამწევ („არ აგეწევა“)!“ „აგწევ („ამეწევა“)“; ცეი, ვახი! მათი მჰილასი (< მჰილას-ე < მჰილას-ენ)! (ჩიქ. II, 12215) „ოჰ, ვაი! მეც მომკლავს!“; წიწილა'სტერი ჯინდო გეენა, გამაეთაე - ჰიმდორა დოღურახი (დოღურას-ე < დოღურას-ენ)! (ჩიქ. II, 12218) „გველივით ზევით დაეკრავ, გამოვალ - მაშინ მოკედება!“;

ა-ს მაგალითებისათვის იხ. აქვე, გვ. 50.

მოსაზრება, რომ ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულ მყოფადში „არის“ მეშველი ზმნა მონაწილეობს, დასტურდება შემდეგი ფაქტებით:

ა) არქაბულში მრ. რ. III პირში გვაქვს **ორენ** „არის“, სადაც **ნ-ს** სუბიექტური მესამე პირის ნიშნობა ეჭვს არ იწვევს.

ბ) ლაზურში, ისევე როგორც მეგრულში, **ვრე** არ აღნიშნავს „რომ“ კავშირს. მეგრულში **ვე-სუფიქსი**ან კავშირებითებში აღნი-

შნული სუფიქსი ნი (< *ინი) „რომ“ კავშირის გაცვეთით არის მიღებული (იხ. კარტოზია 1958; 1996a).

გ) მყოფადის ფორმებში წარმოჩენილი ბოლოკიდური ნ სწორედ ვრე-ს ზმნურობას ამტკიცებს. ნ გეხვდება როგორც III, ისე I და II პირშიც. მრავლობითის I–II პირში ნ ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენაა (ბზუმათ-ენ, ზუმათ-ენ); მხ. რ. I–II პირში ნ იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება. შდრ.

ღორუქ თუთუნის გებოჭი. ართელიში პოტაენ (I), პაწი ეურიში პოტაენ (I) (ჩიქ. II, 81²⁷⁻²⁸) „წვეროს თუთუნი დავიწყე. პირველი ჯერისას შეეკრავ, ახლა მეორისას შეეკრავ“; უჯი ნუკუშა მომილი დო მტკობაშა მუნთხანი გიწვარენ (ელ. 25²⁹) „ყური პირთან მომადევი („მომიტანე“) და ფარულად რადაცას გეტყევი“; ბოზო კაი რენ, მარი მუ ლოდატენ (ელ. 35¹⁹) „გოგო ჯობია („კარგია“), ბაყაყს რას აქნევ“; უჩას გეხედანაჲ, პეკო ჩქვა ლეტას თუდე გეხთაენიჲ (კარტ. II, 139²³) „შაეზე თუ დაჯდებო, კიდე იმდენს მიწის ქვეშ ჩახეალო“.

ნ ყველგან იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც არქაბულის მრ. რ. III პირში გამოვლენილი ორენ-ის ბოლოკიდური ნ: იგი S₃-ს წარმოადგენს.

რაც შეეხება ენე დაბოლოებას, რომელიც მხოლოდ მრ. რ. III პირში გეხვდება ათინურის ზოგიერთ თქმაში, აქ ნ სხვა წარმოშობისაა. ენე მიღებული ჩანს ვრე-საგან წინამდევალ ნ-სთან (მრავლობითობის სუფიქსთან) რ-ს ასიმილაციით: ზუმა-ნ-ერე > ზუმანენე.

როგორც ჩანს, დასავლურ ლაზურ დიალექტებში მყოფადის წარმოების შემდეგი წესი მოქმედებდა: ძირითადი ზმნის ხმოვნით დამთავრებულ (ე. ი. მხ. რ. I და II პ.) ფორმებს მეშველ ზმნად რენ დაერთვოდა, ბოლოთანხმოვნიანებთან კი ფაკულტატიური იყო ორენ და რენ ალომორფების ხმარება. გამონაკლისს წარმოადგენდა, ალბათ, მრ. რ. III პ. ფორმა, რადგან ნრ მიმდევრობა ფონეტიკურად დაუშვებელი იყო (სრ და თრ მიმდევრობებისაგან განსხვავებით). ეს ძველი აკრძალვა უნდა ჰქონდეს დაცული არქაბულს. შემდგომში სრ და თრ კომპლექსების გამარტივების (ს-რენ > ს-ენ, თ-რენ > თ-ენ) შედეგად -ენ იქცა -ერენ-ის პარალელურ ფორმად, რამაც, სავარაუდოა, შეუწყო ხელი მის გამოყენებას მრ. რ. III პირშიც ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში.

ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში დღემდე მოქმედია ეს ორივე ტიპი (ორენ და რენ მეშველზმნიანი) მყოფადის წარმოებისა, არქაბულში კი რენ-მეშველზმნიანი დამკვიდრდა, მრ. რ. III

პირის გამოკლებით, სადაც ორენ ფორმა უცვლელად იქნა შემონახული, მაშინ როდესაც ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში ორენ > ერენ (რეგრესული ასიმილაციით).

რიგი ფონეტიკური პროცესის შედეგად მყოფადის წარმოების ამოსავალმა სისტემამ გარკვეული ცვლილებები განიცადა: ა) ათინურ-ართაშენულის ზოგ თქმაში რე > რ (მხ. რ. I–II პ.); ბ) ამავე დიალექტში ზოგან ნბოლოკიდურიან ზმნებზე დართული ერე-ს რ პროგრესული ასიმილაციით ნ-ში გადავიდა: ნ-ერე > ნ-ენე. ამასთან ერთად, მეშველი ზმნის S₃ -ნ სიტყვის ბოლოში შეიძლება მოიკვეცოს (რენ > რე, ორენ > ორე, ერენ > ერე) და ინტერეოკალურ პოზიციაში რ დაიკარგოს (ორენ > ოენ > ონ, ორე > ოე, ერენ > ეენ, რენ > ეენ).

მეშველი ზმნის ყველა ალომორფის გათვალისწინებით ოძირე „ნახეა“ ზმნის მყოფადი II ასე გამოიყურება:

- გძირა-(რ)ენ | გძირა-რ „გნახე“
- ბძირა-(რ)ენ | ბძირა-რ „ენახე“
- მძირა-(რ)ენ | მძირა-რ „მნახე“
- ძირა-(რ)ენ || ძირა-რ „ნახე“
- მძირას-ენ | მძირას-ერენ „მნახეს“
- გძირას-ენ | გძირას-ერენ „გნახეს“
- ძირას-ენ | ძირას-ერენ „ნახეს“
- გძირათ-ენ | გძირათ-ერენ „გნახეთ“
- ბძირათ-ენ | ბძირათ-ერენ „ენახეთ“
- მძირათ-ენ | მძირათ-ერენ „მნახეთ; გენახე; გენახეთ“
- ძირათ-ენ || ძირათ-ერენ „ნახეთ“
- მძირან-ენ | მძირან-ო(რ)ენ | მძირან-ონ | მძირან-ერენ | მძირან-ენე „მნახევენ; გენახეს; გენახევენ“
- გძირან-ენ | გძირან-ო(რ)ენ | გძირან-ონ | გძირან-ერენ | გძირან-ენე „გნახევენ; გნახეთ“
- ძირან-ენ | ძირან-ო(რ)ენ | ძირან-ონ | ძირან-ერენ | ძირან-ენე „ნახევენ“.

3. 2. 4. მყოფადის ნამყოფი. კავშირებითზე მეშველი ზმნის ნამყოფი უსრულის დართვით იწარმოება ფორმები, რომელთაც ნამყოფი კავშირებითს (Mapp 1910, 51–52) და პირობითს (Mapp 1910, 54; ჩიქობავა 1936, 149–152, 155–156) უწოდებენ. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ხოფ.-ჩხალ. ჭარას-უნტუ, ხოფ.-ჩხალ. და ვიწ.-არქ. ჭარა-ტუ, ვიწ. ჭარას-ტუ, ათინ.-ართაშ. ჭარას-ერტუ „დაწერდა“ ტიპის წარმოებანი. ჭარა-ტუ | ჭარას-ტუ ტიპის ფორმათა ჩათვლა ნამყოფი კავშირებითად უმართებულოა, რადგან ეს ფორმები უშუალოდ კავშირებითს კი არ ემყარებიან, არამედ კავშირებითისაგან

ნაწარმოებ მყოფადს. -ტ- საერცობის წინ რენ „არის“ მეშველი ზმნის ძირისეული რ თანხმოვანი ივარაუდება დაკარგულად. ტერმინი „პირობითი“ კი უხერხულია იმის გამო, რომ ასე ვუწოდებთ ნამყო დროებისაგან კონ დაბოლოებით ნაწარმოებ მწკრივებს როგორც ლაზურში, ასევე მეგრულშიც. მათგან განსასხვავებლად, ვფიქრობ, მყოფადზე დაყრდნობილ ყველა ამ ფორმას უმჯობესია „მყოფადისეული ნამყო“ (ნათაძე 1961, 36) ან „მყოფადის ნამყო“ ვუწოდოთ.

იმის მიხედვით, თუ რომელი მყოფადისაგან იწარმოება, გვაქვს მყოფადი I-ის ნამყო (ან მყოფადის ნამყო I) და მყოფადი II-ის ნამყო (ან მყოფადის ნამყო II).

ხოფურ-ჩხალური უნტუ „უნდოდა“-მეშველზმნიანი წარმოება ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია უღლების სამი ტიპით: შეუხორცებლით, შეხორცებულთ და ნარევით:

1) მოფთათ-უნტუ	2) მოფთა-მინტეს	3) მოფთათ-მინტეს	„მოვიდოდი“
მოხთათ-უნტუ	მოხთა-გინტეს	მოხთათ-გინტეს	„მოხვიდოდი“
მოხთან-უნტუ	მოხთას-უნტეს	მოხთას-უნტეს	„მოვიდოდნენ“

ხოფურ-ჩხალურში ჭარას-უნტუს- გვერდით ჭარა-ტუს-ს ტიპის მყოფადის ნამყოს არსებობა საფუძველს იძლევა დაეუშვათ, რომ რენ-მეშველზმნიანი მყოფადი ისტორიულად ხოფურ-ჩხალურსაც ახასიათებდა. ხოფურ-ჩხალურის ვითარება მოგვაგონებს ათინურ-ართაშენულისას, სადაც ნაორისტალი თურმეობითი I აღარ იხმარება, მასზე დაყრდნობილი თურმეობითი II კი მოქმედი წარმოებაა.

მყოფადის ნამყოს წარმოების ათინურ-ართაშენული ყალიბი იმეორებს მყოფადის წარმოების ყალიბს: ძირითადი ზმნა იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, მეშველი ზმნა კი უცვლელია (ნამყო უსრულის მხ. რ. III პირის ფორმითაა წარმოდგენილი). ვიწურ-არქაბულ-ხოფურ-ჩხალური მყოფადის ნამყო წარმოების წესი განსხვავდება მყოფადის წარმოების ამ წესისაგან: ძირითადი ზმნა იცვლება მხოლოდ პირის მიხედვით, მეშველი ზმნა – პირისა და რიცხვის მიხედვით. როგორც ჩანს, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურ-ჩხალურში ისტორიულად მოქმედებდა მყოფადის წარმოების განსხვავებული ყალიბიც:

გძირა-რე „გნახაე“	*გძირა-რეთ „გნახავთ“
ბძირა-რე „უნახაე“	*ბძირა-რეთ „უნახავთ“
მძირა-რე „მნახაე“	*მძირა-რეთ „მნახავთ; გენახავ; გენახავთ“

ძირა-რე „ნახავე“
*მძირას-რენ „მნახავს“
*გძირას-რენ „გნახავს“
*ძირას-რენ „ნახავს“

*ძირა-რეთ „ნახავთ“
*მძირას-რენან „მნახავენ; გნახავს; გნახავენ“
*გძირას-რენან „გნახავენ; გნახავთ“
*ძირას-რენან „ნახავენ“

ხოფურ-ჩხალურ-არქაბული მყოფადის ნამყოს III პირში ძირითადი ზმნა სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი (მოხთა-ტუ „მოვიდოდა“, მოხთა-ტეს „მოვიდოდნენ“), რაც I-II პირის უსუფიქსო ფორმების (მოფთა-ტი „მოვიდოდი“, მოხთა-ტი „მოხვიდოდი“, მოფთა-ტით „მოვიდოდი“, მოხთა-ტით „მოხვიდოდი“) ანალოგიას უნდა მიეწეროს⁸².

ვიწურში ჯერ კიდევ შემორჩენილია ეს სუფიქსი. მხ. რ. III პირში პარალელურად იხმარება სუფიქსიანი (ამოსაეალი) და უსუფიქსო (პარადიგმის გასწორების შედეგად მიღებული) ფორმები: მოხთას-ტუ || მოხთა-ტუ. მრ. რიცხვში -ს სუფიქსი არა გვაქვს: მოხთა-ტეს (მოხთას-ტეს არ დასტურდება). მაგ.,

ბუტკუჯიქ ნუჭკომამტუ დო იშბაატეს < *იშბარასტეს > (კარტ. II, 155_კ) „ფუტკარი უკბენდა და გაიბერებოდნენ“; ხასთანეშა იონამტეს დო სერუმ-მერუმი (|| ილაჯი) მენამტეს დო პეშოთე იკაატეს < *იკაასტეს > (კარტ. II, 155_კ) „სააეადმყოფოში წაიყვანდნენ და წამალს მისცემდნენ და ასე გამოკეთდებოდნენ (გამოჯანმრთელდებოდნენ)“; მაალეს კონეფე ტატეს < *ტასტეს >, ამა ბგარაშა იგზალეს (კარტ. II, 157_რ) „სოფელში კაცები იქნებოდნენ, მაგრამ სატირალში წაეიდნენ“; პემა მოხთასტუ, პენთეე მოხთატეს < *მოხთასტეს > (157_{რ,უ}) „ის მოვიდოდა, ისინი მოვიდოდნენ“; იბრაიმ რეიზიქ მოხთასტუ, შიონატეს < *შიონასტეს > (კარტ. II, 325_კ) „იბრაიმ რეიზი მოვიდოდა, წაგვიყვანდა“.

ვიწური მყოფადის ნამყოს მრ. რიცხვში -ს სუფიქსის წარმოუჩენლობას (მაშინ როცა მხ. რიცხვში სუფიქსი დაცულია) ფონეტიკური საფუძველი აქვს: მეშეელი ზმნის სუფიქსისეული ხ თანხმოვნის მადისიმილირებელი გავლენა: *მოხთას-ტეს >

⁸² I-II პირის ფორმათა მიერ III-ის დამსგავსების კარგი მაგალითია ხოფური მყოფადისა და მყოფადის ნამყოს III პირში უნონ/უნტუ დაბოლოებათა პარალელურად ინონ/ინტუ-ს არსებობა: მოხთას-უნონ || მოხთას-ინონ, მოხთას-უნტუ | მოხთას-ინტუ. მეშეელი ზმნის III პირში უ-მაქცეერის o ხმოვნით შეცვლა, რასაკვირველია, I-II პირის o-მაქცეერიათა ფორმების (მოფთა-შინონ, მოფთა-შინტუ და მოხთა-გინონ, მოხთა-გინტუ) ანალოგიით აიხსნება. ანალოგიის შედეგია, აგრეთვე ათინურ-ართაშენულ მყოფადის ნამყოში (სახელდობრ, იმ ფორმებში, სადაც ძირითადი ზმნა სუფიქსიანია) ვრტუ დაბოლოების წარმოჩენა: ვრტუ < ორტუ, ისევე როგორც მყოფადში ვრენ < ორენ. თუ მყოფადში ო > გ გადასვლას ფონეტიკური საფუძველი აქვს (რეგრესული ასიმილაცია), მყოფადის ნამყოში ეს საფუძველი არ არსებობს, მაგრამ მყოფადის ანალოგიით ო > გ გადასვლა მაინც მომხდარა.

მოხთა-ტეს (თანხმოვანთა დისიმილაციური დაკარგვისათვის იხ. აქვე, გვ. 59).

3. 2. 5. **პირლობითები.** პირლობითები იწარმოება ნამყო დროის ფორმებზე (ნამყო უსრული, აორისტი, ნააორისტალი თურმეობითი II, მყოფადი II-ის ნამყო) -კო || -კონ || -კონი || -კონა(რ)ი || -კონამ მაწარმოებლის დართვით.

ყველა ეს ალომორფი გვხვდება ვიწურ-არქაბულში; ათინურ-ართაშენულში -კო გვაქვს⁸³, ხოფურ-ჩხალურში - კონ და -კონი.

პირობითი I და III ყველა კილოში გამოიყენება. პირობითი II გვაქვს ათინურ-ართაშენულში, ვიწურსა და ჩხალურში, მყოფადის ნამყოს პირობითი - საკუთრივ ხოფურ კილოკავსა და არქაბულში; ნააორისტალი თურმეობითის პირობითი მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს.

ორი უკანასკნელი მწკრივი ლიტერატურაში დღემდე უგულვებელყოფილია. ნააორისტალი თურმეობითის პირობითზე, საერთოდ, არაფერია ნათქვამი; პირობით III-ზე (= მყოფადი II-ის ნამყოზე) -კონ მაწარმოებლის დართვა ვიწურ-არქაბულში (დოგატუკონ-ნა „თუ იქნებოდა“, დოდურატუკონ-ნა „რომ მომკედარიყო“), მართალია, შენიშნულია (ჩიქობავა 1936, 152), მაგრამ ასეთი ფორმები დამოუკიდებელ მწკრივად არ ჩაუთვლიათ და არც მწკრივთა ცხრილში შეუტანიათ. მყოფადის ნამყოზე პირობითის მაწარმოებლის დართვა, არქაბულთან ერთად, ხოფურისთვისაც ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ.,

არქ: «ეგერ ახმეტიქ მა ვარ ვმჭოფატუკო თი ჩქიმი გომდინარე მახ ბზოპონტი (დიუმ. I, 121₂) „ახმედი თუ არ შემირთავს („ახმედს რომ არ შევერთე“), თავს დავიღუპავ-მეთქი», ვამბობდი“; სქან ოხორი სო რენ? მუ იეუ, ჯიხა'სთერი-ნა გიდგიტუ? ოხორის ტოპი მონხატიკონ-ნა, მუთუ-ნა ვარ აღოდეტუ ოხორი?! (ჟღ. 4₂) „შენი სახლი სად არის? რა იქნა, ციხესავით რომ გედგა? სახლისათვის ზარბაზანი რომ გესროლა, არაფერი რომ არ მოუვიდოდა, ისეთი სახლი?"; პილატიკონ-ნა გური ვარ მაძღერტუ (ჟღ. 55₂) „რომ მომეკლა, გული არ დამიმშვიდებოდა („არ გამიძღებოდა“); ბაშქაში ბოზო ქომეგზატიკონ-ნა⁸⁴, ბექი გურის დოლანგონეტუ (ჟღ. 107₂) „სხეისი ქალი-

⁸³ ათინურ-ართაშენულში -კო დაბოლოება ზმნის ბოლოკიდური თანხმოვნის (მრ. რ. -ს სუფიქსის ან -ეს სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტის) წინ არის გადასმული: პჭარაიკოთ [< პჭარაით-კო] „გვეწერა“, ჭარეკოხ [< ჭარეხ-კო] „ეწერათ“. ზოგ თქმაში მრავლობითის სუფიქსისეული ვ ხმოვნის გავლენით -კო დაბოლოების ო ასიმილირებულია: კო > კე (ჭარეს-კო > ჭარეკოხ > ჭარეკეხ).

⁸⁴ დაბეჭდილია: ქომეგზათიკონ-ნა.

შვილი რომ მიმეცა, იქნებ გულში ჩარჩენოდა“; თქვა მხირსუზევსთემე ვა
ვატიოქონამ, ბუქი ართული დივეტუ ჩქიმ სიჯა (კარტ. I, 172₁₆) „თქვენ ქურდებივით
რომ არ გექნათ, იქნებ ერთი გამხდარიყო ჩემი სიძე“; დიდო ქოშემაშველატუკო-
ნა, მათი დიდო კაი მაწონეტუ (კარტ. II, 319₃₁) „ძალიან რომ დაგხმარებოდნი,
მეც ძალიან გამიხარდებოდა“.

ხოფ: ემ კონიფე ვარ ბიძიატოკონ-ნა, მა მუ მადოდასუნტუ (ჩიქ. I, 47₁)
„ის კაცები რომ არ მენახა, მე რა მომივიდოდა!“; დოიყურატიკონი მა-და
მეფუნთხატიკონი იეშქურდუტუ დო მელაპტუ (ჩიქ. I, 56₄) „რომ დამეყვირა ან
მეპიბგა, დაფეთდებოდა და გადავარდებოდა“; იხჯიოტატიკონ-ნა-თი ესქიჯიში
ოყურუთენ გოკუცხუტუ (ჩიქ. I, 52₃₀) „კიდევ რომ დაეძინა, მეჯღანის
ყვირილზე გაიღვიძებდა“; ვა მხეგატუკონ-ნა, ეთი ღია დეაყვეტუ (კარტ. I,
106₃) „რომ არ გადაეყარა, ისიც ლირად გადაექცეოდა“; ია ვა მიწვატიკონ დო
კოი დოშოლატიკონ, დაა კაი ტუმა (კარტ. II, 43₃) „ეგ არ გეთქვა და თუნდაც
მოგეკალი, უკეთესი იყოო“; იგზალატიკონი, კაი იყვეტუ (ასათ. 112, 64₂₈) „რომ
წასულიყო, კარგი იქნებოდა“.

ვიწური და არქაბული II სერიის პირობითთა გამოყენების
მხრივ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ: ვიწურში პირობითი
მეორეა გავრცელებული, არქაბულში კი – მყოფადის ნამყოს
პირობითი. საპირისპირო მოვლენა (ვიწურში მყოფადის ნამყოს
პირობითისა და არქაბულში პირობითი II-ის ხმარება) სპორა-
დული ხასიათისაა. მაგ.,

ვიწ.: მციქა წოხლე მოხთატიკონ-მა, ქიძირეტუ-მა (ჩიქ. II, 29₂₅) „ცოტა ადრე
რომ მოსულიყავიო, მოიძებნებოდაო“.

არქა: სქანი-კათა ქცაფერი ბადის კუჭუინა ატოფუკონ-ნა, დელიკანფეექ
ზათი მუ იქომტეს? (ელ. 59₁₀) „შენისთანა დამპალ ბერიკაცს კუჭურინას
დაჯერა რომ შესძლებოდა, ყმაწვილკაცები, საერთოდ, რას იზამდნენ?“, პე
უშქურის ბერე ჩქიმი ქეხთატუკონ დო ხომულა ტოტის გამახთუკონ, ტოტი
მეტროხატუკონ, ბერე მელატუკონ, ჩქუნ მო ბიქომტით? (ელ. 31₉) „იმ ვაშლის
ხეზე ჩემი შვილი რომ ასულიყო და ხმელ ტოტზე გასულიყო, ტოტი
მომტყდარიყო, ბიჭი ჩამოვარდნილიყო, ჩვენ რას ვიზამდით?“.

განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო არქაბული მაგალითი,
სადაც მყოფადის ნამყოს პირობითთა (ქეხთატუკონ, მეტროხატუ-
კონ, მელატუკონ) გარემოცვაში მოქცეული პირობითი II (გამა-
ხთუკონ) უჩვეულოდ გამოიყურება.

ხოფურში, არქაბულის მსგავსად, მყოფადის ნამყოს პირობი-
თია გავრცელებული. ჩხალური კილოკავი ამ მხრივ ვიწურს ეკედ-
ლება – პირობით II-ს იყენებს (Кипшидзе 1911, 5). შდრ.

ჩიქთექლოფრი გეარ ლაზჯე თქვოკონი, ჟურხინჯი თქვოკონი, მითის ვარ
აძირენ (კარტ. II, 303₂₄) „ჩიქთექლოფრი ლაზურად რომ თქვა („რომ გეთქვა“),
ჟურხინჯი რომ თქვა, ვერავინ მიხვდება („ნახავს“); ხოხარა ბერეფეს კითხოკონი,
ვარ უჩქინ (კარტ. II, 304₁₉) „ხოხარა ბავშვებს რომ ჰკითხო („რომ გეკითხა“), არ

იციან („არ იცის“); მანია მომჩაფანი, დოლოფხედიკონია? (კარტ. II, 308₂) „მეო მომცემენ, რომ ჩაუჯდეთ?“; არ ჩქინთი ვიდიოთონია, მაჭოფენანია? (კარტ. II, 308₃) „ერთი ჩვენც რომ წავეიდეთო („რომ წავესულიყავითო“), დავიჭერთო?“.

ხოფური ნააორისტალი თურმეობითის პირობითის მაგალითები:

ეგერ ხელეკი ია ხუთ კაპიკი დიხმარეღეტკონი, ჰემ დიძაბუნეტუ, ჰემთი პინ მუთუ ვარ აყვეტუ (ჩიქ. I, 56₂₁) „ხელეის ის ხუთი კაპიკი რომ დაეხარჯა („მოეხმარებინა“), თანაც დააუდღებოდა, თანაც სრულებით არაფერი ექნებოდა“; სინ ახნამი-კონაის იღუშუნერტიკონ-დო მუსლულის წკაი ქოლოლობერტიკონ-ი, ართელი აქსობა იყვასინტურ-ი? (ჩიქ. I, 57₃₀₋₃₁) „შენ სადამოხანს რომ მოგეფიქრებინა და პირსაბანში („ონკანში“) წყალი ჩაგესხა, ერთი უსიამოვნება იქნებოდა?“; კეხათენ-ნა გაყვილუ შენი ცხენიში დიიეთი მენაფ იოქსე, ეგერ მეხსუს ყვიღერტიკონ-ნა, ვით ეკო ჩქეა სრადი დოგაყვეტუ-ია (ჩიქ. I, 90₃₀) „მარცხად რომ შემოგაკედა, იმიტომ ცხენის ფასს იხედ, თორემ, განგებ რომ მოგეკლა, ათი იმდენი ჯარიმა დაგეკისრებოდაო („გაგიხდებოდაო“); მციკა ჩქეა ორდო ქომუყონერტიკონ-ნა, დიყვეტუ (ჩიქ. I, 113₂) „ცოტა ადრე რომ მოგეყვანათ, შეიძლებოდა („იქნებოდა“); მგეის გუი ქომუხთუ დო დიფიშმანუ: „ია ხეალა ჰოპკოშვეტიკონია! აწია მუთხანი ნა მოხთას, პკომამინონია!“ (კარტ. I, 11₂₃) „მგელს გული მოუვიდა და ინანა: „მარტო ის შემეჭამაო! ახლა რაც მოვა, შეეჭამო!“; ოხოში ქაშიფონერტიკონ-დო ვა მეხვატუკონ-ნა, ეთი ლია დეყვეტუ (კარტ. I, 106₂) „შინ რომ შეეყვანათ და რომ არ გადაეყარა, ისიც ლირად გადაექცეოდა“; მა პაივა შოიდერტიკონ-ნა, ჩქიმი ხალი მუ იყვატუ! (კარტ. I, 141₂₃) „მე რომ კომში მომეტანა, რა დღეში ვიქნებოდი („ჩემი მდგომარეობა რა იქნებოდა“);“; ეშო ვა პვეტიკონ-ნა, შქეით ქოი ენთეფექ ნოსქიინასინტეს (კარტ. II, 33₂) „ისე რომ არ მექნა, ისინი შეიდ სოფულს დაავსებდნენ“; ია ვარ ივზღერტიკონ-ნა, აშო ვარ მალოდეტეს (კარტ. II, 52₁₁) „ის რომ არ აგველო, ასე არ დაგვემართებოდა“.

3. 3. ფუძედრეკადი ზმნები. ფუძედრეკად ზმნათა სისტემა ლაზურში მეტად შერყეულია. აქ ამ სისტემის ნაშთებსლა ვადასტურებთ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 187). ახალმოპოვებულ ტექსტებში გამოვლინდა ფუძედრეკადობის დამატებითი ფაქტები.

ხოფურ-ჩხაალურისა და ვიწურ-არქაბულის გარდაუვალ ფორმებში წარმოდგენილ სქიდ- „რჩენა, ცხოვრება“ ფუძეს გარდამავალ ფორმებში სქედ- ენაცვლება (დო-სქიდ-უ „დარჩა“ – ო-სქედ-ინ-უ „არჩინა“). ათინურ-ართაშენულში ხოფ-ჩხალ. და ვიწ-არქ. სქიდ-ფუძეს სქედ- || სკუდ- ენაცვლება, რომელიც გარდამავალ ფორმებში სქულედ-ის სახით დადასტურდა:

ბერეფე-მუშითი ბოსქულედინაშტი (კარტ. II, 171₁₆) „მის ბაეშეებსაც ვარჩენდი“; მანა პიშო მიწვესდა, დოხუნერი გოსქულედინახუნ, ქჩასენდა (კარტ. II, 171₁₂) „მეო ისე მითხრესო, დამჯდარს ვარჩენსო, გაჭმესო“.

სქულედ- მიღებულია ***სქულად-** ფუძისაგან: -ად მორფემის ა ხმოვანი გაუმლაუტებელია კაუზატივის -ინ მაწარმოებლის ო ხმოვნის გავლენით. შდრ. **ოჩუღეთინუ < *ოჩულათინუ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 168, 277).

ლაზ. სქულედ- [***სქულად-**] გვერდში ამოუდგა მეგრ. **სქილად-/სქილიდ-** ფუძეს. რეალურად დადასტურდა ლაზურისათვის აქამდე თეორიულად ნავარაუდვეი ფორმა (როგავა 1962, 67).

ლაზურში სქულედ- [***სქულად-**] ფუძის დადასტურება საფუძველს იძლევა ვამბიკიცოთ მორფემისეული **ლ-ს** სიძველე შესაბამის მეგრულ ფუძეშიც (შდრ. გამყრელიძე 1959, 68). **ლ** მორფემა **სქილად-/სქილიდ-** და **სქულედ-** ფუძეებში ისევე ძველია, როგორც მეგრულ-ლაზურის **ჩილათ-/ჩილით-/ჩუღეთ-** და **ჭყოლად-/ჭყოლიდ-** ფუძეებში.

ლიტერატურაში, მეგრულ-ლაზურის მონაცემების გათვალისწინებით, ამ ორი უკანასკნელი ფუძის ქართულ-ზანურ არქეტიპად **ლ-მორფემიანი** ფუძეებია პოსტულირებული (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 195-199; მაჭავარიანი 1965, 66). ასევე **ლ-მორფემიანი** არქეტიპი უნდა ვივარაუდოთ ჩვენთვის საინტერესო ზმნური ფუძისთვისაც.

ლაზურში კუ(ნ)ცხ- [***კურცხ-**] „გაღვიძება“ ფუძე უცვლელად მეორდება როგორც გარდაუვალ (უნიშნო ვნებითის), ისე გარდამავალ (კაუზატიურ) ფორმებში (შდრ. **გო-კუ(ნ)ცხ-უ** „გაღვიძა“ – **გო-კუ(ნ)ცხ-ინ-უ** „გაღვიძა“). ათინურში, კერძოდ, სოფ. ბომფონის მკვიდრთა მეტყველებაში, განსხვავებული ვითარებაა: ამ ზმნის გარდაუვალი და გარდამავალი ფორმები ფუძის სხვადასხვა ვარიანტისაგან იწარმოება: გარდაუვალ ზმნათა **კუცხ-** ფუძეს (**გო-კუცხ-უ**) კაუზატიურ ფორმებში **კურცხ-** ალო-მორფი ენაცვლება. მაგ.,

ბოზო შკუნი ლაზი უნჩიკუ, უნჩიკუ, **გოკურცხინუ** (კარტ. II, 205კ) „გოგომ ჩვენს ლაზს უნჩიკინა, უნჩიკინა, გაღვიძა“; ბერეფე ნჯარანია, ვათი **გომაკურცხინახა** (კარტ. II, 198კ) „ბაეშეებს სძინავთო, ვერ გავაღვიძებო“.

გარდაუვალსა და გარდამავალ ფორმებში ფუძეთა ამგვარი მონაცვლეობა (**კუცხ-** – **კურცხ-**) ანალოგიურია იმ აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობისა, რაც გვაქვს ორმორფემიან ფუძედრეკად ზმნებში: **ჩით-/ჩუღეთ-** „გადარჩენა“, **სქულ-/სქულედ-** „რჩენა, ცხოვრება“. შდრ. ათინ-ართაშ. **დო-ჩით-უ** „გადარჩა“ – **დო-ჩუღეთ-ინ-უ** „გადაარჩინა“, **სქულ-უ-ნ** „ცხოვრობს“ – **ო-სქულედ-ინ-ამ-ხ** „აცხოვრებს, არჩენს“.

გარდაუვალ (უნიშნო ვნებითის) ფორმებში ფუძე გახმოვანების ნულ-საფეხურზეა [კუცხ- (< კურცხ-), ჩით- (< *ჩილთ-), სქულ- (< *სქულდ-)], გარდამავალ (კაუზატიურ) ფორმებში კი – გახმოვანების ა-საფეხურზე [კურეცხ- (< *კურაცხ-), ჩულეთ- (< *ჩულათ-), სქულედ- (< *სქულად-)] (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 187–188; გუდავა 1974).

ორმორფემიანი ფუძედრეკადი ზმნებისათვის ნიშანდობლივი აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა ერთ შემთხვევაში სუფიქსური ვნებითის ფორმებშიც გაუვრცელებია ათინურს. ღორდ- „მოტყუება“ ფუძეს, რომელშიც ბოლოკიდური დ ვნებითის მაწარმოებელია (ჩიქობავა 1936, 111), ლაზური თანაბრად იყენებს გარდაუვალსა და გარდამავალ უღვლილებასში [შდრ. მთ-ღორდ-უ „მოტყუვდა“ – მთ-ღორდ-ინ-უ || მთ-ღერდ-ინ-უ (ღორდ- > ღერდ- კაუზატივის -ინ-ის გავლენით!) „მოატყუა“], ბომფონური კი ამ შემთხვევაშიც განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს: კაუზატიურ ფორმებში ღურედ-ფუძე იჩენს თავს. მაგ.,

პაშოთე იენია? სი მომღურედინაშთია! (კარტ. II, 329^ა) „ასე იქნებაო? შენ გეატყუებო?“, ააა, მუჟე მოგოღურედინაო! (კარტ. II, 203^ა) „ააა, როგორ მოგატყუეო?“, შკუთი კე/იშო მოლოდესია, მომღურედინესია (კარტ. II, 196¹⁷) „ჩვენც ისე გვიყო, მოგეატყუაო“.

ცხადია, ღორდ- და ღურედ- ალმორფები ისევე უპირის-პირდებიან ერთმანეთს, როგორც გახმოვანების ნულ- და ა-საფეხურის ფუძეები ზემოგანხილულ ფუძედრეკად ზმნებში (ჩით- – ჩულეთ-, სქულ- – სქულედ-, კუცხ- – კურეცხ-)⁸⁵.

სუფიქსური ვნებითის ფორამებში ფუძედრეკად ზმნათა წარმოების ყალიბის გამოყენების მსგავსი შემთხვევა დასტურდება მეგრულშიც. ვნებითის დ მაწარმოებლის შემცველი ცორდ- „ლპობა“ ფუძე (Кутуб 1964, 209) გახმოვანების ა- და თ-საფეხურით (ცორად-/ცორიდ-) არის წარმოდგენილი, როგორც ჩვეულებრივი ფუძედრეკადი ზმნები (გუდავა 1974, 132).

ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა კლასი სრული სახით (ე. ი. როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი უღვლილებით) ქართულში მხოლოდ ერთი მაგალითით (ცწეთ-/ცწით-/ცწთ-) არის წარმოდგენილი. სხვა შემთხვევაში ან გარდამავალი ზმნა

⁸⁵ ძირეულ მორფემაში თ და უ ხმოვანთა მონაცვლეობა (ღორდ-/ღურედ-) ანალოგიურია თ და უ-ს მონაცვლეობისა (ჩით- – ჩულეთ-)

გვაქვს, ან ე. წ. უნიშნო ვნებითი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 206).

რაც შეეხება ზანურ ენებს, ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საერთო-ქართველურ ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათაგან მეგრულ-ჭანურმა მხოლოდ გარდაუვალი ვარიანტები (უნიშნო ვნებითები) შემოინახა... სათანადო გარდამავალი ფორმები კაუ-ზატიურად იწარმოება (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 214).

ეს მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ:

ა) ლაზურშიც (სპორადულად, მაგრამ მაინც) დასტურდება შემთხვევა, როცა ცალმორფემიანი ფუძედრეკადი ზმნა გარდამავალი უღვლილებით არის წარმოდგენილი, უნიშნო ვნებითი კი არა გვაქვს. შდრ. ქართ. ცწვთ-/ცწვთ- ფუძის შესატყვისი ლაზ. ჩით- „პობა“ (ფ-ჩით-უფ || ფჩით-ომ „კაპობ“, დლ-ფ-ჩით-ო „დავაპე“).

ლაზურში ზმნური ჩით- ფუძე „პობას“ აღნიშნავს: ოჩითუ „პობა“, დიშქა ფჩითუფ „შეშას ვაპობ“, დლფჩითი „დავაპე“ (Mapp 1910, 210). ნ. მარს ჩით- ფუძე მხოლოდ ხოფურისათვის აქვს მითითებული. ჩვეულებრივი ხმარებისაა იგი ვიწურ-არქაბულშიც. მაგალითები ტექსტებიდან:

მანდა სი ოხო-ჩქიმიშა გიყონოფდა, დიშქა გოჩითაფაფდა (ქარტ. I, 102₃₆) „მეო შენ ჩემს სახლში წაგიყვანო, შეშას გაპობინებო“; არ დიშქა დლჩითი-ა (ყიფ. ჭან. 61₈) „ერთი შეშა დააპეო“; ჯა ეკვათუმან, მეხერხუმან, ოკოჩითუმან, დოყაზუმან (ჩიქ. II, 31₃₄) „ხეს მოჭრიან, დახერხავენ, დააპობენ, გათლიან“; არგუნითე ჰე დიშქა ჩითარე მჭიფე (ჩიქ. II, 26₂₃) „ნაჯახით იმ შეშას დააპობ წერილად“; დიშქა ჩითომს (ჩიქ. II, 79₉, 79₁₇) „შეშას აპობს“; ჰამ ორას აღაში ოხოჯაქ – არ დიშქა ქოკობჩითა-და დო – არგუნითე ქოგამახთუ (ქდ. 33₄) „ამ დროს აღას ცოლმა (თქვა), „ერთი შეშას დაეაპობო“, და ნაჯახით გამოვიდა“.

ლაზ. ჩით- ქართ. ცწვთ-/ცწვთ- ფუძის შესატყვისი ჩანს. ამ ფუძედრეკადი ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა რომ „ჭრა“ უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ქართ. „დაცუეთა, წინადაცუეთა“ (= რუს. обрезание)⁸⁶.

⁸⁶ ქართულის დასავლურ კილოებში (გურულში, აჭარულში) ცვეთა „სიკედილს, მოსპობას“ ნიშნავს: გაცვეთა = „მოკლა“, გაცთა = „მოკელა“ (დლონტი 1974, 144; 1975, 289); სემანტიკური გადასვლისათვის – „გაცვეთა“ > „მოკელა, მოსპობა“ (ისევე როგორც „დალევა“ > „მოსპობა, განადგურება, გაწვეტა“) შდრ. შესატყვისობა – ზან. შიბ- „ცვეთა“ : ქართ. სტ- „მოსპობა, განადგურება“ (იხ. ჩიქობავა 1938, 365–366).

ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე აღდგება *ც₁წით-/ *ც₁წით- ფუძე ლაზურში იგი (ისევე როგორც სხვა ხმოვანმოცვლელ დრეკადი ფუძეები ზანურში) რედუქციის (ოგახმოვანების) საფეხურზეა წარმოდგენილი. ამასთან, ფუძისეული გ (ღ) დაკარგულია: ზან. *ჩწით- > ლაზ. ჩით- (მეგრულ-ლაზურში თანხმოვნის მომდევნო გ-ს დაკარგვისათვის იხ. გიგინეიშვილი 1972, 151).

ბ) ლაზურშიც დასტურდება ერთი ზმნა, რომელიც აბლაუტის ორივე საფეხურით არის წარმოდგენილი: დაცული აქვს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი უღვლილება. მხედველობაში მაქვს ნღუნ-/ნღინ- ფუძე.

ლიტერატურაში დადგენილია შესატყვისობა – ქართ. ღნ-(ღნ-ებ-ო-ს, და-ღნ-ა) : მეგრ. დინ-(დინ-აფ-ა „დაკარგვა“, მე-დინ-უ „დაიკარგა“) : ლაზ. ნ-ღუნ-/ნ-ღინ- (გონღუნ-უ „დაიკარგა“, გონღინ-უ „დაკარგა“) : სვან. ნ- (ღნ-ნ-ე „ღნობა“) [თოფურია 1930, (300) 11; ჩიქობავა 1938, 271; Климов 1964, 74]. ლაზურ ფუძეებში თავკიდური ნ მეორეულია, ფონეტიკურად არის განვითარებული (Март 1910, 139, 140)⁸⁷. სვანურში ფუძისეული დ დაკარგულია (Климов 1964, 74).

ამასთან, სხვადასხვაგვარი აზრია გამოთქმული ნღუნ- და ნღინ- ფუძეთა მნიშვნელობისა და ურთიერთმიმართების თაობაზე. ნ. მარი, რომელსაც ორივე ეს ფუძე შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში, სხვადასხვა მნიშვნელობისად მიიჩნევდა მათ და ერთმანეთს არ უკავშირებდა. ნ-ღინ- ფუძისათვის იგი სწორად მიუთითებდა „დაკარგვის“ მნიშვნელობას, ნ-ღუნ- ფუძისაგან ნაწარმოები აორისტის ფორმას (გონღუნუ) კი ასე განმარტავდა: «хорошо сделал» (Март 1910, 139, 140).

⁸⁷ ტექსტებში სპორადულად ვადასტურებთ ზღინ- ფუძესაც. რასაკვირველია, მხედველობაში არ მიიღება ის შემთხვევები, როცა ნღინ- ფუძის თავკიდური ნ წინამავალ პირის ნიშანს – S₁ გ-ს ან O₁ მ-ს – ერწყმის და მ-ს გვაძლევს (იხ. ქვემოთ უღვლილების პარადიგმები), არამედ ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს, როცა პირის ნიშანსა და ფუძეს შორის ხმოვანია და წინამავალ ლაბიალურ თანხმოვანთან შერწყმა გამოირიცხვლია. შდრ. მა ამ კონი პეჟ მენდებონა დო პეჟ გობოზღინა (უღ. 92₁₁) „მე ამ კაცს იქ წაიყუან და იქ დაუკარგაე“; ბე ოხოროძა, ჰამ ბიჭიშე ბიშტათ! შქუ-თი გოზოზღინანენ, ბიშტათ! (ჩიქ. II, 127₁₉) „ქალო, ამ ბიჭს გავეჟცეთ! ჩვენც დაგელუპავს, გავიქცეთ!“. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ლაზურისათვის ნიშანდობლივ პროცესთან – ნაზალურ თანხმოვანთა მონაცვლეობასთან.

ა. ჩიქობავას სიტყვით, ჭანურში **ღუნ-** და **დინ-** ერთმანეთს ენაცვლება, უკანასკნელი პირველისგან არის მიღებული (ჩიქობავა 1938, 271).

კ. ჰ. შმიდტი ფიქრობს, რომ ლაზ. **ღუნ-** და მეგრ. **დინ-** მიღებულია ამოსავალი ***ღონ-** ფუძისაგან, რომელიც ქართ. **დენ-**ს შეესატყვისება (Schmidt 1962, 34, 105).

გ. კლიმოვის აზრით, ზანურის **ო** ხმოვანი ასახავს საერთო-ქართველური ფუძის ნულოვან გახმოვანებას. რაც შეეხება უ-გახმოვანებას, მკვლევარს ის გაურკვეველად მიაჩნდა (Климов 1964, 271).

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი თვლიან, რომ როგორც უ, ისე **ო** ხმოვანი მარცვლოვანი სონანტის ეოკალიზაციას წარმოადგენს, **ღუნ-** და **დინ-** ფუძეები კი დიალექტური ვარიანტებია: „მარცვლოვან სონანტთა ბაზაზე ამა თუ იმ ხმოვნის განვითარება, როგორც ჩანს, დამოკიდებული იყო სხვადასხვა რიგის ფაქტორებზე, რომელთა დადგენა ამჟამად არ ხერხდება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იქ, სადაც ჭანური უ ან **ო** ხმოვანს გვიჩვენებს, მეგრულში ხშირად **ო** ხმოვანს ვადასტურებთ. [...] ზოგჯერ ასეთი სხვაობა თავს იჩენს თვით ჭანურის კილოკავებს შორისაც: ათინურსა და ვიწურ-არქაბულში ვითარდება **ო | უ** ხმოვნები, ხოფურში კი, მეგრულის მსგავსად, – **ო** ხმოვანი: [...] ჭან., ათინ. და ვიწ.-არქაბ. **გონღუნ-უ**, ხოფ. **გონდინ-უ**, მეგრ. **მე-დინ-უ** „დაიკარგა“ (საერთო-ზან. ***ღნ-უ**)“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 340–341).

უცნაური კია, მაგრამ ფაქტია, რომ ლიტერატურაში დღემდე ძალაშია ზოგიერთი უმართებულო აზრი ლაზ. **ნ-ღუნ-** და **ნ-დინ-** ფუძეთა შესახებ, კერძოდ:

ა) თითქოს **ნდინ-** მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებდეს, **ნღუნ-** კი – მხოლოდ ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს;

ბ) თითქოს **ნდინ-** და **ნღუნ-** ფუძეებს იდენტური მნიშვნელობა ჰქონდეთ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

სინამდვილეში **ნდინ-** და **ნღუნ-** თანაბრად არის გავრცელებული ლაზურის ყველა დიალექტში⁸⁸; ამასთან, მათი გამოყენების არე მკაცრად გამიჯნულია: **ნღუნ-** მხოლოდ გარდაუვალი უღვლი-

⁸⁸ ნ. მარი მართებულად აღნიშნავდა **ნ-დინ-** ფუძის არსებობას როგორც ხოფურში, ისე ვიწურ-არქაბულშიც (Mapp 1910, 139).

ლების ფორმებში გვაქვს, ნდინ- კი – გარდამავლისაში, აგრეთვე ვნებითისა და პოტენციალისის ფორმებში და ნაზმნარ სახელებში – მასდარსა და მიმღეობაში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, გონდუნუ ისევეა ხოფურ-ჩხალური ფორმა, როგორც ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული; გონდინუ კი ისევეა ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული, როგორც ხოფურ-ჩხალური.

გონდუნუ ლაზურში ყველგან „დაიკარგა, გაქრა, დაიღუპა“-ს ნიშნავს, გონდინუ კი (ასევე ყველგან) – „დაიკარგა, გააქრო, დაღუპა“-ს.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან ამ ზმნის გარდაუვალი და გარდამავალი უღვლილები პარადიგმას აწმყოსა და აორისტში (ვეუთითებ მხოლოდ მხ. რ. ფორმებს):

- A. გო-მდუნ-ურ < *გო-ბ-ნდუნ-ურ „(და)ეიკარგები“
გო-ნდუნ-ურ „(და)იკარგები“
გო-ნდუნ-უნ „(და)იკარგება“
გო-მდუნ-ი < *გო-ბ-ნდუნ-ი „დაეიკარგე“
გო-ნდუნ-ი „დაიკარგე“
გო-ნდუნ-უ „დაიკარგა“
- B. გო-ნ-გ-დინ-უფ/ომ < *გო-გ-ნდინ-უფ/ომ⁸⁹ „(და)გაკარგაე“
გო-მდინ-უფ/ომ < *გო-ბ-ნდინ-უფ/ომ „(და)ეიკარგაე“
გო-მდინ-უფ/ომ < *გო-მ-ნდინ-უფ/ომ „(და)მეიკარგაე“
გო-ნდინ-უფ/ომ „(და)ეიკარგაე“
გო-მდინ-უფ/ომ-ს < *გო-მ-ნდინ-უფ/ომ-ს „(და)მეიკარგავს“
გო-ნ-გ-დინ-უფ/ომ-ს < *გო-გ-ნდინ-უფ/ომ-ს „(და)გაკარგავს“
გო-ნდინ-უფ/ომ-ს „(და)ეიკარგავს“
გო-ნ-გ-დინ-ი < *გო-გ-ნდინ-ი „დაგეიკარგე“
გო-მდინ-ი < *გო-ბ-ნდინ-ი „დაეიკარგე“
გო-მდინ-ი < *გო-მ-ნდინ-ი „დამეიკარგე“
გო-ნდინ-ი „დაეიკარგე“
გო-მდინ-უ < *გო-მ-ნდინ-უ „დამეიკარგა“
გო-ნ-გ-დინ-უ < *გო-გ-ნდინ-უ „დაგეიკარგა“
გო-ნდინ-უ „დაეიკარგა“.

შდრ. საილუსტრაციო მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

A. ნდუნ- (გარდაუვალი უღვლილება)

ა) ხოფურ-ჩხალური დიალექტი

იყუნა, იყუ, ვა იყუნა, ჩქი ქაგომდუნუთა! (ქართ. I, 472) „თუ იქნა, იქნა, თუ არ იქნა, ჩვენ დავიღუპებითო!“; და დოვიდელები, და-და მუთუქ ქობიხორტუ

⁸⁹ აწმყოს მწკრივის ფორმებში პარალელური სუფიქსებიდან უფ ხოფურ-ჩხალური კილოს კუთვნილებაა. ომ კი – ვიწურ-არქაბულისა და ათინურ-ართაშენულისა. ომ სუფიქსს შეიძლება უმ შეენაცვლოს.

დო ქაგომღუნუტი აშო კაი ბიჭი! (ჩიქ. I, 472) „ან გაეგვიდებოდნი, ანდა რამე შემიჭამდა და დაეიკარგებოდნი ასეთი კარგი ბიჭი!"; აწი გზა მუჭო ბძირა, უშაკ ქაგომღუნო! (ჩიქ. I, 6132) „ახლა გზა როგორ ენახოს, ბიჭოს, დაეიკარგე!"; „ეოი, ბაბა ჩქიმი! მა აწი მუ პა?! სო ვიდა! სო გომღუნა“-მა დო ოყურუშ სესი დიყუ (ჩიქ. I, 130,) „ვაი, მამაჩემო! მე ახლა რა ექნა?! სად წაივდე! სად დაეიკარგო“, ყვირილის ხმა გაისმა („შეიქნა“); „ეფჩი ქაგონღუნუ! ჯანდარმა-ფექ ქოჯოფუფან“-მა (ჩიქ. I, 622) „ბოჯო, დაიღუპები! ჯანდარმები დაგიჭერენო“; ენა გონღუნუნ, მანთი ქომიჩქინ (კარტ. I, 362) „რომ იკარგება, მეც ვიცი“; დაბან-ჯის ოხორიშ მერი ქომეჩათ-ში, ემთეფეშ კულანი ქომუყონათ-ში, ჩქინი ოღარღალუ, ჩქინი ჯინსი გონღუნუნ⁹⁰ (ყოფ. ჭან. 610) „უცხოოს სამოსახლო ადგილს თუ მისცემთ, მთოს გოგოს თუ მოიყვანთ, ჩვენი ენა, ჩვენი ჯიშნი გაქრება“; კაბლა ნა დირიღუ, მუქთი ქაგონღუნუ (კარტ. I, 4226) „ბრძოლა რომ დამთავრდა, თვითონაც გაუჩინარდა („დაიკარგა“)“; ოხორიში საკები მემედიქ მანძაგერე მუშიში ბერე-ნა გონღუნეგეტუ, ია ბერე იჩინუ (ჩიქ. I, 8830) „სახლის პატრონმა მემედმა, თავისი მეზობლის ბავშვი რომ დაკარგულიყო, ის ბავშვი იცნო“; სი ხაფისმა ნულუ-მა დო მა ფაა ჩქიმი ქაგომინღუნუ-მა? (ჩიქ. I, 142) „შენ ციხეში მიღიხარო და მე ჩემი ფული დამეკარგაო? ვარ იდატეს-ნა, ეკო ვარ გუნღუნუტეს (ყოფ. ჭან. 14) „რომ არ წასულიყვნენ, იმდენი არ დაეკარგებოდათ“.

ბ) ვიწურ-არქაბული დიალექტი

დომან სი ვარ ტიკონარი, ჩქუნ პაკო ცხენეფე, ოქრო დო კოჩეფეთი გომღუნუტით (ელ. 352) „უშინ შენ რომ არ ყოფილიყავი, ჩვენ, ამდენი ცხენები, ოქრო და ადამიანებიც, დაეიკარგებოდით“; „აქ გომღუნუტა-შაქის, ბაშქა მერის გომღუნა“-მა (ელ. 1213-1221) „აქ დაკარგეას, სხვაგან დაეიკარგო“; მა უჩაშა მოთ გომღუნო, მუშენი? (ყოფ. დამ. 20, 154) „მე შავად რად დავიღუპე, რატომ? ბერეფე! გამახთით დო სო გონღუნო? (ჩიქ. II, 5721) „შეიღებო! წახვედით და სად დაიკარგეთ? ამ მერის უწუმენან პოლი; კოჩი გონღუნუნ! (ჩიქ. II, 533) „ამ ადგილს სტამბოლს ეძახიან; კაცი დაიკარგება!; პა ოხორჯა მუშენი გონღუნუ? ბერეფე მუჭო გომინღუნუ? (ელ. 7129) „ეს ქალი რატომ დაიკარგა? ბავშვები როგორ დამეკარგა?; ონას თიფი მოღლუდორე, ონა გონღუნუდოჭე (ჩიქ. II, 8134) „ყანა ბალახმა დაფარა, ყანა წახდა („დაიღუპა“)“; «მა პაწ პაია კეშო მერიშა ბოფონარე ქი მაჟურან დუნდას თი გონღუნახენ» მა (დიუმ. I, 110,) „მე ახლა ამას ისეთ ადგილას წაიყვან, რომ იმ („მეორე“) ქვეყანაც დაიკარგება“.

გ) ათინურ-ართაშენული დიალექტი

ზულა გომღუნო, პაშო ქომომალუ! ქომი შქიმი სო ცონ, ვა მიშქუნ (ჩიქ. II, 135) „ზღვაში დაეიკარგე, ასე მოვედი! ჩემი ქვეყანა სად არის, არ ვიცი“; ჯენჯლული შქიმი გომინღუნუ დო ჰიმ ბგორუმი! (ყოფ. ჭან. 826) „ჩემი ახალგაზრ-დობა დამეკარგა და იმას ვეძებ“; ბეფე ვათი გონღუნანმა, პექო დალი ა ოხორი ქონია, ოხორი საიბეფე ქეჯოფანენმა (კარტ. II, 1957) „ბავშვები არ დაიკარგებიანო, იქ ტყეში ერთი სახლიაო, სახლის პატრონები აიყვანენო“.

B. ნდინ- (გარდამავალი უღვლილება, პოტენციალისი, მასღარი, მიმღეობა)

⁹⁰ დაბეჭდილია: გონღუნუ.

ა) ხოფურ-ჩხალური დიალექტი

ემო დულა გოლოდაფ-ქი, სი ჭაგონგდინუფ! (კარტ. I, 71_ა) „ისეთ საქმეს დაგმართებ, რომ შენ დაგლუპავე“; ვარ გომდინუფ სქანიშენი ემელი (კარტ. I, 215_ა) „არ დაეკარგავე შენზე („შენთვის“) ამავს“; ემ ვახთის მან ოკითხუ დო ოჭარუ ქომინქუტუკონი, ნე ვით მანათი გომდინუპტი⁹¹ დო ბაშფორთი-თი ორდო დოვიქიფტი (ჩიქ. I, 95_ა) „მაშინ მე წერა-კითხვა რომ მცოდნოდა, არც ათ მანეთს დაეკარგავედი და პასპორტსაც მალე ავიღებდი („გაეკეთებდი“); აკო ალთუნი ჭაგომდინოთ დო მაუდი დინენგინუ (კარტ. I, 107_ა) „ამდენი ოქრო დაეკარგეთ და ებრაველი გამდიდრდა“; ამა ჩქინი ჭიტა ჯუმა ჭაგომდინოთ ედო ჩქინ მყოროფან ბაბაქ (კარტ. I, 28_ა) „ეს ჩენი უმცროსი ძმა გადაეკარგოთ და ჩვენ შეგვიყვარებს მამა“; ჭიტა სედექქე დიდო ბელაფე ჭაგონგდინუფ-მა, ზოპონან, დოლუ რენ! (ჩიქ. I, 53_ა) „მცირე მოწყალება ბევრ უბედურებას გააქრობსო, ამბობენ, მართალია!; ია მითხანი ხინის ჩქიმი გონდინუ უნონ, პამა მა თრანგი მიყონუნ დო მუთუ ვა მალოდენ (კარტ. I, 47) „იმ ვიდაც დედაბერს ჩემი დალუპა უნდა, მაგრამ მე ღმერთი მყავს და არაფერი მომივა“; ბერე-ჩქიმი, ბაბა-სქანი ვით წანა რენ გონდინუ რენ (კარტ. II, 11_ა) „ჩემო შვილო, მამაშენი ათი წელია დაკარგულია“.

ბ) ვიწურ-არქაბული დიალექტი

არ ჭარა მიწვია დო ბოზო კაიბი დოპია, გომდინოა იშთე (კარტ. I, 201_ა) „ერთხელ მითხაროო და გოგო გადაეკარგეო, დაელუკეო“; „მა დაჰა ვარ დობდგითურ, თი ჩქიმი გომდინარე“-ა (ყიფ. ჭან. 62_ა) „მე აღარ დაედგები, თავს დავიღუპავეო“; «ეგერ ახმეტქე ვარ ემჭოფატუკო თი ჩქიმი გომდინარე მას» ბზოპონტი (დიუმ. I, 121_ა) „თუ ახმეტმა მე არ შემირთო („ახმეტს მე რომ არ შევერთე“), თავს დავიღუპავემეთქი, ვამბობდი“; «მუ ძენ? ჰემუს მო ნახოლერ, სი მუთ ვარ გახენენ. ბოშინე თი-სქან მო გონდინოშ» ია⁹² (დიუმ. I, 84_ა) „რა იქნება, იმას ნუ მიუახლოვდები, შენ ვერაფერს უზამ. ტყუილად თავს ნუ დაიღუპავეო“; ჩქიმი ილეფე მო გონდინოშ-ია! (ელ. 63_ა) „ჩემს ძელებს ნუ დაკარგავეო!; სი პაქ ჩილი ჩქიმიქ გონგდინახენ⁹³, გადუშმანუდორენ! (ჩიქ. II, 16_ა) „შენ აქ ჩემი ცოლი დაგლუპავს, გადაგმტერებია!; პამა ხოლო დოუედორენია, პე კონი ხოლო ვა გომანდინეხია! (კარტ. I, 169_ა) „ესეც გაუკეთებიაო, ის კაცი კიდევ ვერ დაელუკეთო!; ფადიშაქიქ ხელინათე გონდინერ ბერე-მუშის გახეველუ (დიუმ. I, 106_ა) „ხელმწიფემ სიხარულით თავის დაკარგულ შვილს აკოცა“.

გ) ათინურ-ართაშენული დიალექტი

მაჯურანი ოხოროზა ტკუ-ჩი: „ბერეფე დალიშა მენდეიონათ დო ქოდოეოხუნათმა, მევაშევათმა, კაიბი იანენმა, გომდინოთა“⁹⁴. ბაბა კებული ვარ უ: „ბერეფე ვათი გომანდინახია“ (კარტ. II, 195_ა) „მეორე ცოლმა თქვა: „ბავშვები ტყეში წაიყვანოთ და მოვატყუოთო, დავტოვოთო, დაიკარგებიანო,

⁹¹ დაბეჭდილია: გომდინუპტი.

⁹² დაბეჭდილია: მო გონდინომი» ია.

⁹³ დაბეჭდილია: გომდინახენ, მაგრამ იხ. „შენიშნული შეცდომების გასწორება“, გვ. 152.

დაეკარგოთ“. მამა არ დათანხმდა: „ბავშვებს ვერ დაეკარგავო“; ნანა-ნენა ვარ გომინდინო (ყიფ. ჭან. 89,1) „დღეა არ უნდა დაეკარგო („არ დაეკარგება“)“.

გამოქვეყნებულ ლაზურ ტექსტებში აქა-იქ დასტურდება შეცდომით ჩაწერილი და უმართებულოდ ინტერპრეტირებული ზმნური ფორმები, რაც ნდინ-ნდუნ- ფუძეთა დისტრიბუციაში გაურკვეველობის შედეგი ჩანს.

მაგ., შეცდომაა **o-ხმოვნის** ნდინ- ფუძის ხმარება გარდაუვალი შინაარსის ზმნაში:

გერ აირი-აირი იყვათ-ნა, დულა-თი ჩეთინი იქიფთ, მთელიქთი ქაგონდინო დო დუშანეფექ კოლაი გოჯგინაფან-მა (ჩიქ. I, 55₁₀).

უნდა იყოს: **ქაგონდუნო**. ფრაზის თარგმანია: „თუ ცალ-ცალკე იქნებით, საქმესაც ძნელად გააკეთებთ, ყველანი დაიღუპებით და მტრები ადვილად გაჯობებენო“.

შეცდომაა **გომდინი** ფორმის ჩათვლა გარდაუვალ ზმნად ამ ფრაზაში:

მომოლაფი ჰემა ლეტა, გომდინი!⁹⁴

უმართებულოა **გომდინით** ფორმა კიდევ ერთ დაბეჭდილ ტექსტში:

ჰანდლა მუჭო გომდინით ტორა?! (ჩიქ. II, 53₇).

უნდა იყოს: **გომდუნით**. ფრაზის აზრია: „დღეს როგორ დაეიკარგეთ კინალამ?!“ შდრ. ამ ფორმის სწორად ხმარება იმავე ტექსტში სხვა ადგილას:

ამაფთითშქულე გომდუნით (ჩიქ. II, 53₃) „რომ შევედით, დაეიკარგეთ“.

კიდევ ერთი მაგალითი ენობრივი ლაფსუსისა:

მა გეგოჯგინი. ქაგონდინი (ასათ. 165, 100, 467).

გამომცემელს ციტირებული ადგილი ასე აქვს გადმოქართულებული: „გაჯობე. დამარცხდი“ (ასათ. 171, 100, 467). **ქაგონდინი** არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს „დამარცხდი“-ს. ჯერ ერთი, „დამარცხება“ აქ არაფერ შუაშია; მეორეცაა და, **ნდინ-ფუძე** არ შეიძლება გარდაუვალი უღვლილებისას იყოს ნახმარი (თუ, რასაკვირველია, ვნებითის ფორმა არ არის). აქ, ალბათ, ან **ქაგონდუნი** „დაეიკარგე, დაიღუპე“ უნდა იყოს, ან – **ქაგონგდინი** „დაეკარგე, დაგღუპე“.

⁹⁴ იხ. ჩიქობავა 1938, 271. ეს ფრაზა აქ ასეა ნათარგმნი: „დამაყარე ეს მიწა, დაეიკარგე!“. უნდა იყოს: „დამაყარე ის მიწა, დამეკარგე!“. ტექსტში, სადაც ეს ფრაზა გვხვდება, შეცდომით დაბეჭდილია: მობოლაფი (ჩიქ. II, 86₃₃).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ განხილული ზმნის უნიშნო ვნებითის ფორმებში უ ხმოვანი მარცვლოვანი *წ სონანტის ვოკალიზაციას წარმოადგენს (ნღუნ- < *ღნ-), გარდამავალი უღვლილების ფორმებში კი o ფუძის რედუქციის საფეხურისათვის დამახასიათებელი ხმოვანია, რომელიც მიღებულია ე ხმოვნის გადაბგერების შედეგად: ნღინ- < *ღინ- < *ღენ-.

ქართველურ ენებში ფუძედრეკადი ზმნების აბსოლუტური უღვლილება ხშირ შემთხვევაში კაუზატიური ან პრეფიქსიანი ვნებითის წარმოებით არის შეცვლილი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 195, 206). ამ ტენდენციას ვერც ნღუნ-/ნღინ- ფუძე ასცდენია. გარდამავალი აბლაუტური უღვლილების გვერდით ლაზურის სამსავე კილოში გამოიყენება მეორეული კაუზატიური წარმოებაც. ეს წარმოება გარდამავალი უღვლილების ნღინ- ფუძეს იყენებს. ასე რომ, პარალელურად გვაქვს უღვლილების ორი პარადიგმა:

არაკაუზატიური

გო-გ-ღინ-უფ/ომ < *გო-გ-ნღინ-უფ/ომ
 გო-მღინ-უფ/ომ < *გო-ბ-ნღინ-უფ/ომ
 გო-მღინ-უფ/ომ
 გო-ნღინ-უფ/ომ

 გო-მღინ-უფ/ომ-ს < *გო-მ-ნღინ-უფ/ომ-ს
 გო-ნ-ღინ-უფ/ომ-ს < *გო-გ-ნღინ-უფ/ომ-ს
 გო-ნღინ-უფ/ომ-ს

 გო-ნ-გ-ღინ-ი < *გო-გ-ნღინ-ი
 გო-მღინ-ი < *გო-ბ-ნღინ-ი
 გო-მღინ-ი < *გო-მ-ნღინ-ი
 გო-ნღინ-ი
 გო-მღინ-უ < *გო-მ-ნღინ-უ
 გო-ნ-გ-ღინ-უ < *გო-გ-ნღინ-უ
 გო-ნღინ-უ

კაუზატიური

გო-გ-ო-ნღინ-აფ/ამ „(და)გკარგაე“
 გო-ვ/ბ-ო-ნღინ-აფ/ამ⁹⁵ „(და)მკარგაე“
 გო-მ-ო-ნღინ-აფ/ამ „(და)მკარგაე“
 გო-ნღინ-აფ/ამ < *გო-ო-ნღინ-აფ/ამ
 „(და)კარგაე“
 გო-მ-ო-ნღინ-აფ/ამ-ს „(და)მკარგაეს“
 გო-გ-ო-ნღინ-აფ/ამ-ს „(და)გკარგაეს“
 გო-ნღინ-აფ/ამ-ს < *გო-ო-ნღინ-აფ/ამ-ს
 „(და)კარგაეს“
 გო-გ-ო-ნღინ-ი „დაგკარგე“
 გო-ვ/ბ-ო-ნღინ-ი „დაეკარგე“
 გო-მ-ო-ნღინ-ი „დამკარგე“
 გო-ნღინ-ი < *გო-ო-ნღინ-ი „დაკარგე“
 გო-მ-ო-ნღინ-უ „დამკარგა“
 გო-გ-ო-ნღინ-უ „დაგკარგა“
 გო-ნღინ-უ < *გო-ო-ნღინ-უ „დაკარგა“.

როდესაც ნღინ-ფუძიანი ზმნის ობიექტად I ან II პირია, ანდა სუბიექტად – I და ობიექტად – III (ე. ი. როცა ზმნაში პრეფიქსით არის გამოხატული პირი), მაშინ II სერიის მწკრივებში

⁹⁵ S₁ ზ ხოფურ-ჩხალურ კილოს და ათინურ-ართაშენულის თქმათა ერთ ნაწილს ახასიათებს, ბ კი – ვიწურ-არქაბულს და ათინურ-ართაშენულის თქმათა მეორე ნაწილს; -აჟ სუფიქსი ხოფურ-ჩხალურია, -ამ კი – ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული.

კაუზატიური და არაკაუზატიური წარმოების გარჩევა ადვილია (პირის ნიშნის შემდეგ ო ხმოვნის არსებობა-არარსებობის მიხედვით), მაგრამ როცა სუბიექტად II ან III პირია, ობიექტად კი – III (ე. ი. როცა პირის ნიშნად პრეფიქსი არა გვაქვს), მაშინ II სერიის ფორმებში შეუძლებელია განსაზღვრა, კაუზატიური წარმოება გვაქვს თუ არაკაუზატიური; რომელიმე გონდინი „დაკარგე“ და გონდინუ „დაკარგა“ შეიძლება ან კაუზატიური ფორმა იყოს (< *გო-ო-ნდინ-ო, *გო-ო-ნდინ-უ), ან არაკაუზატიური (პრევერბსა და ფუძეს შორის ხმოვანი არ ივარაუდებოდეს).

რაც შეეხება I სერიის მწკრივებს, განსხვავების დამყარება კაუზატიურსა და არაკაუზატიურ წარმოებას შორის აქ ადვილია. მართალია, პრეფიქსაცია აქაც იდენტურია, მაგრამ სხვაობა სუფიქსაციაშია: არაკაუზატიურ ფორმებს თემის ნიშნად -უფ/-ომ აქვს, კაუზატიურებს კი – -აფ || -ამ. გონდინუფ || გონდინომ „(და)კარგავ“, გონდინუფს || გონდინომს „(და)კარგავს“ არაკაუზატიური წარმოებაა, გონდინაფ || გონდინამ (< *გო-ო-ნდინ-აფ/ამ) „(და)კარგავ“, გონდინაფს || გონდინამს (< *გო-ო-ნდინ-აფ/ამ-ს) „(და)კარგავს“ კი – კაუზატიური.

საილუსტრაციოდ მოვიყვან კაუზატიური წარმოების მაგალითებსაც:

ა) ხოფურ-ჩხალური დიალექტი

იაზული ვა რენი, აშოფეთენ ოჭკომალე გონდინაფ? (კარტ. I, 36₁) „ცოდნა არ არის, ასე საჭმელს (რომ) დუპაე?“; არ ჭიტა დულმა-ნა ვა ყვას კოჩიქ, არ დლაში დულმა ქაგონდინაფს (ჩიქ. I, 58₂) „კაცი მცირე საქმეს რომ არ გააკეთებს, ერთი დღის საქმეს წაახდენს (დაკარგავს)“; ქოგიჭკუ კაბლა. ამა ბიჭიქ კაბლა გონდინაფს (კარტ. I, 42₁₉) „დაიწყო ბრძოლა. ეს ვაეი ბრძოლას აგებს („კარგავს“)“; ჯევაიში ჩილი კაი ოხორჭკუა ტეენ, მუთუ ვარ გონდინაფტეენ (კარტ. I, 139₃) „ჯევაირის ცოლი კარგი დიასახლისი ყოფილა, არაფერს არ დაკარგავდა თურმე“.

ბ) ვიწურ-არქაბული დიალექტი

მა და-თქვანიშენი თი-ჩქიმი გობონდინამ (დიუმ. II, 28, 1406) „მე თქვენი დისტვის თავს ეწირავ („ვეღუპავ“)“; ჰაკო კაი კოჩი ბორტი მა, ამმა ირი გობონდინი (ულ. 106₃₈) „ასე კარგი კაცი ვიყავი მე, მაგრამ ყველაფერი დაეკარგე“; ჰემორას დიეფეექ იღუშუნეს-დორენ: «ჰე ბერე მუტო გობონდინათ?» და (დიუმ. II, 26, 1285) „მაშინ დეეებმა იფიქრეს: «ის ბიჭი როგორ დაეღუპოთო?»“; ქოდოფსქიდით, ქომშა ვარ მალინეს, სოდუნში კურბეთის გომონდინეს (ყიფ. ჭან. 40₁₉) „დაეჩრით, (ჩვენს) ქვეყანაში ვერ წავედით, საბოლოოდ უცხო მხარეში დაგეკარგეს“; სი-თი გოგონდინანენ-მა (ულ. 121₂) „შენც დაგღუპავსო“.

გ) ათინურ-ართაშენული დიალექტი

არ ჭუეალი ჯუშუ გოგონდინთია (კარტ. II, 191₁₁) „ერთი ტომარა მარილი დაეკარგეთ“; ბე ოხორძა, ჰამ ბიჭიშე ბიმტათ! შქუთი გომომდინანენ, ბიმტათ! (ჩიქ. II, 127₁₉) „ქალო, ამ ბიჭს გავექცეთ! ჩვენც დაგვლუპავს, გავექცეთ!“

კაუზატიური და არაკაუზატიური ფორმები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ერთი და იმავე პირის მეტყველებაში შეიძლება ერთიც შეგვხვდეს და მეორეც. შდრ. ქაგონდინუფს (ჩიქ. I, 53₃₁) და ქაგონდინაფს (ჩიქ. I, 58₂) „დაკარგავს“.

დასასრულ ერთი საკითხი. მეგრულში, როგორც ითქვა, მხოლოდ **ო-ხმოვნისანი დინ-** ფუძე გვაქვს. აქ ძველი წესით მხოლოდ უნიშნო ვნებითი იწარმოება. გარდამავალი უღვლილე ბისათვის კაუზატიური წარმოებაა გამოყენებული (შდრ. **დინ-უ-(ნ) „იკარგება“**, **მე-დინ-უ „დაიკარგა“** – **ო-დინ-უან-ხ „კარგავს“**, **მი-ო-დინ-უუ „დაკარგა“**). ლაზური ფუძეების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ადრეულ მეგრულში ამ ზმნის გარდამავალი უღვლილეობაც აბლაუტის წესს ექვემდებარებოდა და **დინ-** ფუძე საზიარო იყო გარდაუვალი და გარდამავალი უღვლილეობისათვის. ოღონდ ამ ფუძის **ო ხმოვანი**, ცხადია, სხვადასხვა წარმოშობისა იქნებოდა: „უნიშნო ვნებითის“ **ო მარცვლოვანი ნ სონანტის** ვოკალიზაციას წარმოადგენს, გარდამავალი უღვლილეობის **დინ-** ფუძე კი გახმოვანების რედუქციის საფეხურზე იდგებოდა და, მაშასადამე, მეგრულის **ო ხმოვანი ქართულის ო ხმოვანსავე** შეესატყვისებოდა.

როგორც ვხედავთ, **ნდუნ-/ნდინ-** ფუძის შემცველი ცალმორფემიანი ფუძედრეკადი ზმნა, რომელმაც ლაზურში დღემდე შეინარჩუნა აბლაუტური უღვლილეობა, ჩვენს თვალწინ გადადის არააბლაუტურ უღვლილეობაზე და ამისთვის გარდამავალი უღვლილეობის ფუძეს (ე. ი. რედუქციის საფეხურის ფუძეს) ირჩევს. ამ ფაქტს, ვფიქრობ, მნიშვნელობა აქვს ფუძისეული **ო ხმოვნის** რაობის გარკვევისათვის იმ ზმნებში, რომლებიც წარმოშობით ფუძედრეკადები უნდა იყვნენ. კერძოდ, მხედველობაში მაქვს „ხრჩობის“ აღმნიშვნელი ზან. **შქვიდ-** ფუძე, რომლის შესატყვისია ქართ. **შო- < *შვიდ-** და სვან. **შგვიდ-/შგუდ-/შგინდ-**.

როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში (გამყრელიძე 1959, 69), ამ ზმნამ ფუძედრეკადობა ნაწილობრივ შეინარჩუნა სვანურში. აორისტის I–II პირის ფორმებში (ბზ. **ო-შგუდ „დაახრჩევ“**, **ა-შგუდ „დაახრჩევ“**) უ ხმოვანი ფუძისეული **წ-სა** და **გ ხმოვნის** შერწყმით არის მიღებული (თოფურია 1931, 142; გამყრელიძე,

მაჭავარიანი 1965, 232). ეს გ, თავის მხრივ, o ხმოვნის სუბსტიტუციის (თოფურია 1930, 296) თუ შემდგომი დაეიწროების (მაჭავარიანი 1959, 123) შედეგია. ეს პირვანდელი o აღდგება III პირის ფორმაში (ა-შგჳიდ „დაახრო“): მოკეცილი სუფიქსის მათმლაუტებელი გავლენით (თოფურია 1931, 146) o-საგან მიღებული მეორეული გ კვლავ o-ს გვაძლევს (მაჭავარიანი 1959, 124; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 232). გარდამავალი უღვლილების დრო-კილოთა I სერიისა და მთელი გარდაუვალი უღვლილების აბლაუტური ფორმები, შესაბამისად შეცვლილია კაუზატიური და პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებით: ხწ-ა-შგჳიდ-ო „ვახრობ“, ხწ-ო-შგჳიდ-ო „ვიხრობი“ (გამყრელიძე 1959, 59).

ქართულსა და ზანურში ამ ფუძედრეკადი ზმნის აბლაუტური წარმოება მთლიანად კაუზატიური და პრეფიქსიანი ვნებითის წარმოებით არის შეცვლილი. შდრ. ქართ. აშთობს < *ა-შგჳიდ-ობ-ს, დაიშთენეს < *და-ო-შგჳიდ-ნ-ეს; მეგრ. ო-შქვიდ-უ-ან-ს, ლაზ. ო-შქვიდ-აფ-ს „ახრობს“, მეგრ.-ლაზ. დიშქვიდუ < *დო-ო-შქვიდ-უ „დაიხრო“. ქართულში არააბლაუტური წარმოების საფუძვლად აღებული *შგჳიდ- წარმოადგენს გარდაუვალი უღვლილების ფუძეს ნულოვანი გახმოვანების საფეხურზე (გამყრელიძე 1959, 68–70; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 232).

ასევე გარდაუვალი უღვლილების (ე. ი. ნულოვანი გახმოვანების) ფუძეს ვარაუდობენ კაუზატიური და პრეფიქსიანი ვნებითის წარმოების საფუძვლად ზანურშიც (გამყრელიძე 1959, 69–70; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 232). ზან. შქვიდ- ლიტერატურაში *შქუდ- ფორმიდან მიღებულად არის მიჩნეული (თოფურია 1926, 213; ჩიქობავა 1938, 368; Schmidt 1962, 143; Климов 1964, 215).

ვფიქრობ, ზანური ფუძის ამგვარი კვალიფიკაცია არ არის მართებული. შქვიდ- გახმოვანების o-საფეხურს (ე. ი. რედუქციის საფეხურს) უნდა წარმოადგენდეს და არა ნულოვანს. ისევე როგორც სვანურში, ზანურშიც კაუზატიური და პრეფიქსიანი ვნებითის წარმოებისათვის საფუძვლად გარდამავალი უღვლილების ფუძე, ე. ი. რედუქციის საფეხურის (o-გახმოვანების) ფუძე უნდა იყოს გამოყენებული.

„ხრობის“ აღმნიშვნელი ფუძედრეკადი ზმნა საერთო-ქართველურში, ალბათ, წესიერად აწარმოებდა გარდამავალი და გარდაუვალი უღვლილების ფორმებს. ქართულში, როგორც

ჩანს, გარდაუვალი უღვლილება დამკვიდრდა, ზანურსა და სევანურში – გარდამავალი. არააბლაუტური წარმოებისთვის, შესაბამისად, ქართულმა გარდაუვალი უღვლილების ფუძე გამოიყენა, ზანურმა და სევანურმა კი – გარდამავლისა.

ზან. შქვიდ- ფუძეში *o* ხმოვანი რომ *g*-ს რედუქციით არის მიღებული, ამას სხვა რამეც მოწმობს.

ზანურ-სევანურში *ჭ/გ* ლაბიალის წინ შიშინა კომპლექსის გასისინება (*შქ/შგ > სქ/სგ*) არ ხდებოდა, თუ ამ ლაბიალურ კომპლექსს მოსდევდა ფუძისეული პირვანდელი *o* ხმოვანი – *o* სონანტის მარცვლოვანი ალოფონი (კარტოზია 1984). რამდენიმე სახელურ ფუძესთან ერთად, *შქ/შგ > შქ/სგ* გადასვლა არ მომხდარა ზან. შქვიდ-, სევან. შგწიდ-/შგუდ-/შგწიდ- „ხრჩობა“ და მეგრ. *შქვიდ-⁹⁶ „შვერა“ ზმნურ ფუძეებში. აღნიშნული ფუძეების შემცველი ზმნები წარმოშობით ფუძედრეკადნი არიან და ფუძის რედუქციის საფეხურით, ანუ *o*-გახმოვანებით, არიან წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, რედუქციის საფეხური ქართველურ ენებში ფუძედრეკად ზმნათა გარდამავალი უღვლილების დროკილოთა II სერიის (აორისტის, პერმანსივის, II კავშირებითის) წარმოებისთვის იყო დამახასიათებელი. შემდგომში ეს საფეხური ზანურსა და სევანურში გარდამავალი უღვლილების მთელ პარადიგმაზე გავრცელდა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 191–192, 207–208).

შვერ-/შვიდ- გარდამავალ უღვლილებას გვაძლევს ქართულში ბუნებრივია, თუ დაეუშვებთ, რომ ასევე გარდამავალ ფორმებს აწარმოებდა შესატყვისი *შქვიდ- ფუძე ზანურშიც⁹⁷.

⁹⁶ მეგრულში ეს ფუძე დღეს არ დასტურდება, მაგრამ მის არსებობას მოწმობს ქართულის დასავლურ კილოებში შვერ-/შვიდ- ფუძის (oშვერს, გაoშვიდა) გვერდით ხმარებული ფშვეერ-/ფშვიდ- (oფშვეერს, გაoფშვიდა). შდრ. „გა-ფშვეერა (ლენხ.) უწნოდ გაშვერა; გაფშვეერაილ o უწნოდ გაშვერილი“ (ლლონტი 1974, 140). ეს უკანასკნელი ზანიზმი უნდა იყოს და, როგორც ჩანს, მომდინარეობს ქართ. შვერ-/შვიდ- ფუძის შესატყვისი მეგრ. *შქვიდ-/შვიდ- ფორმისაგან. ანლაუტში შ-სთან ფ-ს განვითარებისათვის შდრ. გურ. ფშუჟა [< შუჟა], გურ.-იმერ. ფშტვიო [< შტვიო], კახ. ფშვრით [< შვრია] (ლლონტი 1975, 168).

⁹⁷ ქართულის დასავლურ კილოებს მეგრ. *შქვიდ- ფუძე (რომელშიც *o* სხვა ხმოვანთან აღარ მონაცვლეობდა) ადაპტაციის შედეგად კვლავ ხმოვანმონაცვლედ უქცევიათ: *შქვიდ- > ფშვეერ-/ფშვიდ-.

3. 4. ვნებითი გვარისა და პოტენციალისის წარმოება. ლაზური ვნებით გვარსა და პოტენციალისის პირელი სერიის მწკრივებში ერთი და იმავე -ჟ სუფიქსით აწარმოებს. რომელიმე **ო-ჭგ-ე-ნ** და **ა-ჭგ-ე-ნ** ფორმები ვნებითსაც გამოხატავენ (= „იწვება“, „ეწვება“) და პოტენციალისსაც (= „შეიძლება დაიწვას“, „შეუძლია დაწვას“). შდრ. მეგრული, სადაც პოტენციალისის -ჟ სუფიქსი გამოხატავს **[ო-ჭგ-ე-(ნ) „შეიძლება დაიწვას“, ა-ჭგ-ე-(ნ) „შეუძლია დაწვას“]**, ვნებითს კი - ჟ **[ო-ჭ-უ-უ-(ნ) „იწვება“, ა-ჭ-უ-უ-(ნ) „ეწვება“]** (ჩიქობავა 1936, 110–114). ამავე დროს ლაზურში შენიშნულია -ჟ-სუფიქსიანი ფორმის ხმარების სპორადული შემთხვევაც. „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ ვკითხულობთ: „მეგრულში თითქმის მთლიანად გამიჯნულია პოტენციალისი და ვნებითი; ჭანურს კი მათთვის საზიარო ერთი წარმოება აქვს, ვნებითისათვის ცალკე ფორმები არ გამოუმუშავებია (ტექსტებში გვხვდება გო-ო-თურაფ-ჟ-თ II 57_ა „დაეთრევით“, **ო-პრეფიქსითა** და -ჟ-სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევაა)“ (ჩიქობავა 1936, 113–114).

მითითებული მაგალითი იზოლირებულად როდი გამოიყურება ლაზურში. ლაზური ტექსტების მონაცემები იმის საფუძველს იძლევა, რომ ვთქვათ: პოტენციალისისა და ვნებითის მაწარმოებელ სუფიქსად პირველი სერიის მწკრივებში ლაზური -ჟ-ს პარალელურად -ჟ-საც იყენებს; -ო და -ჟ სუფიქსთა ხმარება იმით არის შეპირობებული, თუ როგორია ზმნის ფუძე – თემისნიშნიანი თუ უთემისნიშნო. უთემისნიშნო ფუძეს -ჟ სუფიქსი ერთვის (წარმოების ეს ყალიბი უფრო გავრცელებულია), თემისნიშნიანს კი – -ჟ. შდრ.

გამითხვენ „თხოვდება, გათხოვდება“ – გამითხვაფუნ. შდრ. ნე-თი **გამაბითხვაფურ-მა**, ნე-თი ბგორუმ ქომოჯი-ა (ჩიქ. II, 84_ა) „არც გაეთხოვდებიო, არც ქმარი მინდაო!“.

აიღენ „შეუძლია მოკლას“ – აიღაფუნ. შდრ. **ჰეა ჩქუ ეა მაიღაფუნან** (კარტ. II, 142_ა) „იმას ჩვენ ვერ მოგვკლავთ (ვერ შევძლებთ მის მოკვლას)“.

აღენ „შეუძლია იაროს“ – აღაფუნ. შდრ. **ჩქუ ჰაწი ეა მაღაფუნან!** (ჩიქ. II, 65_ა) „ჩვენ ახლა ვერ ვივლით!“; **ჰა ნეკანაშა მითი ნა ეა მაღაფუტუ** შქურნათე. **ჰა კოჩი სოლე მოხთუა!** (კარტ. II, 142_ა) „ამ კართან რომ ვერაეინ მოდიოდა („არავის მოესვლებოდა“), ეს კაცი საიდან მოვიდაო!“

ომტენ „გარბის, მირბის“ – ომტაფუნ. შდრ. არ კოჩი მულუნ, **ჰემუშე** მაშქურნენან **დო ბომტაფურთ** (ყიფ. ჭან. 363_ა) „ერთი კაცი მოდის, იმისი გვეშინია და გავრბივართ“; **ბომტაფურ** (ყიფ. ჭან. 362_ა) „გავრბივართ“; **ბომტაფურ**

(ყიფ. ჭან. 36₃₄, 371) „გავრბივართ“; ცა მელამს დო ბიმტაფუთ (ჩიქ. II, 46₁₈, 46₂₆, 46₃₃) „ცა უნდა ჩამოიქცეს („ეარღება“) და გავრბივართ“; ჰამთეფე ყური-თი იმტაფუნან (ყიფ ჭან, 36₂₇) „ესენი ორიენი მირბიან“; კიაფუ გამახტუ დო იმტუ. იმტაფუტუ-შქულე არ მთუთი ქონაგუ (ყიფ. ჭან. 36₂₄) „ტურა გამოვიდა და გაიქცა. რომ გარბოდა, ერთი დათეი შემოხვდა“; ყური-თი ოკიკათეს დო იმტაფუტუ-ში, გზას არ ორდელის ქონაგეს (ჩიქ. II, 46₁₁) „ორიენი შეიყარნენ და რომ მირბოდნენ, ერთ იხეს შეხედნენ“.

ანტაღენ „ერევა, გაერევა“ – ანტაღაფუნ. შდრ. ნა ვა გინონ დულმას მო ანტაღაფუ (I მო ანტაღე!) (კარტ. I, 185₁₂) „რომ არ გტორღება („რომ არ გინდა“), იმ საქმეში ნუ გაერევი!“ [მთქმელი თემისნიშნიან (ე. ი. -სუსუფიქსიან) და უთემისნიშნო (ანუ -გ-სუსუფიქსიან) ფორმებს პარალელურად ხმარობს].

გუიქთენ „გაბრუნღება“ – გუიქთაფუნ. შდრ. მთეირიკელე გუიქთაფუტ (კარტ. II, 304₁₆) „თოვლისკენ გაბრუნღები“.

იშირენ „იღევა, ცეთება“ – იშირაფუნ. შდრ. ჰემუში ნუკუს დემირი მოღუმენან, მოტკაღამან, მით იშირაფუტას-ია დო! (ჩიქ II, 61₁) „იმის პირზე რკინას ჩამოაცვამენ, მოტყედავენ, – არ დაილიოსო“.

აშქურინენ „ეშინია“ – აშქურინაფუნ. შდრ. ჯინეფეს ჯოლოიშენ აშქურინაფუნან (კარტ. II, 146₂₀) „ჯინებს ძაღლისა ეშინიათ“; მითისთი ჰეა ვა აილერტულოე, აშქურინაფუტეს-ლოე (კარტ. II, 318₂) „იმას ვერაეინ კლავდა თურმე, ეშინოდათ თურმე“; მით გაშქურინაფუტან! (ჩიქ. II, 47₃) „ნუ შეგეშინღებათ!“.

აჭკომენ „შეუძლია ჭამოს“ – აჭკომაფუნ. შდრ. ბექი-ა ქოთუმემ ხორცი ოგაჭკომაფუტუ-ია? (ჩიქ. II, 49₉) „იქნებო ქათმის ხორცს შეჭამილო („ქათმის ხორცი შეგეჭმებოდაო“)?“.

ახენენ „შეუძლია აკეთოს“ – ახენაფუნ. შდრ. ოხორიში დულმა ირი მა დომახენენ-ი? ჩქარ მუთუ ვარ-თი-ნა, ფუჯეფეს დოწკერტიო! ჰე-თი ვარ გახენაფუნან-ი? (ჩიქ. II, 57₂₈) „სახლის საქმეს ყველაფერს მე გაეაკეთებ („სახლის საქმე ყველა მე გამეკეთება“)? სხეა თუ არაფერი, ძროხებს მიხედავდით! იმასაც ვერ გაეაკეთებთ („ისიც არ გაეკეთებათ“)?“ [აქაც უთემისნიშნო (-სუსუფიქსიანი) და თემისნიშნიანი (-სუსუფიქსიანი) ფორმები გვერდიგვერდ გეაქვს].

აჯგინენ „შეუძლია აჯობოს“ – აჯგინაფუნ. შდრ. იის მოჯგინანოეა, ჩქუ ჰამუშა ვა მაჯგინაფუნანია (კარტ. II, 142₁₅) „ყველას გეაჯობებსო, ჩვენ ამას ვერ ვაჯობებთო“.

ასეთივე ვითარებაა ყვ-|| გ- ფუძისაგან ენებითის ფორმების წარმოების დროსაც. ჩვეულებრივ, გავრცელებულია -სუსუფიქსიანი, უთემისნიშნო ფორმები: იყვენ || ივენ „არის, იქნება“, აყვენ || ავენ „აქვს, ჰყავს, ექნება, ეყოლება“. მაგრამ პარალელურად გვხვდება -სუსუფიქსიანი, -ოფ და -აფ-თემისნიშნიანი ფორმებიც. მაგ.,

ჩქინ მუსლიმანი ვარ ვიყოფუ(რ)ი-ია (ყიფ. ჭან. 5₂₅) „ჩვენ მუსლიმანი არ გაეხდებითო („ვიქნებითო“);“; იზნი ქომომჩან-ნა, ხოლო წოხლენი-სტერი დოგვიყოფურთ! (ყიფ. ჭან. 6₁₃) „თუ ნებას დაგვრთავს, ისევე წინანდებურად ვიქნებით („შევიქნებით“)“.

ბაბა ცქანის ბერე ვარ ავაფუტუ (ვლ. 49₁₀) „მამაშენს ბაეშვი არ უნდებოდა („ეყოლებოდა“).“.

აგაფუტუ ნამყო უსრულია (= „ჰყავდა, ეყოლებოდა, ჰქონდა, ექნებოდა“), აწმყოში აგაფუნ (მხ. რ.), აგაფუნან (მრ. რ.) ფორმებს გვაგულისხმებინებს. სწორედ ეს უკანასკნელია საგულევებელი ა. ჩიქობავას მიერ დაბეჭდილ არქაბულ ტექსტში ერთგან:

ცინი ვა ცაფუნან პათეფეს (ჩიქ. II, 74₁₂) „არ სცივათ („სიცივე არა აქვთ“) ამათ“.

ეფიქრობ, ზმნური ფორმა ზუსტად არ არის ფიქსირებული. ვა ცაფუნან უნდა ასახავდეს კანონიერ ვა აგაფუნან⁹⁸ ფორმას.

როგორც ვხედავთ, ყვ- || ვ- ფუძეს თემის ნიშნად -ოფ და -აფ მოუდის. აქედან -ოფ ხოფურ-ჩხალურში გამოიყენება, -აფ – ეიწურ-არქაბულში (შდრ. ვიყოფუ(რ) – აგაფუნ). -ოფ თემის ნიშანი ხოფურ-ჩხალურს დაცული აქვს მასდარსა და მიმღეობაშიც: ოყოფუმუ „ქმნა, ყოფა“, ყოფუმა „id.“. ყოფერენ (< *ყოფერ რენ) „ყოფილა“.

-ოფ და -აფ თემის ნიშნები დასტურდება მეგრულშიც: -ოფ გვაქვს თურმეობითებში: ცოფერე(ნ) || ცოფე(ნ) „ყოფილა“, ნოცოფუე(ნ) „id.“, ცოფუ(ნ) „ქონია, ჰყოლია“, -აფ კი – o და a-პრეფიქსიანი ვნებითის პირველი სერიის მწკრივებში [ოცუაფუ(ნ) „იქნება“, აცუაფუ(ნ) „ექნება“].

საფიქრებელია, რომ -ოფ სუფიქსი მეგრულში ადრე პირველი სერიის მწკრივებშიც გამოიყენებოდა და აქ მისი მთლიანად შენაცვლება პარალელური -აფ სუფიქსით მხოლოდ გვიანდელი ფაქტია. ეფიქრობ, სწორედ ამ -ოფ სუფიქსის კვალი უნდა გვქონდეს შემონახული აფუ(ნ) „აქვს, ჰყავს“ ზმნაში.

ი. ყიფშიძემ მეგრულში „ქონების, ყოლის, ყოფნის, რგების [быть, доводиться, приходиться кому чем, иметь]“ მნიშვნელობის მქონე ფ- ძირის შემცველად მიიჩნია ზმნური ფორმები: მაფუ, გაფუ, აფუ, მაფუნა, მაფუღუ, მაფუდას(ო)... (Кипшидзе 1914, 333–334). ქ. ლომთათიძემ ვრცლად განიხილა აღნიშნული ფორმები (ლომთათიძე 1963, 29–32; 1984, 37–41) და მიუთითა, რომ აფუ „აქვს“ ზმნა გეხვდება შედგენილ შემასმენელში (გამოიყენება მიმღეობასთან, ზედსართავ სახელთან), „გეხვდება არსებით სახელთანაც, როცა ლაპარაკია არა განუსაზღვრელად, ზოგად ყოლაზე (ან ქონაზე), არამედ როცა დაკონკრეტებული მიკუთვნებაა

⁹⁸ ტექსტისეული ც გრაფემა ორივე შემთხვევაში (ცინი, ცაფუნან) ხმოვნის მაგარი შემართვის მაჩვენებელია (იხ. გვ. 38–45).

ერთი ადამიანისა (ან ნივთისა) მეორისადმი, როცა ვინმე (ან რამე) ვინმეს რამედ მოუდის, ერგება. გეხვდება ნაცვალსახელ-თანაც. შდრ. **ჯიმა აფუ** „ძმად ერგება“ და მუ აფუ „რად ერგება“ (ლომთათიძე 1963, 30–31; 1984, 40).

ქ. ლომთათიძის აზრით, **აფუ(ნ)** ქართულიდან უნდა იყოს შესული მეგრულში; მეგრ. **ა-ფ-** იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. **ა-ქე** ფუძე (**აფ < აქე**). მკვლევარს ეს ფაქტი მის მიერ ქართველურ ენებში შენიშნული მოვლენის – ლაბიალური **ქე** კომპლექსის ბილაბიალურ **ფ**-ში გადასვლის – მაგალითად მიაჩნია. მისი სიტყვით, **ა-** პრეფიქსი ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს, **უ** არის გარდაუვალი ზმნებისათვის დამახასიათებელი მეგრული სუფიქსი [შდრ. ულ-**უ(ნ)**, „აქეს“, უჩქ-**უ(ნ)** „იცის“]. ლაზურში **აფ-** (< **აქე-**) ფუძის არარსებობა ქ. ლომთათიძეს აფიქრებინებს, რომ „ამ ზმნის შეთვისება მეგრულში მოხდა იმ ეპოქაში, როცა, როგორც ვარაუდობენ, ქართულ კილოებზე მოლაპარაკე ტომებმა დაიკავეს ტერიტორია მეგრულ და ჭან ტომებს შორის“ (ლომთათიძე 1963, 32; 1984, 41).

აფუ(ნ) ზმნის რაობისა და შედგენილობის გარკვევისათვის, ეფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფორმები ენაცვლება მას სხვა მწკრივებში. **აფუ-** ფუძე მხოლოდ პირველი სერიის აწმყოს წრის მწკრივებში [აწმყო, ნამყო უსრული (უწყვეტელი), აწმყოს პირობითი, აწმყოს კავშირებითი] გეხვდება. **აფუ(ნ)**, **აფუღუ**, **აფუღუკო**, **აფუღას** ფორმებს ქართულის პირველი სერიის მყოფადის წრისა და მეორე-მესამე სერიის მწკრივების შესაბამის ოდენობებში ძირეული **ფ** (< **ყ**) თანხმოვნის შემცველი ფორმები შეესაბამება: **აფიი(ნ)** || **აფუაფუ(ნ)** „ექნება“, **აფიიღუ** || **აფუაფუღუ** „ექნებოდა“, **აფიიღუკო** || **აფუაფუღუკო** „რომ ჰქონოდა“, **აფიიღას** || **აფუაფუღას** „ექნებოდეს“, **აფუუ** „ექმნა“, **აფუუკო** „რომ ჰქონოდა“, **აფუას** „ექნეს“, **ფოფუ(ნ)** „ჰქონია“, **ფოფუღუ** „ჰქონოდა“, **ფოფუღუკო** „რომ ჰქონოდა“, **ფოფუღას** „ჰქონოდეს“.

ეფიქრობ, ეს იძლევა საფუძველს, რომ **აფუ(ნ)**-შიც იმავე **ფ-** (< **ყ-**) ძირის მონაწილეობა ვივარაუდოთ.

3. 5. **საშუალო გვარის ფორმათა წარმოება.** ართაშენულის ზოგ ქცევაში (კერძოდ, სოფ. ძღემის მეტყველებაში) საშუალო გვარის ზმნათა აწმყოში რენ „არის“ მეშველი ზმნა იჩენს თავს. მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

ჰამ ხინჯი-პიჯი ჯოზურენ [= ჯოზუნ] (კარტ. II, 189₂₆) „აქაურობას („აქ“) ხიდისთაეი („ხიდისპირი“) ჰქეია“; შუე ა მუთუშენი „მილუნ“ ბიტურთ... ზღემურეფე „მილურენ“ იტუნან. „მიშკუნ“ შუე ბიტურთ, პინი – მიშკურენ (კარტ. II, 328₂₅₋₂₆) „ჩვენ რამეზე „მილუნ“ (= „მაქეს“) -ს ვამბობთ... ძღემელეები „მილურენ“-ს ამბობენ. „მიშკუნ“ (= „ვიცი“) -ს ჩვენ ვამბობთ, ისინი – „მიშკურენ“-ს“.

დამატებით რამდენიმე ფრაზა ძღემელ ოსმან დაზიჯისთან საუბრიდან:

მა მუ მიშკურენ! „მე რა ვიცი!“: ლაზებურა ქუშკურენ [= ქუშკუნ] „ლაზური იცის“: მუჭოთე ულურენ [= ულუნ]? „როგორ წაეა?“; თახსითი ქუნურენ [= ქუნუნ] „ტაქსიც ჰყავს“.

ამგვარი მეორადი ფორმების წარმოქმნისათვის ხელი უნდა შეეწყოს ნამყო უსრულისა და პირველი სერიის სხვა მწკრივთა ანალოგიას. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა -რტუ, -რტას (და ა.შ.) სეგმენტები (ულურტუ „ჰქონდა“, უშკურტუ „იცოდა, ეგონა“, ჯოზურტუ „ერქვა“; ულურტას „ჰქონდეს“, უშკურტას „იცოდეს, ეგონოს“, ჯოზურტას „ერქვას“...) მეშველი ზმნის ნამყოუსრულად, კავშირებით პირველად (და ა, შ.) იქნა გააზრიანებული და მათი გავლენით აწმყოც შესაბამისად (მეშველი ზმნის აწმყოს დართვით) გაფორმდა.

⁹⁹ თაეის მხრივ, ნამყოუსრულსა და პირველი სერიის სხვა მწკრივებში ოსმან წარმოჩენა იმის შედეგი ჩანს, რომ აწმყოს ორივე რიცხვის პირველ-მეორე პირში დართული ოსმან სუფიქსი – წარმოშობით მეშველი ზმნა (ე/ბულურ, ულურ, ე/ბულურთ, ულურთ „მიედივარ, მიდიხარ, მიედივართ, მიდიხართ“) – და მრ. რ. მესამე პირის -რან (< -ნან – რეგრესული დისიმილაციით!) დაბოლოების (ულურ-ნან > ულურ-რან „მიდიან“) ოსმან თანხმოვანი ფუძის კუთვნილებად გააზრიანდა (სხვაგვარი ახსნისათვის იხ. Мapp 1910, 57–58).

თავი მეოთხე

სინტაქსის საკითხები

4. 1. **სახელური შესიტყვება.** შესიტყვების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს სახელური შესიტყვება (|| სახელური ჯგუფი || ატრიბუტული კომპლექსი). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სახელური შესიტყვების ძირითად, წამყვან წევრს საზღვრულს უწოდებენ, მასზე სინტაქსურად დაქვემდებარებულ წევრს – მსაზღვრელს.

განარჩევენ მსაზღვრელთა ორ ტიპს: ატრიბუტულსა და სუბსტანტიურს (მართულს). ატრიბუტულ მსაზღვრელად გვევლინება: არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, მასდარი, მიმღეობა; სუბსტანტიურ მსაზღვრელად კი – ნათესაობითში ან ნანათესაობითარ ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი ან გაარსებითებული სხვა მეტყველების ნაწილი.

ლაზურში, სადაც ზმნაც იბრუნვის, სუბსტანტიურ მსაზღვრელად შეიძლება მიმღრეობის ფუნქციით გამოყენებული ზმნური ფორმაც შეგვხედეს. მაგ.,

ქუნა იშქიდუ-ში ნოღამისა ოხორი მუშის ტუ (ელ. 76) „დამხრჩეალის („რომ დაიხრჩო-ს“) საცოლუ თავის სახლში იყო“.

ლაზურში მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგი, ძირითადად, ისეთივეა, როგორც მეგრულსა და ახალ ქართულში: ჯერ მსაზღვრელია, შემდეგ კი – საზღვრული. შექცეული რიგი (საზღვრულ-მსაზღვრელი) მეტად შეზღუდულად იხმარება.

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, სახელური შესიტყვების ორივე რიგი იყო მოქმედი. ატრიბუტული მსაზღვრელები, ზოგიერთი გამონაკლისის (რიცხვითი სახელი, კითხვითი ნაცვალსახელი) გარდა, პრეპოზიციასაც გუობდნენ და პოსტპოზიციასაც. რიცხვითი სახელები, კითხვითი ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, საზღვრულის წინ დაისმოდა. რაც შეეხება სუბსტანტიურ მსაზღვრელებს, ისინი უმეტესად მოსდევდნენ საზღვრულს, თუმცა მათი პრეპოზიციულად ხმარება ასევე ბუნებრივი იყო.

ცოცხალი მეტყველებისათვის კი სწორედ პრეპოზიციის ტენდენცია უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (სარჯველაძე 1984, 530–531).

მსაზღვრელ-საზღვრულის ორივე წყობის არსებობაა საგულვეტელი ადრე ზანურშიც. შებრუნებული რიგი – საზღვრულ-მსაზღვრელი – საკმაოდ არის შემორჩენილი კომპოზიტებში, ტოპონიმებში, ფრაზეოლოგიზმებში. მართალია, მათში საზღვრულის შემდეგ, ძირითადად, ატრიბუტული მსაზღვრელი დგას და სუბსტანტიური მსაზღვრელი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა (ესენიც საესებით სარწმუნო როდია), საზღვრულის შემდეგ არ გვხვდება, მაინც შეგვიძლია დავუშვათ სუბსტანტიური მსაზღვრელის პოსტპოზიციურად ხმარების გაერცელებულობა ძველად ლაზურ-მეგრულშიც. როგორც ცნობილია, ასევე იშვიათია მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელი ქართულ კომპოზიტებში, თუმცა სახელურ ჯგუფში სულ სხვა ვითარებაა.

ლაზურში დღეს მსაზღვრელ-საზღვრულის წყობაა გაბატონებული, მაგრამ არის მსაზღვრელთა გარკვეული ჯგუფი, რომლისთვისაც უფრო ბუნებრივია საზღვრულის მომდევნო პოზიცია. ესაა კუთვნილებითი ნაცვალსახელები. მეგრულისა და ქართულისაგან განსხვავებით, სადაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები მხოლოდ გარკვეული სემანტიკის (ნათესაობის აღმნიშვნელი) ზოგი სიტყვის შემდეგ დაისმის, ლაზური ყოველგვარ სახელთან ხმარობს პოსტპოზიციურად ამ ნაცვალსახელებს (ცხადია, იხმარება პრეპოზიციული წყობაც).

ლიტერატურაში ლაზურის შესახებ აღნიშნულია, რომ საზღვრულ-მსაზღვრელის წყობის დროს იბრუნვის როგორც მსაზღვრელი, ისე საზღვრულიც: „თუ რიგს შეეცვლით, მსაზღვრელს საზღვრულის შემდეგ მოვაქცევთ, ბრუნვათა დაბოლოებები მასაც ისევე გაუნჩდება, როგორც საზღვრულს“ (ჩიქობავა 1936, 71). ა. ჩიქობავას სპეციალურად აღნიშნული აქვს თავისებურება, რასაც აელენენ კუთვნილებითი ნაცვალსახელით განსაზღვრული სახელები: „კომპოზიტსა და ორსიტყვიან შესიტყვებას შორის გარდამავალი საფეხურის შთაბეჭდილებას ახდენენ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა ჯუმა ჩქიმი, ბაბა ჩქიმი, ნანა ჩქიმი... და სხვ. მხოლოდობითს რიცხვში დაბოლოება მხოლოდ ბოლო წევრს მოუდის, მთელი გამოთქმა ერთ სიტყვასავით იბრუნვის: ჯუმა ჩქიმი, ჯუმა ჩქიმიქ, ჯუმა ჩქიმის, ჯუმა ჩქიმიში...

მრავლობითშიაც ბრუნვის ნიშნები მხოლოდ ბოლოს არის, მაგრამ პირველი წვერი იცვლება, მრავლობითს რიცხვში გადადის: ჯუმაღეფე ჩქიმი, ჯუმაღეფე ჩქიმიქ, ჯუმაღეფე ჩქიმის, ჯუმაღეფე ჩქიმიში... კომპოზიტისათვის ასეთი ცვლა შეუფერებელია“ (ჩიქობავა 1936, 71)¹⁰⁰.

ლაზურში წინამავალი საზღვრულის უბრუნველობა გ. კლიმოვსაც მხოლოდ კუთვნილებით ნაცვალსახელებში აქვს აღნიშნული: «Аналогичная деморфологизация препозитивного определяемого наблюдается, впрочем, и в чанском диалекте, где она прослеживается в случае, если его определение выражается притяжательным местоимением» (Климов 1962, 129).

ჯუმა ჩქიმო და მსგავსი მაგალითები გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამნაირადვე უბრუნველია წინამავალი საზღვრული სხვა ატრიბუტულ მსაზღვრელთანაც. ლაზურში საესებით რეალურია არა მარტო ჯუმა ჩქიმოქ, ჯუმა ჩქიმის..., არამედ აგრეთვე: თხორი დიდოქ, თხორი დიდის, თხორი დიდში... უფრო მეტიც, საზღვრულ-მსაზღვრელის ორივე კომპონენტის ბრუნება უჩვეულოა და გამონაკლისის ხასიათს ატარებს¹⁰¹. შდრ. წინამავალი საზღვრულის უბრუნველობის შემთხვევები ტექსტებში:

არ ქინი თხენეზი წანეკიქ პაშო მიწუუ (ყოფ. ჭან. 26) „ერთმა ოთხმოცი

¹⁰⁰ ლაზურში იშვიათად დასტურდება გადახვევა ამ წესიდან: მრ. რიცხვის ნიშანი ადგილს ინაცვლებს, შესიტყვების მეორე წვერს დაერთვის, კუთვნილებითი ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშანთან ერთად მრ. რიცხვის ფორმანტსაც დაირთავს. შდრ.: მუჭო ნა ჯუმა-ხქანეფეკალა [= ჯუმაღეფე-სქანიკალა] ბლადალით, ეშო ოლადალუ იყვენ ჩქინი ორთას (კარტ. I, 97₁₈) „როგორც შენს ძმებთან ვილაპარაკეთ, ისეთი ლაპარაკი იქნება ჩვენს შორის“; აწი ნოგნაფასიონ ჯუმა-მუშეფეს [= ჯუმაღეფე-მუშის] (კარტ. II, 31₃₆) „ახლა უნდა გააგებინოს მის ძმებს“; კატა კოჩის ნა მენამტი ალთუნი, დოკოობი დო აღაფე-სქანის (|| აღა-სქანეფეს) ქომეჩი! (კარტ. II, 92₈) „ყოველ კაცს რომ აძლევდი ოქროს, შეაგროვე და შენს დიდებულებს მიეცი“; ართფი კატუს მთუგი ვა ატოფენ-ქი, საბი-მუშეფექი [=საბიფეფე-მუშიქი] პა კატუთი გეტკომელან (კარტ. II, 152₃₃) „ერთი კატა თაგვს ვერ იტერს და მისი პატრონები ამ კატასაც ავღებენ“.

¹⁰¹ შდრ. კუთვნილებითი ნაცვალსახელის წინ მდგომი საზღვრულის ბრუნვის ერთეული შემთხვევები ტექსტებში: მანამაგვარეფექ მუშიქ (!) უწევს-ქი- (ყოფ. ჭან. 11₁₅) „თავისმა მეზობლებმა უთხრეს.“ [გაკვირვების ნიშანი რელაქტორის - ა. ჩიქობავას - დასმულია და საესებით მართებულადაც; მანამაგვარეფექ მუშიქ მეტად უჩვეულო შესიტყვებაა ლაზურისთვის]; სი-თი გზახ სქანის ილი-ა (ქლ. 127₁₁) „შენც შენს გზახე იარეო“.

წლის დედაბერმა („დედაბერ ოთხმოცწლიანმა“) ასე მითხრა: „არქადაში მუში პოლურქი ქოხოწონუ (ჟღ. 104₁₁) „მისმა სტამბოლელმა ამხანაგმა („ამხანაგ მის სტამბოლელმა“) გაიგო“; მამული ხოლო ოჭოფუ დო ჭურუნი ჩხვინაფერის ქომოლოხუნუ (ჟღ. 149₂₅) „მამალი ისეე დაიჭირა და გახურებულ თონეში („თონე გახურებულში“) ჩასვა“; კემ ორას მიღლეთი მთელის ამბაი ქომეჩუ ფადიშიჟი (ჟღ. 83) „მამინ მთელ ხალხს („ხალხ მთელს“) აცნობა ხელმწიფემ“; ქობა ოკოჯაიელს გიბეი ბინჯი ქოდოლობლადან (ჩიქ. I, 142₂₆) „გაჭრილ მუცელში („მუცელ გაჭრილში“) მოხარშულ ბრინჯს ჩაყრიან“; ბადე დიდის ელაბარს სეინ-სეინ კალაში (კარტ. I, 225₉) „დიდ ბეღელს („ბეღელ დიდს“) უბერავს გრილ-გრილი ნიაეი“; მა სი ოქრო მჭითას გომწიფიარე (კარტ. I, 196₃₆) „მე შენ წითელ ოქროში („ოქრო წითელში“) გაცურავებ“; არ-მუში ოდა ნეკლაკალ-ნა-რენს სქიდუნ ჭუტ-ნარენ (კარტ. I, 191₁₃) „კართან მყოფ პირველ ოთახში („პირველ ოთახ კართან მყოფში“) ცხოვრობს უმცროსი“; კე ჭელუკას, დუნდას ნა სქიდუნ, „შური-გედგინერი“ შერეფე მთელი ხოლოს ქოკუჯოხუ დო ჭელუკას ქოგოხუნუ (ჟღ. 26₁₁₋₁₂) „ამ ნავში ქვეყანაზე მცხოვრებ სულდგმულებს ყველას („სულდგმულ რამეებს ყოველივეს“) დაუძახა და ნავში ჩასხა“; მიშინას ქომეჩურენ ბეშლუდი ხუთიშ ლირა (ყიფ. ჭან. 21₉) „მიშინასთვის მიუცია ხუთი ბეშლუდის („ბეშლულ ხუთის“) ლირა“; ჭაფხა გეჭვერიში თუდელენი ქერენჯი დიდო კაი ივენ (ჟღ. 71₃) „შემწვარი ქაფშიის („ქაფშია შემწვრის“) ქვემო კანი ძალიან კარგია“.

წინამავალი საზღვრულის დემორფოლოგიზაცია მხოლოდ ლაზურს (და მეგრულს¹⁰²) როდი ახასიათებს. ეს პროცესი ქართულშიც დასტურდება, კერძოდ, აღორძინების ხანის ძეგლთა ენაში. შდრ.

ზედ მოადგეს ღამე ბნელსა [= ღამეს ბნელსა] მას შუქთაგან დაუმაღსა. თეიმ. I, 83; გაშლილიყო თოვლზედ ვარდი, ზროდ ჰგაეს ალვა დანერგულსა [= ალვას დანერგულსა]. თეიმ. I, 89; არ გაარჩევს მცირე-დიდსა, უფალსა თუ მონა შენსა [= მონას შენსა]. თეიმ. I, 214; ავიესთ ოქრო მყარითა [= ოქროთ(ა) მყარითა]. შაჰნავაზ. 762; გზა მართალსა [= გზას მართალსა] მიეყუებოდეთ. შაჰნავაზ. 906; ყაპუზუნა შეშინებულმა [= ყაპუზუნამ შეშინებულმა] პირსაფერე ბელი ენა ააუბნა. საბა, II, 174; ხელმწიფე გარისხებულსა [= ხელმწიფეს გარისხებულსა] ესე ყოველი მართალსავეთ დაანახევო? საბა, II, 275₁₇.

საგულისხმოა, რომ ქართულში დემორფოლოგიზაციას ფუძე-ხმოვნინანი საზღვრული სახელები განიცდიან. უბრუნველ მსაზღვრელებადაც ხომ ფუძეხმოვნინანი სახელები გვევლინებიან!

საზღვრული სახელის დემორფოლოგიზაციის განსაკუთრებულ სახესთან გვაქვს საქმე ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულ

¹⁰² ლიტერატურაში მეგრულის შესახებ მართებულად არის შენიშნული, რომ საზღვრულ-მსაზღვრელის რიგის შემთხვევაში მომდევნო მსაზღვრელი იბრუნვის, წინამავალი საზღვრული კი ან იბრუნვის, ან – არა (Кипишадзе 1914, 032–033; ლომთაძე 1954, 211 შმდ.).

ისეთ მაგალითებში, სადაც წინამაველი საზღვრული მომდევნო მსაზღვრელს კი არ ითანხმებს, არამედ თვითონ გამოდის სინტაქსურად დამოკიდებული წევრის როლში. მხედველობაში მაქვს შემდეგი: როგორც ცნობილია, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის დროს მოქმედებითში დასმულ საზღვრულს შეიძლება ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი შეეწყოს: დიდ-ის სახლ-ით. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება შემთხვევები, როცა მსაზღვრელი მოქმედებითშია, წინამაველი საზღვრული კი – ნათესაობითში. მაგ.,

სწყვეტდენ, ახოცდენ, ხიხილის მათით სევდა სულა დაიკარგონ. ვახტ. 15, 39; ეისმე ჩემებრსა დააგლებ, გაჰკდი ცნობისა შმაგითა. ვტ. ვრც. III, 1144(961)¹⁰³.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოქმედებით ბრუნვაში დასმული საზღვრულის მიერ მსაზღვრელის ნათესაობითში შეწყობა ენაში ადრე დაწყებული პროცესია (შანიძე 1946, 79; სარჯველაძე 1984, 378), შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაინც და მაინც კალმისმიერ შეცდომასთან არ უნდა გექონდეს საქმე ჯრუჭის ოთხთაეის ერთ ადგილას:

და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომელი იყო წყაროიხა ხიხილისაიოა გუეშულ ათორმეტ წელ. მარკოზ, 5, 25 D (სხვაგან: წყაროიოა ხიხილისაიოა).

ახლა რაც შეეხება საზღვრულის მომდევნო სუბსტანტიურ მსაზღვრელს. ლიტერატურაში მიუთითებენ: „თუ რიგს შეეცვლით, მსაზღვრელს საზღვრულის შემდეგ მოვაქცევთ, ბრუნვათა დაბოლოებები მასაც ისევე გაუჩნდება, როგორც საზღვრულს“ (ჩიქობავა 1936, 69). საილუსტრაციოდ მოყვანილია ბრუნების პარადიგმა: **ოხორი ჯაში** „სახლი ხისა“, **ოხორიქ ჯაშიქ**, **ოხორის ჯაშის**, **ოხორიში ჯაშიში**, **ოხორიშა ჯაშიშა**, **ოხორიშე(ნ) ჯაშიშე(ნ)**, **ოხორითე(ნ) ჯაშითე(ნ)**.

ლაზურში მეტად იშვიათად გვხვდება სუბსტანტიური მსაზღვრელის ბოლოს დასმის შემთხვევები. ისიც, რაც დასტურდება ტექსტებში, ყველა სახელობითის ფორმაა, ირიბი ბრუნვის მაგალითები თითქმის არა გვაქვს, მაგრამ ლაზი ინფორმატორების გამოკითხვისა და მათთან საუბრების შედეგად შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელი წარმოებაა როგორც **ოხორიქ ჯაშიქ**, **ოხორის ჯაშის**..., ისე **ოხორი ჯაშიქ**, **ოხორი ჯაშის**...

¹⁰³ „ვეფხისტყაოსნის“ 958, ტაეპის ხაზგასმული სიტყვები სწორედ ასე იკითხება XVII–XVIII სს-ის რამდენიმე ხელნაწერში (H 757, H 54, Q 779, P 10). სხვა ხელნაწერებსა და ყველა გამოცემაშია: ცნობითა შმაგითა.

ამ ორი შესაძლებლობით როდი ამოიწურება საზღვრულისა და მართული (სუბსტანტიური) მსაზღვრელის ბრუნება ლაზურში. არის მესამე შესაძლებლობა, რომელიც უცხოა ატრიბუტულმსაზღვრელიანი შესიტყვებისათვის: ბრუნვის ნიშნებს დაირთავს საზღვრული, მომდევნო მსაზღვრელი კი არ იცვლება – ნათესაობითში (ანუ ნანათესაობითარ სახელობითში) არის დასმული: **ოხორიშა ჯაში, ოხორიშენ ჯაში. მაგ.**

წანა ქოგედევს, თითო წანას არ-არ თანე [კულანი] მუყონასუნონან **ოხორიშა ბიჭეფეში** (კარტ. II, 733) „წელი დათქვეს, თითო წელს თითო-თითო [ქალი] უნდა მოიყვანონ ვაჟების სახლში („სახლში ვაჟებისა““).

ჩემს შეკითხვაზე მოქმელმა შეუძლებლად მიიჩნია **ოხორიშა ბიჭეფეშიშა**.

შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში ამ მხრივ მეგრულის მსგავსი ვითარებაა. მეგრულ ტექსტებში სუბსტანტიური მსაზღვრელი პოსტპოზიციურად უფრო ხშირად იხმარება. საზღვრულ-მსაზღვრელი ბრუნებისას სხვადასხვაგვარად იქცევა:

ა) იბრუნვის ორივე – საზღვრულიცა და მსაზღვრელიც:

ქემჰჰკერჯ ათი ქამქ. დღეობაქ თე ხაზენიშიქ (ხუბ. 7635) „მოაწია ამ დრომ, დღეობამ ამ პატრონისამ“; ქიმიბღანქია ხორცობუას ნადირიში¹⁰⁴ (ხუბ. 3513-14) „მოვიტანო ხორცეულობას ნადირისას“; მუსხი ქირანჯვენსი მუაჩქიშიშის გინიოსქიდგნა ქობალი დო მა აქი შქირენითი ქობღინქქ (ვაგ. 952-3) „რაოდენთა სასყიდელით დადგინებულთა მამისა ჩემისათა კმატს პური და მე აქა სიყმილითა წარეწყმდები“.

მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია:

გვერდ ტყეობს ქიმერჩანთია სია თე ტურაშისია (ხუბ. 2622) „ნახევარ ტყავს მოგცემთო შენო ამ ტურისასო“.

ბ) იბრუნვის მხოლოდ მსაზღვრელი:

ხოლოთ მუმა: ჩქიმი სოდეთ ირგვღგნი, თექინე ართიშე გვერდი მეტი ეორექ ღონე დო შეძლება ტანიშით, სიმაღე მოძრაობით (ხუბ. 2944) „ხოლო მამჩემი სადაც ვარგოდა, იქ ერთ-ნახევრით მეტი ვარ ღონით და ტანის შეძლებით, სიმაღე-მოძრაობით“; ბურჯუაძენს უძახენა უჩა ტერი მუშაშისგ, მაღორებელ მუშაში დო მახხუნალი უჩაშისგ, ტყებში მკამანწყემალი დო შიდმაღალარ ღუკაშისგ (ხუბ. 3093) „ბურჯუაძეებს („ბურჯუაძეებს“) ეძახიან მუშის შავ მტერს, მუშის მომატყუებელს და [მისთვის] ცუდის („შავის“) მრჩეველს, ტყავის გამძრობსა და ღუკემის წამრთმევეს“¹⁰⁵.

¹⁰⁴ ტექსტში სუბსტანტიური მსაზღვრელი და საზღვრული მძიმით არის გათიშული (დღეობაქ, თე ხაზენიშიქ; ხორცობუას, ნადირიშის). მძიმეები აქ ხედმეტია.

¹⁰⁵ ამ ნაწყვეტში ოთხი მაგალითია საზღვრულისა და სუბსტანტიური მსაზღვრელის ერთად ბრუნებისა. ოთხივე შემთხვევაში საზღვრული არ

შეენიშნავ, რომ სუბსტანტიური მსაზღვრელის წინ დასმული საზღვრულის უბრუნველობა ქართულსაც არ ეუცხოება. შდრ.

ბძანება მღთისას [= ბძანებას მღთისას] რა გაეწყობის! საქ. სიძე. II, 223ა; ჭინჭველა ფოლორცისამა [= ჭინჭველამ ფოლორცისამა], იმანაც გაიხაროს! ძე. საქ. II, 115.

მეგრულისა და ლაზურის საზღვრულ-მსაზღვრელის ბრუნების პარადიგმაში ყველა ბრუნვის ფორმას უჩვენებენ, მათ შორის ნათესაობითისასაც: **ოხოროში ჯაშიში, ცუდეშ(ო) ჯაშიშ(ი) | ცუდე ჯაშიშ(ო)** „ხის სახლის („სახლის ხისის“)" (ჩიქობავა 1936, 70; ლომთაძე 1954, 227). ეს არ ასახავს რეალურ ვითარებას. ნათესაობითის ფორმები სუბსტანტიურმსაზღვრელიან შესიტყვებას ლაზურ-მეგრულშიც ისევე არ ეწარმოება, როგორც ახალ ქართულში. ქართული დღეს მოქმედებითსაც ვერ აწარმოებს, მეგრულში კი ეს შესაძლებელი ჩანს. ზემოთ დამოწმებულ წინადადებაში გვაქვს ამის მაგალითი: **შექლება ტანისით „ტანის შექლებით („შექლება ტანისით“)**“. ამგვარი მაგალითის მოძიება ლაზურ ტექსტებში არ ხერხდება, მაგრამ მსგავსი წარმოების დაშვება ლაზურშიც არ არის შეუძლებელი.

გ) იბრუნვის საზღვრული, მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელი – არა:

იყუ აქ მხუპიქ ოთხოლოში (ხუბ. 264₁) „შეიქნა აქ ჩხუბი ოთხივესი“; ბეა ღო თუთას აჩაკრენს, მანათლებელს სიხერაში (ყიფ. მეგრ. 164₁₉) „მზესა და მთვარეს ჩაგრაეს, სიბნელის მანათებელს“; მელაქ დემი მოლეკონჯ ოშქვიდაფუშა ბადიდიში (ყიფ. მეგრ. 42₂) „მელამ დევი წამოიყენა ბერიკაცის დასახრობად“; მაჟია დღას მიდართეს ომუშებუშა ცვანაში (ხუბ. 284₂) „მეორე დღეს წაეიდნენ ყანაში სამუშაოდ („სამუშაოდ ყანისა“); ხენწფექ, დახარწმუნებელი დუდიშ, სუმი კოჩი გუტუ (ხუბ. 151₁₀) „ხელმწიფემ, დასარწმუნებლად თავისა, სამი კაცი გაუშეა“; ოსქვაშებელი რენიში მუდგა რდგნი მეგიჩინი (ხუბ. 317₂) „სიტყვის შესაღამაზებლად რაღაცა შემოგიტეალე“; ეა მანსქიდგ ქუაში შიოგამალო გიორგოში (ხუბ. 150₃) „ვერ შეელა გიორგისათვის ქვის ჩარტყმას (სქვის ჩასარტყმელად გიორგისა“““.

საზღვრულ-მსაზღვრელის ბრუნების ეს შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის ლიტერატურაში. მეგრულის მსაზღვრელ-

იცვლება, ბრუნვის ნიშანს მსაზღვრელი დაირთავს. მეორე შესიტყვებაში (მაღორბეულ მუშაში) არც მსაზღვრელთან არის ბრუნვის ნიშანი ზ წარმოადგენილი (მოსალოდნელი იყო: მაღორბეულ მუშაშის), მაგრამ მისი უქონლობა გასაკები მიზეზითაა გამოწვეული: ეს საზღვრულ-მსაზღვრელი დო „და“ კავშირითაა შეერთებული სხვა წყვილთან – ტყებში მგემანწყემალი დო მახხუნალი უნაშის. ბრუნვის ნიშნით ამ უკანასკნელი წყვილის ბოლო წევრი – მსაზღვრელი – არის გაფორმებული და ეს საკმარისია (იხ. მომდევნო პარაგრაფი).

საზღვრულისადმი მიძღვნილ ნაშრომში ვკითხულობთ: „[მართული] მსაზღვრელი ასეთ განლაგებისას (იგულისხმება პოსტპოზიციური წყობა. — გ. კ.) საზღვრულ სახელს ბრუნვაში ყოველთვის ეთანხმება, რიცხვში კი არასდროს. შესაძლებელია, ბრუნვის ნიშანი დაკარგოს საზღვრულმა და დაირთოს მხოლოდ მსაზღვრელმა“ (ლომთაძე 1954, 227; იხ. აგრ. Климов 1962, 127).

სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობა სრულიადაც არაა უჩვეულო მეგრულისათვის. წინამავეალ საზღვრულს ასეთი მსაზღვრელი მაშინაც არ ეთანხმება, როცა გათიშულია საზღვრული-საგან რაიმე სიტყვით (ჩვეულებრივ, ზმნით). მაგ.,

დროჟე ქომორთუ ბაღანაში დაბადებაში (ყოფ. მეგრ. 83_ა) „დრო („დროშ“) მოვიდა ბაეშის დაბადებისა“; მეხვამილაფათგ ვართი უფურაშიჟე იცუუ ხენწეფეში ბოშიში (ყოფ. მეგრ. 63_ა) „მიხედრილობით ხელმწიფის ვაჟზე ნაკლები არ შეიქნა („არც ნაკლებმა შეიქნა ხელმწიფის ვაჟისა“); უკული ათე მოსამსახურეფს ჯარჟ ქენუოლეს თე ბოშიშ, შხვას (ხუბ. 244_{ა-ბ}) „შემდეგ ამ მოსამსახურეებს ჯაერი („ჯაერმა“) ჩაუვარდათ ამ ვაჟისა, სხვებს („სხვას“); მუჟანც თი შურჟ ქანთხე კოჩიშინი, დემიქ მიოღვარუ (ხუბ. 184) „როცა ის სუნი („იმ სუნმა“) ეცა კაცისა, დეემა დაიღრიალა“; ნაქურის გეთხოზენა რაშიშ (ხუბ. 233_ა) „კვალს მისდევენ რაშისა“; თიმწკემა რაში სოფუას დიჭყანსია ჯაჭვიში (ხუბ. 297) „მაშინ რაში წყვეტას დაიწყებსო ჯაჭვისა“; ოზეშა მინილეს არაბიშინი, არაბიქ დოუბახე ალეს (ხუბ. 172 1_{ა-ბ}) „ეზოში რომ შევიდნენ არაბისა, არაბმა დაუბახა ალეს“.

ზოგიერთ ბრუნვაში, მაგ., მიმართულებითში, დაშორებითში, სწორედ ეს შეუთანხმებელი ფორმებია გაბატონებული, ვითარებითში კი მხოლოდ ასეთი წარმოებაა შესაძლებელი. კუთვნილუბითი ნაცვალსახელებიც კი, რომლებიც ატრიბუტულ მსაზღვრელებს წარმოადგენენ, ვითარებით ბრუნვაში ემიჯნებიან სხვა ატრიბუტულ მსაზღვრელებს და, სუბსტანტიურთა მსგავსად, ნანათესაობითარი სახელობითის ფორმით არიან წარმოდგენილი. მაგ.,

ამდლა ხენწეფეში სქუა ეკოკირენია გვერშაპიშო დო ომორგუალე ვორეთია თიში (ხუბ. 150_ა) „დღეს ხელმწიფის შვილი აბიაო გველეშაპისთვის და მას ვიგლოეთო („საგლოვად ვართო იმისი“); ცირაშ მეტი ქომოლსქუა ვაქუნც დო ქომონჯო ოკო თიში თენა (ხუბ. 70_ა) „ქალიშვილის გარდა ვაჟი არა ჰყავს და მის ქმრად უნდა („ქმრად უნდა მისი“) ეს“.

მოტანილ ფრაზებში თიში „იმისი, მისი“ ნაცვალსახელი გათიშულია წინამავე-ლი საზღვრულისაგან, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა: წინამავეალ საზღვრულთან უშუალო

მეზობლობაშიც შეუთანხმებელი იქნება. სიტყვათა რიგი რომ შეეცვალოთ (საზღვრულისა და მსაზღვრელის გამთიშველი სიტყვა რომ გადაეაადგილოთ), მაინც გვექნება: „ვორეთია ომორგუალო თიში“, „ოკო ქომონჯო თიში“. ასევე არ შეუთანხმდება ვითარებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულს ჩქიმში „ჩემი“, სქანში „შენი“, ჩქინში „ჩვენი“, თქვანში „თქვენი“ ნაცვალსახელებიც; გვექნება: ქომონჯო ჩქიმში, ქომონჯო სქანში, ომორგუალო ჩქინში, ომორგუალო თქვანში...

მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელის საზღვრულთან შეთანხმების მოშლა საერთო ტენდენციაა ლაზურ-მეგრულისა და ქართულისათვის.

ქართულში იშვიათი როდია შემთხვევები, როცა მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელი ბრუნვაში არ ეთანხმება საზღვრულს, ირიბ ბრუნვებშიც ნანათესაობითარი სახელობითის ფორმით არის წარმოდგენილი: სახლმა ხისა, სახლს ხისა... თუ მსაზღვრელად ფუძეუკვეციელი სახელია, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ო-დაბოლოებიანი ფორმა გვექნება:

ცოლმა აღექსანდრესი ვერ იცნო (იმნაიშვილი 1952, 324); სატახტოსა ქადაქსა წმინდისა პეტრესი (ე. ნინ. 68); მექონს წმინდის ანახი პირველი კლასისა (ე. ნინ. 68); განუსვენე, უფალო, სულხა ახალ მიცვალებულისა მხეველხა შენისა ესმასი (გ. წერ. 155); თვითმპყრობელ ხელმწიფედ შეიქნა საქართველოსი (ი. ჭავჭ. 454₁₀); იცნეს ღირსად ჯიღღოხი (ი. ჭავჭ. 456); სული წმიდა გიწოდებს შენ მმართველად ივერიის ეკლესიისა, ვგზარხად სრულიად საქართველოსი (ე. ბარნ. 353₁₄).

უნდა შევნიშნო, რომ მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელის უბრუნველობა უკვე ძველ ქართულშივე დაწყებული პროცესია. ძველ ძეგლებში სპორადულად დასტურდება შემთხვევები, როცა ირიბ ბრუნვებში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელის ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა შეეწყობა. შდრ.

ქალწულისა, განთხოვილისა ქმრისა, რომლისა სახელი იოსუფ, სახლხაგან და ნათესაისა დავითხისი (ლუკა, 1, 27 L); და გულისხმა-ყო, რამეთუ კელმწიფებისაგან პშროდესი არს (ლუკა, 23, 7 L); მოვიდეს წინადაცუთად ყრმისა მის და ვითარმცა უწოდეს მას სახელი სახელად მამისა თვისისა ზაქარიაისი (ლუკა, 1, 59 D); ვერ კელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისი (მათე, 6, 24 D); რამეთუ საზღვარად მათა არს ზღუამ იგი პოუნტომსაი სამკუდრებელი ყოველადვე ქრისტეანეთაი მისაზღვარადმდე ქაღლიაისი (აბო, 59₄₆ [Ath. 57 (X ს.)]).

როცა მომდევნო სუბსტანტიური მსაზღვრელი ბრუნვაში არ ეთანხმება საზღვრულს, სახელურ ჯგუფში კონსტრუქცია

მანც დახშულია, რადგან მსაზღვრელი ნანათესაობითარ ბრუნვაშია და არა ოდენ ნათესაობითში¹⁰⁶.

4. 2. თანწყობითი სახელური ჯგუფი, ან თანწყობილი შესიტყვება, შედგება ორი ან მეტი სახელისაგან, რომლებიც კავშირით ან უკავშიროდ არიან გაერთიანებული. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ სახელური ჯგუფის წევრები ერთმანეთთან თანწყობის წესით არიან დაკავშირებული და სინტაქსურად წინადადების ერთგვარ წევრებს წარმოადგენენ. მათი ერთგვარობა, კერძოდ, იმაშიც იჩენს თავს, რომ ფორმითაც იდენტურნი არიან ერთმანეთისა, სახელდობრ, ერთი და იმავე ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია შენიშნულია თავისებურება, რაც თანწყობით სახელურ ჯგუფს ახასიათებს ლაზურში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ დღ „და“ კავშირით შეერთებული ორი სახელის ბრუნებისას პირველმა სახელმა შეიძლება არ დაირთოს ბრუნვის ნიშანი და სახელობითის ფორმით (ან, რაც იგივეა, – ფუძის სახით) იყოს წარმოდგენილი (Mapp 1910, 76; ჩიქობავა 1936, 71). მაგალითები ტექსტებიდან:

კაპავე (კავე) უჩა რენ, ამა ალა დღ ბეგიქ შუფან (ყიფ. ჭან. 123) „ყავე შაეია, მაგრამ ალა და ბეგი სეამს („ალა და ბეგმა სეამენ“); მუქ ბიჭეფეკალა ხორონი დღ ობირუს ქოგოჭკუ (ჟღ. 814) „თვითონ ბიჭებთან ცეკვა და თამაში („ცეკვა და თამაშ“) დაიწყო“; რუსი დღ თურქიში მუარებე ტუ (ჩიქ. II, 23) „რუსისა და თურქის („რუსი და თურქის“) ომი იყო“; მუთხანი რენ, არ მორღანი დღ არ ტადანითე რიზინიშა ქომეხთეს (ყიფ. ჭან. 234) „როგორც იქნა, ერთი საბნითა და ერთი ტაფით („ერთი საბანი და ერთი ტაფით“) რიზეში მივიდნენ“; დინი დღ ხოჯაფეშე მილეთიში ოშქურინუ (ჟღ. 2617) „რჯულისა და ხოჯებისაგან („რჯული და ხოჯებისაგან“) ხალხის დაშინება“.

ასეთივე ვითარებაა მეგრულშიც (Кипишдзе 1914, 0140; ურიდია 1960, 173).

დღ კავშირით შეიძლება ორზე მეტი სახელი იყოს გაერთიანებული. კავშირი, ჩვეულებრივ, ბოლო სახელის წინ დაისმის, სხვა სახელები კი უკავშიროდ უერთდებიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ბოლო (დღ კავშირის მომდევნო)

¹⁰⁶ ახალ ქართულში, განსაკუთრებით ლექსის ენაში, პოსტპოზიციური მსაზღვრელი გათანაბრებულია პრეპოზიციულთან: ნანათესაობითარ ბრუნვაში კი არა დგას, არამედ ნათესაობითის ფორმით არის წარმოდგენილი: სახლი ხოს, სახლმა ხოს... კონსტრუქცია, როგორც ვხედავთ, ღიაა.

სახელს დაერთვის, სხვები კი სახელობითის (resp. ფუძის) სახით წარმოგვიდგებიან. შდრ.

ბერეში ბაბა, დიდი ბაბა, დიდი ნანა დო ჯუმადუფე მუშიქ ოხორჯას ბითთუმ უყურტეს (ჩიქ. I, 77z) „ბავშვის მამა, პაპა, ბებია და ბიძები („ბავშვის მამა, პაპა, ბებია და მისმა ბიძებმა“) ქალს მულამ უყვიროდნენ“.

ზოგჯერ ასეთ მრავალწევრიან სახელურ ჯგუფში ორი ან მეტი დო კავშირია გამოყენებული. მაშინაც მხოლოდ ბოლო სახელი დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

პამ მუქტი დო კადი დო მუთესერიფის ეარ უჩქინან (ყიფ. ჰან. 33z) „ამ მუფტიმ, ყადმა და მუთესერიფმა („მუფტი, ყადი და მუთესერიფმა“) არ იცინა“.

როგორც ვხედავთ, თანწყობითი სახელური ჯგუფის შემადგენელი წევრები ერთგვაროვანნი არ არიან ფორმის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ეჭვი შეეიტანოთ თვით ამ სინტაქსური ერთეულის კვალიფიკაციაში. იქნებ სახელთა ჯგუფთან არცა გვაქვს საქმე და ზემოთ მოყვანილ ფრაზებში დო კავშირით გაერთიანებული სახელები სინტაგმები კი არ არის, არამედ რთულ სიტყვებად, კომპოზიტებად, უნდა მივიჩნიოთ?

საკითხის ამგვარად დასმას ისიც უწყობს ხელს, რომ რიგ შემთხვევაში მეგრულ-ლაზურის დო კავშირით შეერთებულ სინონიმურ, ანტონიმურ და მნიშვნელობით ახლო მდგომ სახელებს ქართულში და-კავშირჩავარდნილი კომპოზიტები შეესაბამება: ლაზ. და დო ჯუმა, მეგრ. და დო ჯიმა = ქართ. და-ძმა, მეგრ. ჩილი დო ქომონჯი = ქართ. ცოლ-ქმარი, მეგრ. შქვინდი დო კოპული = ქართ. მშვიდდ-ისარი... (თოფურია 1959, 298).

მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ამ უკანასკნელთა (და დო ჯუმა/ჯიმა, ჩილი დო ქომონჯი...) კომპოზიტობა ეჭვის ქვეშ დაყენებულია: თოფურია მართებულად მიუთითა, რომ ამგვარი სიტყვათწარმოები ჩვეულებრივ (შემტკიცებულ) კომპოზიტებად ვერ ჩაითვლება, რადგან არსებობს „შესაძლებლობა კომპონენტთა ცალცალკე ბრუნებისა და მრავლ. რიცხვში ხმარებისა (მოთხრ. ჩილქ დო ქომოჩქ, მრ. დალეფი დო ჯიმალეფი)“ (თოფურია 1959, 298).

დო კავშირით შეერთებული სახელები მრავლობითში დასმისას თავ-თავისთვის დაირთავენ მრავლობითობის სუფიქსს. რაც შეეხება ბრუნვის ნიშნის დართვა-დაურთველობას, მრავლობითშიც მხოლოდობითის მსგავსი ვითარებაა: პირველი წევრი შეიძლება სახელობითის ფორმით გვქონდეს. მაგ.,

ლაზ.: მართეფე მოხთე-ში მთელი მორდერი ბოზოფე დო ბიჭეფეჲ ხასანის დიდო გიაბგარეს (ჟღ. 10,) „მეზობლები რომ მოვიდნენ, ყველა მოზრდილმა გოგომ და ბიჭმა ხასანს ძალიან დაატირა („ყველა მოზრდილი გოგოები და ბიჭებმა დაატირეს“); წოხლე ფაღამგერეფე დო ხოჯაფეჲ მილეთი ქარმატესთერი ოქთამტეს (ჟღ. 26₁₇) „წინათ წინასწარმეტყველები და ხოჯები ხალხს („წინასწარმეტყველები და ხოჯებმა ხალხი“) წისქვილივით აბრუნებდნენ“; არ თოკი გამიღუ დო ტუტულეფე დო მონჭეას ქონუკირუ (ჩიქ. I, 40₃) „ერთი თოკი გამოიტანა და წიწილებსა და კრუხს („წიწილები და კრუხს“) მიაბა“; ოფუტეში კოჩეფ დო ოხორჯალეფ ირ ხოლ ხეფეს ქუწეფ დო კუკუმაფეთ, წყაროშ მოხთიმუ ჩუშერტეს (დიუმ. I, 93₃) „სოფლის კაცები და ქალები, ყველანი ხელში ქვევრებითა და თუნგებით („ქვევრები და თუნგებით“), წყლის მოსვლას უცდიდნენ“...

მეგრ.: ოკუჰმალო აწკეძეთუ ნგერეფი დო მელა-ტურემს (ყიფ. მეგრ. 168₂) „შესაჭმელად ვუგადივართ მგლებსა და მელა-ტურებს („მგლები და მელა-ტურებს“); ჩქი უკეთენტ დოხორემს ნგერეფი დო ჯღღორემს (ყიფ. მეგრ. 168₁₃) „ჩვენ ვუკეთებთ სასახლეებს მგლებსა და ძაღლებს („მგლები და ძაღლებს“); თე ოსურეფი დო ძღაბეფიშ ხოლოს დოთეადოხოდგ (ხუბ. 175₃) „ამ ქალებისა და გოგოების („ქალები და გოგოების“) ახლოს არ ჯდებან...¹⁰⁷“

დო კავშირით შეერთებულ სახელებში პირველი წევრის უბრუნეველობა არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ვამტკიცოთ ამ სიტყვათნაერთის კომპოზიტობა. ამ სახელებს ხშირად ახლავთ თავ-თავიანთი მსაზღვრელი სიტყვა (ან სიტყვები), ირიბი ბრუნვის ნიშანი კი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ბოლო სახელს ერთვის. შდრ.

ლაზ.: ოთხო ბიჭი ბერე დო არ ბოზოფე ბიდი (ჩიქ. II, 24₁₁) „ოთხი ვაჟიშვილითა და ერთი ქალიშვილით („ოთხი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი“) წავედი“; ნოსტონეჩი მუნთხანეფე დო დადალეფეში მომალუს ქოგოოტკუ (ჟღ. 24₂₆) „გემრიელი რამეებისა და ყვაილების („გემრიელი რამეები და ყვაილების“) მოტანა დაიწყო“.

მეგრ.: ხუმი ცხენამი კონი დო ართი ცირაქ მენილ (ხუბ. 40₂) „სამი ცხენოსანი კაცი და ერთი ქალიშვილი („სამი ცხენოსანი კაცი და ერთმა ქალიშვილმა“) შემოვიდა“; თე ამშეი კონი დო მაშქეითა ჭაბუკუს გიოსქდგ ქალაქიქ (ხუბ. 241₃₂) „ამ ექეს კაცსა და მეშვიდეს ჭაბუკს („ეს ექესი კაცი და მეშვიდე ჭაბუკს“) დარჩა ქალაქი“; ჟირი დალეფი დო ართი ჯიმაში არიკი (ხუბ. 135, სათ.) „ორი დისა და ერთი ძმის („ორი დები და ერთი ძმის“) ზღაპარ;

¹⁰⁷ რეალურ ეითარებას არ ასახავს განცხადება, თითქოს მეგრულში დო კავშირის წინ მდგომი წვერი აუცილებლად სათანადო ირიბი ბრუნვის ნიშნით უნდა იყოს გაფორმებული, თუკი მრავლობით რიცხვში იქნა დასმული (ურდიია 1960, 174). რაც შეეხება ლაზურს, ლიტერატურაში (ჩიქობავა 1936, 71) მართებულად არის მითითებული მრავლობითშიც ბრუნვის ნიშნის დაურთველობის შესაძლებლობა: ჯუმალეფე დო დალეფეჲ, ჯუმალეფე დო დალეფეში...

უკული გამშეცონეს შეფაშა აჯია დო თიქ იქუ ხაცეციქ. ინენქ ჩილ დო ქომონჯიქ. აჯია დო მუში ბალანობაში ნაყოფოფუ ახალგაზდა მუში ქომონჯიქ (ხუბ. 220^ა) „შემდეგ შემოიყვანეს სუფრაზე აჯია და ის გახდა პატარძალი, ისინი – ცოლ-ქმარი, აჯია და მისი ბავშვობისდროინდელი შეყვარებული მისი ახალ-გაზრდა ქმარი („აჯია და მისი ბავშვობის შეყვარებულმა ახალგაზრდა მისმა ქმარმა“).

რასაკვირველია, არავეის მოუვა აზრად, კომპოზიტებად ჩათვალოს: თხზო ბიჭი ბერე დო არ ბოზო, ნოსტონერი მუთხანეფე დო დადალეფე, სუმი ცხენამი კონი დო ართი ცირა, ეირი დალეფი დო ართი ჯიშა და მისთანანი. უკანასკნელ მეგრულ მაგალითში ხუთი მსაზღვრელი უძღვის სახელური ჯგუფის ბოლო წევრს (ქომონჯიქ), მიუხედავად ამისა, პირველი წევრი (აჯია) მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი.

საინტერესოა, რომ დო კაეშირის წინ მდგომი სახელი შეიძლება მაშინაც ნულოვანი ალომორფით იყოს, როცა მომდევნო წევრი უბრუნველი სიტყვაა, სახელდობრ, პირის ნაცვალ-სახელი. მაგ.,

ლაზ.: ამედი დო მან-თი არ-არ ქვა ქობძირათ (ჩიქ. I, 55^ა) „ახმედმა და მეც („ახმედი და მეც“) თითო-თითო ქვა მოვნახოთ“; აღი დო მან არ დღას ნანაქ მიწვეს-ქი... (ჩიქ. I, 99^ა) „აღის და მე („აღი და მე“) ერთ დღეს დედამ გეითხრა, რომ...“; აღი დო მან დიდო მაშქურინეს (ჩიქ. I, 99^ა) „აღის და მე („აღი და მე“) ძალიან შეგვეშინდა“.

მეგრ.: ინა დო შა ლეკური ეშამძღესია შქაშა (ხუბ. 300^ა) „ინას და მე („ის და მე“) ხმალი გვედრო შუაში“.

სახელური ჯგუფის შემადგენელ წევრთა დამაკავშირებლად, მაჯგუფებელი დო კაეშირის გარდა, სხვა (მაპირისპირებელი) კავშირიც გამოიყენება. ამ შემთხვევაშიც პირველი წევრის უბრუნველობა ლაზურ-მეგრულში ბუნებრივი ჩანს. შდრ.:

ლაზ.: ოხორჯა ვარნა¹⁰⁸ ნანა მუშიქ გამულუნ ოფუტეშა დო გინძე სერსითე ყურაფს (ჩიქ. I, 162^ა) „ცოლი ან დედამისი („ცოლი ან დედამისმა“) გამოვა ეზოში და გაბმით („გრძელი ხმით“) ყვირის“; ჩილი ვარნა¹⁰⁸ ნანა მუშიქ გოოჭკაფს (ჩიქ. I, 162^ა) „ცოლი ან დედამისი („ცოლი ან დედამისმა“) იწყებს“.

მეგრულ ტექსტებში მაპირისპირებელი კაეშირის შემცველ სახელურ ჯგუფში წინა წევრის უბრუნველობის მაგალითები არ შემხვედრია, მაგრამ თეორიულად სავსებით დასაშვებია. მაგ.,

¹⁰⁸ დაბეჭდილია: ვარდა.

გვაქვს: ვარა ჭა დო ვარა დიშქას სოლე მილა (ყიფ. მეგრ. 161₁₃) „ან ჩალას და ან შეშას („ან ჩალა და ან შეშას“) საიდან მოიტან?“. სავსებით შესაძლებელია გამოვტოვოთ დო კავშირი და მხოლოდ ვარა „ან“ მაცალკეებელი კავშირი დავტოვოთ: ვარა ჭა, ვარა დიშქას სოლე მილა.

აქამდე თქმული ეხებოდა კავშირით შეერთებულ სახელთა ჯგუფს. რა ვითარებაა სახელთა უკავშირო შეერთებისას? ლიტერატურაში მეგრულის შესახებ (ურიდია 1960, 173) აღნიშნულია, რომ უკავშირო შეერთების დროს ყველა ერთგვარი წევრი აუცილებლად დაირთავს ბრუნვის ნიშანს.

მართლაც, უკავშირო შეერთების დროს სახელური ჯგუფის ყველა წევრი, ჩვეულებრივ, იბრუნვის როგორც მეგრულში, ისე ლაზურშიც, მაგრამ არცთუ იშვიათი უნდა იყოს ბოლოსწინა წევრთა უბრუნველობის შემთხვევებიც. მხედველობაში მაქვს ამგვარი მაგალითები:

ლაზ.: ჰაქონი კოჩეფე ქიმი მუში სოხუმი, მურღული, ოზურგეთიშა თუთუნ იქუმან (ყიფ. ჭან. 74₂₃) „აქაური ხალხი ზოგი მათგანი სოხუმში, მურღულში, ოზურგეთში (სოხუმი, მურღული, ოზურგეთში“) თამბაქოს ამუშაებენ (იქ მანუ“¹⁰⁹.

მეგრ.: გორჩქინდგ ტყას გერი, ტურა, თუნთიქ (ხუბ. 181₁₀) „გაჩნდა ტყეში მგელი, ტურა, დათვი („მგელი, ტურა, დათვი“)“; იშ ყოროფა, ცქუშალახგ ათენერო რაგადანსგ (ყიფ. მეგრ. 175₁₉) „მის სიყვარულს, ქებას („მისი სიყვარული, ქებას“) ამნაირად ლაპარაკობს“; ოა, ვარდი, მაგლონას დუდეფ გეუქეჩინანდეს (ხუბ. 337₂₅) „იას, ვარდს, მაგნოლიას („ია, ვარდი, მაგნოლიას“) თავები ხუჭუჭა კქონდათ“; ართ, შაჟოა, შახგმას, სუმხოლოს ქიმეთხგ ხენ, რეფგ არგუნი ბოშიქ (231₂₇) „ერთს, მეორეს, მესამეს („ერთი, მეორე, მესამეს“), სამივეს რომ მოჰკიდა ხელი, ხეთქა ნაჯახი ვაჟმა“; ჩქიმი გური ვეცოცხლებუ ფარა, ორქო, ვარჩხილითგ (ყიფ. მეგრ. 136₉) „ჩემი გული არ გაცოცხლდება ფულით, ოქროთი, ვერცხლით („ფული, ოქრო, ვერცხლით“)“; ე ჟირი გემონ-წყილიე ცხენ, ანანგერ, ორზოლით (ხუბ. 232₁₁) „ეს ორი გამოწყობილია ცხენით, უნაგირით, საგზლით („ცხენი, უნაგირი, საგზლით“)“; თუდო ათოულუაფუ დეჟი,

¹⁰⁹ ა. ჩიქობავა, განიხილავდა რა ამ ფრაზას სხვა თვალსაზრისით (მიმართულებითი ბრუნვის ფორმის გამოყენება ლოკატიური მნიშვნელობით), აღნიშნავდა თავისებურებას, რასაც ერთგვარ წევრთა უბრუნველობა ქმნის ამ წინადადებაში: „...ოზურგეთიშა (თუთუნი იქომან) – ოზურგეთში (თამბაქოს ამუშაებენ) – მიმართულებითია და ლოკატიური მნიშვნელობისად უნდა ვცნოთ, ფრაზა რომ არ იყოს თავისებური: სოხუმი, მურღული – სახელობითშია! შეიძლება მთქმელი გულისხმობდა ზმნას: „ნუღუნან ოზურგეთიშა“ – მიდიან ოზურგეთს – „თუთუნი იქუმან“ – თამბაქოს ამუშაებენ, მაგრამ მაშინ წინა ორი სახელის ფორმა აუხსნელი რჩება და წინადადება გატეხილია“ (ჩიქობავა 1939, XXVIII).

ნხო. ცხენიშა (ყიფ. მეგრ. 162_ა) „[წყალი] ქვევით შესდგომია ღორს, ძროხას, ცხენს („ამოუვლია ღორი, ძროხა, ცხენისთვის“)“.

მაგრამ არის კი ხაზგასმული სიტყვები თანწყობითი სახელური ჯგუფის წევრები? რა დაგვიშლის, რომ კომპოზიტებად ვცნოთ „სოხუმი, მურღული, ოზურგეთიშა“, „გერი, ტურა, თუნთიქ“, „ია, ვარდი, მაგლონიას“, „ფარა, ორქო, ვარჩხილით“? იქნებ უფრო მართებული ყოფილიყო, რომ სიტყვათა შორის, მძიმეების ნაცვლად, დეფისები დაგვესვა: „გერი-ტურა-თუნთიქ“, „ია-ვარდი-მაგლონიას“, „სოხუმი-მურღული-ოზურგეთიშა“...?

მართლაც, ზემოთ მოტანილი მაგალითების კვალიფიკაცია საორტოფოა და გადაწყვეტით რამის თქმა ძნელია, მაგრამ მეგრულ-ლაზურში უკავშიროდ შეერთებულ სახელთა ჯგუფში ბოლოსწინა წევრების უბრუნველობა მაშინაც დასტურდება, როცა ამგვარ სიტყვათნაერთს ვერაფრით ვერ მივიჩნევთ კომპოზიტად, სახელდობრ, როცა სახელური ჯგუფის წევრებს მსაზღვრელი სიტყვები ახლავთ:

ლაზ.: ოხოი მუშის ნანა მუში, ბაბა მუში, მთელიქ ოგნეს-ქი... (ელ. 101₁₇) „შინ („მის სახლში“) მისმა დედამ, მისმა მამამ, ყველამ („დედამისი, მამამისი, ყველამ“) გაიგო, რომ...“.

მეგრ.: დიდი ჯაბი, დიდი ხევდაქ მიაჩ (ხუბ. 34) „დიდი ჯავრი, დიდი სევდა („დიდი ჯავრი, დიდმა სევდამ“) მიეცა“; იჯინჯ ართ დლა, ჟირს, მარა მუთუნქ ვანდიღირჯ (ხუბ. 222_ა) „იყურა ერთ დღეს, ორს („ერთი დღე, ორს“), მაგრამ ვერაფერი იყიდა. შდრ. ბოლოსწინა წევრის ბრუნების მაგალითთ: მკიილჯ ართი დლაქ, მაჟირაქ (ყიფ. მეგრ. 79₁₇) „გაიარა ერთმა დღემ, მორუმ“.

„ნანა მუში, ბაბა მუში, მთელიქ“, „დიდი ჯაბი, დიდი სევდაქ“, „ართ დლა, ჟირს“ და მსგავსი გამონათქვამები, რასაკვირველია, კომპოზიტები ვერ იქნება, ასე რომ, სახელთა უკავშირო შეერთებისას ბოლოსწინა წევრთა უბრუნველობა ლაზურ-მეგრულში შესაძლებელი ჩანს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შორს არის წასული ლაზურ-მეგრულში ერთგვარ წევრთა (იგულისხმება: ბოლოსწინა წევრთა) უბრუნველობა, მოვიყვან ერთ ფრაზას ლაზური ტექსტებიდან:

ამო ზორი-ზვართუნ ქიმი ორდი, ქიმი ხამხონი, ქიმი-თი აქნე-შეჟერშია იგზალეს (ყიფ. ჭან. 3_ა) „ასე გაჭირვებით ზოგი ორდში, ზოგი სამსუნში, ზოგიც აქნეშეჟერში („ზოგი ორდი, ზოგი სამსუნი, ზოგიც აქნეშეჟერში“) გაემზავრა“.

ამ წინადადებაში ერთ შემასმენელთან ქვემდებარისა და ადგილის გარემოების სამი წყვილია უკავშიროდ შეერთებული. მიუხედავად იმისა, რომ ადგილის გარემოებანი უშუალოდ არ

უკავშირდებიან ერთმანეთს, პირველი ორი სათანადო ბრუნვაში (მიმართულებითში) მაინც არ არის დასმული, არამედ სახელობითის ფორმითაა მოცემული.

აღნიშნული სინტაქსური მოვლენა – თანწყობით სახელურ ჯგუფში წინა წევრის (წევრების) უბრუნველობა საკუთრივ მეგრულ-ლაზურის თავისებურებად არის მიჩნეული ლიტერატურაში¹¹⁰.

ამავე დროს ეგევე მოვლენა შენიშნულია ქართულშიც, თუმცა მეგრულ-ლაზურთან პარალელის გაუვლებლად. ი. იმნაიშვილმა (იმნაიშვილი 1957, 382) აღნიშნა, რომ ძველ ქართულში შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებად თუ საკუთარი სახელებია, ბოლოსწინა წევრები შეიძლება ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი. მაგ.,

რომელნი მიემსგაესნეს მამის ძმის-წულთა შენთა, ყრმათა მათ ბაბილონისათა ანანია, აზარია და მისაელს (პარხლის მრავალთავი, 1016b); რამეთუ მაშინცა იქმნას გარდაქცევაჲ წყალთაჲ სისხლად ენუქ და ელიაჲს მიერ, ვითარცა პირველ მოსეს ზე (თარგმ. გამოცხ. 16, 15); წმინდისა კოზმან და დამიანმის ყოველი კპოო ოქტონბერსა იზ (იერუსალიემის განჩინება, 54)..

მკვლევარი ამ ფაქტს სამართლიანად უდარებდა იმ თავისებურებას, „რომელსაც დღეს ვამჩნევთ ორ ახლობელ (ერთნაირი მნიშვნელობისა თუ საპირისპირო) სახელს, რომლებიც „და“ კავშირითაა შეერთებული. ასეთი სახელები ისე იბრუნვიან, როგორც ძველი „კოზმან და დამიანე“, „დავით და ტირიჭან“, „პეტრე და პავლე“ და სხვა, ე. ი. იბრუნვის მხოლოდ უკანასკნელი, პირველი კი ყველა ბრუნვაში უცვლელია, ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ასეთია, მაგალითად, გამოთქმები: „მთა და ბარი“, „ცა და მიწა“, „მზე და მთვარე“ და სხვანი. სხვა ბრუნვებში ხშირად გვაქვს დღეს: მთა და ბარმა, მთა და ბარზე, მთა და ბარის და სხვა. ასეთი გამოთქმები ძალზე დამახასიათებელია თანამედროვე ქართულის კილოებისათვის, კილოებიდან კი ისინი სალიტერატურო ენაშიც არის ხოლმე შემოსული“ (იმნაიშვილი 1957, 384). საილუსტრაციოდ ავტორს რამდენიმე ნიმუში აქვს მოტანილი.

¹¹⁰ „ჩანს, თუ ქართულში ერთგვარი წევრები და კავშირის წინ საველდებულა გვექონდეს ბრუნვაში და ისიც ხშირად გავრცობილი სახითაც, მეგრულში ბრუნვაში დასმა სრულიადაც არ არის საველდებულო: ის შეიძლება ბრუნვაში იცვალოს და შეიძლება უცვლელადაც დარჩეს“ (ურდია 1960, 175).

ამგვარი გამოთქმები, მართლაც, საკმაოდ გაერცელებულია ქართულში. და არა მარტო დღევანდელ ენაში, არამედ XVII–XVIII სს-ის ძეგლებშიც უხვად დასტურდება თანწყობითი სახელური ჯგუფის წინა წევრის უბრუნველობის შემთხვევები (ვრცლად იხ. კარტოზია 1971, 148–151)

სახელური ჯგუფის წინა წევრის უბრუნველობა შესაძლებელია მაშინაც, როცა მაკავშირებლად სხვა კავშირია (თუ, ან, ანუ) გამოყენებული (კარტოზია 1971, 151).

თანწყობითს სახელურ ჯგუფში წინა წევრის (წევრების) უბრუნველობის ტენდენცია ლაზურ-მეგრულთან ერთად ქართულსაც (ძველსაც და ახალსაც) ახასიათებს. მაგრამ თუკი ლაზურსა და მეგრულში ეს ტენდენცია ყოველგვარ სახელთან (საკუთართან და საზოგადოსთან, ხმოვნფუძიანთან და თანხმოვნფუძიანთანაც) იჩენს თავს, ქართულში მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, სახელთა გარკვეულ ჯგუფებში (ძველში – საკუთარ სახელებში¹¹¹, ახალში – ხმოვანფუძიანებში) გვაქვს მხოლოდ. რა არის ამის მიზეზი?

ი. იმნაიშვილის აზრით, ახალ ქართულში და კავშირით შეერთებულ სახელთა ბრუნებისას პირველი წევრის უბრუნველობას უმთავრესად მაშინ აქვს ადგილი, „როცა პირველი სიტყვა ერთმარცვლიანია და ადვილად ხერხდება მისი შინაარსობლივად და ფორმალურად შერწყმა მომდევნო სიტყვასთან (მთა და ბარი, ცა და მიწა), მაგრამ მსგავსი მოვლენა ზოგჯერ ორმარცვლიან სახელებშიც გვხვდება“ (იმნაიშვილი 1957, 384–385).

მართლაც, ორმარცვლიან სიტყვებში არცთუ იშვიათად დასტურდება ეს მოვლენა, არც ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს ეუცხოება ასეთი რამ, სახელთა მარცვლიანობას, ვფიქრობ, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ისევე როგორც არ ჰქონდა მას მნიშვნელობა ძველი ქართულის საკუთარ სახელებში და არა აქვს ლაზურსა და მეგრულში. მთავარი, ვფიქრობ, ის არის, რომ ყველა ეს სიტყვა (ახალი ქართულის შესიტყვებებში) ხმოვანფუძიანი სახელია¹¹².

¹¹¹ ძველიქართულისებური ეთარება ზოგჯერ ახალ ქართულშიც დასტურდება მაგ., დურმიშხანი იყო ძე ადამ და ევასი (დ. ჭონქ. 431₁₄); თუნდა რომ ვაიისა და ქალის შუა ადამ და ევას ჩამომავლობის მეტი ნათესაობა არა ყოფილიყო რა (ე. გაბ. 528₁₅); ებიე შენ ადამ და ევას კეალი (პ. კაკაბ., ქარიშხ. 36₁₃).

¹¹² ქართულის და-კავშირიან სახელურ ჯგუფში წინა წევრის უბრუნველობა

რა აქვს საერთო ძველი ქართულის საკუთარსა და ახალი ქართულის ხმოვანფუძიან სახელებს ლაზურ-მეგრულის სახელებთან? საერთოა ის, რომ მათ ყველას სახელობითის ფორმა და ფუძე ერთნაირი აქვთ.

თანწყობით სახელურ ჯგუფში პირველი წევრის უბრუნველობას საფუძვლად ის უნდა ედოს, რომ სახელობითი, **ე. ი.** ისეთი ფორმა, რომელიც საგნის სახელწოდებას გამოხატავს¹¹³, ფუძედ იქნა გააზრიანებული (სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძის კუთვნილებად იქნა გაგებული) და ირიბ ბრუნვებში ეს ფუძე იქნა გადატანილი.

ბ. მარმა ლაზურის და-კავშირიან თანწყობით შესიტყვებაში პირველი წევრის უბრუნველობა იმავე რიგის მოვლენად მიიჩნია, როგორისაც არის მსაზღვრელის უბრუნველობა საზღვრულის წინ: «Слова в предложении воспринимаются как нераздельные части целого, и посему [...] существительные, соединенные союзом **დო** и, воспринимаются как одно целое и потому склоняется последнее из них, а предшествующее и в неоформленном виде воспринимается как поставленное в падеже последнего слова: **დო**ული **დო** ზურნათე барабаном и зурной. На этом основано и то, что прилагательные и местоимения, когда они предшествуют определяемому слову в качестве определительных, не изменяются: склоняется одно заключительное слово» (Март 1910, 76).

ბ. მარის მოსაზრება მართებულია. მართლაც, მსაზღვრელ-საზღვრულში (თუ საზღვრულ-მსაზღვრელში) პირველი წევრის უბრუნველობა ქართულშიც (ძველშიც, ახალშიც) სწორედ იმ

სხვა რამეშიც იწენს თავს: როცა პირველი წევრი კუთვნილებითი ნაცვალსახელია, იგი ხშირად შესაბამისი პირის ნაცვალსახელითაა შეცვლილი. მაგ., სანამდის **მე** და **დეგთა** ეარჯიშს ნახეიდგო (რუსუდ. 281₃₂); **მე** და **შენ** შუა არის ერთი ყვითელი კლდე (რუსუდ. 258₁₂); **შდრ.** **მე**მსა და **შენ**ს შუა (რუსუდ. 283₂); **მე** და **შენ**ს მეტი ხომ არაეინ არისო (რუსუდ. 177₄; ხელნ. В С); თქვენ უნდა ჰქმნათ **მე** და **ამის** სამართალი (თეიმ. II, 183₂₆); თორემ **მე** და **შენ**ს ცოლქმრობა აღარ იქნება (თეიმ. II, 177₉); თუ რამ სასამართლო საქმე **მე** და **თქვენ**ს შუა იქნება (იმერ.-გურ. 134₃₁); ის საქმე **მე** და **დეგთ**ს მეტმა არაეინ იცოდა (დ. ჭონქ. 461₃₀); გულზე ემჩნეა ნიშანი **მე-დ** იმის ბრძოლის წამისა (ეაჟა, 149₂₀); თუ **მე** და **მაროს** გაყრაც შეიძლება (ე. გაბ. 531₄); დღეს **შენ** და **ხამსონის** წყალობით სამართალი ვეღარ ჭრის სამართალს (გ. წერ. 271₃₁).

¹¹³ „სახელობით ბრუნვას ბრუნვათა შორის პირველი ადგილი უკავია, როგორც საგნის სახელწოდების გამომხატველ ფორმას“ (კიხირია 1956, 362).

რიგის სახელებში დასტურდება, რა რიგის სახელებიც არ იცვლება ბრუნვის მიხედვით თანწყობით სახელურ ჯგუფში: ახალ ქართულში ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი არ იბრუნვის საზღვრულის წინ (ფართო ველმა, ფართო ველს, ფართო ველის...), ძველ ქართულში (ახალშიც) საზღვრულ-მსაზღვრელის პირველი წვერი არ იცვლება, თუკი საკუთარი სახელია (პეროდე მეფესა, პეროდე მეფისა, პეროდე მეფითა... თამარ მეფემ, თამარ მეფეს, თამარ მეფის...).

თანწყობითი სახელური ჯგუფისა და მსაზღვრელ-საზღვრულის (§ საზღვრულ-მსაზღვრელის) ერთგვაროვანი ქცევა თანხმოვანფუძიან სახელებშიც შეინიშნება ქართულში. როგორც ვიცით, ახალ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის დროს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელი მხოლოდ სამ ბრუნვაშია (სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში) სრულად შეთანხმებული საზღვრულთან. სხვა ბრუნვებში სრული შეთანხმება არა გვაქვს, სახელდობრ, მიცემითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკეცილია და ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი (დიდ სახლს, დიდ სახლად), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი -ის, -ით ბრუნვის ნიშანთა ნაცვლად -ო დაბოლოება გვაქვს (დიდ-ო სახლის, დიდ-ო სახლით). სპორადულად ანალოგიური მოვლენა დასტურდება თანწყობითს სახელურ ჯგუფშიც. მაგ, პირველ წვერს ბრუნვის ნიშანი მოკეცილი აქვს და ნულოვანი ალომორფით არის შეწყობილი მიცემითში დასმულ მეორე წვერთან:

შენ, კარისა ჩვენისა მწირველს წერეთელს მღვდელს სვიმონს და შენს შვილ¹¹⁴ და მომავალს (იმერ-გურ. 98); როდესაც დიამბეგ და ნამადნიკს უსულოდ შეეძლოთ (ა. ყაზბ. 157გ); ხუთ უღელ ხარ და კამეგში გამოგარჩიე, ლომაო (ხალხ. 187ა).

თანწყობითი შესიტყვების პირველ წვერს, ნათესაობითისა და მოქმედებითის -ის და -ით ნიშნის ნაცვლად, -ო დაბოლოება აქვს დართული:

მას გაახსენდა თავისი მული და დედამთილის სიტყვები (ე. ნინ. 95); ჩხაგილი¹¹⁵ და კნაგილით მასპინძელთა გული შეეჭირვებინათ (საბა, II, 93II). ანალოგია ამით როდი ამოიწურება. ცნობილია, რომ ახალ

¹¹⁴ გამოცემაში მიცემითის ნიშანი დამატებულია: შეილ[ს] და მომავალს.

¹¹⁵ გამოცემაში მოქმედებითისეული * დამატებულია: ჩხაგილი¹¹⁵ და კნაგილით.

ქართულში მოქმედებითში დასმულ საზღვრულს შეიძლება ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი შეეწყოს (დიდ-ის სახლით), ვითარებითში დასმულ საზღვრულს კი – მიცემითში დასმული მსაზღვრელი (დიდ-ს სახლად). საინტერესოა, რომ მსგავსი მოვლენა – ნათესაობითისა და მოქმედებითის, მიცემითისა და ვითარებითის შეწყობა – თანწყობით სახელურ ჯგუფშიც დასტურდება. შდრ.:

ოქროსა და ვერცხლითა იყო აგებული (შაჰნამე, II, 399₁); მე დონ კიხოტის თავადასაეაღს გთავაზობ მთლიანად, ჩემი გმირის გარდაცვალებასა და დაკრძალვამდე (ნ. ავალ., 9₁₂).

თანწყობითი სახელური ჯგუფი და მსაზღვრელ-საზღვრული (|| საზღვრულ-მსაზღვრელი) ერთი რიგის შესიტყვებებს წარმოადგენენ; ერთი რიგისას იმ თვალსაზრისით, რომ ცვლილების ერთნაირი ტენდენცია ახასიათებთ – ტენდენცია გამარტივებისა, პირველი წვერის გაცვეთისა, უბრუნველობისა (= ბრუნვის ნიშნის ნულოვანი ალომორფით წარმოდგენისა). და ეს ტენდენცია საერთოა ლაზურ-მეგრულისა და ქართულისათვის.

4. 3. სახელზმნური შესიტყვება. ქართულში ზმნური შესიტყვების სახელზმნურ შესიტყვებად (ე. ი. წამყვან, მთავარ წვერად მასდარის ან მიმღეობის მქონე შესიტყვებად) გადაკეთების შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი მსაზღვრელად იქცევა (ატრიბუტულად ან სუბსტანტიურად), ირიბი ობიექტი კი თვის-თანდებუდიან ნათესაობითში დაისმის. რაც შეეხება უბრალო დამატებასა და გარემოებებს, ისინი ცვლილებას არ განიცდიან.

ანალოგიური ცვლილება მოსდის ზმნურ შესიტყვებას სახელზმნურად გარდაქმნისას მეგრულსა და ლაზურში: პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი მსაზღვრელად იქცევა, ირიბი ობიექტი კი მიმართულებითი (ან დანიშნულებითი) ბრუნვის ფორმით გვევლინება.

როგორც ვხედავთ, სახელზმნები, რომლებიც თავისებური ბუნების სიტყვებია – სახელის ნიშნებიცა აქვთ და ზმნისაც (ან, როგორც ამბობენ, სახელისა და ზმნის შუალედური ფორმებია), მათთან დაკავშირებულ სიტყვებთან ავლენენ როგორც სახელურ, ისე ზმნურ სინტაქსურ ძალას (შდრ., ერთი მხრივ, შეთანხმება და სახელური მართვა, მეორე მხრივ, ზმნური მართვა და მირთვა).

ამასთან ერთად, ლაზურში სახელზმნამ მასთან დაკავშირებული სიტყვები შეიძლება იმავე ფორმითაც შეიწყოს, როგორც შესაბამისმა ზმნამ, ე. ი. სახელზმნამ ზმნური სინტაქსური ძალა გამოავლინოს. მაგ.,

ა) პირდაპირისებრი დამატება სახელობითშია:

არ კონი დოლოქუნუ ოჭუშენი თერზიშა ქომეხოუ (ჩიქ. I, 17₂) „ერთი კაცი ტანსაცმლის („ტანსაცმელი“) შესაკერად თერძთან მივიდა“; მამუდიქ დიშქა ოკვათუხ ქოგოჭკუ (ჩიქ. I, 43₃) „მამუდმა შეშის ჭრა („შეშა ჭრას“) დაიწყო“; ჯოლოფყე ბიგათენ ობახუს ქოგოჭკუ (ჩიქ. I, 26₆) „ძაღლების („ძაღლები“) ჯოხით ცემა („ცემას“) დაიწყო“; არ აუჯი ჯოლორის ტავშანი ექოლენ გამაყონუ უნტუ (ჩიქ. I, 73₃₀) „ერთ მონადირე ძაღლს კურდღლის („კურდღელი“) იქიდან გამოყვანა უნდოდა“; კუჩხე წკართე ოშუგუ გოჭკონდუ (დიუმ. I, 51₂₅) „ფეხის („ფეხი“) წყლით დასველება დააეწყა“; დიკაფე კიკილითე ოკორობუს ქოგ'ოჭკუ (დიუმ. I, 57₁₉) „ხორბლის („ხორბალი“) ნისკარტით კენკა („შეგროვებას“) დაიწყო“; ლაზუტი ოხოიშა მოშაღუ ვა ნაჭიშინენან (კარტ. I, 30₂₈) „სიმინდის („სიმინდი“) შინ მოტანა ვერ მოუსწრიათ“.

დიშქა ოკვათაღე არგუნი ქეზღუ დო მთუთის თის გამოჯინუ (ჩიქ. I, 43₇) „შეშის („შეშა“) საჭრელი ნაჯახი აიღო და დათეს თავში დაქკრა“; სი ოხოო მკიდაღე კონის ქერემიდი ფართე გიღათ, ეშო იყვენ-ი? (ჩიქ. I, 146₄) „შენ, სახლის („სახლი“) მაშენებელ კაცს, კრამიტი რომ ფულით წავიღოთ, ეს („ისე“) იქნება?“.

ბ) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის შესაბამისი უბრალო დამატება სახელობითშია:

ჯუშაღეფე-მუში მესთიმაფაშა ზიტა ბიჭიქ მაწკინდი ქამეწკუ დო ოხოიშა ქომულუ (კარტ. I, 41₁₄) „თავისი ძმების („ძმები“) მისვლამდე უმცროსმა ვაჟმა ბეჭედი ჩამოხსნა და შინ მოიტანა“; მაჭანკაღეფე მესთიმაფაშა სუმითი ოდას გიყოუნტას (კარტ. I, 54₃₀) „მაჭანკლების („მაჭანკლები“) მოსვლამდე სამივე ოთახში გყავდეს“; დუმანი გამახთიმუშენი ბაჯას ღორმაფე უღუნ (ჩიქ. I, 148₃) „კვამლის („კვამლი“) გამოსასვლელად მიღს ხერელები აქვს“.

გ) ირიბისებრი უბრალო დამატება მიცემითშია:

სქანი დიდი ჯუშახ სქანი ხატიშენი თი მეკვათუ ვარ მინონ (კარტ. I, 43₃₄) „შენი უფროსი ძმისათვის („შენს უფროს ძმას“) შენი ხათრით თავის („თავი“) მოკვეთა არ მინდა“; სქანი კულანია ბიჭი-ჭქიშის მეჩამუ მინონდა (კარტ. I, 52₂₉) „შენი ქალიშვილის („ქალიშვილი“) ჩემი ვაჟისათვის („ჩემს ვაჟს“) მითხოვება („მიცემა“) მინდაო“; ია დუნდაგიუზელი დიფეფხე გოწაყონუშენი არ ფათიშანის მუში ასქეი ექ დეაყეილუ (კარტ. II, 20₁₉) „იმ მზეთუნახავის („ის მზეთუნახავი“) დევებისთვის წართმევაში („დევებს წართმევისათვის“) ერთ ხელმწიფეს თავისი ლაშქარი იქ დაეხოცა“.

დოლოქუნუ ოჭუ, დიშქა ოკვათუ და მსგავს შესიტყვებებში რომ სახელობითში დასმული უბრალო დამატებები გვაქვს და არა ნათესაობითის ნულ-ალომორფიანი მსაზღვრელები, ე. ი.

საზღვრულის წინ მდგომი მსაზღვრელის გაცვეთასთან, მის მიერ ნათესაობითის დაბოლოების დაკარგვასთან (დოლოქუნუ < დოლოქუნუშ, დიშქა < დიშქაშ) რომ არა გვაქვს საქმე, ამაზე ისეთი მაგალითები მიუთითებს, სადაც უბრალო დამატება უშუალოდ კი არ უძღვის სახელზმნას, არამედ გათიშულია მისგან რაიმე სიტყვით (სახელით, ზმნისართით), მაგრამ მაინც სახელობითის ფორმით არის წარმოდგენილი. შდრ. ზემოთ მოყვანილი შესიტყვებები: **ჯოლოფეფე ბიგათენ ობახუ „ძაღლები ჯოხით ცემა“**, **ტაფშანი ექოლენ გამაყონუ „კურდღელი იქიდან გამოყვანა“**, **კუჩხე წკართე ოშუგუ „ფეხი წყლით დასველება“**, **დიკაფე კიკილითე ოკორობუ „ხორბალი ნისკარტით აკენკეა“**, **ლაზუტი ოხოშია მომალუ „სიმინდი შინ მოტანა“**¹¹⁶. სახელზმნასთან შეწყობილი სახელი სახელობით ბრუნვაშია მაშინაც, როცა ფრაზაში ინვერსიული წყობა გვაქვს: **ჯერ სახელზმნაა და შემდეგ – მისგან სხვა სიტყვებით გათიშული სახელი**. შდრ.

ოსმანის ოკითხუ უნტუ ემ კოჩეფეში სერ გოხთიმუშ ამბაი (ჩიქ. I, 46₁₁) „ოსმანს იმ კაცების ღამე სიარულის ამბის კითხვა უნდოდა („ოსმანს კითხვა უნდოდა იმ კაცების ღამე სიარულის ამბაი“); გირმა კოჩის უნტუ ოილუ ჟურ ბერეში ბაბა (კარტ. I, 170₁₇₋₁₈) „ტიყისკაცს ორი ბაეშეის მამის მოკელა უნდოდა („ტიყისკაცს უნდოდა მოკელა ორი ბაეშეის მამა“).

შდრ. ინგილოურში აზერბაიჯანული ენის გავლენით წარმოქმნილი სიახლე – ნაზმნარ სახელს უბრალო დამატება სახელობითის ფორმით შეეწყობა¹¹⁷. ლაზურის მსგავსად, ინგილოურშიც სახელობითში დგას ნაზმნარი სახელისაგან სხვა სიტყვით გათიშული უბრალო დამატება. მაგ., **შენ თაფ შინ განაშომ არა ვარ**. ძიძიგ. 88₁₄.

ლაზურ სახელზმნურ შესიტყვებებში იმავე სინტაქსური კონსტრუქციის არსებობა, რაც ზმნურ შესიტყვებაში გვაქვს (**ლაზუტი მუღუ – ლაზუტი მომალუ „სიმინდი მოიტანა – სიმინდი მოტანა“**, **დიშქა დოკვათუ – დიშქა ოკვათალე „შეშა დაჭრა – შეშა საჭრელი“**, **დუმანი გამახთუ – დუმანი გამახთიმუ „კვამლი გამოვიდა – კვამლი გამოსვლა“**), გვიანდელი მოვლენა ჩანს და თურ-

¹¹⁶ აქ წარმოდგენილი ზოგი მოსაზრება ჩემს ხელნაწერ შრომაზე მითითებით მოყვანილი აქვს დ. ჩხუბიანიშვილს (იხ. ჩხუბიანიშვილი 1972, 132).

¹¹⁷ შდრ. იმნაიშვილი 1959, 183–184; 1966, 138–139. ავტორის აზრით, **პურ ჭმაჲ, კაც შოკლჷჲ** და მსგავს შესიტყვებებში ნაზმნარ სახელზეთან შეწყობილი სახელები – **პურ, კაც**... – ბრუნვისნიშანმოკვეცილ ნათესაობითს წარმოადგენენ და არა სახელობითს.

ქული ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

თუ ლაზურში სახელზმნის ზმნური სინტაქსური ძალაა გაზრდილი, მეგრულში საპირისპირო ტენდენციაა მკვეთრად გამოხატული: სახელური სინტაქსური ძალაა გაზრდილი. აქ სახელზმნასთან არა მარტო პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი იქცევა მსაზღვრელ სახელად, არამედ ირიბი ობიექტი, უბრალო დამატება და გარემოებაც. მაგ.,

1) ირიბისებრი უბრალო დამატება ნათესაობითშია:

თე ოსურცუ, მუჟამც სქუა ქააშიიდგ ნი, იში კოშიში ძიჩაფა ვა აკოდგ (ყიფ. მეგრ. 5526) „ამ ქალს, როცა შეილი ეყოლებოდა, მისი კაცისათვის („კაცის“) ჩვენება არ უნდოდა“; ჯაში დუდიში მოგამუშა მიდართასგ ნი, თიწკემა ათე პლატოკი ჟი ქემნაყლოთი ღურელცგ ჩხეინდი დო პიცგ (ყიფ. მეგრ. 8620) „ხისთვის („ხის“) თავის მისარტყმელად რომ წავა, მაშინ ეს ცხვირსახოცი ზედ დაუგდე მიცვალებულს სახეზე („ცხვირსა და პირზე“)“.

2) ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი უბრალო დამატება სახელზმნასთან ნათესაობითშია:

ქოძირგ ხოლო პაპა წყაჩიშ შოლიჩი (ხუბ. 2281) „ნახა კიდევ მღვდელი წყლით („წყლის“) დასველებული“; ქოძირგ, ტყასგ ართი ხიჩმაში გონწყიილი კონი ქიძთორე ნი (ყიფ. მეგრ. 7024) „ნახა, რომ ტყეში ერთი სირბით მორთული („სირბის გაწყობილი“) კაცია“.

3) ზმნა-შემასმენელთან შეწყობილი გარემოება სახელზმნასთან მსაზღვრელია:

ათე ცირას ეწყინგ თეშ თაქიან ძიჩაფაქ (ხუბ. 1473) „ამ გოგოს ეწყინა ამისი აქ („აქაური“) ნახვა“; თეურენ მაულარ ეორეთ ჩქგ (ხუბ. 2702) „იქით („იქითური“) მიმავლები ვართ ჩვენ“; წყაჩიშ შქვიდაშ ბედი ქიმეფჩათია (ხუბ. 1354) „წყალში („წყლის“) დახრჩობის ბედი მიეცეთო“; ძღაბიქ ქემოხვადგ, მუში წოხოლენი წყარ-პიჯიში განაჩინგბუქ (ხუბ. 2157) „გოგო შეხედა წინაზე („წინანდელი“) წყლისპირას („წყლისპირის“) მისი გაცნობილი“; ჭუმენერი დო გედანიში ულაშენი ვარია ქარაგადაფუ (ხუბ. 362) „ხეალ და ზეგ („ხეალინდელი და ზეგის“) წასვლაზე უარი ათქმევინა“.

სახელურ შესიტყვებაში წამყვანი წევრის (მასდარის, მიმღეობის) სახელური სინტაქსური ძალის გაზრდის ტენდენცია ქართული სათავისათვისაც არ არის უცხო. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითი, სადაც ნაირიბალი უბრალო დამატება, თვის-თანდებულისანი ნათესაობითის ნაცვლად, უთანდებულო ნათესაობითშია დასმული, ე. ი. მსაზღვრელ სახელს წარმოადგენს:

ლეილის დედისაგან მაჯუნის გამეღავნება ლეილის სიკვდილისა. თეიმ. I, 53, 216. მაჯუნის = მაჯუნისთვის.

კაცის კეთილის მიმცემი იგ არის, ჩვენი მკსნელია. შანამე, II, 5493. კაცის = კაცისთვის.

ღმთის მადლის მიცემა. რუსუდ. 203, 263, 264. ღმთის = ღმთისათვის.
მტერთაგან მეფის ვახტანგის ყვენთან შესმენა და ყვეენისაგან ქართლის
წართმევა და კახის ბატონის მიცემა. გურამ. 57, 217. კახის ბატონის = კახის
ბატონისათვის.

ერთ დღეს ბატონებმა დავით გურამიშვილის ხალათის ბოძება განიძრა-
ხეს. გურამ. 152. დავით გურამიშვილის = დავით გურამიშვილისთვის.

ერთმა მოხუცმა თავგმა იკითხა: — აბა, თქვენში ვინ იკისრებს კატის
ეუენის შებმას? გოგებ. 15₁₃. კატის = კატისათვის.

თუ ირიბი ობიექტი პირის ნაცვალსახელით არის გამოხატული,
ნაირიბალი უბრალო დამატება, თვის-თანდებულებიანი ნათესაო-
ბითის ნაცვლად, შეიძლება სახელზმნასთან შეთანხმებულ ატრი-
ბუტულ მსაზღვრელად იქცეს:

მეფემ მისი თავის წარკვეთა ბრძანა. საბა, I, 106₂. მისი = მისთვის.

თუ კუდი ხელთ არ მეჭიროს, შენს მტერის მოღენას მაშინ ნახავო! საბა,
I, 157₁₁. შენს = შენთვის.

ნაზმნარ სახელთა მიერ სახელური სინტაქსური ძალის
მომატება საერთო ქართულ-ზანური მოვლენა ჩანს. ის ლაზურის-
თვისაც დამახასიათებელი ტენდენცია უნდა ყოფილიყო, რომელიც
თურქული ენის გავლენით შეიცვალა საპირისპირო ტენდენციით
— ზმნური სინტაქსური ძალის გაზრდით. ამას მოწმობს „სავსე“
მიმღეობის შემცველ სამწევრა სახელური შესიტყვების ვარიანტუ-
ლი კონსტრუქციების ანალიზი.

სამწევრა სახელურ შესიტყვებაში, სადაც კონსტრუქციის
ბირთვის, ე. ი. მთავარი წევრის (საზღვრულის) სატელიტად
(მსაზღვრელად) უბრალოდამატებიანი „სავსე“ მიმღეობა გვაქვს,
საზღვრული სათავისის აღმნიშვნელი სიტყვაა, უბრალო დამატება —
ამავსებლისა. შდრ. ქართ. წყლით სავსე ჭიქა, მეგრ. თხოლოთ
ფეშა გუდა „თხლით სავსე გუდა“, ლაზ. ყვალითენ მოფშა გუდა
„ყველით სავსე გუდა“.

სავსე მიმღეობა ქართულში შეიძლება პრევერბითაც იყოს
წარმოდგენილი. შდრ. აღსავსე, განსავსე. მეგრულში კი ე- პრე-
ვერბს სხვა პრევერბებიც ენაცვლება: აღა-, გო-, მო-. მაგ.,

ენდოვითი კონი ვორეთ, აღაფშარე ლაფარეფი (ხუბ. 358₉) „ოცდაათი
კაცი ვართ, სავსეა ლაფაროები“; ართო მუნტურიშ გოფშა ქორე (ხუბ. 140₂)
„ერთიანად მატლით გავსებულია“; კონიში დუდითჲ მობშა მაფუ ოზეში
მასარეფია (ყიფ. მეგრ. 75₁) „კაცის თავით სავსე მაქვს ეზოს მესრებო“.

ლაზურის დასავლურ კილოებში (ათინურ-ართაშენულსა და
ვიწურ-არქაბულში) ოფშა ფორმა გვაქვს, აღმოსავლურში (ხოფურ-
ჩხალურში) — მოფშა.

მიმღეობისეული უბრალო დამატება მოქმედებითი ბრუნვის პარალელურად ნათესაობითის ფორმით გეხვდება მეგრულში, ლაზურში კი სახელობით ბრუნვაში დგას. შდრ.

მეგრ.: მარანს დიდი-დიდი ლაგვანფი რღვ ღვინოში ვფშა (ყიფ. მეგრ. 202) „მარანში დიდ-დიდი ქვეერები იყო ღვინით („ღვინის“) სავსე“; ქობირჯ, ოსურცვ ხუცვ ფოხალი წყაროში ვფშა ქიკლაადგვ ნი (ყიფ. მეგრ. 842) „ღაინახა, რომ ქალს მხარზე წყლით („წყლის“) სავსე კოკა უდგას; ქობირჯ ართი ოსური, ნამუსუთი კოკა წყაროში ვფშა ხუჯის კვლადგვნი (ხუბ. 1773) „ღაინახა ერთი ქალი, რომელსაც წყლით („წყლის“) სავსე კოკა ედგა („უდგას“) მხარზე“; მოღართვ დო ქემქედვართვ ბჟაში ვფშა ქეაბის (ხუბ. 66) „წამოვიდა და დადგა რძით („რძის“) სავსე ქეაბთან“; მინდორი ართო ზინიფოში ვფშა ქორე (ხუბ. 912) „მინდორი ერთიანად გლახებით არის სავსე („გლახების სავსე არის“)“; ართო მუნტუოში გოფშა ქორე (ხუბ. 1402) „ერთიანად მატლით (მატლის) გავსებულია“.

ლაზ.: არ ტასის, შჟა ოფშა ტასის, ჟურ თანე მაი უკაუდონ (კარტ. II, 1636) „ერთ თასში, რძით („რძე“) სავსე თასში, ორი ბაყაყი ჩამხტარა“.

უბრალო დამატების ბრუნვად მოქმედებითის ნაცვლად ნათესაობითის (მეგრულში) და სახელობითის (ლაზურში) წარმოჩენა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზანურ ენებში სახელზმნური შესიტყვებისათვის დამახასიათებელ ურთიერთსაპირისპირო ტენდენციათა რეალიზაციის შედეგია.

„სავსე“ მიმღეობის შემცველ ლაზურ შესიტყვებაში უბრალო დამატება (ამავსებლის აღმნიშვნელი სიტყვა), მოქმედებითის ნაცვლად, სახელობითში რომ დგას, ვფიქრობ, ზემოთ გამოთქმული ვარაუდის დამადასტურებელია: ლაზურსაც გამოვლილი აქვს მეგრულიათვის დამახასიათებელი გარდაქმნა – სახელზმნურ შესიტყვებაში უბრალო დამატების (მოქმედებითში დასმული სახელის) მსაზღვრელ სახელად ქცევა. მოქმედებითში დასმული უბრალო დამატება ისტორიულად ლაზურშიც სუბსტანტიურ (ნათესაობითში დასმულ) მსაზღვრელად გვევლინებოდა, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ადგილი ექნებოდა გადასვლას: შჟათე(ნ) ოფშა „რძით სავსე“ > შჟაში ოფშა „რძის სავსე“¹¹⁸. და

¹¹⁸ ტექსტებში დასტურდება კიდევ ასეთი კონსტრუქცია: ფარაში ოფშა რენ ჯამადანი (ჟღ. 10519) „ფულით („ფულის“) სავსე არის ჩემოდანი“; გონწიქუ დუქიანფეფ. ართელის იოფშა ენ ოჭკომუში გიადეფე, მაჟუა ოჯონი (ოჯუში) შალიში იოფშა ენ, შანთაფთურაში იოფშა ენ, მასუმანი ჰეი შალიში იოფშა ენ (კარტ. II, 4033-36) „გახსნა დუქნები. ერთში სავსეა საჭმელები, მეორე შესაკერი საქონლითაა სავსე („შესაკერი საქონლის სავსეა“), მანუფაქტურით არის სავსე („მანუფაქტურის სავსეა“), მესამე შეკერილი საქონლით არის სავსე

მხოლოდ ამ საფეხურის გაელის შემდეგ უნდა მომხდარიყო გადასვლა: მუაში ოფშა „რძის საესე“ > მუა ოფშა „რძე საესე“ (შდრ. დიშქაში ოკვათაღე „შეშის საჭრელი“ > დიშქა ოკვათაღე „შეშა საჭრელი“, ოხორიში მკიდაღე „სახლის მაშენებელი“ > ოხორი მკიდაღე „სახლი მაშენებელი“).

„საესე“ მიმღეობის შემცველი სამწვერა შესიტყვება სხვა მხრივაც იქცეეს ყურადღებას: იგი ვარიანტული სახითაც გეხვდება. მასში სათაესისა და ამავსებლის გამომხატველ სახელებს სინტაქსური ფუნქცია შენაცვლებული აქეთ: სათაესი უბრალო დამატებითაა გამოხატული, ამავსებელი კი – საზღერულით. მეგრულსა და ლაზურში ეს შებრუნებული კონსტრუქცია ჩვეულებრივია და გამოქვეყნებულ ტექსტებში საკმაოდ დასტურდება. მაგ.,

მეგრ.: თქეიის: „ათე წყარი ჭე მიღებლათია“. გეშეედეს სათითოში ეფშა დო მიღეეჯუმეს (ცაგ. 24გ) „თქეეს: „ეს წყალი ცოტა წაეიღოთო“. ამოიღეს სათითოთ („სათითის“) საესე და წაიძღვანეს“; უჩაში ნოსასჯ თხუუ: „ართი ჭურაში ეფშა ჭეორის ქომუჩია“ (ყიფ. მეგრ. 40ჯ) „უფროს რძალს სთხოვა: „ერთი ფქვილით საესე აყირო („აყიროს საესე ფქვილი“) მომეციო“; ქღეკინჯ ართი ჭყინტ ევალი, ართი ტუტულაშ ეფშა ჭეორი დო ართი ოღგიში (ხუბ. 79ჯ) „დაიკავა ერთი ჭყინტი ყველი, ერთი ფქვილით საესე აყირო („აყიროს საესე ფქვილი“) და ერთი სადგისი“; ქუღტუტუ სუმი ლაგგანოშ ეფშა ფარა ორდალო (ხუბ. 283გ) „დაუტოვა სამი ქვეერი ფული („სამი ქვეერის საესე ფული“) გასაზრდელად“; მიდგავა მა დემოგურუანსია ჭარუა-კითხირსიე, ლაგგანოშ ეფშა ფარას მეფჩანქია (ხუბ. 283გ) „ეინცო მე მასწავლისო წერა-კითხეასო, ფულით საესე ქვეერს („ქვეერის საესე ფულს“) მიეცემო“; ქოფოფე ართი ლალიერი კოჩი, ნამუსით ნოღეე სუმი საკოში ეფშა ფარა (ყიფ. მეგრ. 7) „ყოფილა ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ქქონია ფულით საესე სამი ტომარა („სამი ტომრის საესე ფული“); ვით ბოჭკაში ეფშა ღვინო, თიში დიდი ყანწეფია (გუდ. 18ჯ) „ღვინით საესე ათი კასრი („ათი კასრის საესე ღვინო“), მისი დიდი ყანწებო“.

ლაზ.: მთუგის უწვერენან-ქი „ენა რე მადარაშენ გამახთი დო ჭიტა ექოლენი მადარას ქომეახთი, ედო არ გუდათე იოფშა ყვალო¹¹⁹ ქომექჩაფთ“-მა,

(„შეკერილი საქონლის საესეა“). როგორც ვხედავთ, მეგრულისებური სამწვერა შესიტყვებები გვაქეს (ფარაში ოფშა ჯამადანი, მალიში იოფშა დუქმანი, მანთიქათურაში იოფშა დუქმანი), მაგრამ, რადგან დღეევანდელი ლაზურისათვის აზგვარი კონსტრუქცია, საერთოდ, უცხოა, ხომ არ არის ეს მოვლენა ცალკეულ მთქმელთა მეტყველებაზე მეგრული ენის გაელენის შედეგი?

¹¹⁹ დაბეჭდილია: „არ გუდათე, იოფშა ყვალი“. ახლავს გამომცემლის შენიშვნა: „უნდა: „არ გუდა, ყვალითენ იოფშა“... ანდა: „არ გუდა ყვალი“...“ სინამდელიეში, ტექსტის დასაწუნი არა სჭირს რა, უბრალოდ, სასეენი ნიშანია ცუდად დასმული: მძიმე აქ საჭირო არ არის; მთქმელი ჯერ

უნვეს (ჩიქ. I, 21₂₁) „თაგვისთვის უთქვამთ: „იმ („რომ ხარ“) სოროდან გამოდი და ცოლა იქითა სოროში შედი და ერთ გულა ყველს („ერთ გულთი სავესე ყველს“) მოგცემით, უთხრეს“; მა მუშენი არ გულა იოფშა ყვადი მომჩაფან? (ჩიქ. I, 21₂₄) „მე ერთ გულა ყველს („ერთ გულა სავესე ყველს“) რატომ მაძღვეენ?“; პექ პენთეფეს უღუტეს ალთუნნიში ფაჩა არ ჭუვადიოფ ოფშა (ჟღ. 144₃₅) „იქ მათ ჰქონდათ ოქროს ფულით სავესე პარკი („ოქროს ფული ერთი პარკით სავესე“)“; ალიქ ლეტას არ ჭიტა ჭუვადი იოფშა ფაა ქოძიუ (ჩიქ. I, 83₁₂) „ალიმ მიწაზე ერთი ფულით სავესე პატარა პარკი („ერთი პატარა პარკი სავესე ფული“) იპოვა“; არ ქიუფი ოფშა ალთუნი ქოგამილუ (ჟღ. 119₉) „ოქროთი სავესე ერთი ქვეერი („ერთი ქვეერი სავესე ოქრო“) გამოიტანა“; პა ქიუფი ოფშა ალთუნი მექიარე (ჟღ. 119₁₁) „ამ ოქროთი სავესე ქვეერს („ამ ქვეერ სავესე ოქროს“) მოგცემ“; არ ქიუფი იოფშა ღირა (კარტ. I, 134₂, 134₃–135₁, 135₁₃) „ღირით სავესე ერთი ქვეერი („ერთი ქვეერი სავესე ღირა“)“; კახაფე იოფშა ღირაფე, დიდო კონაღეფე, მერეფე, არაბაფე, ჭაითონეფე, ოფთომობილეფე მიყოუნტუკონ, ემ ვახთის სი პირ ვარ ინალიშეპტი (ჩიქ. I, 63₃) „ღირებით სავესე საღაროები („საღაროები სავესე ღირები“), ბეერი შენობა, მიწები, ურმები, ფაიტონები, აეტომობილეები რომ მეოლოდა, მაშინ შენ სულ არ იმუშავებდი“; ნანა გიშერა ოხოის ტუ. ბუძეფე იოფშა შვა ბერე მუშის ქუშინახერეტუ (ჩიქ. I, 101₂₈) „დედა გიშერა შინ იყო. რით სავესე ძუძუები („ძუძუები სავესე რქე“) თავისი შეიღისათვის შეენახა“; სუმ ბოჭკა ოფშა ოფურე უღუტეს (ჟღ. 152₂₈) „სამი კასრი თაფლი („სამი კასრი სავესე თაფლი“) ჰქონდათ“.

შებრუნებული კონსტრუქცია დასტურდება ქართულშიც. შდრ.

ჯამით სავესე ღვინო მისცა: ესე შესვიო. შაჰნამე, III, 322₂₇; ბერმან მიიპატიჟა და დაუგო სანოვაგე, და მერე მისცა ტაქნითა ხავსე ღვინო და პრქვა: უნდა შესვათ ღვინო ესე განათლების მინისტრის სადღეგრძელოდო. კალმას. II, 239₁₆; ესრეთ განრისხდა, რომ თვალეები თახითა ხავსე სისხლს დაემსგავსა. ყარამ. 407₁₈; ღმრთის წინაშე, ამაებს გარდა, ესეც გვახსოვს, რომ ერთის მოდიდოს ყუთით ხავსე სულ თავისი საოჯახო ბატონებისაგან სახელოებისა, წყალობაებისა და მამა-პაპისა და თავისგან ნასყიდობის სიგლეები და წიგნები ჰქონდა. სამართ. VIII, 392₁₂ [1796 წ.].

განხილული ტიპის შესიტყვების ორი ვარიანტით წარმოდგენა საერთო ქართულ-ზანური მოვლენაა და შეპირობებულია „სავსე“ მიმდგომის შესაბამისი ავსებს/ავსს ზმნის თავისებურებით, პირდაპირ ობიექტად შეიწყოს როგორც სათავსის, ისე ამავსებლის აღმნიშვნელი სახელი. შდრ.

ქართ. ავსებს ჭიქახ/წყაღს, მეგრ. ვთმიოფშანს ლაგვანს/ღვინს „ავსებს ქვეერს/ღვინოს“, ლაზ. იოფშაფს ტახს/შვა „ავსებს თასს/რქეს“.

„შებრუნებულ“ კონსტრუქციას შეეხო ჯ. პიუიტი (პიუიტი 1988,

შესიტყვების ერთ ვარიანტს ხმარობს („გულათე იოფშა ყვადი), შემდეგ კი (იხ. აქვე მომდგენო ფრაზა) – მეორეს („გულა იოფშა ყვადი“).

119–127). ის ყურადღებას ამახვილებს ტ. გუდავას რედაქციით გამოცემულ მეგრულ ლექსებში შეხვედრილ ფრაზაზე – ვით ბოჭკაში ეფშა ღვინი „ათი კასრის სავსე ღვინო“. ავტორი „შებრუნებული“ კონსტრუქციის მხოლოდ ამ მაგალითს იცნობს: „უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცი, რამდენადაა გაერცელებული ეს კონსტრუქცია მეგრულში“-ო, აცხადებს (ჰიუიტი 1988, 122). ავტორის სიტყვით, „აქ საოცარი [ის კი] არ არის, რომ ამავესებელი მასალა (ე. ი. ღვინო) დგას მთელი ფრაზის თავზე, არამედ ის, რომ აესებული სათავსი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვით“ (გვ. 121). ავტორის აზრით, „ეს ჩვენთვის უცნაური კონსტრუქცია – უნდა შემოსულიყო მეგრულში აფხაზურ-ადიღური ენებიდან (სახელდობრ აფხაზურიდან)“ (ჰიუიტი 1988, 123).

როგორც ვნახეთ, „შებრუნებული“ კონსტრუქცია, რომელშიც ბირთვად ამავესებელი გვაქვს, სატელიტის სატელიტად (უბრალო დამატებად) კი – სათავსი, ჩვეულებრივია მეგრულსა და ლაზურში, დასტურდება ქართულშიც. რაც შეეხება იმას, რომ სათავსი (უბრალო დამატება) ნათესაობითშია დასმული, ეს იმავე რიგის მოვლენაა, რაცა გვაქვს კონსტრუქციის პირველ ვარიანტში (რომელშიც ბირთვად სათავსია, უბრალო დამატებად კი – ამავესებელი). უბრალო დამატება აქაც ნათესაობითის ფორმითაა. და როგორც არავინ ლაპარაკობს ამ შემთხვევაში აფხაზური ენის გავლენაზე, ისე არც შებრუნებულ ვარიანტშია საძიებელი აფხაზურის გავლენა. სახელზმნურ შესიტყვებაში უბრალო დამატების ბრუნვად მოქმედებითის ნაცვლად ნათესაობითის ხმარება ქართულ-ზანურისათვის საერთო ენობრივი სიახლის გამოვლინებაა და მეგრულზე აფხაზურის გავლენის ვარაუდი უსაფუძვლოა.

4. 4. **ინვერსიულ ზმნათა სინტაქსის საკითხები.** ქართველურ ენათა გარდამავალ ზმნებს მესამე სერიაში ინვერსია ახასიათებს. ლაზურში (და მეგრულში) ინვერსიულია ზმნის პოტენციალისის ფორმებიც. ო. ურიდიამ მართებულად აღნიშნა, რომ მეგრულში პოტენციალისის გაგება ზმნებს ინვერსიის შედეგად უნდა ჰქონდეთ განვითარებული (ურიდია 1960, 170). იგულისხმება, რომ ის, რაც მეგრულზე ითქვა, ლაზურზეც ვრცელდება. მკვლევარმა მიუთითა, რომ პოტენციალისის ფორმები ანალოგიურია მესამე სერიის მწკრივთა ფორმებისა, მაგრამ მათ შორის განსხვავებას

მაინც ხედავდა. მისი აზრით, მესამე სერიის ფორმები გარდამავალი ზმნებია, პოტენციალისისა კი – გარდაუვალი.

რატომ უნდა ჩაეთვალოთ პოტენციალისის ფორმები გარდაუვლად? ალბათ, იმიტომ, რომ პოტენციალისი ვნებითის ფორმას იყენებს. მაგრამ განა ასევე არ იყენებენ მესამე სერიის მწკრივები სტატიკური ვნებითის ფორმებს?! და თუკი ფორმით გარდაუვალ ზმნებს (უწერია, ეწერა, ეწეროს) ჩვენ მაინც გარდამავლად ვთვლით, ამას იმიტომ ჩავდივართ, რომ ეს ზმნები შინაარსობრივად სხვა გარდამავალ ზმნურ ფორმათა (წერს, წერდა, წერდეს, წერა, წეროს) რიგში დგას. ასევე ორგვარი შინაარსი აქვს ვნებითის ფორმებს ზანურ ვნებში: პირდაპირი და ინვერსიული. ინვერსიული ფორმები შინაარსობრივად გვერდში უდგას პირდაპირი წყობის გარდამავალ ზმნებს. შდრ. ლაზ. გა ჭარუფ/მს, გა ჭარუ „არ წერს, არ (და)წერა“ – გა აჭარუნ, გა აჭარუ „ვერ (და)წერს, ვერ (და)წერა“; მეგრ. გა ჭარუნს, გა ჭარუ – გა აჭარე(ნ), გა აჭარუ.

ლაზურსა და მეგრულში გარდამავალ ზმნათა ყალიბს იყენებენ გარდაუვალი ზმნებიც: ინვერსიული ფორმები მათაც ისევე ეწარმოება, როგორც გარდამავლებს. შდრ.

ლაზ.: არსლანიშ სქირი ხოლო მითის ნა ვარ მეკუხოთმუნ გზას ქოვდვითუ-დორენ (დიუმ. II, 133) „ლომის შვილი კიდევ უვალ („ეინმეს რომ არ «წაუსველია») გზას დაადგა“; ნაკო წანა რენ ვარ ემხოთმუნ (დიუმ. I, 101₂₃) „რამდენი წელია, არ ავსულვარ («არ ამისველია»)“; ჰე ქჩინის ვა მუხოთმუნ (კარტ. 174₁₂) „ის დედაბერი არ მოსულა („იმ დედაბერს არ «მოსველია»)“; სიჯა მუში ქომოხთუ. ბაშკა შეკერიშე (ნოლაშე) უღვაფრტუ. ქომოხთუ (ჩიქ. II, 92₃₁) „მისი სიძე მოვიდა. სხვა ქალაქში წასულიყო («ესვლო») მოვიდა“; ამსერ ოხოროშა ვარ შაღახენ (დიუმ I, 27₁₁) „ამაღამ შინ ვერ წაველ («არ მესვლება»)“; სქირი ჩქიმი, მა (არ) ჩქვა ტახტის ვარ გელემახუნენ (დიუმ. I, 47₇) „შეილო ჩემო, მე ტახტზე ვეღარ დავჯდები („აღარ დამეჯდომება“)“.

მეგრ.: სოლე მოგირთუმუნ, თურე მეუა! (ხუბ. 155_ა) „საიდანაც მოსულხარ («მოგისველია»), იქით წადიო!; გეუღინუ ღურელენსია (ხუბ. 226₂₅) „ამდგარან მიცვალებულეზიო („აუდგომია) მიცვალებულეზსო“; ქემუნჯირაღე ართი დემი ჯგურა კოს ათე წყარიშა (ხუბ. 56₁₆) „მისწოლია ერთი დევივით კაცი წყალს („მთიწოლია“ ... კაცს წყლისთვის“)“; იმ დღაშა სი გემგართუა, სქუავა (ხუბ. 87₁₉) „იმ დღემდე შენ ნუ მისულხარო („შენ არ «მიგესვლო»)“, შეილოო“; გემიართეს შხურიში დულიშა (ხუბ. 69₁₃) „ვერ მივიდნენ („არ «მიესვლოთ“)“ ფარის თავამდე“.

სამეკალენტიანი ზმნები ინვერსიის შედეგად, ქართულის

მსგავსად, ლაზურსა და მეგრულშიც ორვალენტიანნი ხდებიან: რეალური სუბიექტი მიცემითში დაისმის, პირდაპირი ობიექტი – სახელობითში, ირიბი ობიექტი კი პირმიუმაართავ წევრად (უბრალო დამატებად) იქცევა და მიმართულებით ბრუნვაში დაისმის. შდრ., მაგ., ლაზ.:

მითიშა მუთუ ვარ მითქვაფუნ (კარტ. I, 46₂₂₋₂₄) „არაეისთვის არაფერი მითქვამს („ვინმესთვის რამე არ მითქვამს“); ოხორჯას კოზიშა მუ დულაა ახენენ?! (ჩიქ. I, 16₄) „ქალი კაცს რას უზამს („ქალს კაცისად რა საქმე გაეკეთება“)?“; ბიჭეფს ხოჯაშე მუთუ ვარ ათქვებს (ჟღ. 114₃₀) „ბიჭებმა ხოჯას ვერაფერი უთხრეს („ბიჭებს ხოჯასთვის რამე არ ეთქვათ““).

ამასთან, ლაზურში მკვეთრად იჩენს თავს ტენდენცია, რომ ზმნის ინვერსიული (თურმეობითებისა და პოტენციალისის) ფორმები სინტაქსური ძალით გაუთანაბრდეს პირდაპირი წყობის ფორმებს. ამ გათანაბრების ტენდენციის გამოვლინებაა ის, რომ სამეალენტოვანი გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტი ინვერსიულ ზმნასთანაც მიცემითშია (მიმართულებითის ნაცვლად):

ხოფ-ჩხალა: ქიმოლი აღნე გოკუცხერენ ედო ქოთუმე იმხორს. ყონას (= ყონაშა) ხე-თი ვა ნუსუმუტუ (ჩიქ. I, 38₂) „ქმარს ახლახან გაუღვიძია და ქათამს ჭამს. ყანისთვის („ყანას“) ხელიც არ გაუსვამს“; მა ნანაშანტეშის (= ნანაშანტეშიშა) „ნანა“ ვარ მათქვენ (ჩიქ. II, 142₆) „მე დედინაცვალს «დედას» ვერ ვებტყვი („დედა» არ მეთქმის“); გათხოზუ, ამა ვა გოწყაყონუ ყვაოჯის (= ყვაოჯიშა) (ჩიქ. I, 37₈) „გამოეკიდა, მაგრამ ვერ წაართვა („არ «გამოერთვა»“ ყვაეს“; ჭუმანიშალა ეგერ ამუს (= ამუშა) ნენა ეშაგაღაფუ-ნა, სქანი თურჯარი ეგზდი დო მინდიყონუფ ოხოიშა (კარტ. II, 24₂) „დიღამდის თუ ამას ხმა ამოაღებინე („ამოგელო“), შენი ეაჭარი აიყვანე და შინ წაიყვან“; ეგერ ამუს (= ამუშა) ნენა ქეშაგაღაფუ-ნა, ეგზდი ქიმოლი-სქანი დო მინდიყონი (კარტ. II, 25₂) „თუ ამას ხმა ამოაღებინე, აიყვანე შენი ქმარი და წაიყვანე“; მანი-მანი ირდენ, ამუს (=ამუშა) გმაი ვა დვაბაღინენან (კარტ. II, 37₃) „სწრაფად იზრდება, ამას საჭმელს ვერ ამყოფინებენ („ამას საჭმელი არ ემყოფინებთ““).

ვიწ-არქ: ქე ათმაჯას (= ათმაჯაშა) კუდელი ქომეგაწკუ-ნა, (ჟღ. 30₁₉) „იმ მიმინოს კუდს თუ გამოაძრობ („კუდი თუ გამოგეძრო“); სი ელაკიდერი რე, სუმ სერის ფადიშარიში ბოზოს (= ბოზოშა) მუთუ ვარ გახენუ (ჟღ. 44₁₉) „შენ სულელი ხარ, სამ ღამეს ხელმწიფის ქალიშვილს ვერაფერი უყავი („რამე არ გაგეკათა“);“; ეგერ ქე ბოზოს (= ბოზოშა) მუთუ ქომეგახორუ-ნა, ქე ბოზო სქანი რენ (ჟღ. 44₃₄) „თუ იმ გოგოს რამეს მოჰპარავ („რამე მოგეპარა“), ის გოგო შენია“; ბოზოს (= ბოზოშე) ბირდენ წკაი ეა დმაბუღოენ (კარტ. II, 102₂₄) „ქალიშვილს მაშინვე წყალი ვერ დაასხა („არ დაესხა“); თი უჭკოამს, ჰეკოლე ბოზოფეს (= ბოზოფეშა) აწკომილენ (კარტ. II, 322₁₈) „თმას („თავს“) უკრეჭს, იქით გოგოებისკენ („გოგოებს“) ეხედება“.

ათინ-ართაშ: ასტერი ეელუდეფე ოკადაფეს (= ოკადაფეშა) მიხენაფუ¹²⁰ქი, სი მა მუჲა ეელული მოლოდარე? (მარი, 837) „ამისთანა სიკეთე ბევრისათვის („ბევრს“) გამიკეთებია, შენ რა სიკეთე უნდა მიყო?“¹²¹.

ლაზურის ეს მაგალითები ანალოგიურია ძველ ქართულში დადასტურებული მოვლენისა: მესამე სერიის მწკრივებში ნაირბალაი უბრალო დამატება სპორადულად მიცემითშია დასმული (გეწაძე 1957, 465 შმდ.; კიზირია 1959, 170; შანიძე 1959, 319). მოვიყვან მაგალითებს დამოწმების გარეშე:

მიმიცემიან განწყუნახა; კაცსა ყოვლადეჲ სიტყუაი არა მიმიცემიეს; მიმიცემიეს სასყიდლად კელოჯანთა მათ; მიბრძანებიეს მონათა ჩემთა; მიძლევიეს მე ხოფელსა; მიძლევიეს სიკუდილისა ძაღსა; რომელსა არცა ბრმახა თუაღნი ახეხიღნეს, რომელსამე მკარსა ვხეთქნა და ორად განემო.

დ. გეწაძის აზრით, ქართულში ეს მოვლენა ახალია. მკვლევარი მიუთითებს, რომ იმ ფაქტში, სამპირიანი ზმნა ზოგჯერ მესამე სერიის მწკრივებშიც რომ ინარჩუნებს სამპირიანობას, „ნათლად აისახება ძველი ქართული ენის ცდა – მესამე სერიის ფორმები გაუთანაბროს I და II ჯგუფის ფორმებს, სახელდობრ, დაამყაროს განსხვავება პირთა რაოდენობის მიხედვით გარდამავალ ზმნებს შორის III სერიის ფორმებშიც. პროცესი დაწყებულია, მაგრამ ვერ განვითარებულა“ (გეწაძე 1957, 465). ზმნათა სამპირიანობა III სერიის ფორმებში სინტაქსურ ფარგლებს არ გასცილებია. მორფოლოგიურად სამპირიანი ზმნები ოდნავადაც არ განსხვავდებიან ორპირიანთაგან.

ა. კიზირია ფიქრობდა, რომ „ამგვარი ფორმის არსებობა ფასეულია ქართული ენის ისტორიისათვის, რადგან მისი ადგილი ძველსავე ქართულში ან თანდებულიან ნათესაობითს უკავია, ან კიდევ ნანათესაობითარ ვითარებითს თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციით“ (კიზირია 1959, 170).

¹²⁰ დაბეჭდილია: მეხინაფუ.

¹²¹ ათინურ-ართაშენულში გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტი, გადმოცემული პირის ნაცვალსახელით, ინვერსიული წყობის შემთხვევაშიც ძირითადი (სახელობით-მოთხრობით-მიცემითი) ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (ნაცვლად მიმართულებით-დაშორებითისა). შდრ.: მა ხო (= სკანინდე) ვათი მეზაჩახი, ჰამ ოფშა ფაჰალი ონია (კარტ. II, 2187) „მე შენ ვერ მოგცემო [„მე შენ (=შენდა) არ მომეცემო“], ეს ძალიან ძვირიაო“; თურქჩე დეგხაპარიკო, დაჰა ეორსი, დაჰა ოფშა მაზიტახეტუ ხო (=სკანინდე) ამუთხაფე (კარტ. II, 2253) „თურქულად რომ დაგლაპარაკებოდი, უფრო კარგად, უფრო ბევრს გეტყოდი შენ რაღაცებს („უფრო მეტი მეთქმოდა შენ რაღაცები“)“.

ეჭვი არ არის, რომ, რა წარმოშობისაცაა ნაირიბალი უბრალო დამატების მიცემითი ძველ ქართულში, იმავე წარმოშობისა იქნება ლაზურშიც.

ფიქრობ, მართებულია მოსაზრება ამ მოვლენის გვიანდლობის თაობაზე. ენაში ჩასახული ტენდენცია, ინვერსიული ფორმები სინტაქსური ძალით გასთანაბრებოდა პირდაპირი წყობის ზმნებს, ქართულში თუ არ განვითარდა, ლაზურში უფრო შორსაა წასული. აქ არა მარტო ირიბი ობიექტი ინარჩუნებს თავის ბრუნვას, არამედ შეიძლება სუბიექტიც იმავე ბრუნვაში დარჩეს, რა ბრუნვაშიც არის პირდაპირი წყობის დროს. ტექსტებში აქა-იქ შევხედებით ამის მაგალითებს

კიმ დერემენჯი-თიქ (!) ისთერი ვორსი იაფი ვა უძიარაშუნ (ჩიქ. II, 98,) „იმ მეწისქვილესაც („იმ მეწისქვილემაც“) იმისთანა კარგი შენობა არ უნახავს“.

გაკვირვების ნიშანი ტექსტში გამომცემლის – ა. ჩიქობავას – მიერ არის დასმული. მკვლევარი საგანგებოდ განიხილავს ამ შემთხვევას: „აღსანიშნავია, რომ უძირამუნ ნაწარმოებია ინვერსიულად, მაგრამ სათანადო ფრაზის კონსტრუქცია არაა ინვერსიული: რეალური სუბიექტი, მეწისქვილე, მოთხრობით ბრუნვაშია და არა მიცემითში: ათინური წარმომავლობის მაგალითია და ალბათ იმიტომ!“ (ჩიქობავა 1936, 153).

მაგრამ მსგავსი მაგალითები, ათინურის გარდა, სხვაგანაც მოიპოვება ინვერსიულ (სახელდობრ, პოტენციალისის) ფორმებში. შდრ.:

ხოფ.: მა ნა ემუს გამაუყონოპტი ქოთუმე, ბიბი, კაზი, ვაშქ ჩქიმდა მუთუ ვა ახვენეტუ (კარტ. II, 372) „მე რომ მისგან გამომყავდა ქათამი, იხვი, ბატი, ის მე ვერაფერს მიშერებოდა [„მას („იმან“) ჩემდა რამე არ ეკეთებოდა“]; აწი დევექ უწუმეს-ქი: „პელე, ნაშუქ ზოი შანკაპინან“ (კარტ. I, 334) „ახლა დევი ეუბნება: „აბა, რომელი მაგრა გავიქცევით [„რომელს („რომელმა“) მაგრა გაგვექცევა (= შეგვეძლება გაქცევა“)“]; „ჰაიდეა, – მკიფუქ უწუ, – ნაშუქ გოღამაღანია!“ (კარტ. II, 41) „წამოდიო. – ტურამ უთხრა, – რომელი გაუესწრებთო [„რომელს („რომელმა“) გაგვესწრებო“];“

არქ.: არ მერის სუმ კოშიქ არ ბოზო ვარ აიღთეტეს (დიუმ. I, 751) „ერთგან სამი კაცი ერთ ქალს ვერ იყოფდა [„სამ კაცს („სამმა კაცმა“) ერთი ქალი არ ეყოფოდათ“]; ქოშოლი სქანიქ ბეე თამამი ვარ ახენუ (ელ. 65) „შენმა ქმარმა ბავში მთლიანად ვერ გააკეთა [შენს ქმარს („შენმა ქმარმა“) ბავში მთლიანად ვერ გააკეთა“]; პე ბიჯის მითიქ ვარ აპარამითაფუ (ელ. 1182) „ეს ეაჟი ვერაჟინ ააღაპარაკა“ [ზმნის ინვერსიულ ფორმასთან შენარჩუნებულია ირიბი ობიექტი (მიცემითში დასმული სახელი) და სუბიექტიც მოთხრობით ბრუნვაში აქვს დასმული, ისევე როგორც ზმნის პირდაპირი წყობისას. შდრ.

ქე ბიჭის მითიქ ვა ოპარამითაფუ „ეს ვაჟი არავინ ალაპარაკა („ამ ვაჟს ვინმემ არ ალაპარაკებინა“)].

ვიწ: ბიჭიქ (= ბიჭის) პეიჯანდან ნენა ვა ნახულოენ ჯოლაბი (კარტ. II, 149) „ვაჟს ალელეებისაგან პასუხად სიტყვა ვერ გაუცია („ვაჟს („ვაჟმა“) ალელეებისაგან პასუხად სიტყვა არ გასცემია“)].

პირდაპირი წყობის ზმნებთან ინვერსიულ ფორმათა გათანაბრების ტენდენცია რელიეფურად იჩენს თავს გარდაუვალ ზმნებში. ამ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს სუბიექტი სახელობითში დაესმის:

ხოფ: რაკანის ქეშუხტიმუნ თუთა მარიამინაში (ყიფ. ჭან. 23ა) „ცამოწმენ-დილზე ამოსულა აგვისტოს („მარიაშობის“) მთეარე“; ქიში მენდა შინდუხტიმუნ, ქიში-თი ვარ უხტიმუნ (ყიფ. ჭან. 17) „ზოგი შორს წასულა, ზოგიც არ წასულა“; აწი-თი ჩქინი კოხმეფე დაჰა ვარ შოალეს (ყიფ. ჭან. 16) „ახლაც ჩვენი კაცები ვერ ვერ მოვიდნენ“; ქუგარაფე დო იგთიმეფე ორდო ხოლო ვარ ალეს (ყიფ. ჭან. 231) „ღარიბები და ობლები ადრე ვერ წაჰიდნენ“; კატუ ნა აშქურნოთე, მთუთი ნა გეხელე ნჯას ქემაღლე (ყიფ. ჭან. 372) „კატა შიშით, დათვი რომ დაჯდა, იმ ხეზე ავიდა“; დიდო ნა აშქურინეტუშენი ავეჯი შუხტავა ოხოიშენ გალე ვა გამაღეტუ (კარტ. II, 3537-38) „რადგან ძალიან ეშინოდა, მონადირე მუსტაფა სახლიდან გარეთ ვერ გამოდიოდა“; მეგემ ა მთუთი გამიტაში, იოვა-მუშის ჯა-ქეა ნობლაფს, ნოთუმეს, ოხოჯა ვა გამაღასია დო (კარტ. II, 7011-12) „თურმე ეს დათვი რომ გამოვა, თავის ბუნაგს ხესა და ქვას აყრის, ქალი ვერ გამოვიდესო“; შითხანია ამა იუქსელი თეფეს, მთეიოლონი (¶ ყინეი) თეფეს არ სეის ტუმანიშა ნახონდინენ-ნაია, ოშ მჭითა ლირა მეფჩაფეა (კარტ. I, 14537-1461) „ეინცო ამ მაღალ მთაზე, თოვლიან (¶ გაყინულ) მთაზე ერთ დამეს დილამდე გაუძლებსო სეისაცო („ეინცო“) – გაეძლებაო“, ას წითელ ლირას მიეცემო“.

ჩხალ: ნუხრედინ ხოჯა არ ჯაშა ქაიუხთიმუნ ნაჯახითენ (კარტ. II, 30624) „ხოჯა ნასრედინი ერთ ხეზე ასულა ნაჯახით“; კეულე ჩხალიაზენიშა მტკობაში მუხთიმუნან ფაზარიშენ ჟურ ხანე (კარტ. II, 31134-35) „შემდეგ ჩხალაზენში მალულად მოსულა („მოსულან“) ათინიდან ორი კომლი“.

არქ: ხოლო ქე იზმოჯე ნა-ძირულორტუ კოხი ქომუხთიმუნ (ელ. 14811) „კელავ ის სიზმრად ნანახი კაცი მოსულა“; ქემ დუნიაშენ ში მუხთიმუნ? (კარტ. II, 24932) „იმ ქვეყნიდან ვინ მოსულა?“, ორჯამ არ კოხი პოტე ნოლაშე ვარ გიუხთიმუტუ-დორენ (დიუმ. II, 144, XXXIX) „ერთი ორჯელი კაცი ქალაქში არასდროს ჩასულიყო“; აბას-ფეილეუანი არ ვაქიტის დიდო ჯოხონი ეშქია (ფირალი) ქორტუდორენ, ქემუშენ დიდი დუნეას ეშქია ვარ მუხტიმუტუდორენ (ყიფ. დამ. 14, VI27) „აბას-ფალაუანი ერთ დროს დიდად სახელოვანი ყაჩალი (ფირალი) ყოფილა, იმაზე დიდი ყაჩალი ქვეყნად არ მოსულიყო“; ოკულე ჟურ მჩხუი მოხთეს. ჰაია ქოგამახუნუ უჩას დო იერუნდობინეს ქოგებთუ. გებთუქქულე ჩქეა ვა ეშაღლე კოხი (კარტ. I, 16738-1681) „შემდეგ ორი ცხვარი მოვიდა. ეს უნებურად შაგეუ შეჯდა და ქვესკნელში ჩავიდა რომ ჩავიდა, ველარ ამოვიდა კაცი“; შითი ვა გიახუნენ ქემთეფეში ცხენის (კარტ. II, 12316) „ეერავინ (შეჯდება მათს ცხენზე“; ჰეა ვა გიაღენ, ჰაია ვა იაღენ! (კარტ. II, 13626) „ის ვერ ჩავა, ეს ვერ ავა სიმას („ის“) არ ჩავსვლება, ამას („ეს“) არ აესვლება“]; ჰა ნეკანაშა

მითი ნა ვა მაღალფუტე შქურნათე, ჰა კოჩი სოლე მოხთუა! (კარტ. II, 142) „ამ კართან რომ შიშით ვერაინ მოდიოდა [„ეინმეს“ („ეინმე“) არ მოესვლებოდა“], ეს კაცი საიდან მოვიდაო!; ჰაწი ჰაია ნდლალი ვარ გამაღენ (კარტ. II, 112) „ახლა ეს დღისით ვერ გამოდის [„ამას“ („ეს“) ... არ გამოესვლება“].

ვიწ: ათინურფე ვა გიუხთიმურტეს ნოლაშა ედო ქოგებთეს (კარტ. I, 202) „ათინელები არ ჩასულიყენენ („არ «ჩაესელოთ““) ქალაქში და ჩაეიდნენ“; ჰაქ არაზი დიქი ენ, ფუჯაფე ზოი გაღენან, ჯამიშო ვა გაღენ, ფუჯო ანჯაქ გაღენ (კარტ. II, 156-15) „აქ ციცაბო ადგილია, ძროხები ძლიეს დადიან, კამეჩი ვერ იელის, მხოლოდ ძროხა დადის“; კინჩი ნა ვა მუშაღენ-სთეი აღი ენ (კარტ. II, 158-15) „ჩიტი რომ ვერ შევა [„ჩიტს“ („ჩიტს“) რომ არ შეესვლება“], [ისეთი] ბადეა“; ჰაია ვა ვახელუ (კარტ. II, 153) „ეს ვერ წამოდგა [„ამას“ („ეს“) ვერ წამოდგომა“].“

4. 5. მიცემითისნიშნისანი ნაწილაკი რთულ წინადადებაში. ლაზურის თავისებურებაზე – სახელივით ნაბრუნები ზმნური ფორმის მიმდგომის ფუნქციით გამოყენებაზე – ზემოთ (გვ. 60) აღინიშნა. მეორე მხრივ, ბრუნვის ნიშნის (უთანდებულოდ ან თანდებულთურთ) დართვით ზმნა შეიძლება ზმნიზედად (დროის, ადგილის, მიზნის, მიზეზისად) იქცეს. ასეთ შემთხვევაში ზმნის ნაბრუნები ფორმები სხვა ქართულურ ენათა დაქვემდებარებულ წინადადებებს შეესაბამება (იხ. Mapp 1910, 79–80; ჩიქობავა 1936, 63–64, 185–186). გაირკვა, რომ ზმნური ფორმების ბრუნება ლაზურში თურქულის გავლენის შედეგია (ჯიქია 1967).

6. მარს აღნიშნული აქეს, რომ ზმნის აორისტიკა და კავშირებითის ფორმას შეიძლება დაერთოს მიცემითის ნიშანიც და რომ ამგვარი წარმოება დროის გარემოებითი წინადადების ბადალია (Mapp 1910, 80). საილუსტრაციოდ მოყვანილია ასეთი მაგალითები: მოჰთი-ს-ის „როცა/რომ მოვედი“, მთწას-ის „როცა/რომ მოთოვს“, გუბირათ-ის „როცა/რომ ვუმღერებთ“, მოხთანეს-¹²² „როცა/რომ მოვლენ“, ბაში ვარ გახენა-ის „რომ არ დაზავებოდი“. ამ მაგალითების მიხედვით, ზმნურ ფორმებზე დართული ჩანს -სის, -ის, -ს ნაწილაკები.

ა. ჩიქობავამ -ის და -სი ნაწილაკების დართვა აღნიშნა: იბგარუ-ის „როცა (|| რომ) იტირა“, გიწვან-ის „როცა გითხრან“, ზწედუ-სი „რომ შეხედა“, მოხთუ-სი „რომ მოვიდა“ (ჩიქობავა 1936, 185). მკვლევარს -ის და -სი მიცემითის ნიშნად არ მიუჩნევია. მანვე მიუთითა, აგრეთვე, რომ ამავე ფუნქციით ლაზურის ყველა

¹²² დაბეჭდილია: მოხთანეს-ის.

კილოკავში გამოყენებულია -ში ნაწილაკი (მოხთუ-ში „როცა/რომ მოვიდა“). ა. ჩიქობავას ეს -ში იმავე ოდენობად მიაჩნდა, რაც გვაქვს სახელებში, ე. ი. ნათესაობითის ნიშნად.

ს. ჯიქიამ (ჯიქია 1967) ლაზურის -ში და -ის/-ის-ნაწილაკიან ზმნურ ფორმებს პარალელი დაუძებნა თურქულში. ესაა ადგილობით ბრუნვაში დასმული ე. წ. -dik-ფორმები. თურქულის Ali eve geldikte „როცა ალი შინ მოვიდა“ შინაარსობრივად უდრის ლაზურის გამოთქმას: „ალი ოხორიშა მოხთუ-ში (| მოხთუ-ის | მოხთუ-სი“.

თურქულში დროის გარემოებას ადგილობითი ბრუნვა გამოხატავს, ლაზურში კი ეს ფუნქცია სწორედ მიცემითსა და ნათესაობითს ეკისრება. დროის გამოხატვა ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა მიცემითისა და ნათესაობითისათვის სხვა ქართველურ ენებშიც, ასე რომ, ზმნის ფორმაზე დართული -ში ნაწილაკის ნათესაობითის ნიშნად მიჩნევას და -ის/-ის ნაწილაკში მიცემითის ფორმანტის დანახვას შინაარსობრივად არა უშლის რა. ოღონდ გასარკვევია -ის/-ის ნაწილაკში o ხმოვნის რაობა და მრჩობლთანხმოვნისანი -ისის ნაწილაკის შედგენილობა. ნ. მარს ამის შესახებ არა უთქვამს რა; ნ. ნათაძე o-ს ძნელად ასახსნელად თელის (ნათაძე 1961, 31); გ. კლიმოვი ფიქრობდა, რომ -ის ნაწილაკში გვაქვს ემფატიკური o ხმოვნით გართულებული მიცემითის ნიშანი (Климов 1962, 24), მაგრამ მკვლევარს არაფერი აქვს ნათქვამი ამ ნაწილაკის სხვა ვარიანტების (-ის, -ისის) შესახებ, რომლებშიც o ხმოვნის ამგვარი კვალიფიკაცია გაჭირდება.

ს-თანხმოვნისანი ნაწილაკი ათინურ-ართაშენულსა და ვიწურში იხმარება, არქაბულში სპორადულად თუ შეგვხვდება. ვიწურში იხმარება მხოლოდ -ის ვარიანტი:

ოწკაღუ-ის, დიდი კონაღუფე რენ (ყიფ. ჭან. 57), „რომ შეხედა, დიდი სახლებია“; არგუნი დუზ იერის დოღვა-ის, ტუფე დივენ-ია, უწუუ (ყიფ. ჭან. 60), „ნაჯახს ვაკეზე რომ დადებ, გორაკად გადაიქცევაო, უთხრა“; სერ ბაბა მუში ღო ნანა მუში გოკუცხეს-ის, ბერე მეკვათეი, ხვალა დიცხირი, ქოჯანს (ჩიქ. II, 16) „ღამით მამამ და დედამ რომ გაიღვიძეს, ბავშვი მოკლული, მთლად სისხლიანი („მხოლოდ სისხლი“) წევს“.

ვიწურის დღევანდელი ჩვენება ამოსავალ ვითარებას არ უნდა ასახავდეს. ვფიქრობ, ადრინდელი ვითარების აღდგენას ათინურ-ართაშენულის მონაცემები შეუწყობენ ხელს.

ათინურ-ართაშენულში იხმარება ამ ნაწილაკის ყველა დასახელებული სახეობა: -ს, -ის, -ისი, -ისის. მათი ხმარების არე ასეა

განაწილებული: ოდენტანხმოენიანი და თანხმოენით დაწყებული -ს, -სი, -სის ერთვის ზმნის ბოლოხმოენიან ფორმას, ხმოენით დაწყებული -ის სახეობა კი თანხმოენით დაბოლოებულ ზმნურ ფორმას ემატება: მოხთუ-ს, მოხთუ-სი, მოხთუ-სის – მოხთეს-ის.

თავის მხრივ, ბოლოხმოენიან ზმნებთან -ს, -სი, -სის ვარიანტების ხმარება გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს: -სი იხმარება მხოლოდ იმ თქმებში, სადაც სიტყვის ბოლოკიდური ს იკვეცება ან ძ-ში გადადის. ასეთია, მაგალითად, ს. ჯიქიას სტამბოლელი ინფორმატორების მეტყველება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ტექსტებში დადასტურებული -სი-ნაწილაკიანი ფორმები მიღებული უნდა იყოს -სის-ნაწილაკიანი ფორმებისაგან ბოლოკიდური ს-ს დაკარგვით. სავარაუდოა, რომ მოხთუ-სი < მოხთუ-სის.

ეს რომ მართლაც ასეა, ამას ის მოწმობს, რომ თანხმოენით დაბოლოებულ ზმნურ ფორმებს ამ თქმებში -ის კი არ ერთვის, არამედ მხოლოდ -ი:

კოჩი ჯენჯი იას-ი [< იას-ის], უჩა იენ, ბადი იას-ი [< იას-ის], – დიქანენ¹²³, ქჩე იენ (ჩიქ. II, 112₂₉) „კაცი როცა ახალგაზრდაა („ახალგაზრდა იქნება“), შაეია, მოხუცი რომ იქნება, გათეთრდება, თეთრია“; ხაფისეფე ოწედესი [< ოწედეს-ის], – ჰამ აკილი კოჩი ონ! (ჩიქ. II, 117₁₉) „პატიმრებმა რომ შეხედეს, ეს ჭკვიანი კაცია!“; იბგარა-სი [= იბგარას-ი < იბგარას-ის], ჩელამრეფე ინჯილი ქვა იასენ (ჩიქ. II, 124₁₂) „როცა იტირებს, ცრემლები ძვირფას ქვად იქცევა („ძვირფასი ქვა იქნება“)“.

ასევე სახეცვლილია ამ თქმებში ოდენტანხმოენური -ს ნაწილაკი. ართაშენელი მუსა გულაბერ-ოღლი, რომლის მეტყველებაში მკვეთრად იჩენს თავს ბოლოკიდური ს-ს დაკარგვა-დასუსტება (იხ. ჩიქობავა 1936, 28–30), ზმნის ბოლოხმოენიან ფორმებს ძ-ს ურთავს:

ხორცი დოტადანაი [< დოტადანა-ს], კაურმა დიენ (ჩიქ. II, 114₁₂) „ხორცს რომ შეწვაე, ყაურმა იქნება“; კოჩი მოხთუ, ოწედუი [< ოწედუ-ს] – ჩხომი ტადანერი! (ჩიქ. II, 117₂₉) „კაცი მოვიდა, რომ შეხედა, თეეზი შემწვარია!“.

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ნაწილაკი კიდევ ორი ვარიანტით (-ი, -ი) წარმოგვიდგა ათინურ-ართაშენულში. -ს, -სის, -ის, -სი, -ი, -ი სახეობათაგან მეორეულებს (ს-ს დასუსტება-დაკარგვის შედეგად მიღებულებს) თუ გამოერიცხაეთ, ძირითადად სამი გვრჩება: -ს, -სის, -ის. ამათგან პირველი ორი ბოლოხმოენიან ზმნებს ერთვის, უკანასკნელი კი – ბოლოთანხმოენიანებს. სხვანაი-

¹²³ დაბეჭდილია: დიქინენ.

რად რომ ვთქვათ, **-ის** ნაწილაკს უპირისპირდება **-ს** და **-სის**.

ბოლოხმოვნიან ზმნებთან **-ს** და **-სის** ნაწილაკები ზოგიერთი პირის მეტყველებაში დღეს პარალელურად გეხვდება. მაგ., ა. ჩიქობავას ერთი ინფორმატორი – ტალვათელი ალი კანთაროლი – ზმნის ბოლოხმოვნიან ფორმებს **-სის** ნაწილაკის გვერდით **-ს-საც** ურთავს; ართაშენელი მუსა გულაბერ-ოლი, ა. ჩიქობავას ტექსტების მიხედვით, ბოლოხმოვნიან ზმნებთან ოდენტანხმოვნურ **-ა** (< **-ს**) ნაწილაკს ხმარობს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს სახეობა ერთადერთი არ ყოფილა მის მეტყველებაში. 1966 წელს მუსა გულაბერიძისაგან მეც ჩავიწერე ტექსტები (კარტოზია 1970) და ბოლოხმოვნიან ზმნებთან ყველგან **-სი** ნაწილაკს წარმოთქვამდა.

ერთი და იმავე პირის მიერ **-ს** და **-სის** ნაწილაკთა პარალელური ხმარება ძველი ვითარების ამსახველი არ უნდა იყოს. ამ შემთხვევაში დიალექტურად (resp. ქრონოლოგიურად) განსხვავებულ ენობრივ წარმონაქმნთა აღრევის, თქმათა ურთიერთზეგავლენის შედეგთან უნდა გვეკონდეს საქმე. ეფიქრობ, ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მიუთითებს ის ფაქტი, რომ ბევრი მთქმელის მეტყველებაში ზმნის ბოლოთანხმოვნიან ფორმებთან ნახმარი **-ის** ნაწილაკის საპირისპიროდ ბოლოხმოვნიანებთან მხოლოდ ერთი სახეობა გეხვდება – ან **-ს**, ან **-სის**. მაგ., ს. ჯიქიას მიერ სტამბოლში ჩაწერილ ათინურ ტექსტებში ბოლოხმოვნიან ზმნებთან მხოლოდ **-სი** (< **-სის**) ნაწილაკი დასტურდება, მაშინ როდესაც ამავე პოზიციაში ი. ყიფშიძის ინფორმატორები (ათინელები, ჯაჯივათელები, შილერითელები), როგორც წესი, **-ს** ნაწილაკს ხმარობენ. გამონაკლისი მეტად უმნიშვნელოა: **-ს** ნაწილაკის დართვის 19 შემთხვევაზე მხოლოდ ერთი შემთხვევა მოდის **-სი** ნაწილაკის დართვისა [ოქიხუ-**სი** (ყიფ. ჭან. 73₂) „როცა დაეცა, როცა დაირღვა“].

ეფიქრობ, ამ ნაწილაკის ხმარების ძველი წესი დაცულია იმ თქმებში, სადაც **-ის** ნაწილაკს (ბოლოთანხმოვნიან ზმნებში) უპირისპირდება **-ს** ნაწილაკი (ბოლოხმოვნიანებში). სავარაუდოა, რომ მიცემითის **-ს** ნიშანი უშუალოდ ერთოდა ზმნის ბოლოხმოვნიან ფორმას (მოხთუ-**ს** „როცა მოვიდა“), ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ზმნა თანხმოვნით ბოლოვდებოდა, ზმნის ბოლოკიდურ თანხმოვანსა და მიცემითის **-ს** ნიშანს შორის ჩაერთვოდა **ი** (მოხთეს-**ის** „როცა მოვიდნენ“), რომელიც იგივე ხმოვანი უნდა იყოს, რაც გვაქვს

მიცემითის -ზ და მოთხრობითის -ქ ნიშანთა წინ წარმოშობით თანხმოვანფუძიან სახელებში (კოჩ-ო-ს „კაცს“, კოხ-ო-ქ „კაცმა“). ზმნური ფორმები, რომლებიც სახელთა მსგავსად იბრუნვიან ლაზურში, ბოლოკიდურ თანხმოვანსა და ამ ბრუნვის ნიშანთა შორის o ხმოვანს ჩაირთავენ (შდრ. გვ. 60).

რაც შეეხება -სის ნაწილაკს, იგი გვიანდელი წარმოშობისა ჩანს და მეტაანალიზის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი: -ის-ნაწილაკდართულ ს თანხმოვნით დაბოლოებულ ზმნურ ფორმებში (მოხთეს-ის „როცა მოვიდნენ“, მოხთას-ის „როცა მოვა“) ზმნის სუფიქსისეული ს ზოგიერთ თქმაში, როგორც ჩანს, გაგებული იქნა ნაწილაკისეულ ელემენტად (მოხთეს-ის > მოხთე-სის). ამგვარი მეტაანალიზისათვის ხელი უნდა შეეწყო სხვა ნაწილაკდართულ ფორმათა ანალოგიას. ლაზურში ზმნის ფორმებს, როგორც აღინიშნა, სხვა ბრუნვათა ნიშნები და თანდებულებიც ერთვის. თითქმის ყველა შ თანხმოვნით იწყება, რომლის წინ ზმნის სუფიქსისეული ს, ჩვეულებრივ, იკარგება:

მოხთეს-ში > მოხთე-ში „როცა მოვიდნენ“;

მოხთეს-შეკულე || მოხთეს-შქულე > მოხთე-შეკულე || მოხთე-შქულე
„მას შემდეგ, რაც მოვიდნენ“;

მოხთეს-შა > მოხთე-შა „რომ მოვიდნენ“;

მოხთეს-შაქის > მოხთე-შაქის „სანამ მოვიდნენ“;

მოხთეს-შენი > მოხთეშენი „რადგან მოვიდნენ“.

ამ ს-მოკვეცილ ფორმათა ანალოგიით ზოგიერთ თქმაში მოხთეს-ის „რომ მოვიდნენ“, მოხთას-ის „როცა მოვა“ ფორმებშიც იგივე პროცესი (ზმნის სუფიქსისეული თანხმოვნის დაკარგვა ნაწილაკის წინ) იქნა დანახული და ნაწილაკად -სის იქნა მიჩნეული.

დასასრულ, ვიწურის შესახებ. ვიწურში, როგორც ითქვა, მხოლოდ -ის ნაწილაკი იხმარება. იგი ერთვის როგორც ბოლო-თანხმოვნთან, ისე ბოლოხმოვნთან ფორმებსაც. ვფიქრობ, ეს ვითარება მეორეულია. მოხთე-ის „რომ მოვიდა“, მოფთი-ის „რომ მოვედი“ და მსგავს ფორმათათვის (ე. ი. ბოლოხმოვნთან ზმნებისათვის) ამოსავლად მოხთე-სის, მოფთი-სის რიგის ფორმები უნდა ვივარაუდოთ. -სის ნაწილაკში წინამავალი ს დაკარგულია მომდევნო ს-ის მადისიმილერებელი გავლენის შედეგად (თანხმოვანთა რეგრესული დისიმილაციური დაკარგვის შესახებ იხ. გვ. 56-59).

4. 6. კითხვითნაწილაკიან ზმნურ ფორმათა წარმოების თავი-
 ხებურება. კითხვითი -ო (= ქართ. -ა) და სხვათა სიტყვის -ია || -ა
 (= ქართ. -ო) ნაწილაკი ლაზურში ასეთი თანმიმდევრობით დაე-
 რთვიან ზმნას: ჯერ კითხვითი ნაწილაკია, შემდეგ კი - სხვათა
 სიტყვისა. მაგ., გიჩქინ-ო-ა? „იციო?“, ქომოხთუ-ო-ა? „მოვიდაო“?
 ამ მხრივ ლაზური ქართულის ხევსურულსა და თუშურ კილოებს
 უდგას გვერდით და სხვაობს მეგრულისაგან, სადაც ფშაურისებრი
 ვითარებაა: აქ სხვათა სიტყვის -ია || -ა ნაწილაკი უსწრებს
 კითხვით -ო-ს. შდრ.: გიჩქუნ-ია-ო? „იციო?“, ქომოლთუ-ა-ო? „მო-
 ვიდაო“?

ამ ნაწილაკთა შემცველ ზმნებში ლაზურის ხოფურ-ჩხალური
 კილოს სარფული თქმა -ია (< -ო + -ია) დაბოლოების გვერდით
 საკმაო ინტენსივობით წარმოგვიდგენს -ოია მიმდევრობას. შდრ.:

მან აქ თქვანიკალა ოჩალიშუ მინონ, იყენია? (ქარტ. I, 79₂₄) „მე აქ
 თქვენთან მუშაობა მინდა, შეიძლებაო („იქნებაო“)?“; ია დივი სი გაყვიდე-
 ნია? (ქარტ. II, 83₆) „იმ დევს შენ მოკლავო („ის დევი შენ მოგვეკვლებაო“)?“;
 აჰაია, ბერუ-ჩქიმიია, ძიროფია, ამკათა ნოღამისაკალა იხქედინენია? (ქარტ. I,
 136₂) „აჰაო, ჩემო შეილოო, ხედავო, ამისთანა პტარბალთან ცხოვრება შეიძლე-
 ბაო („იცხოვრებაო“)?“; ალღაისეია, მემედ-აღია, ტუჭელი მცუდიში გიღუნია?
 (ქარტ. I, 139₁₅) „ღვთის გულისთვისო, მემედ-აღიო, თოფი ტუვილად გაქვსო“?
 სი ჩქინდენ ვა გაშქუნენია? (ქარტ. II, 6₃) „შენ ჩვენი („ჩვენგან“) არ გეში-
 ნიაო“?; აია მუ ყვია, - დევი-მუშის უწუ, - ჯუმა დომიყვილითია? (ქარტ. II,
 8₂₂) ეს რა ქენიო, - თავის დევს უთხრა, - ძმა მომიკალითო?; აქოღენ ექ,
 თუღენდონ უინშა, გიაი იგობენია? (ქარტ. I, 146₂₃) „აქედან იქ, ქვემოდან
 ზემოთ, კერძი მოიხარშებაო?; გიბეი ლობია იღუნია, ენა ორგა?... გიბეი
 მაქვალექ გეწილუფსია? (ქარტ. I, 120₄) „მოხარშული ლობიო რომ დათესო,
 ამოვაო?... მოხარშული კვერცხი გამოიქვსო?; მკიაფუ უკუდელე დომოტაღა-
 ფაგინონია? (ქარტ. I, 137₃₄) „ტურა უკუდოდ უნდა დამატოებინოო?; არ
 დოლოქუნუ-სქანი ქოდოლომოქუნი, მემამსქანახია? (ქარტ. II, 47₂₇) „ერთი
 შენი ტანსაცმელი ჩამაცვი, დამშვენდებაო?; არჩა სი, ჯუმა ენმა დო,
 ყოოპტი დო აწი მყოტკიათია? (ქარტ. II, 47₃₇) „აქამდე შენ, ძმა არისო და,
 გიყვარდა და ახლა დაეკლათო?; აქ მითი ძი(რ)ითია? (ქარტ. I, 92₇, 92₁₀) „აქ
 ვინმე ნახეთო?; აქ ჟურ თანე მითი იღუია? (ქარტ. I, 92₁₆) „აქ ორმა ვინმემ
 გაიარაო?; ჩქინ კეინჩი ძაალი პეტიოთ დო სოთი ვა გიძიუნია? (ქარტ. II,
 19₃₇) „ჩვენ ჩიტი დაეჭვრით და სადმე არ გინახავსო?; აწიშა არ თანე
 მომჩაპტიო, ანდლა ჟურ შოშნაფთია? (ქარტ. II, 26₂₆) „აქამდე ერთს მაძლევ-
 დით, დღეს ორს მაძლევთო?; მუ ენ, მიღლეთის პოგნაფთია? (ქარტ. II, 27₃₀)
 „რა არის, ხალხს გააგებინეთო“.

აქ მოყვანილი -ოია-დაბოლოებიანი ზმნური ფორმები უნდა
 განვასხვაოთ იმავე სეგმენტით დაბოლოებულ იმ ზმნათაგან,

რომლებშიც პირველი **o** საკუთრივ ზმნის ბოლოკიდური ხმოვანია და მხოლოდ მისი მომდევნო **o** წარმოადგენს კითხვით ნაწილაკს, რომელსაც წესისამებრ დაერთვის **-და** || **-ა** ნაწილაკი. მაგ.,

მემლექეთიშენ ვიშტი ღო აქშაა ქოშოხთია? (კარტ. II, 66₁) „სამშობლოდან გამოვიქეცი და აქ („აქამდე“) მოხვედიო?“, კონია, მუ ზოპონ, ქოგუიშაშიია? (კარტ. II, 67₂) „კაცოო, რას ამბობ, გადაირიეო?“. ქოშოხთია = ქოშოხთი-**o**-**ა**, ქოგუიშაშიია = ქოგუიშაში-**o**-**და**.

ამავე რიგისაა სამი **o** ხმოვნისაგან შედგენილი **oioa** სეგმენტი **oioia** ზმნაში, რომელიც **oioia** (= **oioo**-**o**-**ა**) ფორმისაგან არის მიღებული ინტერეოკალურ პოზიციაში **რ**-ს დაკარგვის შედეგად. შდრ.:

ჩილი-მუშიქ: „ვა **oioia**“-ში, „ვა ბიი“, – უწუ ქიმოლი-მუშიქ (კარტ. I, 92₁₈) „ცოლმა რომ კითხა, „ვერ ნახეო“, „ვერ ვნახე“, – უთხრა ქმარმა.

სარფელთაგან ჩაწერილი **o-o-a**-დაბოლოებიანი ზმნები იმავე სარფელთა მეტყველებაში **-o-a** დაბოლოებითაც იხმარება. ერთი და იმავე პირის მეტყველებაში პარალელურად შეგვხვდება: **oყვენია?** || **oყენია?**, **გაყვიღენია?** || **გაყვიღენია?**, **ბიროფია?** || **ბიროფია?**, **ბირითია?** || **ბირითია?**, **იდუია?** || **იდუია?**

სარფულის ფაკულტატური **o-o-a**-დაბოლოებიანი ზმნური ფორმები ისეთივე აგებულებისა ჩანს, როგორისაც არის მსგავსი შინაარსის ზმნური ფორმები თუშურსა და ხევსურულში. აქ კითხვით **-ა**-სა და სხვათა სიტყვის **-ო** || **-ჟ** ნაწილაკს შორის **-ა** || **-ჟ** ხმოვნებია ჩართული. შდრ.:

თუშ: **მოხკაღთააჟ თუ გაგექცათაჟ?** (დიალ., 118₃₆); **ვერამ მოგოპარაფთააჟ?** (დიალ., 116₁).

ორი **ა** (კითხვითი ნაწილაკი და ჩართული ხმოვანი) ტექსტებში ზოგჯერ გრძელი ხმოვნის სახით არის წარმოდგენილი:

დედივ, უთხრ, საღამოდ ვერ შემინახავაჟ? (უთურგ. 48, 122₁₂); ცრემათ ვერ მაყრინესაო-დ' შენ მანყრენაჟ? (უთურგ. 49, 125₄₈).

ხევს.: შენი ჭირიმეჟ, ვერას მიშველაჟ, ვერ გამამიყვანაჟე წყალჩითაჟ? (ჭინჭ. ხევს. 35₁₈); აის დავითა არ ხარაჟო, რო გამაიქე ჭაუხითაო? (ჭინჭ. 42₁₉).

ეს ჩართული **ა** და **ჟ** მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნებია. სარწმუნო არ არის ვარაუდი (ჭინჭარაული 1960, 187), თითქოს **ჟ** ხმოვანი ხევსურულის მიშველაჟ, ხარაჟე ტიპის ფორმებში კითხვითი ნაწილაკი იყოს და ეს ფორმები სხვადასხვა წარმოშობის ორ-ორ კითხვით ნაწილაკს შეიცავდეს (**ა** < **ჰა**, **ჟ** < **ჰჟ**); რეალურ ვითარებას არ ასახავს ცნობა, თითქოს „**ჟ** ჩნდება მხოლოდ კითხვით ფორმებში კითხვითი ნაწილაკის მიმყოფ“

(ჭინჭარაული 1960, 186). ლიტერატურაში სწორად არის შენიშნული, რომ ეს ელემენტი დაჩნდება ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში სხვათა სიტყვის ნაწილაკის წინ არაკითხვით ფორმებშიც. ნიმუშად მოყვანილია **თქვა-ე-ე** (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988, 120).

მართლაც, ა ხმოვანზე დამთავრებულ ზმნებში, ანუ იმ ზმნებში, რომლებსაც **ა** სუფიქსი არ ეკვეცებათ (ეს კი ერთმარცვლიან, ე. ი. უხმოვნოფუძიან ზმნებს მოსდით), ამ **ა** სუფიქსსა და სხვათა სიტყვის **თ** **||** **ე** ნაწილაკს შორის **ე** მავრცობის ჩართვა ხვესურულისათვის ნორმაა. შდრ.:

ვერა ქნაეგ ბათაკამე ანატორელთამე, ვერც მვარ მიჭირაე; კაი კაც ქვე იყვისაე, ვერა ქნაეგ (ჭინჭ. 362_{ა-ბ}); აიღნაე ი ქისტმე ქვანიე, ერთ მირგვალ ქვან დაჰელნაე, გაუტიენაე აი(ს) ქვანიო' შიგაე აი(მ) თაერიელაჩი ხკანაეგ (ჭინჭ. 351_ბ).

თუშურში ასეთ შემთხვევაშიც ა ხმოვანი გვაქვს:

მემრ ცრემ ბაღლმ თქვააე (უთურგ. 45, 111_გ); მემრ კიღენ დანყუდ ქმარს: - არ სთქვა, არ სთქვააე! (უთურგ. 48, 121_გ).

ხვესურულში ნართაული ე ხმოვანი გვაქვს **ე** ნაწილაკის წინ ა-ბოლოკიდურიან (ე. ი. ა-მოუკვეცელ) არაზმნურ ფორმებთანაც. მაგ.,

ჩენს მკედარს თუ ტირისაე, ჩენ მკედარ იტირასაე, თუარადაეგ რაღა თავის მკედართ გეაკეხნებსაე? (ჭინჭ. 431_ა).

ა. ჭინჭარაულმა (ჭინჭარაული 1960, 186) ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ხვესურულ პოეტურ ტექსტებში ე ხმოვანი გვხვდება კითხვითი ნაწილაკის მომდევნოდ **თ** **|** **ე** ნაწილაკის დაურთველადაც. მაგ.,

არ მოგწყინდაე მთას ყოფა, არ მოგინდაე ბარია?

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხვესურულისათვის ნიშანდობლივია **-და**, **-ცა** ნაწილაკებისა და **და** კავშირის გაცვეთა-გაუჩინარება (ჭინჭარაული 1960, 42, 68-70), შეიძლება დაეუშვათ, რომ მოგწყინდაე-ს ტიპის ფორმებში ე ელემენტის მომდევნოდ რაღაც ნაწილაკია მოკვეცილი (შეიძლება, სულაც **-და**). ბოლოკიდური ე ნაწილაკებს შორის ჩართული მავრცობი ხმოვანი უნდა იყოს.

განხილულ ხვესურულ ფორმებში ე შეიძლება ფონეტიკური ვარიანტი იყოს ემფატიკური ა ხმოვნისა. **აე-ე** და **აე** (< **აე-ღ[ა]?**) დაბოლოებებში ე წინამავალი ა ხმოვნის დისიმილაციური გავლენით ჩანს მიღებული (**აა > აე**).

ახლა კვლავ ლაზურ (სარფულ) ოია-დაბოლოებიან ფორმებს დაუბრუნდეთ. კითხვით და სხვათა სიტყვის ნაწილაკთა შორის ჩართული ელემენტი, ხევესურულისა და თუშურის მსგავსად, სარფულშიც ემფატიკური ხმოვანი უნდა იყოს.

ემფატიკური (მაერცობი) ხმოვანი ზანურ ენათაგან დღეს მეგრულისათვის არის დამახასიათებელი; ვიწრო **ო, გ, უ** ხმოვნები შეიძლება დაერთოს თანხმოვნით დაბოლოებულ ყველა სიტყვას (სახელს, ზმნას, ზმნიზედას) (გუდავა 1975, 356–357).

თი „-ცა“, **-ა** „-ო“ ნაწილაკები მხოლოდ მაერცობი ხმოვნის ჩართვით ემატება ბოლოთანხმოვნიან სიტყვებს. ლაზურში მაერცობი ხმოვანი მხოლოდ ათინურ-ართაშენულ კილოში დასტურდება **ო** და **უ**-ს სახით (ჩიქობავა 1939, XXV; კარტოზია 1970, 214–215; იხ. აგრ. აქვე, გვ. 12).

საფიქრებელია, რომ მაერცობი ხმოვნები ადრე ლაზურის სხვა კილოებშიც გექონდა.

თუ გავითვალისწინებთ ლაზურის კილოებში ქართულის **ა**-ს შესატყვისი **ო** ხმოვნის რეფლექსების განაწილებას, ხოფურჩხალურში, მეგრულის მსგავსად, სწორედ **ო** იყო მოსალოდნელი.

ადრეულ ლაზურში, რომელშიც დიფთონგიზაციის პროცესი ნაკლებ ინტენსიური უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, მეგრულის მსგავსი ვითარება გექონდა: თანხმოვნით დამთავრებულ სიტყვებს სხვათა სიტყვის **-ა** ნაწილაკი მაერცობი **ო**-ს მეშვეობით ერთოდა (***ქომოხთეს-ო-ა** „მოვიდნენო“, შდრ. მეგრ. **ქომორთეს-ო-ა**), ხმოვნით დამთავრებულებს კი – უამხმოვნოდ (**ქომოხთუ-ა** „მოვიდაო“, შდრ. მეგრ. **ქომორთუ-ა**). ლაზურის ზოგ თქმაში **უ, ე** ხმოვანთა მომდევნოდ **ა** ნაწილაკის ნაცვლად **-ა** ს დართვა შესაძლოა უფრო ძველი ვითარების დაცვას წარმოადგენდეს და არა **ი**-ის გვიანდელი დაკარგვის შედეგი იყოს.

კითხვითნაწილაკიან ფორმებს სხვათა სიტყვის ნაწილაკი ასევე მაერცობი ხმოვნით უნდა დართოდა (გავიხსენოთ ხევესურული და თუშური!): **მოხთეს-ო-ი-ა?** „მოვიდნენო?“. კითხვითი და არაკითხვითი ფორმების გარჩევა-დაპირისპირება ამ მაერცობი **ო** ხმოვნის არსებობა-არარსებობით იყო შეპირობებული: ***მოხთეს-ო-ი-ა** „მოვიდნენო?“ – **მოხთეს-ო-ა** „მოვიდნენო“.

გვიანდელი დიფთონგიზაციის პროცესის შედეგად **oa > ma** (ხმოვანთა სინკოპირებისა და ფონეტიკური რედუქციის მეორეული ტენდენციის შესახებ ლაზურში იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 58). კითხვით და არაკითხვით ფორმათა დაპირისპირებაში მავრცობი ხმოვნის როლის დაჩრდილვამ, ფაქტობრივად, მისი დაკარგვა გამოიწვია. დღეისათვის ამ ძველი წარმოების ნაშთილა გვაქვს შემორჩენილი სარფული თქმის ფაკულტატიური ვარიანტის სახით.

თავი მესამე

საერთო-ქართველური ლექსიკა ლაზურში

§1. ღობა „მიწა“.

ქართველოლოგიურ ლიტერატურაში დადგენილი შესატყვი-სობა – ქართ. დაბ- (დაბ-ა „სოფელი“, უ-დაბ-ნ-თ „დაუსახლე-ბელი ადგილი“) : მეგრ. ღობ- (ღობ-ერ-ა/ღობ-ორ-ა „სახნაი მიწა“ : სვან. დაბ- (ღაბ „ყანა“, დაბ-ნარ „ყანები“) (თოფურია 1927, 309; Климов 1973, 361; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, 94–95; 2000, 162–163) უნდა შეივსოს ლაზური მასალითაც.

მხედველობაში მაქვს ჭიაყელას აღმნიშვნელი სიტყვა ღობაწიწი, რომელიც კომპოზიცია (< ღობაშ წიწი) და „„ღობა»-ს ჭიას“ ნიშნავს. ჭიაყელას თურქული სახელწოდება yer solucan („მიწის ჭია“), აგრეთვე რუსული земляной (|| дождевой) червь იძლევა იმის საფუძველს, რომ ლაზ, ღობა-ში ქართ. დაბა ფუძის ზუსტი შესატყვისი დავინახოთ, რომელსაც დაუცავს ამ საერთო-ქართველური სიტყვის უძველესი, ამოსავალი მნიშვნელობა – „მიწა“.

§2. ღიმბ- „ყვარება, სიყვარული“.

ათინურ-ართაშენულ დიალექტში „ყვარების, სიყვარულის“ მნიშვნელობით იხმარება ღიმბ- ფუძე.

ნ. მარს ლაზურის ლექსიკონში მოაქვს მასდარი ღღიმბუ „ყვარება“ და ობიექტური წყობის ფორმები: მაღიმბენ „მიყვარს“, გაღიმბენ, აღიმბენ, მაღიმბერან, გაღიმბერან, აღიმბერან (Март 1910, 163).

როგორც გამოქვეყნებული ტექსტები მოწმობს, ათინურ-ართაშენულში იხმარება ამ ზმნის II სერიის ფორმებიც. აორისტში გვაქვს: მაღიმბუ „შემიყვარდა“, გაღიმბუ „შეგიყვარდა“ და ა.შ. იწარმოება კაუზატიური ფორმებიც. მაგ.,

ბერე მაღიმბუ (ჩიქ. II, 93₂) „ბავში შემიყვარდა“; ა ფადიშიში ბერეს ჰიმ ბოზომოთა აღიმბუ (ჩიქ. II, 90₁₇) „ერთ ხელმწიფის ვაჟს ის გოგო შეუყვარდა“; კართი-კართი ბერეფესო გოღიმბაფათერე (ქარტ. II, 224) „ერთ-მანეთი უნდა შევაყვაროთ ბავშვებს“.

ლაზურის სხვა კილოებში ეს ფუძე უცნობია. აქ „ყვარების, სიყვარულის“ მნიშვნელობით იხმარება ქართულის ყწარ- ფუძის შესატყვისი ყორ- (ხოფურში) და ორ- (ვიწურ-არქაბულში). ეს უკანასკნელი გავრცელებულია ათინურ-ართაშენულშიც. მაგ.

პიქ არ ბოზომთა შაოროფუ, ბაბა-შეიმი ვარ მომჩუ (კარტ. II, 169²⁰) „იქ ერთი გოგო შემიყვარდა, მამაჩემმა არ შემერთო („არ მომცა“); ბაბა-შეიმი დომოჩილუ, არ ოხორზა (|| ოხორჯა) ქომომიონუ. მა პიმ ვარ შაოროფერტუ, ზორიშაში ქომომიონუ. ბაშქა შაოროფერტუ მა. მა ნა შაოროფერტუ, ვა მომჩუ (კარტ. II, 170¹⁸⁻²⁰) „მამაჩემმა დამაქორწინა, ერთი ქალი მომიყვანა. მე ის არ მიყვარდა, ძალით მომიყვანა. სხვა მიყვარდა მე. მე რომ მიყვარდა, არ შემერთო“.

ათინ.-ართაშ. ღიმბ- უნდა უკავშირდებოდეს ქართ. ღმ- ძირს (შდრ. ძვ. ქართ. ვღმის „სტიკვა“, ღმობა | საღმობა „ტიკვილი“, ღმობიერ-ი || საღმობიერ-ი „სატკივირიანი, გულმტიკიენული“).

ათინ.-ართაშ. ღიმბ- მიღებული ჩანს *ღიმ- ძირისაგან. ბ განვითარებული უნდა იყოს ძირისეული შ თანხმოვნის შემდეგ. ბ-ს ამგვარი განვითარება მ-ს მომდევნოდ ათინურ-ართაშენულისათვის (სპორადულად ვიწურისთვისაც) მეტად დამახასიათებელია. მაგ., ხოფურ-ჩხალურ და არქაბულ ხომ-, ხვამ- ფუძეებს ათინურ-ართაშენულში (ვიწურშიც) ხომბ-, ხვამბ- შეესაბამება. შდრ.

ხოფ.-ჩხალ., არქ. დოხოზუ – ათინ.-ართაშ. ვიწ. დოხოზუ „გახმა“	
ხოზულა –	ხოზულა „ხმელი“
ოხოზინუ –	ოხოზინუ „გახმოზა“
ვ/ბიხვამი –	ვ/ბიხვამი „ვილოცვ“
ოხვამუ –	ოხვამუ „ლოცვა“
ოხვამე –	ოხვამე „სალოცავი“.

შდრ. აგრ. ხოფ.-ჩხალ. ყომინ-, არქ. ომინ- და ათინ.-ართაშ. მბინ- „წყურება, წყურვილი“ (ხოფ.-ჩხალ. მაყომინენ – ათინ.-ართაშ. მამბინენ „მწყურია“).

მ-სთან ბ განვითარებულია ათინურ-ართაშენულის (და ვიწურის) სახელურ ფუძეებშიც. შდრ.

ხოფ.-ჩხალ., არქ. ცხემუო – ათინ.-ართაშ. მცხემბო „რცხილა“	
ჩილამურე –	ჩილამბო ჩილამბი „კრემლი“
ყომური/ომური –	ომბო „ტყემალი“
თხოზუ –	თხოზუ „თხმელა“
თხოზური –	თხოზბო „თხრამლი, ჩირქი“
პურწუმოლი –	პურწუმბოლი „ბრწამლი“.

ქართ. ლმ- და ლაზ. ლიმბ- (< *ლიმ-) ფუძეთა არქეტიპად აღ-
 დგება *ლმ- ივარაუდება, რომ ლაზურში მარცვლოვანი ზ სონანტის
 ბაზაზე განვითარდა ო ხმოვანი. შდრ. საერთო-ქართველური
 *სმ- ძირისაგან მიღებული ზანური რეფლექსი სიმ-: ლაზ.
 ისიმინს „ისმენს“, მეგრ. მასიმე(ნ) „მესმის“ (გამყრელიძე,
 მაჭაყარიანი 1965, 12).

როგორც ცნობილია, საერთო-ქართველურ მარცვლოვან
 სონანტთა ბაზაზე მეგრულსა და ლაზურში ჟ, თ, ი ხმოვნები
 ვითარდება (იქვე, 339 შმდ.). ამავე რიგისაა გარკვეული ტიპის
 აქცესიურ კომპლექსებში არაფონემატური ღირებულების მოკლე
 ხმოვნების (ჟ, თ, ი) განვითარება (იქვე, 341).

ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ლაზურის ათინურ-
 ართაშენული და ვიწურ-არქაბული კილოები თ/ჟ ხმოვნებს
 ივითარებენ, ლაზურის ხოფურ-ჩხალური კილო და მეგრული კი
 – ი ხმოვანს (იქვე)¹²⁴.

ზოგჯერ ვიწურ-არქაბულიც, ხოფურ-ჩხალურის მსგავსად,
 ი ხმოვანს გვიჩვენებს, ათინურ-ართაშენულში კი მაინც ჟ გვაქვს.
 მაგ.,

ვიწ-არქ. ხოფ-ჩხ.	უჩინ – ათ-ართაშ.	უშკუნ „იცის („უნს“)
	ბღგიორ –	ბღგურ „ედგავარ“
	ძინ –	ზუნ „ძევს“
	აწირლი –	აწულე (< აწურღე) „კრაზანა, ბზიკი“
	დოსქიდუ –	დოსკულუ „დარჩა“
	დოდგითუ –	დოდგითუ (< *დოდგითუ) „დადგა“.

ასე რომ, *ლმ- ფუძეში ზ სონანტთან ი ხმოვნის განვითარება
 ათინურ-ართაშენულში, ერთი შეხედვით, თითქოს მოულოდნელია,
 ლმ- (> ლმბ) უფრო იყო სავარაუდებელი. მაგრამ ი ხმოვნის
 განვითარება ათინურ-ართაშენულსაც არ ეუცხოება. უფრო მეტიც,
 ცალკეულ შემთხვევებში ვიწურ-არქაბულის თ, ჟ ხმოვნების
 ადგილას ათინურ-ართაშენული, ხოფურ-ჩხალურის მსგავსად,
 ი ხმოვანს აჩენს.

მაგ., ვიწურ-არქაბულში გვაქვს ზმნური გუმ- ფუძე (<
 ს.-ქართვ. *გბ-): გუმუმს „ხარშავს“; ათინურ-ართაშენულში (ისევე
 როგორც ხოფურ-ჩხალურში) – გობ-, რაც რიგ თქმაში ჯობ-ად
 გამოითქმის: დოჯობუ „მოხარშა“.

¹²⁴ იხ. აქვე, გვ. 8.

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც: ხოფურ-ჩხალურში **თ**, **უ** გვაქვს, ათინურ-ართაშენულში (ზოგჯერ ვიწურ-არქაბულშიც) **კი** – **ი**: ხოფ.-ჩხალ. **ფინჯშაღაფ**, ათინ.-ართაშ. **ფიჯიბაღამ** „ვიჭერ, ხელს ეტაცებ“; ხოფ.-ჩხალ. **გებე(ლ)ღუფ**, ათინ.-ართაშ. (ვიწ.) **გებეირუმ**, არქ. **გებეიღუმ** „ვმლი (წაემლი)“.

ერთი სიტყვით, ***ღმ**- ფუძეში **ი** ხმოვნის განვითარება ათინურ-ართაშენულისთვის მოულოდნელი არ არის. ქართ. **ღმ**-**და ლაზ**. **ღიმბ**- ფუძეთა დაახლოებას ფორმალური დაბრკოლება არ ახლავს. ეს ფუძეები სემანტიკურადაც უკავშირდებიან ერთ-მანეთს.

მნიშვნელობის განვითარებისათვის – „ტიკიელი“ (ძვ. ქართ. **მელმის** „მტკიცე“) > „სიყვარული“ (ლაზ. **მაღიმბენ** „მიყვარს“) – შდრ. რუს. **болезненный** „მტკივნეული“ და **болезный**, რომელსაც დიალექტებში „სასურველის, საყვარლის“ მნიშვნელობა აქვს: «сердечный, милый, желанный, жадобный, кого люблю, по ком сердце болит» (Даль 1956, 112).

ქართ. **ღმ**- ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები აღნიშნავენ „ტიკიელს, გულმტკივნეულობას, სიბრალულს, წყალობას“. შდრ. **жал**- ფუძისგან ნაწარმოებ სიტყვათა მნიშვნელობები რუსულში:

«**Жалеть** кого, о ком; скорбеть, сожалеть, болеть сердцем, сокрушаться о чем, печалиться"... **жаловать** кого любить, чтить, держать в милости || кому что, кого чем: дарить, награждать подарком, чином, отличием... **жалоба ты мой, моя**... по ком сердце болит, кого жалею, люблю"» (Даль 1956, 525-526).

მათთან კავშირშია ლიტვური **gėlti, gėlia, gėlė** «очень болеть, жалить», **gėla** «жестокая боль, мучение, мука» (Фасмер 1967, 34, 35).

შდრ. აგრ. **жалеть** და **желать** სიტყვათა ურთიერთკავშირი რუსულში (იქვე, 41 [რედაქტორის – ო. ტრუბაჩოვის – შენიშვნა]).

§3. მბინ- „ბნევა“.

ქართულ პოლისემიურ **ბნ-ევ-/ბნ-ი(ვ)** ფუძეს, სხვა მნიშვნელობებთან („დაყრა, დაფანტვა, არევა“) ერთად, აქვს „გარჯობის, გაყრის, დამაგრების, მიმაგრების, შეკერის“ მნიშვნელობაც. შდრ. **დაბნევა**, **მიბნევა**, **გაბნევა** (ნემსისა), **შებნევა** (ღილისა)...

ლაზურსა და მეგრულში სწორედ ამ მნიშვნელობებით დასტურდება ქართ. **ბნ**- ძირის შესატყვისი ზანური ფორმები – ლაზ. **მბინ**- და მეგრ. **ბინ**-. შდრ.

ლაზ: ომბინუ „შეკერა, შებნევა“, ოკ(ე)იმბინაფ (ხოფ-ჩხალ.) || ოკობიმ-ბინამ (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.) „ვიბნევე, ვიკრაფ“, სედექი ქოკიმბინი! მა ოკობიმბინამ (კარტ. II, 182₁) „ლილი შეიბნიე! მე ვიბნიე“.

მეგრ: შიკმაბინანს „აბნევეს“, შიკმიბინანს „იბნევეს“, ქიმაკაბინუ „მიაბინია“, ქიმაკიბინუ „მიიბინია“, გიოთიბინანს „აბნევეს“, გიოთიბინანს „იბნევეს“, ქიგიოთიბინუ „დააბინია“, ქიგიოთიბინუ „დაიბინია“, შიკობინუა „მიბნევა“, შიკაბინალი „მისაბნევი“, ბინუნს „კირავეს“, იბინუნს „იბნევეს, იკრავეს“, გობინუ „შეკრა“, გიბინუ „შეიბინია, შეიკრა“, ბინუა „შეკერა, შებნევა“, ობინალი „შესაკრაეი, შესაბნევი“... ირო მოკო ვარდი ორდენ, გურსუ გიშობინუდენ (გუდ. 314, 451₂) „მინდა მუდამ ვარდი იყო, მეგრდზე მყავდე დაბნეული“.

ქართულ-ზანურ არქეტიპად აღდგება *ბჟ- ძირი. ზანურში მარცვლოვანი წ სონანტის ვოკალიზაციით ი ხმოვანი განვითარებულა (მარცვლოვანი სონანტების ვოკალიზაციისათვის იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 81 შმდ.). ლაზურში ძირს ანლაუტში მ დართვია.

§4. მჩინოჯ- „მაკე“.

ლაზურის ყველა კილოში გეხედება მჩინოჯ- ფუძისაგან ნაწარმოები ზმნები და ნაზმნარი სახელები. შდრ.

ხოფ-ჩხალ.: მოზარი ჟურ-სუმ წანაში-ნა იყვას, ეყდინდუნ, იყონოფან ხოჯიშა, იმჩინოჯენ. მოზარი მჩინოჯეო ენ. ბაზი მოზარი ეა იმჩინოჯენ, დიკისირენ, კისირი უწუმელან (ჩიქ. I, 166₂) „დეკეული, ორი-სამი წლისა რომ გახდება, ატყდება, წაიყვანენ ხართან, დამაყდება დეკეული დამაყებული არის. ზოგი დეკეული არ მაკდება, გაბერწდება, ბერწს ეძახიან“; ფუჯი ეა მაჩინოჯუ (ასათ. 161₆) „ძროხა ვერ დავამაკებინე“.

ვიწ.-არქ.: ჰაწი ცხენი დიმჩინოჯუ ქე უშქურითე, ოხორჯა უხევენე დიეუ. ცხენისთი თაი დაეუ, ოხორ-ჯასთი ბიჭი დაეუ (კარტ. I, 155₉) „ახლა ცხენი დამაყდა იმ ვაშლისაგან, ქალი დაფეხმძიმდა. ცხენსაც კეიცი ეყოლა, ქალსაც ვაჟი ეყოლა“.

ათინ.-ართაშ.: ნჯენი სუმ წანაშ ოკაჩხე დიმჩინოჯენ... ჩხორო თუთაში კულე ფუჯი ნჯენი ქოდვორინამ (ჩიქ. II, 114₂₀) „ხბო სამი წლის შემდეგ დამაყდება... ცხრა თვის შემდეგ ძროხა ხბოს მოიგებს“.

თვით მჩინოჯ- ფუძე, რომელიც „მაკეს“ აღნიშნავს, დამოუკიდებლად არ იხმარება. იგი ჩინ- ფუძისაგან მ- -ოჯ კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ჩანს. ქართულში მისი შესატყვისი უნდა იყოს მცონარ-.

მ-ცონარ- ფუძე, რომელსაც ძველ ქართულში მ-ცონარ-ე უდგას გვერდში, ახალში კი – მ-ცონარ-ა, „ზარმაცს“ ნიშნავს. იგი ზმნური ცონ- ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობაა. შდრ. ცონ-ფუძის შემცველი ზმნები და ნაზმნარი სახელები ძველ ქართულში: მცონის, სცონის, იცონოს, დაიცონებ, დავიცონოთ, სიცონიდი, უცონო, უცონილად... (აბულაძე 1973, 133, 397, 438, 519).

ლაზ. ჩინ- კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ქართ. ცონ- ფუძისა. შესატყვისობა – ქართ. ც : ზან. ჩ – საერთო-ქართველურ ამოსაველად *ც-ს გვაგარაუდებინებს. შესატყვისობისათვის – ქართ. თ : ზან. ი – შდრ. ქართ. ცოლ-ი : ზან. ჩილ-ი. ძირის ქართულ-ზანურ არქეტიპად აღდგება *ცოლ-.

ახლა რაც შეეხება აფიქსებს. ს-ქართვ. მ-პრეფიქსი როგორც ქართულში, ისე ლაზურშიც დაცულია; ქართ. -არ სუფიქსის აღგილას კი ლაზურში -ოჯ გვაქვს (მ-ცონ-არ- : მ-ჩინ-ოჯ-). ქართ. -არ სუფიქსის შესატყვისად მეგრულში -ენჯ || -ონჯ დასტურდება (თოფურია 1937, 141–144), რომელიც -ონჯ (< -ოჯ)-ისაგან მომდინარეობს ბრუნვის ნიშნის ო-სთან უმლაუტის გზით (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 168). ლაზურისათვის ეს სუფიქსი დღეს დამახასიათებელი არ არის, მაგრამ ისტორიულად მისთვისაც რომ უცხო არ უნდა ყოფილიყო, ამას ოცხოჯი || ოცხეჯი (მეგრ. ორცხონჯი) „სავარცხელი“ ფორმების არსებობა მოწმობს. ლაზ. -ოჯ || -ეჯ სუფიქსი (ისევე როგორც მეგრ. -ონჯ) ქართ. -არ სუფიქსის შესატყვისია (შდრ. ქართ. დიალექტური სავარცხალი < *სა-ვარცხ-არ-ი).

-ოჯ სუფიქსის უძველესი სახე გვაქვს შემონახული ზანურიდან ქართულში შესულ მათხოჯ- ფუძეში [თვით მეგრულ-ლაზურში იგი დაკარგულია (ძიძიგური 1946, 355–358)], ზან. მა-თხ-ოჯ- შესატყვისება ქართ. მ-თხოვ-არ-ს.

ლაზ. მ-ჩინ-ოჯ- ფუძის დაკავშირება ქართ. მ-ცონ-არ-თან, როგორც ეხედავთ, ფონეტიკურად შესაძლებელია. რამდენად გამართლებულია მათი სემანტიკური დაახლოება? რა აქვთ საერთო „მაკესა“ და „ზარმაცს“?

ქართ. მაკე ეტიმოლოგიურად „მძიმეს“ ნიშნავს. შდრ. მეგრ. მოკა || მონკა, ლაზ. მოკა „მძიმე“, მეგრ. მოკათუ „ფეხმძიმე, ორსული“ (Кипшидзе 1914, 281; ჩიქობავა 1938, 242). მეგრულში ფეხმძიმის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე ქართულიდან შესული ძიმე (< მძიმე) ფორმაც. შდრ.

ძღაბიქ ძიმეთ ქედოსქიდჲ (ხუბ. 143) „გოგო ფეხმძიმედ დარჩა“.

შდრ. აგრ. ქართულის დასაველურ კილოებში (გურულში, ლეჩხუმურში): მძიმედ ყოფნა „ფეხმძიმედ, ორსულად ყოფნა“ (ლლონტი 1974, 395)

„მძიმე“ „ფეხმძიმეს, ორსულს“ აღნიშნავს სხვა ენებშიც. შდრ.

თუნდაც რუს. «тяжелая, о женщ. и животн. в тягости, в тяжести, беременная» (Даль 1956, 455).

„მძიმე“ და „ზარმაცი“ კი ადვილად დაიყვანება ერთმანეთზე. მათთვის საერთოა მნიშვნელობები: „ნელი, ღუნე, სუსტი“. გარკვეულ კონტექსტებში „მძიმე“ და „ზარმაცი“ ერთმანეთს ენაცვლებიან. შდრ. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წარმოდგენილი განმარტებანი: „ზარმაცად ზანტად, მძიმედ, უხალისოდ, უნდომლად“ (ქეგლ, IV 1955, 102), „ზანტ-ი ზარმაცი; ნელი, მძიმე, აუჩქარებელი“ (იქვე, 96). მნიშვნელობებთან: „ზანტი, ნელი, ღუნე, უხალისო“ ახლოს დგას „სუსტი, უძლური“. შემთხვევითი არ არის, რომ უძლებ-ი ძველ ქართულში და დიალექტებში (მაგ., ქართლურში) „ორსულს, ფეხმძიმეს“ აღნიშნავს (აბულაძე 1973, 439; ღლონტი 1975, 142). ასეთივე მნიშვნელობა აქვს მეგრ. უშულებერ-ი (< *უ-შე-უ-ძლებ-ერ-ი) „შეუძლებელი“ მიმღეობას. შდრ.

მართალო, მუშ ცუდეს ოსურქ უშულებერო ქედოხეადგ. ქემჯკგრჯ დროქ დო ქომოლ-სქუაქ ქედგბადგ (ხუბ. 213₁) „მართლაღ. შინ ცოლი ფეხმძიმედ („შეუძლოდ“) დახედა. მოაწია დრომ და ვაჟიშვილი დაიბადა“; თქვანი დიდა უშულებერო ლე: თის დგბადებუ ქომოლი სქუა (ხუბ. 177) „თქვენი დედა ფეხმძიმედ არის. მას გაუნდება ვაჟიშვილი“.

„მძიმისა“ და „ზარმაციის“ სიახლოვისათვის შდრ. სხვა ენათა მონაცემებიც: რუს. тяжёлый „მძიმე“ : ლიტვ. tingus „ზარმაცი“ (Фасмер 1973, 140).

§5. მწკილ- || მწკულ- || მწულ- „წვეტიანი, წაწვეტებული; სოლი, კოტა“.

ლაზურში იხმარება მწკილ- || მწკულ- || მწულ- ფუძე, რომლის მნიშვნელობებია: „წვეტიანი, წაწვეტებული; სოლი, კოტა“ (ჯღენტი 1938, 197; ნადარეიშვილი 1974, 145–146). პარალელურ ფორმათაგან პირველი ხოფურ-ჩხალურია, მეორე – ვიწურ-არქაბული, მესამე – ათინურ-ართაშენული. მოვიყვან საილუსტრაციო მასალას გაბმული ტექსტებიდან:

ხოფ-ჩხალ.: ტარდალი ჩელიდიში იქიფან, არ უჯი მწკილი უღუნ, მაჟუა უჯი – ფართო, ჟუთი მჭკიულა. ქეაში გუიკალა მწკილითენ ძანგუფან, ქეაში ქენაეფეს ფართოთენ ძანგუფან (კარტ. II, 61_{კ-გ}) „საკოდელს ფოლადისას აკეთებენ, ერთი ბოლო წვეტიანი აქვს, მეორე ბოლო – ფართო, ორივე მჭრელი. [წისქვილის] ქვის გულთან წვეტიანით მოკოდავენ, ქვის ნაპირებში ფართოთი მოკოდავენ“; ქეაშ გუის მწკილეფე გუჩანაფან კაპეტიშა-ქი, ლაუსტი ვა გამალას დო თუდე დალიშა ვა დილიბილას. მწკილი ლაფიქ ნა შიას დო დიშოლანას, თეკრაკათი გოშოჩანაფან (კარტ. II, 60_{ბ-გ}) „[წისქვილის] ქვის გულს სოლებს ჩაუსობენ მაგრა, რომ სიმინდი არ გამოცვივდეს და ქვეით წყალში არ ჩაიყაროს

სოლს რომ ლაფერა გაცევთს და [გული] გაფართოვდება, ხელახლა ჩაუსობენ“.

ვიწ-არქ: გერმა-კონის ... ნუკუ მწკული უღუტუ (ჟღ. 4ა) „ტიყისკაცს – სახე წაწვეტებული პქონდა“; მწკული მწკულითენ გამიმენან (კარტ. I, 227ა) „სოლი სოლით გამოაქეთ“ [შდრ. რუს. «Клинок клином вышибают»]; მწკული დარაბას ივენ: დარაბა – ფიცარი¹²⁵ ოკოდვაში, მწკული გეჩაში, დოქაჩემს (ჩიქ. II, 73ა) „კოტა კედელს აქეს (კედელში იქნება“); კედელი – ფიცრებს რომ ერთმანეთს მიაღებ, კოტას რომ ჩაუყენებ („დაქერაე“), დაიჭერს“.

ეგვეე ფუძე გეაქეს ათინურ-ართაშენულ მწულ- ფორმაში (ამ დიალექტისათვის ნიშანდობლივი წკ > წ გადასვლით), რომელიც დასტურდება კომპოზიტში მწული-მწულუ „წვეტიანი („წვეტ-წვეტა“)" და მიმღეობაში გამამწულანერი „წაწვეტებული“:

მწული-მწულუ ბუჟულეფე (კარტ. II, 176,1) „გაწკვერტილი უღვაშები“; მა თორდოვათური ვორე. ესკი მოხო თორდოვათ ონ, აღანი – სივრიკალე– პიქო კალე ოხო. პიმ კალე ნა ონოშენი პიმ მოხო ჯოოდვეს. ო კალედენ პიმ მოხო ეჭოფუ. სივრი – გამამწულანერი. კალე მჭიფე დო გუნძე ტუ. პეშენი სივრიკალე უწვეს (კარტ. II, 222,3-36) „მე თორდოვათელი ვარ. ძველი სახელი თორდოვათია, ახალი – სივრიკალე– იქ ციხე არის. იმ ციხის გამო ის სახელი დაარქვეს. იმ ციხისგან მიიღო ის სახელი. სივრი – წაწვეტებული. ციხე ვიწრო („წვრილი“) და მაღალი („გრძელი“) იყო. ამიტომ სივრიკალე უწოდეს“.

ლაზ. მწკილ- || მწკულ- || მწულ-, ვეჭრობ, უკემირდება ძველი ქართულის მსტკულ- ფუძეს, რომელიც პარალელური მშტკულ- || მრტკულ- || მტკულ- ფორმითაც გეხედება გან-, და-, უკუ-, შე-პრევერბიან ზმნურ ფორმებში (და ნაზმნარ სახელებში) და „დალურსმეის, მიტყედების, დარტობის, მიკერის“ მნიშვნელობის მატარებელია. შდრ.:¹²⁶

განემსტკულენით, დაემსტკულენეს, დამსტკულული– განმშტკულენ, დამშტკულა, დამშტკულული, უკუმშტკულენეს, შემშტკულა– დამშტკულენ, შემრტკულენით– შემშტკულული.

შდრ. აგრ. ახალი ქართულის მსტკალვა (ემსტკალავ, ემსტკალე) „დავლურსმავ, ლურსმით დაეაკრავ; привозданы“ (დ. ჩუბინაშვილი 1887, 901).

აღნიშნული ზმნები ნასახელარი ზმნებია და მათთვის ამოსავლად ლურსმნის აღმნიშვნელი მსტკულ-ო (მშტკულ-ო || მრტკულ-ო) სახელი უნდა ვივარაუდოთ. მართალია, ძველი ქართული ენის ძეგლებში ეს სახელი არ დასტურდება, მაგრამ გეაქეს სამსტკულ-ო (და მისი ვარიანტები: სამშტკულ-ო || სამრტკულ-ო).

¹²⁵ დაბეჭდილია: ცარი

¹²⁶ აქ და ქვემოთ ძველი ქართულის საილუსტრაციო ლექსიკური მასალა კონტექსტისა და დამოწმების გარეშე მოყვანილია წიგნიდან: აბულაძე 1973, 115.

ეფიქრობ, სავსებით რეალურია იმისი დაშვება, რომ ძველ ქართულში პარალელურად იხმარებოდა ლურსმნის აღმნიშვნელი სახელის ორი ფორმა: ერთი – მარტივი ფუძის შემცველი (მსჭუაღ-ო) და მეორე – სა-პრეფიქსით გართულებული (სა-მსჭუაღ-ო). შდრ. ანალოგიური ლექსიკური წყვილები ძველ ქართულში:

- ზღვარ-ი || სა-ზღვარ-ი
- მჭელეულ-ი || სა-მჭელეულ-ი
- სთუნალ-ი || სა-სთუნალ-ი
- ფიც-ი || სა-ფიც-ი
- ცხოვარ-ი || სა-ცხოვარ-ი
- წუეთ-ი || სა-წუეთ-ი
- ჭამად-ი || სა-ჭამად-ი...

ლურსმნის აღმნიშვნელი მსჭუაღ-ო სახელის რეალურ არსებობას მოწმობს, აგრეთვე, თანამედროვე ქართულის მჭუაღ-ო || ჭუაღ-ო¹²⁷ „მჩხვლეტავი ტკივილი, Кошмар“. ივარაუდება, რომ საქმე გვაქვს მნიშვნელობის გადაწვეასთან: „ლურსმანი“ > „ჩხვლეტა“ > „მჩხვლეტავი ტკივილი“. ამგვარ ვარაუდს, ეფიქრობ, დაბრკოლება არ ახლავს^{127ა}.

ქართ. მსჭუაღ-/მსჭუაღ- სახელური ფუძის საერთო-ქართველურ არქტიპად უნდა ვივარაუდოთ *მს₁ჭუაღ-/მს₁ჭუაღ-. შუა რიგის სისინ-შიშინა სპირანტი თ-ს წინ ნულოვან ალოფონს გვაძლევს ქართულსა და ზანურში (მაგ., ს.-ქართვ. *ას₁თ- > ქართ. ათ-, ზან. ვით- შდრ. სვან. ძეშღ „ათი“) (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 135–136). ოგი ასევე ნულს გვაძლევს საერთო-ქართველური *ძ₁-საგან მომდინარე ჯ-ს წინ ზანურში (შდრ. ს.-ქართვ. *ს₁ძე > ზან. *ჯა > მეგრ. ბჟა, ლაზ. ბჯა || მჯა || ბჟა || მჟა. შდრ. სვან. ლჯჯე „რძე“) (იქვე, 133). საფიქრებელია, რომ ასევე იკარგებოდა საერთო-ქართველური *ს₁ ზანურში გლოტალიზებული აფრიკატის წინაც.

ს.-ქართვ. *ს₁ჭუ კომპლექსს ზანურში უნდა მოეცა წაჭ (სისინ-შიშინა სპირანტის გაქრობით გლოტალიზებულ აფრიკატთან და შიშინა კომპლექსის გასისინებით ჭ ლაბიალის წინ). ს.-ქართვ. *მს₁ჭუაღ-/*მს₁ჭუაღ- ფუძისაგან ზანურში მივიღებდით *მწაჭაღ-/მწაჭულ- ფორმებს, რომლებსგანაც ზანური ხმოვანთგადაწვევის შემდეგ *მწაჭოლ-/მწაჭულ- ფორმები ჩამოყალიბდებოდა¹²⁸. როგორც

¹²⁷ ლექსიკონებში მიუთითებენ სხვა ვარიანტებსაც: ბრჭვალღი, ბჭვალღი, პჭვალღი (ნ. ჩუბინაშვილი 1961, 158; დ. ჩუბინაშვილი 1887, 128).
^{127ა} განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ჭინჭარაული 1997, 162–167.
¹²⁸ შესატყვისობისათვის ქართ. ჭა : ზან. ლ შდრ. ქართ. თვაღ - : ზან. თოღ-

მოსალოდნელი იყო (გუდავა 1960, 121-122), თავიიდური მ ლაბიზლის გაელენით ფუძისეული ო დავიწროვდა (*მწკოლ- > მწკულ-) და ფუძის სრული და რედუცირებული ფორმები ერთმანეთს დაემთხვა.

სწორედ ეს საერთო-ზანური ფუძეა უცვლელად დაცული ლაზურის ვიწურ-არქაბულ კილოში. ფუძისეული უ ხმოვანი უცვლელად აქვს დაცული ათინურ-ართაშენულსაც. ხოფურის მწკილ- კი მეორეულია და ზანურ დიალექტებში მოქმედი უ > ო პროცესის შედეგია.

ლაზ. მწკილ- ფუძეს უკავშირებენ მეგრ. წკიორ-/წკერ- (წკიორი „წაწვეტებული ჯოხი“, წკიორა „დაპობა“, ნოწკერი „ნაპობი“) და ქართ. წკიორ- (წკიორი „წერილი ჩხირი“) ფუძეებს. თუ ეს დაკავშირება მართებულია (შესატყვისობისათვის – ქართ. ღ : ლაზ. ღ : მეგრ. რ – შდრ. ქართ. ნაკვერცხალ-ი : ლაზ. ნოკანჩხულე „მუგუზ ხალი“ : მეგრ. ნაკვანჩხორ-ი), მაშინ ქართ. წკიორ-, მართლაც, ზანიზმად უნდა მივიჩნიოთ (ამის შესახებ იხ. ნადარეიშვილი 1974, 145-146).

§ნ. მჭკ- || ჭკ- „გაწვრთნა, მიჩვევა“.

ლიტერატურაში მიუთითებენ შესატყვისობაზე: ქართ. მწყ- (უ-მწყ-ი „გაუხედნაეი“) : სვან. ნჭყ- (ღი-ნჭყ-ი „გახედნვა, დამორჩილება“). ამ ფუძეებს უკავშირებენ, აგრეთვე, ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე რეკონსტრუირებულ *მწყს-ი. ფუძეს (ქართ. მწყსის, მეგრ. ჭყეშ-, ჭყიშ-, ლაზ. მჭკეშ-, მჭკეშ-) და საერთო-ქართველურ დონეზე აღადგენენ მას (ცინდელიანი 1969, 9).

საერთო-ქართველურ *წყ ჯგუფს სვანურში მყ უნდა მოეცა. შდრ. ქართ. მწყერ-ი : მეგრ. ჭყორ-ი : სვან. შყაუუ, ქართ. წყუად-/წყად- : მეგრ. ჭყვიდ-/ჭყორდ- „წყვეტა“ : ლაზ. ჭკ(ე)იდ-/ჭკოდ- : სვან. შყედ- „ეარდნა“, ქართ. ნერწყუ-ი : მეგრ. ლერჭყვა : ლაზ. ლემჭკვა : სვან. ნწყუუ „ფურთხი“ (როგავა 1953, 47; თოფურია 1960, 154; მაჭავარიანი 1965, 29-30, 85; გამყრელიძე 1968, 12).

რამდენადაც სვან. ნჭყ- ფუძეში ჭ აფრიკატს სპირანტიზაცია არ განუცდია, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფუძე სვანურში გვიანდელი წარმოშობისაა, იგი მეგრულიდან ნასესხები ჩანს.

ქართ. მწყ- ფუძის¹²⁹ შესატყვისი ორივე ზანურ ენაში დას-

ქართ. სჭან- : მეგრ. შონ-, ქართ. ყჭარ- : ზან. ყორ- (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 288-289).

¹²⁹ მწყ- ფუძე ძველ ქართულში სხვა სიტყვებშიც გვხვდება: დამწყა „გახედნვა“, სამწყული „ხბო (გასახელნი)“ (აბულაძე 1973, 118, 365).

ტურდება: მეგრ. ნჭყ-, ლაზ. მჭკ- || ჭკა-

ნჭყუალა მეგრულად „გახედნავს“ ნიშნავს, უნჭყაფუ – „გაუხედნავს“ (სახოკია 1956, 103).

ლაზურად მჭკუ „გაწერთნას, მიჩვევას“ ნიშნავს. შდრ. ნ. მარის ლექსიკონში: ბომჭკამ „ეწერთნი“, მობიჭკამ „ვიჩვევ“, თხოვომჭკინაფ „ეაჩვევ“, ჭკერი სიძთერი (ათმაჯა) „გაწერთნილი მიძინო“ (Март 1910, 225).

ამრიგად, ისევე როგორც *მწყყს., *მწყყ- ფუძეც, ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე აღდგება.

§7. ნთალ- „აზელა“.

გ. კლიმოვმა ერთმანეთს დაუკავშირა ქართ. თელ- (მო-თელ-უა) და სვან. თელ-/თლ- (ლშხ. ლი-თელ || ლი-თლ-ე „მოჭერა, შეხება“) (Климов 1964, 92). მეგრული ეკვივალენტი თალ- (თალ-უა „თელვა“, თალ-უნ-ს „თელავს“) გამოავლინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 146).

დადასტურდა ამ ფუძის ლაზური შესატყვისიც – ნთალ-:

პეჯი კარდალას ქოდოლობდაფ ქურუმი დო ქოგობაფ წკაი. აია იგიბასუონ კაპეტი, ოკულე ნთალაგინონ ონდითე, მუში ბიგათე, კოპალი-მუშითე (ქარტ. II, 59) „სქელ კარდალაში ჩაყრი ღომს (ქერიმას) და დაასხამ წყალს. ამან კარგად („მაგრ“) უნდა იდულოს, მერე უნდა აზილო იმით, მისი ჯოხით, მისი კომბლით“; დიდო ნაკადეფე იქიფან-ქი, მუნდეს ნა აია დიხას წკაი გომხუნან, ექ დოლოდგითასუონ დო ნთალასუნან. ამულეან დო აია ნაკადიშ დოლოზე დონთალუფან კაი ხეშა, ხეთენთი, კეჩხეთენთი (ქარტ. II, 57³⁷⁻³⁹) „ბევრ ნაკადს (= სარწყავ ნაკეფეს) აკეთებენ, რომ, როცა ამ მიწაზე წყალს მიუშვებენ („დასვამენ“), იქ წყალი უნდა ჩადგეს და უნდა აზილონ. შევლენ ამ ნაკადში აზელენ კაიხელად, ხელითაც, ფეხითაც“.

ფუძის ანლაუტში ნ განვითარებულია. ქართ. თელავს, მეგრ. თალუნს „[ფეხით] სრესს“ და ლაზ. ნთალუფს „სრესს, ზელს“ ლექსემების სემანტიკური ერთობაც უდავოა.

§8. ნჭკა- „წყევლა“.

ლიტერატურაში დადგენილია შესატყვისობა – ქართ. წყევ- : მეგრ. ჭყ- || ჭყუ- (Кипшидзе 1914, 393; Vogt 1947, 56 [ფოგტი 1964, 297]; როგაეა 1962, 26; Schmidt 1962, 156; Климов 1964, 253).

ქართ. წყევ- ფუძეში ძირეული წყ- მორფემა გართულებულია -ევ სუფიქსით, რომელიც ძველ ქართულში არ განიცდიდა ხმოვნის აღტენაცობას II სერიის მწკრივებში: სწყევ – სწყევევ. საშუალ და ახალ ქართულში (დიალექტებში) -ფ/-ფე მონაცვლეობა ამ ზმნაშიც გვაქვს: დასწყია (< დასწყია), დაგწყიოს (< დაგწყიოს)

(შანიძე 1973, 405). ახალ ქართულში წყევ- ფუძე გართულებულია -ლ სუფიქსით: ს-წყევ-ლ-ი-ს, და-წყევ-ლ-ა.

მეგრულში ოდენ ძირეული ჭყ- მორფემა დაცულია ნა-ჭყ-ა „დანაწყევლი“ მიმღეობაში. ძირეულ ჭყ-ს დართული -უ სუფიქსი გვაქვს კავშირებითის ფორმებში: ღო-ჭყ-უ-ა-ს „დაწყევლოს“, ეა ჭყ-უ-ა „არ დაწყევლო“. ამავე სუფიქსის კვალი შემონახულია აორისტიკის -ეე, -უუ დაბოლოებებში: ღო-პ-ჭყ-ეე „დაწყევლე“, ღო-ჭყ-უუ „დაწყევლა“.

I სერიის მწკრივებში ძირეულ ჭყ- მორფემას შეიძლება -ალ სუფიქსი დაერთოს: პ-ჭყ-ალ-ენ-ქ (|| პჭყალე). შდრ.

გურსკ სერდაქ გომირჩქინდუ, ჩქიმი დაბადებას პჭყალენქ (ხუბ. 323₁) „გულში სედა გამიჩნდა, ჩემს დაბადებას ვწყევლი“; ცოროფასკ ირო პჭყალე. გური შემეწუხებუ ნი (ყიფ. მეგრ. 143₂) „სიყვარულს ყოველთვის ვწყევლი, გული რომ შემეწუხდება“.

-ალ სუფიქსი ამ ფორმებში იგივე ოდენობა ჩანს, რაც გვაქვს ქართ. ტეგ- ფუძის შესატყვის ზან. ტალ- ფუძეში: მეგრ. ღომიტალენქ „მტოვებ“, ლაზ. ეა დუტალუ „არ დატოვა“.

რაც შეეხება ალ სუგმენტს მასდარისა და მიმღეობათა ფორმებში (ჭყალ-ა „წყევლა“, შა-ჭყალ-ი „დამაწყევარი“, თ-ჭყალ-ი „დასაწყევარი“), -ალ აქ მასდარისა და მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსია და არა ზმნური ფუძის მაწარმოებელი. შდრ. ღო-ღგ-აღ-ა „დადება“, ზუ-აღ-ა „შენახვა“, ტუ-აღ-ა „წვა, ცხობა“, რღუ-აღ-ა „ზრდა“... თ-რჩხ-აღ-ი „გასარეცხი“, თ-რდ-აღ-ი „გასაზრდელი“, თ-ჭგ-აღ-ი „დასაწვაი, გამოსაცხობი“, თ-თას-აღ-ი „დასათესი“... შა-ტახ-აღ-ი „გამტეხი“, შა-თას-აღ-ი „მთესველი“, შა-რღუ-აღ-ი „მზრდელი“...

„წყევლის“ აღსანიშნავად ლაზურში დღეს თურქულიდან ნასესხები ბედუა (< სპ.-არ.-თ. beddua) იხმარება (ბედუა ოღოდაფხ „წყევლის“, ბედუა ოღოღუ „დაწყევლა“) ანდა ეჩამუ/მეფოჩამუ/მეფაჩამუ (=ქართ. გადაცემა) ზმნა გამოიყენება (ებოჩამ „წყევლი“, მეფოჩამუ „დამწყევლა“ [Mapp 1910, 208; ჩიქობავა 1938, 370]), მაგრამ „წყევლის“ აღმნიშვნელი საერთო-ქართველური (ყოველ შემთხვევაში, ქართულ-ზანური ერთიანობისდროინდელი) ფუძე ლაზურში დღემდე შემორჩენილია ნჭკ-ს სახით. ხოფურ-ჩხალური დიალექტის ხოფური კილოკაეის თქმებში (სარფულში, აზლალურში) დასტურდება ამ ფუძისაგან გე- „და-“ პრევერბით ნაწარმოები ფორმები. შდრ.:

გენჭკუ „(და)წყევლა“ (მასდ.), გენჭკუფხ „წყევლის“, გემჭკუფხ

(**< *გე-ბ-ნტკ-უფ**) „მწყველი“, **გემჭკაუფ** (**< *გე-მ-ნტკ-უფ**) „მწყველი“, **განგჭკაუფ** (**< *გე-გ-ნტკ-უფ-ს**) „მწყველის“, **გემჭკაი** (**< *გე-ბ-ნტკ-ი**) „დავწყველე“, **გემჭკაი** (**< *გე-მ-ნტკ-ი**) „დამწყველე“, **ვა გემჭკა** „არ დამწყველო“...

მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

ვაი გეგახეასა, უი გეგახეასა! – ქაგენჭკეხ დო მენდახთეს [ჯადუფე] (კარტ. II, 71₁₂) „ვაი დაგეცესო („დაგეყაროსო“), უი დაგეცესო! – დაწყველეს და წაიღნენ [ჯადოქრები]; ამუშენი ნისა დო დამთიე გენჭკეი ტენან დო ართიკართიკალა ვარ იწყვენან (კარტ. I, 13₁₂) „ამიტომ რძალი და ღუდამთილი დაწყველილი ყოფილან და ერთმანეთს ვერ ეწყობიან“.

როგორც ვხედავთ, ქართ. წყ- და მეგრ. ჭყ- ფუძეთა კანონზომიერ ლაზურ შესატყვის ჭკ-ს თავში ნ სონორი განუვითარებია, რაც ლაზურისათვის მეტად დამახასიათებელი მოვლენაა.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა ამ ფუძისაგან მ- პრეფიქსითა და რთული -აღ-ე სუფიქსით იწარმოება: **გემჭკალე** (**< *გე-მ-ნტკ-ალ-ე**) „დამაწყვეარი“ (მეგრ. მა-ჭყ-აღ-ი). -აღ სუფიქსი აქაც მიმღეობის მაწარმოებელია და არა ზმნური ფუძის შემადგენელი სუფიქსური მორფემა. -აღ სუფიქსი, ისევე როგორც მეგრულში, ლაზურშიც ფართოდ გამოიყენება მიმღეობათა საწარმოებლად. შდრ. კიდ-უფ-ს „აგებს, აშენებს“ – მ-კიდ-აღ-ე „ამგები, მაშენებელი“, ფ-თქვ-ი „ეთქვი“ – მ-თქვ-აღ-ე „მთქმელი“, შვ-ეს „ქსოვეს“ – მ-შვ-აღ-ე „მქსოველი“, თ-გურ-აფ-ს „ასწავლის“ – მა-გურ-აღ-ე „მასწავლებელი“ (ნადარეიშვილი 1962, 178 –179).

§9. პეჯ- „სქელი“.

ლაზურში პეჯი „სქელს“ ნიშნავს. მისგან იწარმოება ზმნისა და ზედსართავი სახელის თანაბრობითი და ოდნაობითი ხარისხის ფორმები: **იპეჯანენ** „სქელდება“, **დიპეჯანუ** „გასქელდა, დასქელდა“, **მაპეჯანა** || **მაპეჯაა** „სისქე“ (თანაბრობითი ხარისხის ფორმა), **მოპეჯანა** || **მოპეჯაა** „მოსქო“.

მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

ლიმფხონა წილუ, წილუ დო ღუშეღი-სტერი პეჯი-პეჯი ქოდორჩუ (ყიფ. ჭან. 776) „გვიმრა კრიფა, კრიფა და ლეიბივით სქლად დააფინა“; ზუდა-პიჯის ქოდოლიგზუ მუეჯი, კომასთეი მოუნანე დო პეჯი (კარტ. II, 267₁₀) „ზღვის პირას გაჩნდა („დაენტო“) ჯანღი, კვამლეით მოშაეო და სქელი“; ოთხო კითიმ მაპეჯანა ფიცარიში იქიფან (ჩიქ. I, 148₂₃) „ოთხი თითის სისქისას აკეთებენ“.

მეგრულში პეჯ- ფუძე არ დასტურდება.

ლაზ. პეჯ- უნდა უკავშირდებოდეს ქართ. მყარ- ფუძეს. სემანტიკური დაბრკოლება ამ ფუძეთა დაკავშირებისათვის, ვფიქრობ,

არ არსებობს. ქართულში სქელი გარკვეულ კონტექსტებში „მჭიდროს, მკერძის“ სინონიმი. მაგ., სქელი ფაფა, სქელი ნისლი (ქებელ, VI 1960, 1203–1204). თავის მხრივ, მაგარი ხშირად ენაცვლება „მკერძის“: გაამაგრებს = გაამკერძოვებს, გამაგრდება = გამკერძოვდება (ქებელ, II 1951, 41, 47, 645, 675).

„სქელი“ და „მაგარი“ სხვა ენებშიც ავლენენ სემანტიკურ კავშირს. შდრ. მაგ., ძველი ზემოგერმანული *grob*, რომელიც ორივე ამ მნიშვნელობას ითავსებს (Фасмер 1964, 463).

ქართული და ლაზური ფუძეების დაკავშირება ფონეტიკურადაც გამართლებული ჩანს. ქართულ-ზანურ არქეტიპად აღდგება *მყარ-. სახელური ფუძის ბოლოკიდური რ სონანტი ზანურში, როგორც წესი, ჯ-ს გვაძლევს (ბრუნვისნიშნისეული o ხმოვნის გავლენით [როგაეა 1959, 277 შმდ.]). რაც შეეხება ხმოვანთშესატყვისობას – ქართ. ა : ზან. ე, ამ რიგის მაგალითებიც საკმაოდ დასტურდება. შდრ. ქართ. ძარღუ-ი : მეგრ. ჯერღჟ-ი; ქართ. ტყაფ-ი : მეგრ. ტყებ-ი, ლაზ. ტკებ-ი || ტებ-ი; ქართ. შაშუ-ი : მეგრ. ზესქე-ი, ლაზ. მზესქე; ქართ. ლაშ-ი : ლაზ. ლეშქ-ი, მეგრ. ლეჩქე-ი; ქართ. არჩე-ი : მეგრ. ერცქემ-ი; ქართ. მძღუარ-ი (წინამძღუარ-ი) : მეგრ. ნჯღვერ-ი... ე ამ ზანურ ფუძეებში მიღებულია ქართ. ა-ს შესატყვისი o ხმოვნისაგან უმლაუტის გზით (Schmidt 1962, 30; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 167, 336).

საერთო-ქართულ-ზანურ *მყარ- ფუძეს ზანურში, მაშასადამე, *მყეჯ- უნდა მოეცა. ამ უკანასკნელს კი ლაზურში დამატებითი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია: მყ > მპ > პ.

მყ > მპ პროცესისათვის ლაზურში შდრ. *მყონ > მპონ- (გომპონუ „დაამყნო“). ა. ჩიქობავა, რომელმაც მიუთითა ქართ. მყენ-/მყნ-, მეგრ. ყონ- და ლაზ. მპონ- ფუძეთა იგივეობაზე, ფიქრობდა, რომ ლაზურ ფუძეში ყ შენაცვლებულია პ-თი აკუსტიკურ ნიადაგზე (ჩიქობავა 1938, 307). გ. მაჭავარიანის აზრით, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა პ ყ'სგან იყოს მიღებული ასიმილაციით მ'სთან მეზობლობაში (მაჭავარიანი 1958, 267).

მპონ- ფუძეში მომხდარი ცვლილება იზოლირებულად არა დგას ლაზურში. ასეთსავე ცვლილებას განიცდის ფუძისეული ყ (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში მას ნული ენაცვლება [ც საფეხურის გავლით]) წინამავალი მ თანხმოვნის (სუბიექტური I პირის ნიშნისა და მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსის) მეზობლო-

ბაში. შდრ. მპი (< *მყვი) „მყავი“, მპუ (< *მყუ) „მყო“, მპას (< *მყვას) „მყოს“, დომპილუ (< *დომყვილუ) „მომკლა“, არქ. მპორომს (< *მპორომს < *მპორომს) „ვეუყვარვარ, მყვარობს“, არქ. მაპილუ¹³⁰ (< *მა-მყილუ < *მამყვილუ) „მკვლელი“. როგორც ვხედავთ, ბილაბიალური ნაზალური მ ნაწილობრივ, წარმოების ადგილის მიხედვით, იმსგავსებს ველარულ ყ-ს და ბილაბიალურ მკვეთრ პ-დ აქცეებს მას.

ქართ. მყარ- ფუძის შესატყვისი ლაზ. *მპეჯ- ფონეტიკურად გამარტივებულა: ანლაუტში თანხმოვნის წინ მ ნაზალი დაუკარგავს: *მპეჯ- > პეჯ-¹³¹.

§10. ჟოლ-/ჟილ-/ჟირ- „შლა“.

ზ. სარჯველაძემ ივარაუდა შესატყვისობა – ქართ. ზულ- (ზულ-ე-ა „ჩაეარდნა“; და-ზულ-ე-ა „დაშლა“; და-ზულ-ე-ული „დანგრეული“) : ლაზ. ჟოლ-/ჟულ- (მი-ჟოლ-ე-ენ || მი-ჟულ-ე-ენ „გადაეარდნილა“) (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 140–141).

საილუსტრაციოდ მოხმობილ ლაზურ ზმნურ ფორმებში ჟ თანხმოვანი მჟეა- პრევერბისეულია და არა ძირისეული. მიჟოლენ (< მჟეოლენ) ნიშნავს: „გადაეარდნილა“, მიჟულენ – „გადაეარდნია“. შდრ. არ კოჩის ეშშელი მიჟულენ გზაშ თუდე (ქარტ. I, 123ა) „ერთ კაცს ვირი გადაეარდნია გზიდან („გზის ქვეშ“); აწი ია კოჩი ქომოხთუ, ცხენი ნა მიჟულუ კოჩი (ქარტ. I, 125) „ახლა ის კაცი მოვიდა, ცხენი რომ გადაუყარდა, კაცი“ [ლ- „ეარდნა“ ძირიდან ნაწარმოები მჟეა-პრევერბიანი ზმნა რამდენიმე სტრიქონის წინ მთქმელმა დოლო- პრევერბით იხმარა: არ კოჩის ცხენი იმალის ქოდულულენ (ქარტ. I, 124ა) „ერთ კაცს ცხენი ხრამში ჩაეარდნია“].

ქართ. ზულ- „(და)შლა“ ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს ლაზ. ჟოლ- (ხოფ-ჩხალ.)/ჟილ- (არქ.)/ჟირ- (ვიწ, ათ.-ართ.) „(წა)შლა“ (იხ. კარტოზია 1996, 18). ნ. მარს თავის ლექსიკონში ამ ფუძის

¹³⁰ შდრ. მაპილუ კოჩიფე მოხთეს. ბერეს ხე დუკორეს (ელ. 1917) „ჯალათები („მკვლელი კაცები“) მოვიდნენ. ვაეს ხელი შეუკრეს“.

¹³¹ ანლაუტში (თანხმოვნის წინ) მ ეერ ძლებს მეგრულში. როგორც ფიჭრობენ, ეგვეე მოვლენა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ლაზურისთვისაც. თუ დღეს ლაზურში უხეად დასტურდება მ ანლაუტში თანხმოვნის წინ, ეს გვიანდელი მოვლენაა და გამოწვეულია მ-ს განვითარებით სიტყვის თავში (სადაც ის თანხმოვნის წინ დაუშვებელი იყო) (გიგინეიშვილი 1972, 151). აღნიშნული თვალსაზრისი კარგად ხსნის *მპეჯ- > პეჯ- გადასვლის კაონზომიერებას ლაზურში. როგორც ჩანს, ამ ფუძეში მ ხელახლა აღარ განვითარებულა.

მნიშვნელობად მითითებული აქვს: «вычеркивать, стирать» და სა-
ილუსტრაციოდ მოჰყავს გე-პრევერბიანი ზმნური ფორმები: н[а]сто[я]ще].
გებულოფუ x, გებუილუმ px, გებუირუმ A, аор[ист]. გებუოლი x,
გებუილი px, გებუირი A, ნ[уду]щее]. გებუოლამინონ, გებუილარე,
გებუირარე (Март 1910, 180).

ტექსტებში სხვა პრევერბიანი ფორმაც დასტურდება:

თფეშუი მქვა ვა რენ, შეფილაში, ჩქვა ვა რენ (კარტ. I, 226ზ) „ცარცი ქვა
არ არის, რომ წაშლი, აღარ არის“.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ მეორე
გამოცემაში გაზიარებულია ჩვენი თვალსაზრისი; ქართ. ზულ-
ძირის შესატყვისი ჟოლ-იდან მომდინარედ არის მიჩნეული ლაზუ-
რის სხვა ალომორფები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 224).

შესაძლოა, მეგრულში ამ ფუძის შემცველი სიტყვები იყოს
ჟოლთ [„მოსულელო, ჩურჩუტი“ (ქაჯაია 2002, 503)] და ჟურუ
[„группа, безумец“ (Кипшидзе 1914, 300)]. ამ ვარაუდის საფუძველს
იძლევა სემანტიკური სიახლოვე „სულელს, უჭკუოსა“ და „გიუს“,
ანუ „შეშლილს“ შორის და ერთი და იმავე შად-/შლ- ფუძის
მონაწილეობა „წაშლის“ და „შეშლის“ მნიშვნელობის გამო-
მხატველ სიტყვებში (წაშალა, წაშლილი – შეიშალა, შეშლილი).

§11. სთიბ- „გაჩერება; გაჩუმება“; §12. ხთერ-/სთირ- „თამაში,
გართობა“; §13. სთიქ- „გლეჯა“; §14. სტეინ- „სტვენა“.

ქართველურ ენებში დასტურდება ბგერათშესატყვისობა –
ქართ. თ : ზან. თ : სვან. შდ (თოფურია 1926, 201–202). საერთო-
ქართველურ არქეტიპად აღდგება *ს₁თ კომპლექსი (შუასიბილანტური
რიგის ყრუ სპირანტი + დენტალური ყრუ ხშული), რომელიც
კომპლექსადგება გადასული სვანურში (შუასიბილანტური სპირანტის
კანონზომიერი გარდაქმნით უკანასიბილანტურად და მომდევნო
ყრუ ფშვინიერი ხშულის პროგრესული დისიმილაციური გამქლე-
რებით), ქართულსა და ზანურში კი გამარტივებულია (შუასი-
ბილანტური ყრუ სპირანტის გაქრობით თ-ს წინ) და მხოლოდ
მეორე წევრით არის წარმოდგენილი (Климов 1960, 26; 1964, 20;
გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 135 შმდ.; მაჭავარიანი 1965, 36–37;
გიგინეიშვილი 1987, 52–60)¹³².

¹³² სხვაგვარი ახსნისათვის იხ. Schmidt 1962, 75 [საერთო-ქართველური
ამოსავალი თე (*j) ფონემა], მელიქიშვილი 1981, 72–78; ფენრიხი, სარჯველაძე 1990,
16; 2000, 19 (ამოსავალი *თ ფონემის წინ სვანურში შ განვითარდა პალატალური
და ლაბიალური ფონემების გაველენით).

ამასთან, სევანურის შდ კომპლექსს ორიოდვე შემთხვევაში ქართულშიც კომპლექსი შეესატყვისება: ს.-ქართვ. შუასიბილანტური *ს₁-სგან მიღებული წინასიბილანტური ს შემონახულია თ-ს წინ:

სევან. შდა- [***შთაფ-** (შდა „თავთაფი“, ჩერშდა „კვირისტაფი“, შდაშფ „თვითონ“)] : ქართ. სთა(ფ)- [სა-სთა-ულ-ი „ბალიში“, ეტიმოლოგიურად: „სა-თაფ-ულ-ი“, Изголовье (Климов 1964, 175; ოსიძე 1987, 34–38; გიგინეიშვილი 1987, 55–56)]. შდრ. ამ ქართული ფუძის სხვა ალომორფები, რომლებშიც შუასიბილანტური სპირანტი თ-ს წინ, წესისამებრ, დაკარგულია: თაფ-/თფ- (თაფ-ი, თფ-ის-ი, თფ-ით).

სევან. შდგმ (< *შთუმ-), „ყური“ : ქართ. სთუმ-/სთუნ- (სა-სთუმ-აღ-ი /სა-სთუნ-აღ-ი [ეტიმოლოგიურად: „სა-ყურ-აღ-ი“ (ოსიძე 1987, 34–38; მელიქიშვილი 1981, 78; ГамкRELИИძე, Иванов 1984, 897; გიგინეიშვილი 1987, 57; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 283–284)]¹³³.

ს.-ქართვ. *ს₁თ კომპლექსის კომპლექსითვე გადმოცემის სპორადული შემთხვევები დასტურდება ლაზურშიც.

ა) სევან. შდრ-/შდირ- „თამაში, გართობა“ ფუძეს (ი-შდრ-აღ „თამაშობს“, ლი-შდირ-ი „თაეის შექცევა“, თ-თ-შდირ „გაართო“) ლაზურში შეესატყვისება სთერ-/სთირ- „თამაში“ (ფ-ი-სთერ „ვთამაშობ“, ფ-ი-სთირ-ა „ვითამაშო“, სთირ-ლმ-ელ-ი „ნათამაშევი“). შდრ. ქართული შესატყვისი თირ- ფუძე [ა-თირ-გბ-ს „აწყნარებს, ართობს“ (ლომთათიძე 1966, 376 შმდ.)].

ს.-ქართვ. ფუძედ აღდგება *ს₁თერ-/ს₁თირ- ლაზურში მოსალოდნელი იყო ს.-ქართვ. /*ს₁/ ფონემა /თ-ს წინ ნულად ქცეულიყო, როგორც ეს ქართულში მოხდა, მაგრამ, ქართ. სასთაულ-, სასთუმად-/სასთუნად- ფუძეთა მსგავსად, ლაზურს ამ ფუძეში დაუცავს ამოსავალი *ს₁თ კომპლექსის პირველი კომპონენტი – სიბილანტი. ს.-ქართვ. ს₁თ კომპლექსს ლაზურში შთ უნდა მოეცა, რომელიც სთ-ში

¹³³ „თაეის“ აღმნიშვნელი *ს₁თაფ- არქეტიპი ეგულებოდათ ქართ. სთუნ- ფუძეში თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 136). თ-აფ- სიტყვის ძირისაგან ნაწარმოებ ფუძედ თვლიდა სთუნ-ს ა. ჩიქობავა მისი აზრით, „თ-აფუნ- > თ-ფუნ- > თუნ- ანდა თუნ-, სადაც უნ | აფ“. წინამავალ ხ-ს მკვლევარი ნიეთის კატეგორიის მაჩვენებლად განიხილავდა ასევე თაფ- ფუძისაგან ნაწარმოებად მიიჩნდა მას სა-ს-თა-ულ- ფორმაც (ჩიქობავა 1942, 46). შესატყვისობისათვის სევან. შდ : ქართ. სთ (სევან. შდგმ : ქართ. სთუმ- | სთუნ-) საერთო-ქართველურ არქეტიპად *ს₁თ კომპლექსს ვარაუდობენ, აგრეთვე, ი. მელიქიშვილი, პ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე.

გადასულა. ლაზ. სთერ-/სთირ- მიღებული ჩანს *შთერ-/*შთირ- ფორმისაგან, ლაზურისათვის დამახასიათებელი გადასვლით - შთ > სთ.

შთ/შტ > სთ/სტ პროცესისათვის შდრ. ლაზ. ბუხტი (Mapp 1910, 11), რომელიც ქართ. ბუშტი-ს შეესაბამება; რუს. штраф „ჯარიმა“, რომელიც ქართულში შტ კომპლექსით არის გადმოსული, ლაზურში ხრაძი¹³⁴ ფორმით გეხვდება. კომპოზიტებში პირველ კომპონენტს დართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ მეორე შემადგენლის თავკიდური თ თანხმოვნის წინ -ს ალომორფითაა წარმოდგენილი: მწკჭრის-თი | წვრის-თი „კეირისტაეი“ (Mapp 1910, 221) < მწკურთშ თი (შდრ. მეგრ. წყურთში „id.“), თუთასთე | თუთასტე < თუთაშ თე „მთვარის ნათელი (Mapp 1910, 146).

ნ. მარი ლაზურში გამოყოფდა თერო | ტერო „ნაირი“ თანდებულს, რომელიც, მისი აზრით, ერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას [მაგ., ჩქიშის ტერო „ჩემნაირი“ (Mapp 1910, 36)]. ა ჩიქობავა თანდებულად სთერო-ს მიუთითებდა და მიაჩნდა, რომ მის წინ ნათესაობითის -შ ნიშანია დაკარგული (ჩიქობავა 1936, 66). თუ გავეთვალისწინებთ, რომ სხვა თანდებულების წინ ნათესაობითის -შ გვაქვს (შ-კულე „შემდეგ“, შ-კალა „-თან“), მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს თანდებულიც ნათესაობითის ფორმას ერთვის, მაგრამ ნათესაობითის -შ დაკარგული კი არ არის, არამედ თანდებულის თავკიდური თ/ტ-ს წინ ხ-დ არის ცვლილი: *შ-თერო/*შ-ტერო > სთერო | სტერო.

ბ) ლაზურში დასტურდება ხთიქ- | სტიქ- | სთიქ- | სტიქ- „გლევჯა“ ფუძე. მაგ.,

გაიკნეს ქინის დო ოკოსთიქვ ჯოღორეფექ (კარტ. I, 167₁₀) „ჩაავლეს დედაბერს და დაგლიჯეს ძაღლებმა“; კარდულუმი ვა მახთიქენ ცხენი სქანის (ჩიქ. II, 44₂₂) „ქეაფენილს ვერ აგლევს შენი ცხენი“; ჯანდარმა-მუში მხუჯი-მხვაჯი გესთიქეი რენ (კარტ. I, 193₃₆) „მისი ჟანდარმი მხრებგადაღლეთილია“; ნანა-შკიმიშა მოფთიკოთუნი, დიდო დობისთიქერტითუ, დობიბრიწერტითუ, ჯარი ბაკვანტითუ (კარტ. II, 184₃₃) „დედაჩემთან რომ მოვიდოდით, ძლიერ დაავალიჯებოდით, დაეიფხრიწებოდით, სატემელს ეთხოვდით“; მა დოფთქეა

¹³⁴ შდრ. „კეზათენ-ნა გაყვილუ“ შენი ცხენიში დიფეთი მეჩაფ იოქსე, ეგერ მეხსუს ყვილერეტიკონ-ნა, ვით ეკო ჩქეა ხრაძი დოგაყვეტუ-და დო ხუთ წანას-თი ხაფისის ქომოლოგოხუნაპტეს“-მა (ჩიქ. I, 90₃₀) „მარცხად რომ შემოგაკედა, ამიტომ ცხენის ფასს ატლევ, სორემ განგებ რომ მოგეკლა, ათი იმდენი ჯარიმა დაგეკისრებოდაო („გაგინდებოდაო“) და ხუთ წელსაც ციხეში ჩაგსევამდენო“.

დო ისტერ პილი დო მსტიქი! (ყიფ. ჭან. 5210) „მე ვიტყვი და თუნდ მომკალ და დამგლიჯე“; ცხენიქ ღუმხეაჯა-ში (ღინკანა-ში), ქვა ვხთიკასენ (ჩიქ. II, 44,) „ცხენი რომ გაიწევს, ქვას აძგლეჯს“; ნანკაპუ, მუხისტოკუ დო ქაგუწულუ (ჩიქ. I, 80,3) „ეცა, გამოძგლიჯა და წართვა“.

გ. კლიმოვა ლაზ. სთიქ- დაუკავშირა ქართ. სთქ-დ- > სქ-დ- ფუძეს, რომელიც ხეთქ- ფუძის ნულოვანი საფეხურისგან არის მიღებული: გან-ხთქ-და > გან-სთქ-და > გან-სქ-და. მკვლევრის აზრით, ლაზ. სთიქ- წარმოადგენს ფუძის გახმოვანების ნულოვან საფეხურს (Климов 1964, 260).

ეს დაკავშირება საეჭვოა: სთიქ- ლაზურში გარდამავალი უღვლილების ფორმაა¹³⁵, ხთქ- | სთქ- კი მხოლოდ გარდაუვალი უღვლილების დროს გექონდა ქართულში (შდრ. გარდამავალი უღვლილების ხეთქ-).

ეფიქრობ, ლაზ. სთიქ- შეიძლება დაეუკავშიროთ სვან. შიდიქ „კბილი“ ფუძეს. დოსთიქუ, ოკოსთიქუ „დაგლიჯა“ და მსგავსი ფორმები ნასახელარი ზმნები უნდა იყოს, რომელთათვისაც ამოსავალია კბილის აღმნიშვნელი სახელური ფუძე სთიქ-. დოსთიქ-უ, მაშასადამე, ნიშნავს: „დაკბილა“, ე. ი. „დაკბინა“. მნიშვნელობის გადაწევა – „დაკბენა“ > „დაგლეჯა“ – ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს. მაგ., „დაგლეჯს“ ზმნა გარკვეულ კონტექსტში იმასეე ნიშნავს, რასაც „დაკბენს“ (ქეგლ, III 1953, 218); ამ ზმნათა პარალელური ხმარებისათვის შდრ. „ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოს“ [აკ. წერეთელი (ქეგლ, III 1953, 451, სიტყვა-სტატია დაკბენ-ს)]. „კბენისა“ და „გლეჯის“ აღმნიშვნელ ფუძეთა ერთობისათვის შდრ. რუს. кусать „კბენა“ და кус, кусок „ლუკმა, ნაგლეჯი“ (Фасмер 1967, 431).

სვან. შიდიქ სახელის ამოსავლად *შიდუქ-ი ფორმას აღადგენენ (თოფურია 1928, 340; ქალდანი 1969, 114). საფიქრებელია, რომ ლაზურშიც უ-ხმოვნიანი ფუძე გექონდა. უ > ი და ო > ი (უფრო სწორად, ო > უ > ი) გადასვლა ხოფურ-ჩხალური კილოსათვის არის დამახასიათებელი და ლაზურის დასავლური კილოებისათვის თითქოს არ არის სავარაუდო [შდრ. ქართ. ხურ-ო :

¹³⁵ სთიქ არ შეიძლება ფუძის გახმოვანების ნულოვან საფეხურს წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში გარდამავალი შინაარსის ზმნური ფორმები კაუსატიურად უნდა იწარმოებოდეს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 214), რაც არასდროს დასტურდება. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ეტიმოლოგიური ლექსიკონის მეორე გამოცემაში (Klimov 1998) ავტორს ეს დაკავშირება არ შეუტანია.

ლაზ. მსიჯ-ო | ფსიჯ-ო (ხოფ.-ჩხალ.) | სუჯ-ო | მსუჯ-ო (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.), ქართ. ქორ-ო : ლაზ. მქორ-ო (ხოფ.-ჩხალ.) | ქურ-ო (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.), მაგრამ ზოგიერთ ფუძეში ო > უ > ო პროცესის მთელ ლაზურში (ე. ი. მის დასავლურ კილოებშიც) განხორციელება [შდრ. ქართ. ცოლ-ო : ლაზ. ჩილ-ო (< *ჩულ-ო < *ჩოლ-ო), ქართ. ცონ- (მ-ცონ-არ-ო | მ-ცონ-არ-ე „ზარმაცი“): ლაზ. ჩინ- (< *ჩუნ- < *ჩონ-) (მ-ჩინ-ოჯ-ერ-ო „დამაკებული“). იხ. კარტოზია 1986, 12; აქვე, გვ. 192–193] საფუძველს იძლევა, ამ ფუძისთვისაც ვივარაუდოთ უ > ო გადასვლა მთელ ლაზურში: *შთუქ- > *შთიქ- > სთიქ-.

ბ) სთობ- | სტობ- ფუძე ლაზურში „გაჩუმების, დადუმების, დაწყნარების“ მნიშვნელობით იხმარება. ნ. მარს თავის ლექსიკონში მოჰყავს ვიწურ-არქაბული და ხოფური ზმნური ფორმები: აწმყო – დოფსტიბუმ | დოფსტიბურ მოაყ, აორისტი – დოფსტიბო, მყოფადი – დოფსტიბარე | დოფსტიბამინონ (Mapp 1910, 186). მოვიყვან ამ ზმნის ხმარების მაგალითებს გაბმული ტექსტებიდან:

კოჩი ქოი-მუშიშა ნა მოხთუ, თე ტუშა ოხოიშა ვა მეხთუ- ქოგილუმჯინუ, დოხოობუ ქოი, ამ ვახთის ქომეხთუ ოხოი-მუშიშა (ქარტ. II, 5214) „კაცი თავის სოფელში რომ მოვიდა, სანამ სინათლე იყო, შინ არ მივიდა... დაიღამა, მიჩუმდა სოფელი, მაშინ მივიდა თავის სახლში“; [კოჩი] ათისინეი ლამაზი დოყუ დო იკითხუფს. ეში, არ ჭიტა ქუხუინკანუ თაფუთი. კოჩის აშქუინუ. „აწი მეისელადა“, – უწუ ლუელიქ. ხოჯა დოხოობუ. აჩქეა ჭაა უწუში, ხოლო დოხოობუ (ქარტ. II, 4833) „[კაცმა] საღამოს ნამაზი შეასრულა და ლოცულობს. ჟოდა ცოტათი შეინძრა კუბო. კაცს შეეშინდა. „ახლა აედგებიო“, – უთხრა მიცვალებულმა. ხოჯა გაჩუმდა. ხელმეორედ რომ უთხრა, კიდევ გაჩუმდა“; დოფსტიბურტი, მის უჩინ, ბორტიკონ-ნა მათ ქვაში (ქარტ. II, 24314) „გაჩუმდებოდი, ვინ იცის, მეც რომ ქვისა ვყოფილიყავი“.

სთობ- ფუძეს ლაზურში „გაჩერების“ მნიშვნელობაც აქვს. შდრ.

[კოჩი] მენდახთუ დალიშა, წიწილა ქონაგუ. წიწილას უჯოხოფს: „ომჭკომია, მა ღირსი ვორე ოჭკომუშია“. წიწილა ნუნკაჟუნ. „მთ უნკაჟურადა?“ – უწუ. წიწილა დოხოობუ დო: „მუ გინონა?“ (ქარტ. II, 774) „[კაცი] წავიდა ტყეში, გველი შემოხვდა. გველს ეძახის: „შემჭამეო, მე შეჭმის ღირსი ვარო“. გველი მირბის. „რატომ გარბიხარო?“ – უთხრა. გველი გაჩერდა და [კითხაქ]: „რა გინდაო?“.

სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა („გაჩერება“) ჩანს ძირითადი. შდრ. ქართ. „გაჩერება“, რომელიც „გაჩუმებასაც“ აღნიშნავს (ქეგლ, II 1951, 1325). შდრ. აგრ. გურული „გაჩემება“,

რომელსაც ასევე ორივე ეს მნიშვნელობა აქვს (ლლონტი 1984, 142). მეგრულშიც გაჩემება „გაჩერებასა“ და „გაჩუმებას“ გამოხატავს: გაჩენდუ [^{*}გაჩემდუ] = „გაჩერდა, გაჩუმდა“.

ლაზ. სთობ- < ^{*}შთობ- (ლაზურში მოქმედი შთ > სთ გადასვლის შედეგად). ის უნდა უკავშირდებოდეს სვან. შდწბ-/შდბ- „მუშაობა“ ფუძეს (ლ-შდწბ „მუშაობა“, ხუ-ა-შდბ-ა „ემუშაობ“). ლ-შდწბ < ^{*}ლ-შდობ-ა (ქალდანი 1969, 64–65).

ლაზური და სვანური ფუძეები ფორმალურად კარგად ესადაგებიან ერთმანეთს. ვფიქრობ, არც მნიშვნელობათა სხვაობა წარმოდგენს დაბრკოლებას მათი დაკავშირებისათვის. ამ ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობების დამაკავშირებელია მესამე მნიშვნელობა – „დაღლა“. როგორც მუშაობა, ისე გაჩერება შინაარსობრივად უკავშირდება დაღლას. შდრ. ქართ. დაღ-/ღღ- „დაღლა“ (და-ო-დაღ-ა, ღღ-ო-ს) : მეგრ. ღოღ- „ქმნა“ [ღოღ-უ „ქნა, უქნა“, ღოღ-ამ-ა „კეთება, ქმნა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 342; 2000, 501)]. ქართულში ერთსა და იმავე შიგერ-/შიგრ- ფუძეს აქვს როგორც „შრომის, კეთების“, ისე „დაღლის“ მნიშვნელობა [შიურ-ებ-ო-ს „შრომობს; აკეთებს“ – შა-შიურ-აღ-ო „დაღლილი, დაქანცული“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 342; 2000, 501)].

რუს. устать ზმნას „დაღლის“ მნიშვნელობა აქვს, იმავე ძირის შემცველი статья „გაჩერებას“ აღნიშნავს. შდრ. Даль 1956, 514: „Устать, црк. [= церковное] остановиться“.

მაშასადამე, გვაქვს მნიშვნელობათა ასეთი ჯაჭვი: „მუშაობა, ქმნა, კეთება“ – „დაღლა“ – „გაჩერება (|| გაჩუმება)“. ს-ქართვ. ^{*}სთობ-ისაგან მომდინარე სვანურ ფუძეს ამ მნიშვნელობათაგან პირველი დაუცავს, ლაზურს – ბოლო.

ლაზურში მოქმედი შთ > სთ პროცესის გათვალისწინებამ, ვფიქრობ, გარკვეული კორექტივი უნდა შეიტანოს „სტვენის“ აღმნიშვნელ ფუძეთა შესატყვისობის ინტერპრეტაციაში. მხედველობაში მაქვს ქართ. სტწ-ენ-/სტწ-ინ- (სტწ-ენ-ა/სტწ-ინ-გ-ა) : მეგრ. შეიტ-ინ-/რშე-ინ- (შეიტ-ინ-უნ-ს/რშე-ინ-უნ-ს „სტვენს“), ლაზ. სტგ-ინ- | სთგ-ინ- (სტგ-ინ-უფ/უმ-ს || სთგ-ინ-უფ/უმ-ს) ფუძეები. მათ არქტიპად გ. კლიმოვსა და გ. მაჭავარიანს სტწ-ინ- აქვთ აღდგენილი (Климов 1964, 166; მაჭავარიანი 1965, 95). პ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს ქართ სტწ- (ნე-სტწ), მეგრ. შეიტ- (მი-შეიტ-ია „ცხვირი“) და სვან. შტ- (ნე-შტ-რ-წღ „ნესტოები“) ძირთა არქტიპად

*სიტყ- მიაჩნიათ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 286; 2000, 423). ამასთან, გ. კლიმოვი და გ. მაჭავარიანი მეგრულში სტ > შტ გადასვლას ეარაუდობენ, კ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე კი ლაზ. სტგ-ინ- || სთგ-ინ- ფუძეს ამ კონტექსტში, საერთოდ, არ განიხილავენ (შდრ. ჩიქობავა 1938, 315: „სტგ კი საერთოა ქართულისა და ჭანურისათვის“).

საეარაუდოა, რომ ლაზურში ყრუ შიშინა სპირანტი მკვეთრი დენტალის წინაც გადადიოდა სისინაში (შტ > სტ) და, მაშასადამე, ლაზ. სტგ-ინ- < *შტგ-ინ-. ასე რომ, ქართულ-ზანურ არქეტიპად *სიტყ-ინ- ფუძე აღდგება, რომლის რეფლექსები ორივე ზანურ ენაში დასტურდება. ლაზურზე უკვე ითქვა, ხოლო რაც შეეხება მეგრულს, აქ ამოსავალ ფორმას ორგვარი ცვლილება განუცდია: ა) ზან. *შტგ-ინ- > *შტინ- [მეტათეზისით (Климов 1964, 166; Klimov 1998, 168–169)] > შუტინ- (ჟ-ს ეოკალიზაციით С–С პოზიციაში) > შეიტინ- (კარტოზია 1996, 7); ბ) ზან. *შტგ-ინ- > რშეინ- [ტ-ს დაკარგვით შ-ს მომდევნო პოზიციაში და წინ რ-ს განვითარებით (მაჭავარიანი 1965, 95)]. მეგრულში შტ > რშ პროცესისათვის შდრ. სტ/სთ > რხ გადასვლის მაგალითები: მეგრ. ორსატი < ქართ. ოსტატი (Кипшидзе 1914, 294); მეგრ. არგუსო „აგვისტო“ < *აგურსო < *აგუსტო¹³⁶; მეგრ. გამორსება „გამოცდა“ < *გამოსთება < ქართ. გამოცდა (დილექტ. გამოსთა); კორსაგა (გვარი) < კოსტაგა; კორსანტია (გვარი) < კოსტანტია.

§15. სქე- „მიშეება, მოშეება, მოფონება“. იხ. გვ. 212–213.

§16. ტოლოფ- „ტალახი, ჭუჭყი“.

ვიწურ-არქაბულში ნ. მარს დადასტურებული აქვს ტოლოფი „ტალახი“ (Mapp 1910, 190). ეს სიტყვა გაბმულ ტექსტებშიც გვხვდება:

დიდო მჭიმა-ში, ჭანჭახი ივენ... ტოლოფი (ჩიქ. II, 706) „ძალიან რომ იწვიმებს, ჭანჭახი (=ტალახი) იქნება... ტოლოფი“; ქალე ბოზო, სონი რე? დიდო ოროფონი რე. ნანაქ ხუა ვა გიბონს, დიდო ტოლოფონი რე (კარტ. I, 2246) „ქალო, სადაური ხარ? ძალიან საყვარელი ხარ. დედა ტანს არა გბანს, ძალიან ჭუჭყიანი (ტალახიანი) ხარ“.

ლაზ. ტოლოფი უნდა უკავშირდებოდეს ქართ. ტლაპო სიტყვას, რომელშიც ბოლოკიდური თ სუფიქსია. ტლაპ-ი რეალურად დადასტურებული ფორმაა ქართულში. შდრ.:

¹³⁶ რ-ს მეტათეზისის (*აგურსო > არგუსო) ანალოგიური მაგალითისათვის შდრ. მეგრ. კარტოლა < ქართ. კატორლა < რუს. каторга.

გიორგისგან განახლეთა კაცთა იდგა სისხლის ტლაპნი. ბესიკი, 41.

ბესიკის თხზულებებს დართულ ლექსიკონში ვ. თოფურია ასე განმარტავს ამ სიტყვას: „ტლაპნი მრ. ტლაპო, ლაფი“ (თოფურია 1962, 341).

მეგრულ-ლაზურ ფორმებთან შედარება ქართულის სხვა ფუძეებშიც გამოავლენს — სუფიქსს. შდრ., მაგ. ქართ. ღვინ-თ — მეგრ. ღვინ-ი, ქართ. წყარ-თ — მეგრ. წყარ-ი, ლაზ. წყარ-ი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 76-77).

შდრ. აგრ. უსუფიქსო და სუფიქსიან ფუძეთა მონაცვლეობა ქართულში: წვერ-ი — წვერ-თ, თუთუბ-ი — თუთუბ-ა || თუთუბ-თ, თშოშ-ი — თშოშ-ა || თშოშ-თ || თშოშ-ე (მანჯგალაძე 1954, 290, 283-284), ღერ-ი — ღერ-თ, გრილ-ი — გრილ-თ, მკარ-ი — მკარ-ე (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 281).

ქართ. ტლაპ- ფუძე მიღებული ჩანს *ტლაფ-იდან პროგრესული ასიმილაციის გზით. ქართ. ტლაპ- (< *ტლაფ-) და ლაზ. ტლოფ- ფუძეთა არქეტიპად აღდგება *ტლაფ-/*ტლაფ-. ს.-ქართვ. *ტლაფ- > ქართ. ტლაპ- > ტლაპ-თ (პროგრესული ასიმილაციითა და გვიანდელი სუფიქსაციით); ს.-ქართვ. *ტლაფ- > ზან. *ტლოფ- > ლაზ. ტლოფ- (შდრ. ს.-ქართვ. *ტრად- > ზან. *ტროდ- > ლაზ. ტოროჯ-).

§17. ტუტუჯ- „ჭინჭარი“.

ჭინჭარს ლაზურის დიალექტებში სხვადასხვა სახელი ჰქვია. ხოფურ-ჩხალურში დიჭკიჯი ეწოდება¹³⁷, ვიწურ-არქაბულში — თჩხაპულე, ათინურ-ართაშენულში — თეგარონი || გოფგარონი.

ათინ.-ართაშ. თეგარონი || გოფგარონი მყოფადის მიმღეობაა. თ- — თნ მიმღეობის საწარმოებელი კონფიქსია (პრევერბთან, როგორც წესი, თ- პრეფიქსი არ ჩანს), ზმნური ფუძეა ვგარ- „გაწკეპელა“ (Mapp 1910, 180). შდრ. ქართ. ვგერ-ი „ფოთლიანი რტო“ (საბა IV₁, 501) — ვგერვა „ცემა“ (ლლონტი 1975, 54). მაშასადამე, თეგარონი = „საწკეპლელი, საცემი“.

ასევე მყოფადის მიმღეობაა ვიწურ-არქაბული თჩხაპულე. ზმნური ფუძეა ჩხაპ-, რომელიც ქართ. ჩხუპ-ს შეესატყვისება (ბ. გიგინეიშვილი). მიმღეობის საწარმოებელი კონფიქსია თ- — ულე. თჩხაპულე ეტიმოლოგიურად „საჩხუპელს, საჩხელეტელს“ ნიშნავს¹³⁸.

¹³⁷ დასტურდება ვარიანტული ფორმებიც: ჩხალურში — დინჭკიჯი (Кипшадзе 1911, 25), სარფულში — დიჭყიჯი. მოუთითებენ დინჭყიჯი-საც (მაყაშვილი 1961, 149).

¹³⁸ შდრ. ჭინჭრის თურქული სახელწოდება srgan, ეტიმოლოგიურად — „კებნია“ (srnak 'კებნა“).

ხოფ. დიჭკიჯ- და ათინ. ტუტუჯ- ფუძეები ნ. მარს მსგავსი შედგენილობისად მიაჩნდა და ორივეს ქართ. ჯინჭარ- ფუძეს უკავშირებდა. მკვლევრის აზრით, დიჭკიჯ-ში დი- პრეფიქსია, ფუძე კი არის ჭკიჯ-, მომდინარე ჭიჯ- ფორმისაგან, რომელიც, თავის მხრივ, მეტათეზისის გზით ჯიჭ-ისგან არის მიღებული; ეს *ჯიჭ- ხოფური ვარიანტია ქართ. ჯინჭ- ფუძის (ჯინჭ-არ-) ლაზური შესატყვისისა; ათინურში მის ადგილას *ჯუჭ- გექონდა; ხოფურში ამ ფუძეს დი- პრეფიქსი დაერთო (*დი-ჯიჭ- > *დიჭიჯ- > დიჭკიჯ-), ათინურში კი - დო- (*დო-ჯუჭ- > *დოჭუჯ- > *დუჭუჯ- > *დუტუჯ- > ტუტუჯ-) (Mapp 1912, 833).

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში შესატყვისობა - ქართ. ჯინჭარ- : ლაზ. დიჭკიჯ- - სხვაგვარად არის ახსნილი. გაირკვა, რომ ლაზური ფუძის ბოლოკიდური ჯ ქართულის რ-ს შესატყვისია (ჩიქობავა 1942, 174), თავკიდური დ კი მიღებულია ჯ-საგან დისიმილაციური დეზაფრიკაციზაციით (გუდავა 1964, 498). ქართულის ა ხმოვნის ადგილას (ჯინჭარ-) ლაზურში ი ხმოვნის არსებობა (დიჭკიჯ-) ახსნილია სრულ და რედუცირებულ *დიჭკიჯ-/*დიჭკარ- ფუძეთა კონტამინაციით (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 290-292).

რაც შეეხება ტუტუჯ- ფუძეს, იგი ქართ. ჯინჭარ- ფუძის შესატყვისად არ მიაჩნიათ.

ამასთან, გამოითქვა ვარაუდი, რომ ათინური ტუტუჯ- უკავშირდება აყიროს აღმნიშვნელ მეგრ. ტუტულა | ტუტლა ფუძეს, მეგრულ-ლაზური ფორმები კი უნდა მომდინარეობდეს საერთო-ზანური არქექტიპისაგან - *ტუტურ- ფუძისაგან (ჭკადუა 1974, 184-185).

უფიქრობ, ტუტუჯ-ის დაშორება დიჭკიჯ- ფუძისაგან არ შეიძლება. ისტორიულად ხოფურ-ჩხალური დიჭკიჯ-ის გვერდით ლაზურის დასავლური (ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული) დიალექტებისათვის ბუნებრივია ვიგულვით დიჭკუჯ- ფუძის არსებობა. როგორც ცნობილია, მარცვლოვანი სონანტის ბაზაზე მეგრულ-ლაზურში ვიწრო ხმოვნები ვითარდება. ხოფურ-ჩხალური ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ი-ს ივითარებს, ვიწურ-არქაბული და ათინურ-ართაშენული კი - უ-ს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 339 შმდ). შდრ.:

ხოფ.-ჩხალ.	ბურგიღო	ვიწ.-არქ.	ათინ.-ართაშ.	ბურგიღო	„მუხლი“
	უშქირო			უშქურო	„ეაშლი“
	ფუქირო			ფუქურო	„ყეავეილი“

დანხორ-ო

ჭინუ

ციმუ

დანხურ-ო „ცეცხლი“

ჭუნუ „წნელი“

ცუმუ „ცმელი“...

დმჭკუჯ- ფუძე ლაზურის დასავლურ დიალექტებში ***დუჭკუჯ**-ს მოგეცემდა (ხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაციით: **ო - უ > უ - უ**). შდრ. ხოფ.-ჩხალ. **დმჭკუ** - ვიწ.-არქ. **დუმჭკუ** (ჩიქობავა 1938, 114), ათინ.-ართაშ. **დუნჭუ** „ჭიანჭველა“. შდრ. აგრ. ზან. ***ნიკუ** > ლაზ. **ნუკუ** || **ნუნკუ** „პირი, სახე“. **ო - უ > უ - უ** გადასვლა ამ ფუძეში ლაზურის ყველა კილოში განხორციელდა (როგავა 1962, 39).

რამდენადაც ათინურ-ართაშენულს გლოტალურ კომპლექსთა (**ტა, წა, ჭა**) გამარტივება ახასიათებს, ბუნებრივია, ***დუჭკუჯ**-ფუძე აქ ***დუჭუჯ**-ის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. ამ უკანასკნელისაგან კი **ტუტუჯ**- ფორმის მიღება, რასაც ნ. მარი ვარაუდობდა, საესებით შესაძლებელია: ***დუჭუჯ**- > ***დუტუჯ**- > **ტუტუჯ**-**ჭ**-ს დეზაფრიკატიზაცია ან რეგრესული დისიმილაციის შედეგი უნდა იყოს (**ჭ - ჯ > ტ - ჯ**), ან პროგრესული ასიმილაციისა (**დ - ჭ > დ - ტ > ტ - ტ**). თავიკიდური მჟღერი **დ**-ს ასიმილაციური გამკვეთრებისათვის შდრ. თავიკიდური მჟღერი **ბ**-ს გამკვეთრება მომდევნო **ტ**-ს გავლენით ათინ. **პუტუჯი** „ფუტკარი“ (Mapp 1910, 132; იხ. აგრ. კარტ. II, 213-13) სიტყვაში. **პუტუჯი** < **ბუტუჯი** (< **ბუტკუჯი**). შდრ. ამ ფუძის ართაშენული ვარიანტი **ბუტუჟი** (კარტოზია 1970, 217), სადაც ანლაუტის მჟღერი **ბ** შემონახულია.

§18. **ფუჭურ-** || **ფურქ-** || **ფუჭირ-** „ყვაილი“.

ყვაილის აღმნიშნელი სიტყვა ლაზურში კილოურად განსხვავებულ ფორმებს გვაძლევს: ხოფ. **ფუჭირ-ო**, არქ. **ფუჭურ-ო**, ვიწ., ათინ.-ართაშ. **ფურქ-ო** || **ფურკ-ო** (Mapp 1910, 195). მეგრულმა ეს სიტყვა არ იცის.

ათინურ-ართაშენულისათვის (ნაწილობრივ ვიწურისთვისაც) დამახასიათებელია ფუძის ბოლოკიდურ სონორ თანხმოვანთა წინ წარმოდგენილი ვოკალური ელემენტის ამოღება. შდრ. **ჭუბურ-ო** > **ჭუბრ-ო** „წაბლი“, **თოფურ-ო** > **თოფრ-ო** „თაფლი“, **კიბირ-ო** > **კიბრ-ო** „კბილი“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 123). რედუცირებულ ფუძეში კი (ზოგიერთ თქმაში) **რ**-ს გადასმა ხდება: **ჭუბრი** > **ჭურბი**, **თოფრი** > **თორფი**, **კიბრი** || **ჭიბრი** > **კირბი** || **ჭირბი**. ასე რომ, განსახილველი ფუძის ძირითად სახეობებად **ფუჭურ-** || **ფუჭირ-** ივარაუდება. ფუძის ბოლოკიდური **-ორ/-ურ** საერთო-ქართ-

ველური მარცვლოვანი ლ სონანტისაგან მომდინარეობს, რომელმაც ქართულში უმარცვლო ლ მოგვცა.

ფუჟირ- || **ფუჟერ-** ფუძის შესატყვისი ქართულში დაცული უნდა გექონდეს **ფაქლ-** ფუძის სახით, რაც ძველ ქართულში ქეცის, ქავილის გამომწვევი სენის მნიშვნელობით იხმარება (აბულაძე 1973, 443—444; ვ. იმნაიშვილი 1975, 507). მაგ.,

და იყავნ მტუერი ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა, და იყოს კაცთა ზედა და ყოველთა ზედა ოთხფერჳთა **ფაქლი** გამომტკუეფლვარმ აღმოსხმით კაცთა ზედა და ოთხფერჳთა და ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა. გამოსლგ. 9, 9; და იყო **ფაქლი** მტკუეფლვარმ გამოსხმით კაცთა ზედა და ოთხფერჳთა. გამოსლგ. 9,10; და ვერ ეძლო გრძნულთა მათ დადგომად წინაშე მოსესა გუემასა მისგან, რამეთუ იყო **ფაქლი** იგი გრძნულთაცა ზედა და ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა. გამოსლგ. 9,11; და გამოვიდა ეშმაკი იგი უფლისაგან და დასდგა იობს წყლულებამ ბოროტი ფერჳითგან ვიდრე თაეადმდე, შეჭურა იგი **ფაქლითა**. იობ, 2,7; რომელთა თანა იყო **ფაქლი** იგი და მღიერი განწმდეს. ცხ. სჳმ. მესუეტ. 34,17; ოთხნი მათ განნი სავსე იყვნეს **ფაქლითა**. ცხ. სჳმ. მესუეტ. 33,29; მოსრეამ ნაშობთა მისთამ და **ფაქლითა** შეჭურვამ გუამისა მისისამ ფერჳითგან ვიდრე თაეადმდე. მამ. სჳ. 18,3, და **ფაქლი** შევიდის ყურთა და ცხვრთა შეუქდის. ეფრ. ცხ. 216,17; და ძალი თუალისამ მისი. რაჳამს ნალესავი მისი აღეინადგინის და შეპრიის სძესა, **ფაქლი** და მსიენებამ და გამოსხმული განკურნის. თუალ. 13,2. ენასა ზედა გამოაბუტკე **ფაქლი** და შეუცვალეთ ღვინო და წყალი სისხლად მძღარბისა. იმერ.-გურ. 132,8.

ქართულში გეხედება **ფანქალ-** ფუძეც, რომელშიც ნაზალური ნ ფონეტიკურად განვითარებულია:

ხოლო მეოცესა **ფანქლნი** გამომტკულფოლვარენი ღუელფოლდეს. ხრონ. 51, ჯერეთ არს-ღა **ფანქლი** გამომტკულფოლვარე, ვითარცა ღუელფი საკუმილისამ. A 92, 306 (იხ. აბულაძე 1973, 444).

ლექსის საჭიროებით ჩანს ჩართული ა ხმოვანი **ფანქალ-** ფუძეში:
ანაზღათ მწერი ძაღლისა გამოჩნდა ფრენით ფიცხელი,
ფანქალი კაცთ სხეულზედა სიმძიმე ქქონდა მებრ ძნელი.
არჩ. II, 178₄.

ფაქლი, როგორც ჩანს, „გამონაყარს, მუწუქს“ აღნიშნავდა. ამდენად გასაგებია მისი სემანტიკური კავშირი „ყვავილთან“. შდრ. ქართ. **ყვავილი**, რომელიც მცენარეულ ყვავილთან ერთად სენსაც (оспа) აღნიშნავს. სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით („ყვავილბატონები“) იხმარება ქართულიდან შემოსული **ყვაილი** (ხოფ.-ჩხალ.), **კვავილი** (ვიწ.-არქ.), **ვავილი** (ათინ.-ართაშ.) ლაზურში (Март 1910, 202). ასეა თურქულშიც, სადაც fiçek „ყვავილი“ ორივე მნიშვნელობით იხმარება (цветок, оспа) (Магазин 1945, 117).

§19. ქიზ- „კეცვა, ჭმუჭნა“.

ნ. მარს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ქიზ ფუძე და საილუსტრაციოდ მოაქვს ხოფური ფორმები: აწმყო ბქიჩუფ მნუ, აორისტი დობქიჩი смял, მყოფადი ბქიჩამინონ. მკვლევარი იქვე შენიშნავს: „А чар[ян] с сылкой на Вt [= батумский говор] переводит «складывать», а в х [= хопском наречии] понимают «я смял этот платок»“ (Март 1910, 197-198).

ლაზ. ქიზ- იგივეა, რაც ქართ. კეც- ფუძის შესატყვისი მეგრ. კიზ- „კეცვა“ (პკიზუნქ „ეკეცავ“, დობქიჩი „დავეცე“). ქიზ- < კიზ- თანხმოვანთა ნაწილობრივი დისტანციური რეგრესული ასიმილაციით: კ - ჩ > ქ - ჩ.

პრ. აჭარიანის განმარტება plier „კეცვა“ ამ ლაზური ფუძის ამოსავალ მნიშვნელობას წარმოადგენს, ნ. მარის მიერ დაფიქსირებული მნიშვნელობა კი მეორეულია.

პრ. აჭარიანს ეს ფუძე ki-ის სახით აქვს დაბეჭდილი და დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ანლაუტის ფონემად აქ ფშინივიერი ქ უნდა ვიგულისხმოთ თუ, ძველ მნიშვნელობასთან ერთად, ამ ფუძეს ბათუმელ ლაზთა მეტყველებაში ამოსავალი მკვეთრი კ-ც ჰქონდა დაცული.

§20. ღამფუ || ღვამფო „მური“.

ხოფურში ნ. მარს დადასტურებული აქვს ღვამფო сажа на низу котла" (Март 1910, 200).

სარფულში მურის აღსანიშნავად დღეს იხმარება ღამფუ.

ამ ფორმებში იგივე ფუძე უნდა გვექონდეს, რაც არის ზმნურ ფორმებსა და ნაზმნარ სახელებში: დო-ღაფ-უ „შეღება“, ო-ღაფ-უ „შეღება“, ღაფ-ერ-ი „შეღებილი“. ღაფ- ფუძე გვაქვს მეგრულშიც: დო-ღაფ-უ „შეღება“, ღაფ-უ-ა „შეღება“, ღაფ-ი-ო „შეღებილი“.

ლაზ.-მეგრ. ღაფ- კანონზომიერი შესატყვისია ქართ. ღებ- ფუძისა. ლაზ. ღამფუ || ღვამფო კი შესატყვისი ჩანს ღებოღ- ფუძისა, რომელიც ძველ ქართულში „ჭვარტლს, მურს“ აღნიშნავს. შდრ.

უკუეთუ იყვნენ ცოდვანი თქუენნი ვითარცა ღებოღნი, ვითარცა თოელი განვასპეტაკო. ესაია, 1,18 (აბულაძე 1973, 461).

სახელურ ფუძეში ლაზურს ფ თანხმოვნის წინ მ განუვითარება: *ღაფუ > ღამფუ. რაც შეეხება ღვამფო ფორმას, აქ დამატებით ანლაუტის ღ-ს შემდეგ ვ არის განვითარებული. შდრ.

ანალოგიური პროცესი ლაზ. ღვანჭ- „კრეჭა“ ფუძეში: ღაჭ- > ღვანჭ-.

ლაზ. ღამფუ | ღვამფო ფუძისათვის ამოსავლად *ღაფუ | ღაფო ივარაუდება. ღაფ-, როგორც ითქვა, ქართ. ღებ- ფუძის შესატყვისია; ბოლოკიდური -უ/-ო სუფიქსებია და ქართ. -ოლ სუფიქსის ფარდია.

როგორც ცნობილია, ქართ. -ოლ/-ელ სუფიქსს ზანურში უ შეესატყვისება. შდრ. ქართ. ტფ-ოლ-ი : ზან. ტიბ-უ/ტუბ-უ, ქართ. ღბ-ოლ-ი : მეგრ. ღიბ-უ, ქართ. ჩჩუ-ოლ-ი : ლაზ. ჩჩუ-უ/ჩუჩუ-უ, მეგრ. ჩჩუ-უ, ქართ. თხმ-ელ-ი : ზან. თხომ-უ... (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 88 შმდ). ზოგ უ-სუფიქსიან ფუძეს -ო-სუფიქსიანი ვარიანტიც აქვს ლაზურში. შდრ. ქართ. ხა-ვარძ-ელ-ი : ლაზ. ორძ-უ | ორძ-ო (იქვე, 93), ქართ. წნ-ელ-ი : მეგრ. ჭინ-უ, ლაზ. ჭუნ-უ | ჭინ-უ | ჭინ-ო.

§21. ღაღ- „ქექვა, ჩხრეკა“.

ლაზურში დასტურდება ღაღ- ფუძის შემცველი ზმნური ფორმები: ღაღუფს | ღაღუმს „ქექავს, ჩხრეკს“, გოღაღუ/ოგოღაღუ „გაქექა, განჩხრეკა“, ოღაღუ „ქექვა, ჩხრეკა“. შდრ.

კალივის ქეფთი. კალიე თიფითე ოფშა ტუ- თიფეფ ოკობლად დო ქომეშე- ბინჯირ (დიუმ. I, 22,) „კარაეში აველი. კარაეი თიფით იყო საესე. თივა გაექექა და შეეწექი“; ბადი ქისელუ, დანხი გოღაღუ (ქარტ. I, 91) „ბერიკაცი ადგა, ნაცარი გაქექა („ცეცხლი განჩხრეკა“); დოლოხე ქამახთუ, მტეეკალა პოდოხედუ დო მუშებუა იმგარს. პოგოტკუ მტეეი ოღაღუხ (ქარტ. I, 142) „შინ („შიგნით“) შევიდა, ნაცართან დაჯდა და თავისთვის ტირის. დაიწყო ნაცრის ქექვა“.

ლაზ. ღაღ- ზუსტი შესატყვისია ქართ. ღეღ- ფუძისა (გაიდელს, გადელილი...). უდავოა ამ ფუძეთა სემანტიკური კავშირიც: როგორც „ქექვა“, ისე „ღეღა“ აქეთ-იქით გაწევას, გადახსნას გულისხმობს.

§22. ღვანჭ- „კრეჭა“.

ლიტერატურაში ქართ. ღეჭ- ფუძის ზანურ შესატყვისად მითითებულია მეგრ. ღაჭ-: ღაჭუნს „ღეჭავს; კრეჭს“, დოღაჭუ „დაღეჭა“, გოღაჭუ „გაკრიჭა“. გ. მაჭავარიანის აზრით, მოსალოდნელი შესატყვისობა – ქართ. ღეჭ- : მეგრ. ღაჭკ- – არ დასტურდება, რადგან ფუძე შეიცავს ველარულ ღ თანხმოვანს (მაჭავარიანი 1965, 39; გამყრელიძე 1959, 21; Климов 1964, 202–203). მიუთითებენ ამ ფუძის სვანურ რეფლექსზეც: ღარჭ- „ღეჭვა“ (Климов 1964, 202–203)¹³⁹. რაც შეეხება ლაზურს, აქ ამ ფუძეს არ ადასტურებდნენ.

¹³⁹ თუმცა თავად გ. კლიმოვს ეპარებოდა ქვეი სვანური ფორმის ოდინდელყო-

სინამდვილეში ლაზურშიც არის დაცული ეს საერთო-ქართველური ფუძე. „კრეჭის“ მნიშვნელობით აქ იხმარება **ღვანჭ-** მაგ.,

კუნდურაში დღას აიშექ ქოჭოფუ მხხური, ლეტას ქოდოჯინუ, კუნხეფე დუკირუ დო დიდი მაკასითენ **ოღვანჭუს** ქოგოჭკუ (ჩიქ. I, 104_ა) „თებერვლის დღეს აიშემ დაიჭირა ცხვარი, მიწაზე დააწინა, ფეხები შეუკრა და დიდი მაკრატლით კრეჭა დაუწყო („დაიწყო“); ოსმანიქ ამა ნა ძირუ, მგანინერი ნანას ოხვეწუ: „ნანა, ეა **ღვანჭა**, მხხურის კიშის ყინი აყვენ!“ (ჩიქ. I, 104_ბ) „ოსმანმა ეს რომ დაინახა, ტირილით დედას შეეხვეწა: „ღედა, არ გაკრიჭო, ცხვარს ზამთარში შესცივდება!“; ეშოთი ფიმფილი დუბღუ, თომათი **დუღვანჭუ** (კარტ. I, 150) „ასე („ისეც“) წვერი მოჰპარსა, თმაც შეკერიჭა“.

ს.-ქართვ. ***ღეჭ-** ფუძიდან მომდინარე ზან. **ღაჭ-**ს ლაზურში გარკვეული ცვლილებები განუცდია: ანლაუტში ვეღარულ ღ-სთან გ განვითარებულა, აუსლაუტის ჭ-სთან კი – ნ. ორივე ეს პროცესი – უკანაენისმიერთა ლაბიალიზაცია და დენტალებისა და სიბილანტების წინ ნ/მ-ს განვითარება – ზანური ენებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა (კარტოზია 1979, 64–65).

§23. ყორ- || ორ- „ღვრა, სხმა, თხევა“.

ლაზურში „ღვრის, სხმის, თხევის“ მნიშვნელობით იხმარება ყორ- (ხოფურ-ჩხალურში) || ორ- (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში) ფუძე. ის, ჩვეულებრივ, მე- პრევერბით გვხვდება მაგ.

ათმაჯაქ ეფუთხუ დო წკაი ქანუყოლუ (კარტ. I, 110_ა) „მიმინო აფრინდა და წყალი დაუღვარა“; ათმაჯაქ თოკი ქანიჭკეიდუ, ხეშენ გეფუთხუ დო ხოლო ქანუყოლუ (კარტ. I, 110_ბ) „მიმინომ თოკი გაიწყვიტა, ხელიდან ჩამოფრინდა და ისევე დაუღვარა [წყალი]“; კემ ტასიში მარიქეტი: რაქი, შარაბი გობა-ის, მეორა-ის, ალთუნი ივენ-ია, უწუუ. წკარი გობა, მეორა-ის, გუმიში ივენ-ია, – უწუუ (ყიფ. ჭან. 58₁₂) „იმ თასის საიდუმლო: არაყი, ღვინო რომ დაასხა, გადაღვარო, ოქროდ იქცევაო, უთხრა. წყალი რომ დაასხა, გადაღვარო, ვერცხლად იქცევაო, უთხრა“; კემ ტასის გოგობუ (?), მეორუ, ალთუნი დიეუ. წკარი გობუ, მეორუ, გუმიში დიეუ (ყიფ. ჭან. 58₁₉) „იმ თასში ჩაასხა, გადაღვარა, ოქროდ იქცა. წყალი ჩაასხა, გადაღვარა, ვერცხლად იქცა“; ზინჯირითენ არ მუნთხა ამობუტუ, კემუს გოწაკიდუ-ში წკაი ნიორუ-დორენ (დიუმ. II, XLVIII_ა) „ჯაჭვით რაღაც ება, იმას რომ მოეკიდა, წყალი დაიღვარა“; დინცხირეფე ნიორუ (კარტ. II, 218_ა) „სისხლი („სისხლები“) დაიღვარა“.

ბაშ: „Сван. форма, возможно, несконна“ (Климов 1964, 203). მიაჩნიათ, რომ სვან. **ღარჭ-** მეგრულიდან უნდა იყოს ნასესხები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 347). თავისი ეტიმოლოგიური ლექსიკონის მეორე გამოცემაში (Klimov 1998, 224) სვანური ფორმა ავტორს კითხვის ნიშნით აქვს შეტანილი. ლაზური **ღვანჭ-** ფუძის დაკავშირება სხვა ქართველურ ენათა სათანადო ფორმებთან ბოლოდროინდელ ლიტერატურაში (Klimov 1998, 224; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 507– 508) გაზიარებულია.

ქ. დიუმეზილი, რომელსაც შენიშნული აქვს ეს ზმნური ფუძე არქაბულში, ასახელებს ასეთ ფორმებს: მე-ორ-უ „გადაღერა“, ნ-ო-ორ-ენ „იღვრება“, მე-პ-ორ-უმ „(გადა)ვღერი“ (Dumézil 1967, 153).

ლაზ. ყორ- || ორ- უკავშირდება ქართ. ყარ-/ყრ- ფუძეს (გ-ყარ-ე, გ-ყრ-ო), კერძოდ, შეესატყვისება განხმოვანების სრულსაფეხურიან ყარ- ფორმას. შდრ. ამგვარი შესატყვისობის სხვა მაგალითები:

- ქართ. თაღ-/თღ- (გ-თაღ-ე/გ-თღ-ო) : მეგრ. თოღ- (თოღ-უნ-ხ „თლის“)
- თხარ-/თხრ- (გ-თხარ-ე/გ-თხრ-ო) : ზან. თხორ- (მეგრ. თხორ-უნ-ს „თხრის; მარხავს“, ლაზ. ნ-თხორ-უფ/მ-ხ „თხრის; ხნავს“);
- ცაღ-/ცღ- (გ-ცაღ-ე/გ-ცღ-ო : მეგრ. ზოღ- (დო-ზოღ-უ „დაცაღა“)-

ლაზ. ყორ-/ორ- და ქართ. ყარ- ფუძეთა დაკავშირებას არც შინაარსობრივი დაბრკოლება ახლავს. „ყრის, გღების“ და „ღერის“ სემანტიკური ერთობა სხვა შემთხვევებშიც იჩენს თავს.

მაგ., თხევ- ფუძე ახალ ქართულში „ღერის“ მნიშვნელობით იხმარება [სისხლის, ცრემლის (ნ)თხევა], ძველ ქართულში კი „გღების, ყრის“ მნიშვნელობაც ჰქონდა. შდრ.:

ხოლო ჯერკუალი იგი გარე განსთხიან. მათე. 13, 28; ძენი სასუფეველისანი განთხიან ბნელსა მას გარესკნელსა. მათე. 8, 12; მოვიხუენ ორნივე იგი ფიცარნი ორთავე ჳელთა ჩემთაგან და დაგხთხიენ ივინი. 2 სჯ. 9, 17.

ასევე „ღერის“ მნიშვნელობა აქვს დღეს სხ- ფუძეს (წყალს ასხამს, წყალი დაასხა...), ძველ ქართულში კი „ყრის“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა. შდრ.

აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამჳუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გატდაასხ. შუშ. 15); ხოლო კაცმან მან შიასხა მიწაი საფულაესა მას და დაფლნა გუამნი მათნი. ლიმ. 136₁₀.

დასასრულ შევნიშნავ, რომ ქართ. ყარ-/ყრ- ფუძეს უკავშირებენ სვან. ყერ-/ყორ-ს (ლი-ყერ „ცემა, რტყმა“, ო-ყერ „იცივს, ირტყამს“, ო-ყორ „იცა, მოირტყა“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 266–267).

§24. შუშქ- „შუშვა“.

კ. ჰ. შმიდტმა ერთმანეთს დაუკავშირა ქართ. შუშ- „შუშვა“ და სვან. ზესკი „მშრალი“. მისი აზრით, შუშ- < *ღუშ-, ხოლო ზესკი < *ღუსკი (Schmidt 1962, 57, 88, 146). როგორც ეს დაკავშირება, ისე საერთო-ქართველური არქეტიპის ანლაუტ-ში დ თანხმოვნის აღდგენა საეჭვოა. სვანური ფორმის სკ კომპლექსი (მეორე წევრად გლოტალიზებული თანხმოვნით) ქართულში შესატყვისად ყრუ სპირანტს ვერაფრით ვერ გვაგვარაუდებინებს. ქართ. შუშ- ფუძეს სვანურში არა, მაგრამ ზანურში კი მართლაც ეძებნება შესატყვისი.

ეს არის ლაზ. შუშქ- (შდრ. სარფული შუშქუფს „შუშავს“, ოშუშქუ „შუშვა“, შუშქერი „მოშუშული“-), რაც ქართულ ფორმაში თავიკიდური შ-ს ადრინდელობას მოწმობს და საერთო ქართულ-ზანურ არქეტიპად *შუშ- ფუძეს გვაგარაუდებინებს¹⁴⁰.

§25. შქჴ-/ჩქჴ- „გაშეება, გაგზავნა“.

ლიტერატურაში დადგენილია შესატყვისობა: ქართ. შქჴ- : ზან. შქჴ- : სვან. შქჴ-ან- „გაშეება“¹⁴¹. ეს დაკავშირება საეჭვოა. ამგვარი განცხადების საფუძველს იძლევა სემანტიკურად მსგავს ფუძეთა შესატყვისობა – ქართ. ციქჴ- : ზან. ჩქჴ-/შქჴ- „გაგზავნა“ (ჩიქობავა 1938, 379). ზანურის პარალელური ფორმებიდან ჩქჴ- მეგრულსა და ლაზურის ხოფურ-ჩხალურ კილოს ახასიათებს, შქჴ- – ლაზურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულ კილოებს. შდრ. მეგრ. მიდაჩქჴ (< *მიდა-ო-ჩქჴ-უ), ხოფ.-ჩხალ. მენდოჩქჴ (< *მენდა-ო-ჩქჴ-უ), ვიწ.-არქ. მენდოშქჴ (< *მენდა-ო-შქჴ-უ), ათინ.-ართაშ. მენდოშქჴ (< *მენდა-ო-შქჴ-უ) „გაგზავნა [მან]“. შქჴ- მიღებულია ჩქჴ-საგან აფრიკატის სპირანტიზაციის გზით. ვფიქრობ, ასეთივე წარმოშობისა უნდა იყოს ქართ. შქჴ-ს შესატყვისად მიჩნეული ზან. შქჴ- ფუძეც. შქჴ- და ჩქჴ- ფუძეები ერთმანეთზე დაიყვანება. საქმე ის არის, რომ ისინი ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არიან: ჩქჴ- გვაქვს ო-პრეფიქსიან ზმნურ ფორმებში, შქჴ- კი – ა- და ი/უ-პრეფიქსიანებში. ივარაუდება გარდამავალი ზმნის ის ფორმები, სადაც ო- კაუზატივის მაწარმოებელი არ არის, ი/უ- პრეფიქსები კი საობიექტო ქცევის გაგებას არ შეიცავენ¹⁴².

¹⁴⁰ ლაზური ფუძის ანლაუტში *შ > შქ გადასვლა არ განხორციელებულა, რადგან ერთსა და იმავე მორფემაში შეიძლება მხოლოდ ერთი პარამონიული კომპლექსი გექონდეს და ისიც მხოლოდ მეორე ადგილზე. შდრ. ს.-ქართვ. *ზზწილ- > ლაზ. ჩზჩქჴ-/ჩიჩქჴ- „წილი“ (მაჭავარიანი 1965, 96).

¹⁴¹ ქართული და ზანური ფუძეები ერთმანეთს დაუკავშირა ა. ჩიქობავამ (ჩიქობავა 1938, 366–367), სვანურ შესატყვისზე მიუთითა გ. კლიმოვმა (Климов 1964, 214; Klimov 1998, 248–249). იხ. აგრ. ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 378; 2000, 550. კ. კ. შმიდტი ამ ფუძეთა ურთიერთკავშირზე არაფერს ამბობს.

